

1610

1980

საქართველოს  
პრეზიდიუმის  
ბიბლიოთეკა

2

4

მეცნიერებათა  
საბჭოთა  
კავშირების  
კავშირების  
კავშირების



2

8


K 222.289  
K 3

UNIVERSITY  
OF TORONTO





ქართული  
ლიბრთეკა





საქართველოს წიგნის მოუვარულთა საზოგადოება



ქართული  
წიგნობა



აღმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს  
წიგნებზე და წიგნის გამომცემლებზე,  
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,  
კიებებზე წიგნის სამყაროში,  
კვლ წიგნებზე,  
სხვადასხვა ქვეყნისა და მხარის  
წიგნისმოყვარულთა ცხოვრებაზე



# ეწივნო, გე, ნი

0005-გნს  
ქართული  
ენციკლოპედია



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“  
თბილისი 1980

002(062) + 827-82 + 02

002+6 II 9 . 5  
76 . 11+37 . 8  
002+655  
3 979



მთავარი რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

- ვორდაძე ი. თ.
- გოქაძე გ. შ.
- კაკაბაძე დ. კ. (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
- კაციტაძე ა. ა.
- ლაიშვილი ნ. ფ.
- მაჭავარიანი ე. მ.
- მიქაძე გ. ვ.
- რთველიაშვილი ჯ. მ.
- ღელეყვა პ. კ. (პასუხისმგებელი მდივანი)
- სუციშვილი ს. ვ.

მხატვარი  
ს ქ ა რ ტ ა კ ც ი ნ ც ა ძ ე

სკეპ-2000  
ფოტოფიქსურია

საბარათველოს  
მ რ თ ვ ნ შ უ ღ ი  
ბ ი ზ ლ ი მ თ მ კ ა



„მეზნისტყარსანს“

ხელში აგიღებ... გაკოცებ,  
კიდევ ჩაგკოცნი...  
ჩაგკჭერი,  
წიგნი კი არა — ქრეოლა ხარ,  
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა — ბალი ხარ,  
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;  
გაშლილი ბაირალი ხარ,  
ლექსის ფრთა გაუცვეთელი.

წიგნი კი არა — დილა ხარ,  
ქართველი ხალხის ნათელი.  
გულის ფესვებში გინახავ,  
გულში ხარ გამონათალი.

ქალაღზე გწერენ... სიტყვების  
ნაცვლად ლალები სხდებიან;  
გბეჭდვენ —  
ნიშნები სტამბური  
ვარდებად აყვავდებიან.

გკითხულობენ და გმღერიან  
ლხენით გულ-დამერცხლებული;  
შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს  
სიკვდილი დამარცხებული!

\* \* \*

უთენებელი ბნელეთის  
შენ ერთი გვყავდი მთეველი;  
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,  
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!

შენ არ გჭიროდა სახიზრად  
გამოქებაბულთა წყველიადი.  
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,  
ქობის ნაცარში ბრწყინავდი.

გწვავდნენ და არ იწვებოდნი,  
ცეცხლში ღიღების მხვეჭელი.  
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,  
ხეების ამომგლეჯელი.

შენ ხმალის ღარზედ ეწერე,  
ანდერძი ოქროხმოვანი:  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი!“

\* \* \*

წიგნო, წინ მიუძღვებოდი  
ხალხს უკვდავების ნალართო;  
შენ გწერდა ღიღი რუსთველი,  
თავსოქროგადანაყარი.

შენ გწერდა ცისკრის კამკამი,  
ხევთა ხმა, ზვავის ზრიალი;  
შენს კალამს ორბი ჰზიდავდა,  
ტყავს — ვეფხვი თანაზიარი.

შენ გწერდა ქალის წამწამი,  
ვაჟკაცის მკერდი გმირული.

შენ ხალხი ვწერდა მხედარი,  
ბრძოლით გულამოკირული.

შენ ჩვენი სიჭაბუკე ხარ,  
გული არ დაგიძველდება,  
სიმღერა, დილას ნამღერი,  
შვიდასი წელი გრძელდება!

აახმაურე სამშობლო,  
კარისკარ ჩამოიარე;  
ზოგს პურმარილზე შეესწარ  
და ზოგს უხვევდი იარებს.

მიჯნურს, გულადულებულსა,  
სიცოცხლეს დაუელვარებ;  
ლაშქარს უსარდლებ სარდალი,  
ხელში ხმალს აძლევ მღელვარეს.

სიყვარულს სიყვარულითა,  
ძმობით ძმას ეპასუხები,  
დიდ ჭირში დაგვაფოლადებ,  
დავდგებით, როგორც მუხები.

\* \* \*

შენ ხელსატაცი სიტყვა ხარ,  
დიდია შენი სახელი;  
მთების სიბრტყენი გადასჭერ,  
სამშობლოს გარეთ გახველი.

შენი სიბრძნე და ოცნება  
გულში აქვთ გამოკევანილი;  
ჩამოურიგდი ქვეყანას,  
როგორც დიდი მზის ნაწილი.



კარებს ვიღებენ ტკბილ სტუმარს  
ქალაქები და სოფელი,  
სიმღერა, გულში ნათქვამი,  
გახდი მსოფლიოს მფლობელი.

გაქანდი, ოქროსფრთიანო,  
გასცდები ქვეყნის ნაპირსა, —  
შენ, დედაჩემის მზითევო,  
ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

1937 წ.



პეზა ღავულოცოთ „მწიგნობარს“

იდეოლოგიურ სფეროში მუშაობა, საბჭოთა ადამიანის ზნეობრივ-პოლიტიკური სრულყოფა, იდეოლოგიური კადრების წერტნა, ამ კადრების თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღება მუდამ იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრეღი ზრუნვის საგანი. აღმანახი „მწიგნობარი“, რომელიც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირმშო გახლავთ, გამოდის იმ პერიოდში, როდესაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი ისტორიული დადგენილებით — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელიობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ უდიდესი ამოცანები დაუსახა იდეოლოგიური დარგის მუშაეებს.

პარტია მოგვიწოდებს:

— უზრუნველყოთ პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი მეცნიერული დონე;

— გავაძლიეროთ მათი კონკრეტულობა და ქმედითობა, გავაუმჯობესოთ ცხოვრებასთან, სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან კავშირი;

— განვაფითაროთ პროპაგანდისა და აგიტაციის შემტევი ხასიათი.

ჩვენი გამომცემლობების და ჩვენთან ერთად რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების უპირველესი ამოცანაა აქტიურად გამოვეხმაროთ პარტიის მოწოდებას, ფრტები შევასხათ დადგენილებით დასახულ ამოცანებს.

აღმანახი „მწიგნობარი“ ნეგატიურ მოვლენებთან შეუღიგებელი ბრძოლის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის აღზრდისათვის ახალი გზების ძიების ვითარებაში ევლინება რესპუბლიკის მშრომელებს. იგი მოწოდებულია თავის ფურცლებზე გააშუქოს წიგნმცოდნეობის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნის ისტორიის სა-



კითხები, პოპულარიზაცია გაუწიოს ბიბლიოფილებს, კოლექციონერებს, ახალ წიგნებს. ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს ზემონსენებული დადგენილების შუქზე, მშრომელთა საკეთილდღეოდ, მათი თვითშეგნების ასამაღლებლად. „მწიგნობარმაც“ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად გაშლილ შემოქმედებით მუშაობაში.

ამ წერილში ფაქტებით და მხოლოდ ფაქტებით შევეცდები შევახსენო წიგნისმოყვარულებს თუ როგორი ნარ-ეკლით მოფენილი გზა გამოვლო ქართულმა წიგნმა, როგორ გამოიწრთო ათასი ჯურისა და ჯილაგის მტრის მიერ დანთებულ ცეცხლში, გაუძლო ისტორიის გამანადგურებელ, უღმობელ ქართველებს და როგორი დიდებით მოაღწია ჩვენამდე.

თუ ძველი სამყაროს ერთ-ერთი კულტურული ერის — ასირიელთა მიერ შექმნილ წიგნში „ხალხებისა და ქვეყნების შესახებ“ ჩაეხედავთ, შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ მსოფლიოში მცხოვრებ 73 ეროვნების ხალხთაგან მხოლოდ 14-ს ჰქონდა საკუთარი დამწერლობა. მათ შორის მოხსენიებული არიან ქართველებიც. მეტად მრავლისმეტყველი ფაქტია! მაგრამ წარმართული ხანის ლიტერატურამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. იგი ქრისტიანულმა ეკლესიამ აღგავა პირისაგან მიწისა, ხოლო რაც გადარჩა, ისიც მტრის შემოსევების დროს განადგურდა. მაგრამ ქართველ სწავლულ მეცნიერთა ფხიზელმა თვალმა ჩვენამდე შემორჩენილ უძველეს ტექსტებშიც კი შენიშნეს წარმართული ლიტერატურის ანარეკლი.

როგორც ჯერჯერობითაა ცნობილი, ჩვენი უპირველესი წერილობითი ძეგლი იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ გახლავთ (V ს.). ქართული კლასიკური პერიოდის (VIII—XIII სს.) მწერლობიდან ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე მდიდარმა ორიგინალურმა და თარგმნილმა ლიტერატურამ — ფილოსოფიის, ასტრონომიის, მედიცინის, სამართლის და სხვა დარგებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია საერო ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“, ყველას კარგად მოეხსენება, ქართული კლასიკური მწერლობის გვირგვინი და მშვენება რომაა.

სად იქმნებოდა წიგნები იმ დროს, ვინ იყვნენ ის ქართველი ენთუზიასტები, რომლებიც თავიანთი დაუშრეტელი ენერგიით, ხალისითა და მადლიანი კალმით, წლების განმავლობაში, სანთლის შუქზე ქმნიდნენ ფასდაუდებელ ლიტერატურულ საგანძურს? ოშკის, ხანძთის, შატბერ-



დის, გელათის, გარეჯის, შიო მღვიმის, ადიშის, პარხლისა და სხვა მონასტრო ტაძრებსა და კერებში ხარის ტყავსა თუ ეტრატზე გადაკრულ ქართველ კაცს თავისი ორიგინალური ნააზრევები და ნათარგმანები. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მდებარე ჩვენმა სამონასტრო ცენტრებმა: ათონის ივერთა მონასტერმა, ჯვრის მონასტერმა პალესტინაში, შავი მთისამ — სირიაში, პეტრიწონისამ — ბულგარეთში, უდიდესი წვლილი შეიტანეს საერთოდ ქართული კულტურის და კერძოდ, მწიგნობრობის განვითარების საქმეში.

ასე გამოვლო საქართველომ შუა საუკუნენი.

ევროპაში წიგნები უკვე ტირაჟებით ისტამბებოდა. ჩვენში კი ისევე ბეუტავდა სურნელოვანი ზეთის სანთებელა და ხელით გამოჰყავდათ ჩუქურთმისმაგვარი ქართული ასოები. მაგრამ მიიწურა მე-16 საუკუნე და მომდევნო საუკუნის კვირაძალზე, 1629 წელს იტალიაში გამოიცა პირველი ქართული სტამბური წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. მისი დანიშნულება იყო ვატიკანელი მისიონერებისათვის ქართული ენის შესწავლის გაადვილება. ქართული ენის ცოდნა კი ვატიკანელი ბერებისათვის აუცილებელი გახლდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დასამყარებლად და კათოლიკური სარწმუნოების საქადაგებლად. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა კახეთის მეფის — თეიმურაზ I ელჩმა რომის პაპის კარზე, ნიკოლოზ ირუბაქიძე-ხოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახმა) და მისიონერ სტეფანე პაოლინისთან ერთად გამოსცა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“.

მე-18 საუკუნეში კვლავაც საქართველოს საზღვრებს გარეთ დაიბეჭდა ქართული წიგნი. ამჯერად ამ საქმის მოთავე გახლდათ მეფე-პოეტი არჩილი, რომელმაც სამშობლოში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო მოსკოვს შეაფარა თავი. აქ მან პეტრე I თანხმობით, 1705 წელს მოაწყო ქართული სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა „დავითნი“.

ერთი წლის შემდეგ ქართლის მეფის ვახტანგ VI ინიციატივით თბილისშიც დაარსდა სტამბა. იგი მდებარეობდა სიონის ტაძარსა და ანჩისხატის ბაზილიკას შორის, მტკვრის ნაპირას, სადაც დღეს აღმართულია ობელისკი. ქართული სტამბის გამართვაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რუმინული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს, შესანიშნავ კალიგრაფსა და მესტამბეს, მხატვარსა და მრავალი ენის მცოდნეს, ეროვნებით ქართველს, ვლახეთ-მოლდავეთის მიტროპოლიტს — ანთი-



მოზ ივერიელს. ქართველი მეფის თხოვნით მან სასტამბო საქმეთა გასწავლა სარიგებლად და მოსაწესრიგებლად საქართველოში გამოგზავნა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო შეგირდი მიხეილ იშტვანოვიჩი.

საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, წიგნის გამომცემლებისათვის. ერის სულიერი მებაირახტრეობა იკისრა მწიგნობარმა და სწავლულმა მეფემ ვახტანგ VI. თბილისის სტამბაში იბეჭდებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის წიგნები, მეცნიერული ტრაქტატები, სახელმძღვანელოები. თითქმის ყველა გამოცემა დასურათებულია, უმეტესი მათგანი აწყობილია მხედრულით. იმ წლებში გამოცემულ წიგნებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსანი“. მეფე ვახტანგმა მეცნიერულად შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტები, გაუკეთა რედაქცია, დაურთო კომენტარები, თავს მაინც არ ენდო, დასვა სწავლულ კაცთა კომისია სამსჯელოდა და საკამათოდ. იდავეს, იპაექრეს და მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზეს მკითხველს ვახტანგისეული რედაქციით ცნობილი გენიალური პოეტური ქმნილება.

1724 წელს თბილისის თურქები შემოესივნენ და ვახტანგ VI არჩილ მეფის გზას გაჰყვა. იგი მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გაემგზავრა.

1745 წელს ნადირ-შაჰის შემოსევების შედეგად სტამბა მთლიანად განადგურდა.

1749 წელს სასწაულებრივ აღსდგა ფერფლიდან ქართული სტამბა და ქართულმა წიგნმა სინათლე მზისა კვლავ იხილა. ეს საქმე ერეკლე II ითავა. მან საგამომცემლო საქმის რეფორმაც გაატარა: ვინც წიგნის გამოცემის საქმეში მონაწილეობდა, ვალდებულებას იღებდა დედანზე ემუშავა მხოლოდ ქართული ენის ორთოგრაფიის ახალი წესების შესაბამისად. ერეკლეს სტამბაში სხვადასხვა დროს გამოვიდა „ქადაგება“, „კონდაკი“, „კურთხევანი“ და სხვ. სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმეში ერეკლეს მხარში ედგა ქართული ეკლესიის საკეთმპყრობელი ანტონ კათალიკოსი, რომელიც თვითონ წარმართავდა საბეჭდი წიგნების თემატური შერჩევის საქმეს.

როგორც ცნობილია, 1795 წელს სხვათა და სხვათა წაქეზებით გულმომცემულმა უღმობელმა საჭურისმა ალა-შაჰმად-ხანმა დალაშქრა საქართველო. მან ველური სიმკაცრით დაარბია და გადაბუგა თბილისი, ცეცხლის აღმა შთანთქა სტამბაც და მასთან ერთად მრავალი ხელნაწერიც.



ამ ეროვნული უბედურების შემდეგ, მე-19 საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში სასტამბო ცენტრები ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო მიმობნიეული. პეტერბურგში ყოფიერად მოღვაწეობდნენ იქ ნება-უნებლიეთ წაყვანილი ბატონი-შვილები — იოანე, დავითი და ვახუშტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. მ. ბროსეს ღვაწლი ქართული წიგნის გამოცემისა და ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში, თეიმურაზ ბატონიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა და დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკოგრაფიული მუშაობა. მათი თაოსნობით კვლავ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ქართული კლასიკური ლიტერატურის ქრესტომათია“, „ქართლის ცხოვრების“ ორი ნაწილი, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და სხვ.

1800—1820 წლებში (თბილისის გარდა) სტამბები მოეწყო იმერეთის მეფის სოლომონის კარზე, ქუთაისში, წესსა და საჩხერეში, სადაც წიგნის ბეჭდვის საქმეს ემსახურებოდნენ ზურაბ და გრიგოლ წერეთლები, ზაქარია არქიმანდრიტი, გიორგი პაიჭაძე, რომანოზ რაზმაძე-ზურაბიშვილი და სხვ.

მომდევნო წლებში სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით თბილისში გამოვიდა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“. საგამომცემლო მუშაობა ფართოდ გაშალა პლატონ იოსელიანმა. მან თბილისში არსებულ სხვა სტამბებთან ერთად კავკასიის მეფისნაცვლის საკანცელარიო სტამბაც გამოიყენა, აქ დაიბეჭდა მისი „ქართული გრამატიკა“, „აბღულ მესია“, „დიდმოურავიანი“, „წყობილსიტყვაობა ანტონისა“, გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის პიესები და სხვ. 1853 წელს ქართულ ენაზე გამოდის ალექსანდრე გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

ქართული წიგნის გამოცემისა და გავრცელების საქმის მუდმივ რელსებზე გადაყვანა იკისრა და ამ საქმეს ბალავარი ჩაუყარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელიც დაარსდა 1879 წელს ი. ჭავჭავაძის, დიმი. ყიფიანის, ი. გოგებაშვილის, ნ. ცხვედაძის, ბ. ლოლობერიძისა და სხვათა თაოსნობით. მართო მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში თბილისში დაიბეჭდა 1500-ზე მეტი დასახელების წიგნი და ბროშურა. მრავალათასიანი ტირაჟით გამოიცა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულად გაფორმებული რ. ქართველიშვილისეული გამოცემა, რომელიც დასუ-

რათებული იყო საგანგებოდ მოწვეული უნგრელი მხატვრის, მახაი ზი-  
ჩის მიერ. მე-19—20 საუკუნეების მიჯნაზე გამოცემული მრავალფენი  
როვანი წიგნადი პროდუქტიდან გამოირჩევა ილია ჭავჭავაძის, ნიკო  
წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის,  
ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის,  
იროდიონ ევდოშვილის მხატვრული ნაწარმოებები. იმავე პერიოდში  
ქართულმა მკითხველმა მიიღო ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ი. კრი-  
ლოვის, ლ. ტოლსტოის, ვ. პიუგოს, ე. ზოლას, ჩ. დიკენსის, დ. დეფო-  
სა და სხვა რუსი და მსოფლიო კლასიკოსების ცალკეული ნაწარმოებ-  
ების თარგმანები.

ახალმა საუკუნემ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ჩვენი ხალხი.  
ჟამთა სვლასთან ერთად იზრდებოდა მასების თვითშეგნება!

ისევე როგორც ყველგან, ჩვენიც იზრდებოდა ცარიზმის სატრა-  
პული პოლიტიკისადმი ზიზღი და იგრძნობოდა მოახლოებული რევო-  
ლუციის ქარიშხალი. ახალმა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა მარ-  
ქსიზმის პოპულარიზაციის საკითხი. და აი, 1905—1907 წლებში სა-  
ქართველოში გამოდის კ. მარქსის ოთხი ნაშრომი.

თბილისში, ბათუმში და სხვა ქალაქებში მოქმედებას იწყებენ ია-  
ტაკქევმა სტამბები. 1903—1906 წლებში ავლაბრის არალეგალური  
სტამბა — ბოლშევიკური იატაკქევმა ტექნიკის ბრწყინვალე ნიმუში,  
ბეჭდავს ლენინის შრომებს, პარტიის პროგრამასა და წესდებს, იბეჭ-  
დება გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, პროკლამაციები და რევო-  
ლუციური ფურცლები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ფოთში  
1908 წელს პოლიციამ აღმოაჩინა სტამბა, რომელშიც დაბეჭდილი იყო  
კ. მარქსის „ისტორიის ფილოსოფია“, ვ. ი. ლენინის „ორი ტაქტიკა“,  
წიგნები მეცნიერული სოციალიზმის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ყოველი ჯურის კონტრ-  
რევოლუციონერებისა და სამშობლოს გამყიდველების მოქმედებას.  
1921 წლის 25 თებერვალს კი საქართველოშიც გახშიანდა ოქტომბრის  
გამოძახილი.

1921 წლის 12 აპრილს საქართველოს რევკომის დეკრეტით ნაციო-  
ნალიზებულ იქნა წიგნის გამოცემის ყველა საშუალება, ხოლო აგ-  
ვისტოში შეიქმნა „სახელგამი“ (სახელმწიფო გამომცემლობა).

„სახელგამის“ მიერ ამ პერიოდში გამოცემული წიგნების უმრავ-  
ლესობაში იგრძნობოდა მთავარი — მკვეთრად ჩამოყალიბებული იდე-  
ური მიზანდასახულობა. მასობრივი ტირაჟით გამოიცა ვ. ი. ლენინის



„ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“, რკპ (ბ) X ყრილობის მასალების კრებული, ბროშურა „კავკასიის კომკავშირული ახალგაზრდობის პოლიტიკური ამოცანები“, რომლის ავტორი იყო საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის დამაარსებელი ბორის ძნელაძე. ხელიდან ხელში გადადიოდა წიგნები — „ვინ არიან კომუნისტები?“, „რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში“, „სასურსათო გადასახადის შესახებ“ და სხვ.

1922—1923 წლებში ქართულად გამოიცა მეცნიერული კომუნისტების ფუძემდებელთა 15 შრომა, მათ შორის კ. მარქსის „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, „სამუშაო ქირა, ფასი და მოგება“, ფ. ენგელსის — „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“, ვ. ი. ლენინის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „კოოპერაციის შესახებ“, კარლ მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის კლასიკოსებთან ერთად ამ დროს იბეჭდება ვალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ქუჩიშვილისა და სხვათა თხზულებანი.

„სახელგამმა“ ფართოდ გაუღო კარი აგრეთვე საბჭოთა მწერლების ახალგაზრდა თაობას. მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობდა ალიო მირცხულავას, დემნა შენგელაიას, პოლიკარპე კაკაბაძის, სერგო კლდიაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის და სხვათა ნაწარმოებები.

რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის შემდგომი განვითარების გამო „სახელგამს“ თანდათან გამოეყო დარგობრივი გამომცემლობები. 1925 წლიდან ორიგინალურ ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობის შრომებს სცემდა გამომცემლობა „ქართული წიგნი“, მრეწველობის, მშენებლობის, ეკონომიკის, პროფტექნიკური განათლების საკითხებზე ლიტერატურა გამოდიოდა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაში“ (1926), მეცნიერული ლიტერატურა — მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობაში.

საგამომცემლო საქმის ზრდასთან ერთად საქირო იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდა-განვითარება, საქირო იყო პოლიგრაფიული ინდუსტრიის შექმნა. პირველ ხუთწლეულში თბილისში, ჩუკურბენში და ჯავახეთში ჩადგა სამი დიდი პოლიგრაფიული საწარმო — საგაზეთო-საწიგნე სტამბები „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“ და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი სპეციალიზებული წიგნადი პროდუქციის გამოსაშვებად.

დიდმა სამამულო ომმა შეაფერხა ქართული წიგნის აღმავლობის საქმე. ამას მოწმობენ ციფრები: 1942 წელს გამოიცა მხოლოდ 688 დასახელების წიგნი და ბროშურა, 1943 წელს — 622 და 1944 წელს — 423. მაგრამ ეს, რასაკვირველია, დროებითი მოვლენა იყო. ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, 1947 წელს უკვე მიღწეულ იქნა ომამდელი დონე და დაიწყო ბრძოლა ახალი მიჯნების დასაძლევად.

1974 წელს თბილისში მუშაობა დაიწყო დიღმის წიგნის ფაბრიკამ, რომლის საწიგნე სიმძლავრე წელიწადში ჯერჯერობით 132 მილიონი სასტამბო ანაბეჭდი ფურცლით განისაზღვრება. საერთოდ კომუნისტური საწარმოო სიმძლავრე 223 მილიონ საღებავ-გატარებას აღემატება. რეკონსტრუირებულ იქნა და ახალი მანქანა-დანადგარებით აღიჭურვა ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, თბილისის ფერადი და ოფსეტური ბეჭდვის სტამბები. საგარეჯოში, ლავოდენში, თელავში, გორში, ლანჩხუთში და სხვაგან აგებულ იქნა სტამბა-რედაქციები. დაწყებულია წიგნის სასახლეთა მშენებლობა აფხაზეთსა და აჭარაში.

ახლა რესპუბლიკაში გამოდის წიგნები არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში თბილისში ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე გამოვიდა მონოგრაფიები გენიალური პოეტის შემოქმედებაზე. თვით პოემა „ვეფხისტყაოსანი“ კი დაისტამბა ფრანგულ (მთარგმნელი ს. წულაძე) და ინგლისურ (მთარგმნელი ვ. ურუშაძე) ენებზე.

ქართული წიგნი გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს, საბჭოთა ხალხები დიდ დაინტერესებას იჩენენ ჩვენი კლასიკური და თანამედროვე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით. გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. დუმბაძის თხზულებანი.



რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმეს 11 გამომცემლობა ემსახურება. „საბჭოთა საქართველო“ ყოველწლიურად სცემს 400-ზე მეტი დასახელების წიგნს. მათ შორის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო ლიტერატურას; ქართულ, რუსულ, მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების კლასიკურ და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს; აგრეთვე ლიტერატურას სპორტის, ტურიზმის შესახებ, კალენდრებსა და პოლიტიკურ პლაკატებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურის გამომცემა თავმოყრილია გამომცემლობა „განათლებაში“. ამასთანავე ეს გამომცემლობა ბეჭდავს სასწავლო სანოტო ლიტერატურას მუსიკალური სასწავლებლებისათვის, პედაგოგიური მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა შრომებს, ლექსიკონებს, სასაუბროებსა და პროგრამებს.

გამომცემლობა „მერანი“ მკითხველს აწვდის თანამედროვე ქართველ მწერალთა ახალ, ჯერ გამოუქვეყნებელ მხატვრულ ნაწარმოებებს, ხელმეორედ გამოსცემს ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, რუსულ ენაზე თარგმნის და ბეჭდავს ქართველი მწერლების იმ ნაწარმოებებს, რომელთა პოპულარიზაცია იჩენს მწერალთა კავშირს მიაჩნია საჭიროდ და აუცილებლად. ბეჭდავს საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების მწერალთა თხზულებებს. აქვე ისტამბება საქართველოში მცხოვრები რუსი და სომეხი მწერლების ნაწარმოებები.

„ნაკადული“ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულიკვეთებით აღზრდის დიად მიზანს ემსახურება. სკოლა და ოჯახი, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის გამიზნული ლიტერატურა, კლასიკური და თანამედროვე ფოლკლორი, სათავგადასავლო და მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურა, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, ამ თემატიკას გამომცემლობის გეგმებში ყოველთვის სათანადო ადგილი უკავია.

გამომცემლობა „ხელოვნება“, როგორც სახელწოდება გვამცნობს, ბეჭდავს წიგნებს თეატრისა და კინოს, მუსიკის, არქიტექტურის, ესთეტიკის, დრამატურგიისა და ხელოვნების საკითხებზე.

„მეცნიერება“ ძირითადად ემსახურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და განყოფილებების მიერ მომზა-

საქართველოს  
მ რ ი მ ე ნ დ ი  
ბ ი ბ ლ ი ო ტ ი ა



სპეციალურად შეიქმნა ქართული ენციკლოპედიისათვის, რომლის პირველმა ტომმა პოლიგრაფიულად და მხატვრულად საუკეთესოდ შესრულებული წიგნის საკავშირო კონკურსზე ტექნიკური რედაქციის, ახალი შრიფტისა და მაღალხარისხოვანი ბეჭდვისათვის ჯილდო დაიმსახურა.

საკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ ძალზე დიდ ამოცანებს სახავს ჩვენს წინაშე.

საბჭოთა ადამიანების მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, პარტიის საქმისადმი, კომუნისტური იდეოლოგიისადმი უანგარო ერთგულება, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, მასებისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების ჩანერგვა დადგენილებაში დახასიათებულია, როგორც მთელი იდეოლოგიური მუშაობის საფუძველი.

ჩვენი გამომცემლობების წინაშე დასახულია ამოცანა: უზრუნველყოთ კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი XXIII, XXIV, XXV ყრილობების მასალების, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის, პარტიის სხვა ხელმძღვანელების ნაწარმოების გამოცემა. ეს კი მოითხოვს მთელი ჩვენი მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას. თითოეული წიგნი თუ ბროშურა განმსჭვალული უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი ღრმა სიყვარულით. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ფორმალიზმს, გამოცემულ ლიტერატურაში სიტყვების უაზრო რახარუხს, ყოველგვარ პროპაგანდისტურ შტამებს, ყალბ მაღალფარდოვნებას, ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს. ასეთი პრინციპულობით მოითხოვს ჩვენგან მშობლიური პარტია მუშაობის გარდაქმნას და ჩვენ, როგორც პარტიის ერთგული ჯარისკაცები, მოვალენი ვართ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ გადამწყვეტ ბრძოლაში.

„მწიგნობარი“ თავის პირველი ნომრიდანვე უნდა ჩაებას ამ იერიშში. ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა სურვილია იგი გადაიქცეს მებრძოლ ორგანოდ.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ, რომელმაც საკმაოდ მძლავრად მოიკიდა ფეხი რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში, უფრო ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს წიგნის გამომცემლობებს. წიგნის-მოყვარულები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ წიგნის პროპაგანდასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებაში. უნდა გამოვძებნოთ

წიგნის პროპაგანდის ახალი, უფრო ქმედითი მეთოდები და ფორმები.



საქართველოს გამომცემლობები და საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთი მიზნით არიან გამსჭვალულნი — რესპუბლიკის მშრომელებს უწყვეტ ნაკადად მიაწოდონ წიგნი — სულიერი საზრდო. ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადონ ჩვენი ნაბეჭდი პროდუქცია.

მაშ, გზა დაეულოცოთ „მწიგნობარს“.

თ ბ ი ლ ის ი

*[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]*

## ქაბათა ქაბა ჳიგნს

სიცოცხლე მშვენიერია იმიტომაც, რომ ადამიანს შეუძლია მოგზაურობა, ამბობდნენ დიდი ხნის წინათ. მინდა დაგუმატო ერთი მოსაზრებაც — სინამდვილე უეჭველად მიმზიდველია კიდეც იმითაც, რომ ჩვენ ყველას გვაქვს ბედნიერება თითქმის ყველგან და ყოველთვის ვიკითხოთ წიგნი. მოგზაურობა და კითხვა ერთმანეთის მონათესავე საქმიანობაა. მოგზაურობისას ვეცნობით ახალ ადგილებს, ქალაქებს, სოფლებს, ვხედავთ შორეთში როგორ აღმოვაჩინთ სხვა მომხიბლავ შორეთს. გზაში ვეცნობით ჩვენთვის მანამდე უცნობ ხალხს, ვიძინებ მეგობრებს, ზოგჯერ კი მტრებსაც. ვიფართოვებთ ნაცნობთა წრეს, ამით უფრო ღრმად ვწვდებით ჩვენს თავს... მაგრამ ხომ იგივე გვემართება ლიტერატურის კითხვისას? წიგნიდან წიგნამდე ჩვენ მივდივართ, როგორც ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. იმის მიხედვით, თუ როგორ კითხულობს ადამიანი, სულ ზევით და ზევით იწევს, მთელი თავისი ღრმა სილამაზით გადაეშლება მზითა და ვარსკვლავებით გასხივოსნებული ცის კამარა; გადაგვეშლება წინათ უცნობი, ახალი მატერიკები ცოდნისა და წიგნის გმირები უთვალავ ბრბოებად თანდათან მჭიდროდ გვეკვრიან გარს. გვიყვებიან ჩვენი სურვილისამებრ — თავიანთი დროის ცხოვრებაზე, გმირობებზე, ილუზიებზე, მწუხარებაზე, წარმატებებზე, სასოწარკვეთაზე. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ დონ-კიხოტი არა ნაკლებ რეალურია, ვიდრე ნაპოლეონი, რომ „კაპიტანის ქალიშვილის“ გმირებს უფრო კარგად ვიცნობთ, ვიდრე იმათ, ვინც სინამდვილეში ცხოვრობდა ორენბურგის ფორტეციებში. ჩვენი სწრაფმავალი ცხოვრების გამოცდილებას ვუმატებთ წიგნებში მოთავსებულ ათასწლოვან, მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, ვფურცლავთ რა გვერდებს, გვესმის ძველგვიბტური მზის ჰიმნები და საარაკო ასირიულ-ბაბილონური წარწერა-პოემები; ვწვდებით ჰომეროსისა და ბიბლიის,





შექსპირის, ბალზაყის, პუშკინის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის, საშუალოდ როს. თანამედროვეობა გველაპარაკება მაქსიმ გორკის, სერგეი ესენინის, მიხეილ პრიშვინის, ლეონიდ ლეონოვის, კონსტანტინე ფედინის, მიხეილ შოლოხოვის, ალექსანდრე ტვარდოვსკის, კონსტანტინე პაუსტოვსკის პერსონაჟთა ენით...

ადამიანმა თავის გრძელ ისტორიულ გზაზე შექმნა ისეთი საკვირველი ხელოვნება, როგორცაა მუსიკა, პოეზია, ფერწერა, ოქრომჭედლობა, ქანდაკება, რომელნიც თავიანთ ენაზე მოგვითხრობენ გარემომცველი სამყაროს მრავალფეროვნებაზე, მაგრამ წიგნი ადამიანს ყველაფერს სრულად ეუბნება. იგი წარმოუსახავს ადამიანს ყველაფერს — უმცირესი და უფაქიზესი სულიერი მოძრაობიდან დაწყებული უდიდეს გმირულ საქმეებამდე. ვფიქრობ, ზოგჯერ წიგნთან ურთიერთობა არაფრით ჩამოუვარდება ადამიანთან ურთიერთობას. წიგნი ავტორს უკვდავებით აჯილდოებს. წიგნთან საუბრისას დღეს შეგვიძლია მოვუსმინოთ ძველ ეგვიპტელ მწერალს, ელინელი პოეტების ხმას, კიევისა და ნოვგოროდის მემატიანეებს... ბექდვის შემოქმედთა სიყვარულზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, და ყოველი მხრიდან გამოკრთება ადამიანის მიერ შექმნილი საოცრება.

წიგნის ღრმა სიყვარულიდან — გულწრფელი, თავდადებული, მუდმივი სიყვარულიდან — ბიბლიოფილობამდე მოკლე მანძილია. იმდენად მოკლე, რომ ზოგჯერ მას ვერც კი ამჩნევ. სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, ბიბლიოფილობაც ხომ წიგნის სიყვარულს ნიშნავს. სინამდვილეში კი მაინც არის აშკარა სხვაობა უბრალო წიგნისმოყვარულსა და ბიბლიოფილს შორის.

ჩვენს ქვეყანას ხშირად უწოდებენ მკითხველ ქვეყანას. ჩვენი წიგნი მართლაც რომ საპატიო პედესტალზე ავიყვანეთ. ხალხის დიდ ყურადღებას იპყრობს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ბექდვით სიტყვასთან. წიგნი უყვართ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, აკადემიკოსებსა და მოსწავლეებს, იგი ჩვენი დროის სიცოცხლეა, წიგნი შევიდა ყველა სახლში, ნებისმიერ ბინაში. წიგნისმოყვარულს ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ დ ი დ მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს. იგი, დ ი დ ი მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი — თანამედროვეობის ტიპიური ფიგურაა. დ ი დ ი მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი წიგნს არ იშორებს მეტროსა და „ელექტრიჩკაში“, ძალას არ ზოგავს ახლის ძიებაში, ყიდულობს ლექსებსა და პროზას, რაზედაც კამათობენ პერიოდიკაში კრიტიკოსები; იგი გულმოდგინედ ადევნებს თვალს თავისი



სპეციალობის ლიტერატურას, დიდ მკითხველს იმდენი დადებითი თვისება აქვს, რომ მისი ჩამოთვლაც კი ძნელია.

ბიბლიოფილი არა მარტო აფასებს და იყენებს წიგნს, არამედ უზომოდ შეყვარებულია წიგნზე. მისთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ძველ წიგნებთან, სტამბების ან ძველი გადამწერის ხელით შექმნილ საოცრებებთან. ბიბლიოფილი ყურადღებას აქცევს გამოცემის წელსაც, სურათებსაც და შრიფტის განლაგებასაც ქალღმერთზე, არეებზე... ჩემთვის, მაგალითად, განსაკუთრებული პოეტური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვკითხულობ პუშკინის „ყურანის მიბაძვას“ დელვიგის აღმანახის „სევერნიე ცვეტის“ 1826 წლის ჯიბის ფორმატის მომაჯადოებელ გამოცემაში, წიგნში, რომელიც შესაძლოა, ხელში ეჭირა პუშკინს.

ძველ, მივიწყებულ გამოცემაში, რომელიც დაიბეჭდა ამ საუკუნის დასაწყისში, მეტაფორულად გვეხატება მაშინდელი ბიბლიოფილის სახე: „გზიდან მოშორებით მდებარე წყნარ, ბიბლიოფილის მდებარე სულ უფრო იზრდება ახალი ყვავილები. ისინი იმდენად უბიწონი არიან, რომ თითქმის არავინ ხედავს. აი, გამოდის მდებარე მარტოხელა პაპა, იხრება, წყვეტს ყვავილს და დიდხანს ისრუტავს მის არომატს. ესაა ბიბლიოფილი“.

ასეთია ძველი ბიბლიოფილი — მარტოხელა პაპა, რომელიც ყნოსავს ყვავილს ტყეში, მდებარე... მაგრამ ყველაფერი შეიცვალა ცისქვეშეთში. რასაკვირველია, თანამედროვე ბიბლიოფილი ისევე, როგორც მისი წინამორბედი, ტკბილ დროს ატარებს წიგნთან, ეზიარება მას მარტოდმარტო, იყნოსავს მის განუმეორებელ არომატს. როგორც ძველად, ჩვენი დროის ბიბლიოფილიც, ტკბება ალდა მანუციუხის და ელზევირების შრიფტების მოხაზულობით. მოწიწებით ათვალეირებს თავსამკაულებს, ინიცილებს, ბოლოსართებს, სტამბურ ლიტერებსა და ნიშნებს გამძლე მოუხეშო ქალღმერთზე პეტრეს ან ელისაბედის დროსა. ვფიქრობ, წიგნის ცოდნით, სიყვარულით ახლანდელი ბიბლიოფილი არაფრით ჩამოუვარდება თავის პაპებსა და პეპერებს, ხოლო ცოდნის სიზუსტითა და ზედმიწევნილობით, რაც მის მემსიერებაში ინახება, ხშირად აღემატება კიდევ თავის წინაპრებს. მაგრამ არის ერთი განსხვავება, რომელსაც პრინციპული ხასიათი აქვს. ჩვენს დროში ბიბლიოფილი აღარ არის მარტოხელა ობროდი, ტყეში ყვავილებით დაფარულ მდებარე მოსეირნე, შორს იმ გზიდან, რომელზეც მრავალნი დადიან. ბიბლიოფილობამ შეიწოვა ეპოქის სული, რომელმაც წიგნი

საერთო-სახალხო მონაპოვრად აქცია. ბიბლიოფილობით დღეს გატაცებულია სხვადასხვა ასაკისა და სულ განსხვავებული პერიოდების ადამიანები.

დავასახელებ იმათ, ვისაც ყველა იცნობს. თანამედროვეობის გამოჩენილი ბიბლიოფილი ვახდა ნიკოლოზ პავლეს ძე სმირნოვ-სოკოლსკი, ცნობილი არტიტი და თეატრალური მოღვაწე, რომელმაც შექმნა სამამულო წიგნების ბიბლიოთეკა-მუზეუმი. სმირნოვ-სოკოლსკის ბიბლიოთეკა უნიკალურია, როგორც ჩანს, ერთადერთია, სადაც სრულადაა შეკრებილი რუსული ლიტერატურული აღმანახები და კრებულები, კლასიკოსთა, და უწინარეს ყოვლისა, პუშკინის სიცოცხლისდროინდელი გამოცემები, XVIII, XIX და XX საუკუნეების რუსული სატირული ჟურნალები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურული, თეატრალური, ბიბლიოგრაფიული გამოცემები. სმირნოვ-სოკოლსკის ბიბლიოთეკაში შედის 1812 წლის სატირული ფურცლების კოლექცია, XIX ს-ის 60-იანი წლების ილუსტრირებული გამოცემები, საბავშვო აღმანახები და ანბანები, ანონიმური წიგნები, ლექსიკონები... სმირნოვ-სოკოლსკის ბიბლიოთეკის აღწერის ორტომეული შეიძლება მივიჩნიოთ რუსული წიგნის თავისებურ ენციკლოპედიად, რომელშიც განსაკუთრებული გულმოდგინებითაა შერჩეული გამოცემები და ავტორები.

მსცოვანმა მეცნიერმა, პოეზიის დიდმა მცოდნემ, პროფესორმა ი. ნ. როზანოვმა მოსკოვს აჩუქა ლექსების წიგნების ბიბლიოთეკა, რომელშიც XVIII საუკუნე და პუშკინის ეპოქა უნაკლოდაა მოცემული. სტამბის უბრალო მუშამ, წარმოშობით გლეხმა მ. ი. ჩუვალოვმა, პოდმოსკოვიეს სადგურ უხტომსკაიას მცხოვრებმა, შეკრიბა მოსკოვისა და პოდმოსკოვიესადმი მიძღვნილი ათასობით წიგნი. განსაკუთრებით საინტერესოა კოლექცია ძველი რუსული ხელნაწერებისა, რომელნიც შემკულია ფერადი მინიატურებით. დედაქალაქის ბიბლიოფილებში ფართოდაა ცნობილი კლასიკოსთა ავტოგრაფიანი გამოცემების ბიბლიოთეკა, რომელიც შეკრიბა მწერალმა ვლადიმერ გერმანეს ძე ლიდინმა. მან შექმნა რუსული კლასიკური წიგნების მუზეუმი, რომელსაც შევყავართ რთული ლიტერატურული ბედის სამყაროში. განსაკუთრებით ძვირფასი კოლექციები შეაგროვეს გამოჩენილმა მეცნიერებმა ა. ა. სიდოროვმა. მის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია მსოფლიოს წიგნის ბეჭდვის შედეგები სხვადასხვა დროისა და ქვეყნისა.


ყოველდღე გაიღება ხოლმე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, აღმა-



ატის, ტალინის, ტარტუს, ლვოვის ბიბლიოთეკების იშვიათი წიგნების განყოფილებათა კარები. ესაა უძვირფასესი საუნჯეები, რომლებშიც თავმოყრილია საუკუნეების წიგნადი სიმდიდრენი. საზღვარგარეთელი სტუმრები აღნიშნავენ საოცარ დაინტერესებას და ქმედით აქტივობას ჩვენი წიგნის რაინდებისას, რომელნიც ყოველდღიურად ავსებენ ბიბლიოთეკების უზარმაზარ დარბაზებს.

მაგრამ არ კმარა მარტო მასშტაბები ბიბლიოფილობისა, რომლითაც ათასობით ადამიანი გატაცებული კონშტადტიდან დაწყებული ვლადივოსტოკამდე. შეუძლებელია არ დავეთანხმეთ წიგნის ისეთი ღრმა მცოდნის დასკვნას, როგორცაა პ. ნ. ბერკოვი, რომელიც შორსმჭვრეტელურად ამტკიცებდა: „არ უნდა წავართვათ ბიბლიოფილობის უფლება იმათ, ვისაც წიგნი უყვარს არა მარტო მისი სილამაზისათვის, მოხდენილობისათვის ან თავისი გარეგნული პრიმიტიულობით გულისამაჩუყებლობისათვის, არამედ მისი შინაარსისათვისაც, მისი „კონდენსირებული ადამიანობისათვის“, იმისათვის, რომ იგი არის კაცობრიობის გენიის, გონების, გულის საცავი, რომ იგი ხშირად წარსულის მწარე სახსოვარი და აწმყოს მიუყვარებელი სინდისია“. ამგვარად, თვალნათლივ ვხედავთ, თანამედროვეობამ როგორ გააფართოვა არა მარტო ბიბლიოფილების წრე, არამედ ბიბლიოფილობის სფეროებიც, რომელიც შეიცავს სრულიად ახალ ინტერესებს, შესაძლებელია, რამდენაღმე მოულოდნელსაც კი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ უდიდესი მწერალი-ბიბლიოფილი ანატოლ ფრანსი მგზნებაზრედ ამბობდა: „ადამიანი, მაშინაც კი, როცა იგი დიდი ადამიანია, არც ისე ბევრს ნიშნავს, თუ ის ერთია... არ უნდა ვეცადოთ იმ ძაფის გაწყვეტას, რომელიც ხალხთან გვაკავშირებს; პირიქით, ვამრავლოთ ეს კავშირი... ვიხელმძღვანელოთ იმ აზრით, რომ ჭეშმარიტად დიდი და სასარგებლო შეიძლება გახდეს მხოლოდ, არ ვიტყვი ყველასადმი, მაგრამ მრავალთადმი მოპყრობით“.

აი, კიდევ ერთი არსებითი მოსაზრება. ახლა ბიბლიოფილი სავესებით თანამედროვე ადამიანია და მას არ უნდა და არც შეუძლია თავს გრძნობდეს უკაცრიელ კუნძულზე მცხოვრებ რობინზონ კრუზოდ. ცხოვრების დინება, მისი ენერჯია და დინამიკა აშკარად იგრძნობა ბიბლიოთეკის ილუმალეზაშიც. ახლა არავის მოუვა თავში აზრად ამტკიცოს, რომ ბიბლიოფილობა მოწყვეტილია ყოველგვარ საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკას. სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია, წიგნების სამყაროში კი — განსაკუთრებით. მოგიყვებით ერთ ეპიზოდს, რომელსაც მე ღირსშესანიშნავად ვთვლი.



ვარშავის ნაციონალური ბიბლიოთეკის ძველი ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაში მე მატყვევებდა ყველაფერი: ტყავისყუთიანი მკვლევარი ნიანი ფოლიანტებიც, თავისი სილამაზით საოცარი შუა საუკუნეების ხელნაწერთა მინიატურებიც, პოლონელების, ფრანგების, უკრაინელების, რუსების სტამბების ძველი შრიფტებიც, და ბოლოს მასიური წიგნის თაროები, დამზადებული გასული საუკუნის ხის ოსტატების მიერ. როგორც ყველა მკითხველს, ბედნიერება მქონდა, ლამპის შუქზე კატალოგზე თავდახრილი ჩაეწვდომოდი უცნობი წიგნების სახელწოდებებს... ვუხმობდი გარდასულ საუკუნეთა პოეტებს მოკლე განმეორებითი ნიშნებით: „უტიტულო“, „ტარსიკონში“ და „იშვიათი“. შეუძლებელი იყო არ დამტკბარიყავი ძველი პოლონური სტამბების ალბომ-საქაღალდეებით, რომელშიც თითოეულ ფურცელზე სიყვარულით იყო რეპროდუცირებული ძველი შრიფტები, ბოლოსართები, ინიციალები. პროფესორი ალოდია კავეცკა-გრიჩევა და ადიუნქტი ჰენრიხ ბულგაკი აღტაცებული მაჩვენებდნენ წიგნად საუნჯეს, მიყვებოდნენ განსაცვიფრებელ ისტორიას წიგნის ცხოვრებიდან — ტრაგიკულს, სახალისოს, ზოგჯერ დაუჯერებელსაც კი. დიდი ხანია ყველასათვის ცნობილია, რომ წიგნებს ადამიანებივით, თავიანთი ბედი აქვთ. მაგრამ მე დავრწმუნდი კიდევ იმაში, რომ ალოდია კავეცკა-გრიჩევასათვის, — იგი პოლონეთში დიდი მწიგნობარია, — აქაური რარიტეტების კოლექციები ამ ცოტახნის წინანდელი ომის საშინელი წლების მწარე სახსოვარია. ოკუპანტებმა, რომელნიც ასრულებდნენ ჰიტლერის ბრძანებას აჯანყებული ვარშავის დასანგრევად, გადაწვეს სახლი და მასში მოთავსებული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები. ცეცხლმა შთანთქა მსოფლიოში ერთადერთი კოლექცია, რომელსაც ხშირად უწოდებდნენ საუკეთესო ბაღს, სადაც იზრდება ხე ცნობადისა. დაიფერფლა რამდენიმე თაობათა მიერ გულმოდგინე შრომით ნაგროვები გამოცემები. ალოდია კავეცკა-გრიჩევამ და მისმა განსვენებულმა მეუღლემ გმირული თავდადებით გადაარჩინეს მხოლოდ ნამცეცი იმისა, რაც XX საუკუნის განდალებმა დასაღუბავად გასწირეს. პანი პროფესორმა მიმიყვანა კვარცხლბეკზე შემოდგმულ ვაზასთან და მითხრა:

— შეხედეთ ამ ფერფლს — ესაა ყველაფერი, რაც გადარჩა ვარშავის ასობით და ათასობით იშვიათი წიგნისაგან, ჩვენი ძველი ხელნაწერებისაგან.

ჩემს ცხოვრებაში წარსული ომისადმი მიძღვნილი მრავალი მონუმენტი მინახავს, მაგრამ წიგნების ფერფლით სავსე ვაზა ყველაზე ტრა-



გიჟული ძეგლია. წიგნის ფერფლმა მომაგონა ის, რაც ომის დროს მინახავს — 1941 წელს დარბეული იასნაია პოლიანა, ბიბლიოთეკის დაღუპვა ბრიანსკსა და სმოლენსკში, უკრაინასა და ბელორუსიაში. ვუყურებდი წიგნის ფერფლს და განსაკუთრებით აშკარად ვიგრძენი, რომ წიგნი იარაღიცაა. ამჟამად მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, კაცობრიობის მოწინავე იდეალებისათვის იბრძვიან ძველი და ახალი წიგნები. არაფერი ისე არ უწყობს ხელს სხვადასხვა ქვეყნის პროგრესული ადამიანების ურთიერთგაგებას, როგორც წიგნი.

ამ ბოლო ხანებში დასავლეთში ზოგიერთ ინტელექტუალურ წრეებში მოღაღ იქცა მსჯელობა „გუტენბერგული ცივილიზაციის დასასრულზე“, იმაზე, რომ ტექნიკური პროგრესი უახლოეს მომავალში გამოდევნის წიგნს, შეცვლის მას ხმოვანი სიტყვით და სატელევიზიო გამოსახულებებით. იქმნება აგრეთვე უღიმღამო აპოკალიფსური წინასწარმეტყველებანი და უტოპიები. ამერიკელი მწერალ-ფანტასტიკოსის რეი ბრედბერის წიგნში „451° ფარენჰაიტით“, დახატულია მომავალი საზოგადოება, რომელშიც წიგნი მავნეადაა ცნობილი და მოსპობილია. ის, ვინც აკრძალვის მიუხედავად, ინახავს წიგნებს, უნდა მოისპოს წიგნებთან ერთად. თუ ვინმეს აღმოაჩნდება, ვთქვათ, შექსპირის ტომი, მასთან დაუყოვნებლივ მიდიან მეხანძრენი, წვავენ წიგნს, კლავენ მის შემნახველს, მისი სახლი ნაცარტუტად იქცევა. მაგრამ ტყეში გადაძალუღმა რამდენიმე ადამიანი გააოიგონა ხერხი — აღადგინეს მეხსიერებაში ერთხელ წაკითხული და პირველყოფილ კოცონთან ხმამაღლა უკითხავენ ერთმანეთს დამახსოვრებულ წიგნებს უკანასკნელი მწიგნობრები, რომ მომავალ თაობებს შემოუნახონ კაცობრიობის სიბრძნის საუნჯე. ძნელია უფრო უღიმღამო წინასწარმეტყველების მოფიქრება.

ჩვენ ნამდვილად მიგვაჩნია წიგნი ადამიანის მიერ შექმნილ ძალზე რთულ და უდიდეს საოცრებად. მე და ჩემს წიგნისმოყვარულ მეგობრებს გვჯერა, რომ წიგნი მარად იცოცხლებს. წიგნის გარეგნული მხარე კი, რასაკვირველია, შეიცვლება. პალმის ფურცლებზე დაბეჭდილ, გაუხუნარი მინიატურებით შემკულ წიგნებს — ასეთი წიგნების კოლექციით მე დიდხანს ვტკბებოდი ულან-ბატორში — ცოტა რამ აქვთ საერთო თანამედროვე მქრქალსუპერიან გამოცემებთან... მაგრამ წიგნი წიგნად რჩება.

ჩვენში ბიბლიოფილური ცხოვრება უკანასკნელ წლებში გამოირჩევა დიდი ქმედითი აქტივობით. მოსკოვში პოპულარულია ლიტერატორ-



თა ცენტრალურ სახლთან, ხელოვნების მუშაყთა ცენტრალურ სახლ-  
 თან, მეცნიერთა სახლთან შექმნილი ბიბლიოფილურ ლიტერატურულ  
 ზაციები. ბევრი მიმზიდველი მოვლენები ხდება ლენინგრადის,  
 ხარკოვის ბიბლიოფილებთან... გაჩნდა მრავალი საუკეთესო  
 ბიბლიოფილური გამოცემები. მე უკვე ვილაპარაკე სმირნოვ-სო-  
 კოლსკის ბიბლიოფილურ ორტომიან აღწერილობაზე, რომელიც უნივერ-  
 სალური ცნობარის ხასიათს ატარებს. სხვადასხვა სახის ნაშრომები  
 ბიბლიოფილობის დარგში გამოსცეს პ. ნ. ბერკოვმა, ვ. გ. ლიძინმა,  
 ე. დ. პეტრიაევმა, ო. გ. ლასუნსკიმ, ვ. გ. უტკოვმა, ი. ი. მახანოვმა,  
 ბ. ვ. სმირენსკიმ, ვ. ნ. ოსოკინმა. დიდი წარმატება ხედა წიგნის ნიშნი-  
 სადმი მიძღვნილ გამოცემებს. ექსლიბრისების ალბომი თვალის დახამ-  
 ხამებაში იყიდება. გამოირჩევა მხატვარ-ექსლიბრისისტების მთელი  
 პლეადა, როგორცაა ევგენი გოლიახოვსკი და ანატოლ კალაშნიკოვი,  
 რომელთა გრაფიკული მინიატურები მრავალჯერ აღინიშნა საერთა-  
 შორისო პრემიებით.

არ არსებობს უფრო ამაღლებული სიხარული, როგორც ლ. ნ.  
 ტოლსტოი ამბობდა, ვიდრე წიგნის საშუალებით ყოველდღიურად  
 მსოფლიოს უბრძენეს ადამიანებთან დაკავშირება. ახლის აღმოჩენა  
 ძველში, კითხვა და ხელახლა წაკითხვა.

მე ვკითხულობ, მაშასადამე, როგორც ფილოსოფოსი ამბობდა, ვაზ-  
 როვნებ, ვარსებობ...

მოსკოვი

მ  
ქიბნი  
და  
უხმვენი







პრიზაშვილური მარპინალიები „ივერიის“  
ფურცლებზე

პოეტ-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები აპრელებულია მრავალი მინაწერით, ბიბლიოგრაფიული ცნობითა თუ მასალით. თვითეული მარგინალია შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან, საინტერესო, ზოგჯერ სრულიად უმცირეს მითითებას, მაგრამ ბევრისმეტყველ ფაქტს.

კარგადაა ცნობილი ი. გრიშაშვილის მუშაობა წიგნზე. მისთვის არ არსებობდა საინტერესო ან ნაკლებად საინტერესო წიგნი, ჟურნალი და გაზეთი. ყველა გამოცემას იგი კითხულობდა როგორც ბიბლიოგრაფიულ ერთეულს. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამოირიცხავდა ამა თუ იმ წიგნთან ან პრესასთან მის ახლო დამოკიდებულებას.

ი. გრიშაშვილის წიგნებზე მინაწერებში არაერთი აღფრთოვანებული აზრია გამოთქმული როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსების, ისე მისი თანამედროვე სახელოვანი მწერლების ან ახალგაზრდა მწერალთა და პოეტთა შემოქმედებაზე.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში მრავლადაა ქართული მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურული ჟურნალები და გაზეთები. აღსანიშნავია, რომ იგი თანაბარი ინტერესით აგროვებდა როგორც მწერალთა ნაწარმოებებს, ისე სხვადასხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ დაბეჭდილ მასალებსაც.

„ივერიის“ გამოცემა ილია ჭავჭავაძემ 1877 წლის მარტიდან დაიწყო. 1881 წლის „ივერიის“ პირველ ნომერში ჩადებულ ქალაქზე ი. გრიშაშვილი იძლევა ბიბლიოგრაფიულ ცნობას „ივერიის“ ისტორიაზე. იგი წერს: „ივერია“ დაარსდა კვირეულ ორგანოდ 1 მარტს 1877 წ. გადაკეთდა თვიურ ჟურნალად 1879 წ. გადაკეთდა კრებულად 1880 წ. გადაკეთდა თვიურ ჟურნალად 1881 წ. გადაკეთდა გაზეთად 1886 წელს.

გაუქმდა გაზეთი 1905 წელს ფილიპე გოგიჩაიშვილის რედაქტორობას დროს“.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში 1877—1885 წლების „ივერია“<sup>ქართული ჟურნალი</sup> თუ ისე, სრულად არის წარმოდგენილი. 1877 წლის კომპლექტს აკლია



„ივერია“ გრიშაშვილის მარგინალიებით

ორი ნომერი — მეოცე და ოცდამეთხუთმეტე, 1880 წლისას კი ერთი ნომერი. სხვა წლების ნომრები სრულად არის დაცული.

ი. გრიშაშვილს 1877 წლის კომპლექტზე აღნიშნული აქვს დანაკლისი ნომრები და იქვე აღნიშნავს, რომ ამ წლის ერთად აკიხულ გაზეთში მას 500 მანეთი გადაუხდია. თავფურცელზევეა აღნიშნული თუ რომელ ნომრებშია დაბეჭდილი საიათნოვასა და გიორგი ორბელიანის ლექსები. იგი ქართველ პოეტთა და მწერალთა, განსაკუთრებით „გამორჩენილთა და დავიწყებულთა“ თხზულებებს აგროვებდა და გამოსაცემად ამზადებდა. ეს აღნიშვნებიც ამისათვის სჭირდებოდა.

ი. გრიშაშვილის მარგინალიებში გაშიფრულია მწერალთა ფსევდონიმები, სხვა წერილმანი ცნობები, რომელთაც იგი კრებდა.

„ივერია“, 1877 წ., № 4; დაბეჭდილია ლექსი „კ. ბ. მ-სს“ (ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს...). ლექსი ხელმოუწერლად არის გამოქვეყნებული. მიწერილია: „ი. ჭ(ავჭავაძე)“.

№ 6. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ხელმოწერით „ქსნისხეველი“. მიწერილია „გრ. ორბელიანი“. იქვე: ლექსი „მუშის სიმღერა“ ტომას გუდისებური, ხელმოწერით „ს. ოქრიაშვილი“. მიწერილია: „იოსებ ბაქრაძე“.

№ 8: „პროვინციალური წერილები“, ხელმოწერით „წაკოლა ც.“ მიწერილია: „ს. მგ(ალობლიშვილი)“.

№ 15: „ხათაბალა, ქალაქის სცენებითგანი“, ხელმოწერით „ანჩის-ხატისუბნელი“. მიწერილია: „პ. უმიკ(აშვილი)“.

• № 17: „ვეხილვე სატრფო“ (ვეხილვე სატრფო, იგი ცრემლს ღვრიდა), დაბეჭდილია უსათაუროდ და ხელმოუწერლად. მიწერილია „ილია ჭ(ავჭავაძე)“. იქვე: „ს... ჩ. სას“ (სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი...), დაბეჭდილია ხელმოუწერლად. მიწერილია: „ილია ჭ(ავჭავაძე)“, იქვე. „წერილი ს. გურჯაანიდან, 6-ს თიბათვეს“, ხელმოწერით „პ. ცხვილოელი“, მიწერილია: „კარბელაშვილი“.

№ 18: „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ (თუმც მკვდარი ვარ, მაინც სული შენსკენ ჰრბის). ლექსი ხელმოწერილია: „თ. გიორგი ორბელიანი“. ი. გრიშაშვილს კომპლექტის ყდაზე აღუნიშნავს: „გ. ორბელიანი“, № 18“, მაშასადამე, ამ ნომერშია დაბეჭდილი ეს ლექსი და მისი ავტორი საგანგებოდ დასამახსოვრებლად აღუნიშნავს, ლექსთან მიუწერია: „ღიახ, გიორგია და არა გრიგოლი. ი. გრ.“. ეს ლექსი („ხმა ლოპიანას საფლავიდან“) გრიგოლ ორბელიანის ლექსების 1928 წლის გამოცემის „სადათ ლექსებშია“ შეტანილი, ხოლო კომენტარებში ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „ღილა“ დაბეჭდილია „ცისკარში“ 1860 წ. და ქვეშ აწერია: თ. გ. ო. „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ კი დაბეჭდილია „ივერიაში“ 1877 წ., № 18 და აწერია თ. გიორგი ორბელიანი. იქნებ ორივე ლექსი მართლა გიორგი ორბელიანს ეკუთვნის? ამ სახელით „ცისკარში“ რამდენიმე ლექსია დაბეჭდილი“.

ი. გრიშაშვილს გრიგოლ ორბელიანის ლექსების ამ გამოცემაში (გვ. 163) ლექსთან „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ მიუწერია: „გიორგი ორბელიანისაა. იხ. „ივერია“, 1877, № 18, ი. გრ.“

გრ. ორბელიანის ლექსების 1935 წლის გამოცემაში (რედაქტორი

მიხეილ ზანდუკელი) „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ ისევ „სადაც ლექსების“ განყოფილებაშია დაბეჭდილი შემდეგი კომენტარით: „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ დაბეჭდილია „ივერიაში“ (1877 წ. № 18): შემდეგი მიწერით: თ. გიორგი ორბელიანი. 60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში ცნობილია მოლექსე გიორგი ორბელიანი, რომელსაც შეიძლება ეკუთვნოდეს ეს ლექსები, მაგრამ გრ. ორბელიანის ავტორობას აძლიერებს სკანდარნოვას „სალხინო საზანდარი“, სადაც ორივე ეს ლექსი („დილა“ და „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ — ს. ხ.) პირველ და მეორე გამოცემაში მიწერილია და მიეკუთვნება გრ. ორბელიანს. გრ. ორბელიანის ამ ლექსთა ავტორობის მტკიცებას ამაგრებს შემდეგი ცნობა: არსებობს ხელნაწერი ნიკ. ბარათაშვილის ლექსებისა, რომელიც ცნობილია ბარბაღე მელიტონის ას. ვეზირიშვილის ვარიანტის სახელით. ამ კრებულის ბოლოში არა ნ. ბარათაშვილის ხელით მიწერილია ლექსი „დილა“, რომელსაც მიწერილი აქვს გრ. ორბელიანი. ექვთ. თაყაიშვილის მტკიცებით, ეს კრებული დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1843 წლისა. იმ დროს კი პოეტი გრ. ორბელიანი მხოლოდ გრიგოლი იყო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ყველა ეს ცნობები, როგორც სამართლიანად ამბობს ვ. კოტეტიშვილი, არ გვაძლევს საბუთს ეს ლექსები ურყევად მივაკუთვნოთ გრ. ორბელიანს; თუმცა ეს ლექსები ხასიათით და ფაქტურით გრ. ორბელიანის ლექსებს ძალიან ემსგავსება“.

გრ. ორბელიანის ლექსების 1935 წლის გამოცემაში ამ ლექსთან ი. გრიშაშვილს მიუწერია: „გიორგი ორბელიანი და არა გრიგოლ“. შემდეგ მან დოკუმენტურად დაადგინა, რომ სადავო ლექსი „დილა“ ეკუთვნის გიორგი დვანაძეს.

„ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მეორე ნაკვეთშიც (1941 წ., გვ. 20) „ხმა ლოპიანას საფლავიდან“ მიეწერება გრიგოლ ორბელიანს.

ი. გრიშაშვილს პოეტურმა ალლომ არ უღალატა. მიუხედავად იმისა, რომ ლირიკული ლექსის გმირი ლოპიანა გრ. ორბელიანის პერსონაჟი იყო და ამ ლექსში მოიპოვება გრიგოლ ორბელიანისეული პასაჟებიც, იგი მაინც გრიგოლისა კი არ არის, არამედ ეპიგონი პოეტის გიორგი ორბელიანისაა.

№ 28: დაბეჭდილია საიათნოვას ლექსები: „ქარგი ვაჟი კაცი შევიდეს ომში“ და „სოფელსა და სოფელს შუა მთას ამბობენ, მართალია“. პირველი ლექსიდან ი. გრიშაშვილს მოუცილებია ოთხი სტროფი და



მიუწერია: „ეს მეზალე დავითასია“. საიათნოვას გამოცემებში ეს სიტყვა აღარაა შეტანილი.

„ივერიის“ 1879 წლის პირველ ნომერში, ჟურნალის შინაარსში ი. გრიშაშვილს გაშიფრული აქვს პეტრე უმიკაშვილის, ნიკო ქანანაშვილისა და ანტონ ფურცელაძის ფსევდონიმები. პირველია მ. პეტრიძე, მეორე ნ. დავითაშვილი, ხოლო მესამე — ზურაბ მოციქო. ასევე, მეორე ნომრის შინაარსში ფსევდონიმი „ლევ ცაველი“ გაშიფრულია და უწერია „ნ. ლომოური“.

ამ წლის მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვა“. ი. გრიშაშვილი წერს: „ი. ჭ(ავჭავაძე)ისა უნდა იყოს“. ი. გრიშაშვილს ეს მაშინ აქვს დაწერილი, როცა ილია ჭავჭავაძის თხზულებების კრებული ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული, რომელშიც შესულია მისი „შინაური მიმოხილვები“.

„შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე, სხვათა შორის, მიმოხილავს ქართული თეატრის მუშაობასაც. კერძოდ, მას ყურადღება გაუმახვილებია ივანე მაჩაბლის მოლიერის „ექვით ავადმყოფის“ თარგმანის ერთ ადგილზე. ილია ჭავჭავაძე წერს: „თარგმანი არ არის ურიგო, მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაურთავს ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად ხმარებული პიესაში, რომელიც ზრდილობის მოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოა“. ი. გრიშაშვილს აქ მიუწერია: „ამ სიტყვას ვასო აბაშიძე მეტად მსუქნად ამბობდა“.

ილია ჭავჭავაძე შენიშნავს: „ბოლოს დროს წარმოადგინეს ილ. ჭავჭავაძის „ყმების განთავისუფლების პირველი დროების სცენები“... ი. გრიშაშვილს მიუწერია: „ილია თავის პიესაზე სდუმს. ი. გრ.“.

მოლიერის „ექვით ავადმყოფი“ დაიბეჭდა „ივერიაში“ № 5—6, მაგრამ მთარგმნელის გვარი არ უწერია, ი. გრიშაშვილი კითხულობს: „თარგმანი ვისია? ივანე მაჩაბლის!“ შემდეგ იქვე მიუთითებს წყაროს, რომ მოლიერის პიესის თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს და დასახელებული აქვს საბუთი „ივერია“ № 4, სადაც ილია ჭავჭავაძე „შინაურ მიმოხილვაში“ წერს: „მერმე წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ექვით ავადმყოფი“, თარგმნილი ივ. მაჩაბლისაგან.“

ამრიგად, ი. გრიშაშვილმა ჯერ გამოიკვლია, რომ „შინაური მიმოხილვა“ ილია ჭავჭავაძისაა და ჟურნალში ამ წერილს ბოლოში მიიწერა კიდევ ი. ჭ[ავჭავაძე], ხოლო შემდეგ ი. ჭავჭავაძის ცნობა გამოიყენა საბუთად, რომ მოლიერის პიესის მთარგმნელი იყო ივანე მაჩაბელი.

1880 წლის „ივერიის“ მეოთხე ნომერში დაბეჭდილია „ფეოდალის ალზრდა“. ი. გრიშაშვილს ნაწარმოების სათაურთან მიუწერია „ეს მოთხრობა თარგმნილია ვაჟას მიერ, რედაქცია გაკეთებულია ივერიისთავის მიერ. შინაარსი მოსწონებიან და პირველად გაუშვიან. ი. გრ. ავტორი გერმანელია“. ორიგინალის ავტორი თარგმანში არაა მოხსენიებული, პერსონაჟების სახელებისა და მოქმედების ადგილთა მიხედვით, ი. გრიშაშვილს ნაწარმოები გერმანულად ჩაუთვლია. „ფეოდალის ალზრდა“ რომ ერკმან-შატრიანისაა, გაირკვა 1964 წელს (იხ. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, სალომე ყუბანეიშვილისა და ნანი წერეთლის წერილი „ვინ უთარგმნია ვაჟას?“ და სალომე ყუბანეიშვილის წერილი „ვაჟა ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“, თბ., 1966, გვ. 315. — „ვაჟა ფშაველა — უიდას „მზითვის ლანგარისა“ და ერკმან-შატრიანის „ფეოდალის ალზრდის“ მთარგმნელი).

„ივერიის“ იმავე წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულია ტარას შევჩენკოს პოემის „მუშა ქალის“ თარგმანი, შესრულებული ნ. ლ.-ს მიერ, ესე იგი ნიკო ლომოურის მიერ. ი. გრიშაშვილი თარგმანს შეფასებას აძლევს: „თარგმანი საზოგადოდ ძალიან კარგია, რომ შიგ არ იყოს სახელების გაქართულება. მაგ., შევჩენკოს აქვს ნასტე, მთარგმნელს ნატალია, შევჩენკოს — მარკო, მთარგმ(ნელს) — სიკო ან სიკონია (სიკონა ბავშვურად)“.

„ივერიის“ 1881 წლის მერვე ნომერში დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის პოემა „ბაგრატიონების დიდება“, რომლის ტექსტი ცარიზმის ცენზურისაგან დაჩეხილია. პოემის ტექსტი პუნქტირებით გამოქვეყნდა. ი. გრიშაშვილი თავისი მიხვედრილობით მართავს პოემის ტექსტს, მაგ., გვ. 3, პოემაშია:

რაც ჩვენ მათ ზედში ჩავაგდეს,  
ვინ ათქმევინებს პირსაო,  
და მეტის ზედნიერებით  
მთლად ჩვენი ხალხი...

აქ ი. გრიშაშვილი წერს „სტირსაო“.

გვ. 8. დარეჯან დედოფლის შვილოსნურ ნაყოფიერებაზე ა. ფურცელაძე წერს: „ყოველი წლის თავზე კმატებდა“, შემდეგ კი პუნქტირია. ი. გრიშაშვილს ორი ვარიანტი მიუწერია პუნქტირის სანაცვლოდ: „ოქროს ქოჩრიან ვაჟსაო“ და „ის თითო-თითო ვაჟსაო“.



ეკლესიებზე დაკვიდრებით  
დიდრონ რუსულ ზარებსაო,  
შიგ რუსულად დაუშვართავთ  
წირვებსა და ლოცვებსაო.

ამის შემდეგ თრ სტრიქონს ი. გრიშაშვილი ავსებს:

ქართველებს კი გადავაგდებთ,  
და მოვსპობთ მის ენასაო.

გვ. 36. ა. ფურცელაძე წერს:

მაშინ რუსები ჰგზავნიან  
აქეთ-იქით პოლკებსაო,  
წინამძღოლებად აძლევენ  
სულ მთლად ქსნის ერისთვეებსაო.

ამას მოსდევს პუნქტირი ოთხ სტრიქონზე, რომელთაც ი. გრიშაშვილი ფურცელაძისეული წყობით ავსებს:

მარცვლებს უყრიან იმათა,  
როგორც პატარა ჩიტსაო  
და იტყუებენ თავისკენ  
და აძლევენ მენდლებსაო!

ამავე ნომერში დაბეჭდილია ცნობები ახალი წიგნების გამოსვლაზე. ერთ-ერთში ლაპარაკია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების 1881 წლის გამოცემაზე. ი. გრიშაშვილს მიუწერია: „ეს წერილი ჩემის აზრით ეკუთვნის ივ. მაჩაბელს. ზოლო აკ. კენჭოშვილს ჰგონია, რომ ამ რეცენზიის ავტორი დიმ. ბაქრაძეა... შეაცდინა მაჭავარიანის შედგენილმა წიგნმა — ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 1941 წ. ი. გრ.“ მართლაც, „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მეორე წიგნში დიმიტრი ბაქრაძე ალექსანდრე ჭავჭავაძის წიგნის გარჩევის ავტორად არის მოხსენიებული.

1883 წლის „ივერია“ პეტრე უმიკაშვილის ნაქონი ყოფილა. ი. გრიშაშვილს იგი შეუძენია ალექსანდრე არაბიძისაგან. ამ წლის კომპლექტში დევს გიორგი ნათაძის წერილი ი. გრიშაშვილისადმი. „დ. პატივცემულო ბატონო სოსო — გიგზავნით „ივერიას“, ნახეთ, იქნებ არ მო-



გეწონოთ. 500 მანეთს კაპიკს არ უკლებს. „ცისკარს“ აფასებს ნომერს/ 15 მან. „ივერიას“ 1883 წ. ნომერს 30 მან. ყოველ შემთხვევაში თქვენც შეევაჭრეთ. იქნებ თქვენ დაგიკლოთ. მუზეუმი ამ ფასად ვერ აიღებს და მენანება, ძალიან ვჩქარობ. პატივისცემით გ. ნათაძე“. მაგრამ თვით ი. გრიშაშვილი ოფიციალურ წერილებში არ იხსენიებს ამ ფაქტს.

1935 წელს ი. გრიშაშვილმა გამოსცა „საანდაზო ლექსები „წინასიტყვაობით“, რომელშიც წერდა: „ამას წინად ალექსანდრე არაბიძემ ლენინგრაღში გამგზავრებისას რამდენიმე ცალი „ივერია“ მომცა (დიახ, მომცაო — ს. ხ.) ჩემი ბიბლიოთეკისათვის: „სოსოს ბიბლიოთეკას — მიეცეს და მიემატოსო!“ ეს „ივერიები“ ჩვენი ჩუმი მუშაკის, ძვირფასი და დაუვიწყარი მოღვაწის პეტრე უმიკაშვილის საკუთრება ყოფილა. ეს ნათლად ჩანს უმიკაშვილისათვის დამახასიათებელი შენიშვნების მინაწერებით...“ ადამიანებთან ასეთი კორექტული დამოკიდებულება დამახასიათებელია სახელოვანი პოეტისათვის.

1883 წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის „წამება ქეთევან დედოფლისა“, ი. გრიშაშვილს მიუწერია: „როცა სცენაზე დასდგეს ეს დრამა, სამღვდლოებამ აკრძალა — წმინდანის სცენაზე გამოყვანა არ შეიძლებაო“. ამის შემდეგ დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სახელწოდებით იდგმებოდა. ი. გრ. 1933, 10. I“.

მეთვრამეტე ნომერზე მიუწერია: „აქედან ანდაზები“. ამ ნომრიდან იწყება საანდაზო ლექსების პუბლიკაცია „ივერიაში“. ეს ლექსები ამოკრეფილი იყო „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“, „დავითიანიდან“. ანდაზებისათვის პეტრე უმიკაშვილს მიუწერია: „ილია ჭავჭავაძის მიერ“. სწორედ ამ მინაწერმა მისცა საბაბი ი. გრიშაშვილს „ივერიიდან“ ამონარიდი ანდაზების გამოცემისათვის, რომელიც მისივე წინათქმითა და შენიშვნებით გამოვიდა 1935 წელს, შიეცა სახელი: „საანდაზო ლექსები ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი“.

უტყუარი ალლო ჰქონდა ი. გრიშაშვილს. 1885 წელს „ივერიის“ მეორე ნომერზე, სადაც დაბეჭდილია „შინაური მიმოხილვა“, მიუწერია: „ილიასი უნდა იყოს, ეტყობა სტილზე“. წერილის ბოლოს მიუწერია: „ილია ჭავჭავაძე“, იგი ამაში დარწმუნდა, როცა გადაიკითხა და გააანალიზა წერილი, რომელიც ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტის ერთერთი ბრწყინვალე ფურცელია. ეს არის 1885 წლის თებერვლის „შინაური მიმოხილვა“, სადაც წერს: „რა არის ცოდვა და რა არის მად-



ლი? რას ჰქვია კეთილი და რას ბოროტი? გუშინდელი ცოდვა დღეს მადლად იქცევა, ერთ ქვეყანაში მადლი მეორე ქვეყანაში ცოდვა, სპარსეთში რომ მთავრობის აშკარა ცუდი დაიწუნო, ენას მოგჭრინა, ინგლისში კი მთავრობის ცუდის დაწუნება დიდება და სახელია, მშინერ-მწყურვალის სიკვდილისაგან გადასარჩენად ერთი ლუკმა პურის მოპარვისათვის ამოგადგდებენ, მტრის ქვეყანა რომ გადაბუგო და ათასი კაცი შიმშილით მოკლა, გმირობაში და სახელოვან საქმეში ჩაგეთვლება. ადამიანის გარეშე ცოდვა და მადლი არ არსებობს. მამ, სადაც ადამიანია, ყველგან ერთნაირი უნდა იყოს ცოდვა-მადლი, მაგრამ არ არის! „რატომ?“ ამისი პასუხი კაცობრიობას არ უპოვია ჯერ. სოლომონ ბრძენი უკვდავებას და ნატრობდა, სხვა ყველაფერი ჰქონდა, ჩვენ კი არსობითი პური გვენატრება“. ქვეყნის საათის მოშლაზე წერდა ილია ჭავჭავაძე, იმ მაჯლაჯუნაზე წერდა, რომელიც მას აძულებდა ის ეთქვა, რის თქმაც არ უნდოდა, ის ეწერა, რის დაწერაც არ სურდა. ფილოსოფიურად ჰკვრეტდა და მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე და სოლომონ ბრძენის ტირადას იტყოდა: „ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად. ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა. ჟამი წყლულუბად და ჟამი კურნებად. ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად. ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად. ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად. ჟამი განყრად და ჟამი შენებად ქვათა. ჟამი გარდახვევად და ჟამი განშორებად გარდახვეულისაგან. ჟამი ძიებისად და ჟამი წაწყმენდისად. ჟამი დამარხვისად და ჟამი აღმოფხვრისად. ჟამი განხვევისად და ჟამი შეკერვისად. ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად. ჟამი სიყვარულისად და ჟამი სიძულვილისად. ჟამი ბრძოლისა და ჟამი მშვიდობისა“. ეს ბრძნული დაპირისპირებანი ძველი ბრძენისა, ამეტყველებული ახალი ბრძენის აზროვნებაში ი. გრიშაშვილმა ილია ჭავჭავაძისად სცნო: „ილიასი უნდა იყოს, სტილზე ეტყობაო“.

„ივერიის“ მეორე ცალუბიც მოიპოვება ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში. ზოგი ნიკო ნათიძის (მელანის) ნაქონია, ზოგი დიმიტრი ბაქრაძისა ან უთურგაულისა, სოფიო მელიქიშვილისა და სხვ.

ჩვეულებრივ, „ივერიის“ კომპლექტებზე მრავალი ხაზგასმია, ყურადღების მიქცევის ნიშანი, ადამიანთა გვარების აღნიშვნები... ხაზგასმულია საინტერესო წერილები, მითითებულია, თუ რაზეა საუბარი წერილებში: ქართულ თეატრზე, ივანე მაჩაბელზე და მის ლექსებზე, ბუკინისტებზე, ვისგანაც წიგნი შეიძინა, რაფიელ ერისთავისა და ასიკო ცავარელის პიესათა პერსონაჟების მსგავს გვარებსა და სახელებ-



ზე, „ვეკფილდის მღვდლისა“ და „განდეგილის“ იდეებზე, <sup>საქართველოს</sup> ~~საქართველოს~~ <sup>წევრების</sup> ~~წევრების~~ <sup>და</sup> ~~და~~ <sup>სხვა</sup> ~~სხვა~~ <sup>მრავალი</sup> ~~მრავალი~~.

წიგნის კითხვის თავისებური მანერა ი. გრიშაშვილისა ნათლად ჩანს „ივერიის“ მარგინალიებში. მასალის გაცნობისას წამოჭრილი ასოციაციები, პარალელები, მიგნებანი, ვახსენებანი და სხვა მრავალი აღნიშნულია „ივერიის“ კაბადონებზე. ეს ძვირფასი წყაროს ხასიათს აძლევს ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ნომრებს, ისევე, როგორც სხვა გამოცემებს, რომელსაც იოსებ გრიშაშვილის ხელი შეჰხებია.

თ ბ ი ლ ის ი

**დიდ სამამულო ომში წიგნების იბრაოდნა**

წიგნი ადამიანის მეგობარია. უწიგნოდ არ არსებობს ცოდნა, ხოლო ცოდნის გარეშე მეცნიერება. ეს დებულება იყო, არის და კვლავაც რჩება ძალაში. რაც დრო გადის, წიგნის მნიშვნელობა უფრო იზრდება, სულ ერთია, ეს წიგნი მეცნიერული იქნება, თუ მხატვრულ-პოპულარული. ჩვენს ეპოქაში არ მოიპოვება ადამიანი, რომელიც წიგნს არ მეგობრობდეს და მეცნიერულ, აღმზრდელიობითს, მორალურ-ესთეტიკურ თუ სხვა ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხს მასში არ ეძებდეს.

წიგნები თავიანთი მნიშვნელობითა და დანიშნულებით სხვადასხვანაირია. ყველა წიგნს როდი უწერია ხანგრძლივი სიცოცხლე. ისინი, რომლებიც ვერ პასუხობენ წამოჭრილ საკითხებს, მალე ჩამოდიან ისტორიის სარბიელიდან. მაგრამ არიან წიგნები, რომლებიც არასოდეს კარგავენ აქტუალობას, ყველა ეპოქისა და თაობისათვის ინარჩუნებენ თავიანთ შთამაგონებელ ძალას, ყველა თაობის ადამიანებს ალაფრთვანებენ სამშობლოს სადიდებელი თავდადებული ბრძოლისა და შრომისათვის.

ვინ მოთვლის დიდ სამამულო ომში მტრის ტყვიით განგმირულ რამდენ ჯარისკაცსა და ოფიცერს უპოვეს უბეში ან საველე ჩანთაში სათუთად შენახული ლენინისა და ჩერნიშევსკის, რუსთაველისა და პუშკინის, დავით გურამიშვილისა და ტოლსტოის ან სხვა გამოჩენილ კლასიკოსთა წიგნები. როგორც „ჭაბუკებად დარჩნენ მარად“ მრისხანე ომში უდროოდ დაცემული „ლიმილის ბიჭები“, ასევე არ ხუცდებიან და მარად ჭაბუკებად რჩებიან ომგამოვლილი წიგნებიც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში დაცულია ომის ქარცეცხლში გამოვლილი არაერთი უნიკალური წიგნი, რომლებიც ექსპონირებულია დიდ სამამუ-




როდესაც ვლადიმერ ივანოვიჩი ომგადახდის წიგნებზე, რომელთა წაკითხვას საბჭოთა მემკვიდრეები მძიმე ბრძოლების ქარცეცხლში ახერხებდნენ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მათ მიერ „დროის დეფიციტის“ დაძლევის საყურადღებო ფაქტი. დასაძალი არაა, რომ დღევანდელ მკითხველს აღარ ყოფნის დრო სპეციალური ლიტერატურისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვისათვის. თანამედროვე ეპოქაში ადამიანები უაღრესად გადატვირთული არიან ისეთი საკითხებით, რომელთა გადაჭრა ც მრავალმხრივ პროფესიულ განათლებას მოითხოვს. სკოლის მერხიდან დაწყებული, ახალგაზრდის მთელი შესაძლებლობა იქითკენაა მიმართული, რომ ღრმად დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლებს. საზოგადოებრივი შრომის ფერხულში ჩაბმის შემდეგ კი სისტემატურად განაგრძობს სპეციალური ლიტერატურის შესწავლას პროფესიული განათლების დონის ასაძლიერებლად. ამიტომაც უაღრესად მწვავედ დგას „დროის დეფიციტის“ დაძლევის საკითხი. მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი ტემპით განვითარებამ, მოქალაქეთა ტერმინით რომ ვთქვათ, თანამედროვე ადამიანი „ცაიტნოტში“ ჩააგდო. მაგრამ ომის ყველა ვეტერანი დაგვერწმუნება, რომ დროის უკმარისობა ყველაზე მწვავედ სწორედ ფრონტზე იგრძნობოდა. მაგრამ მებრძოლები მაინც ხალხით კითხულობდნენ წიგნებს. პირადად მე არაერთხელ ვყოფილვარ ასეთი სურათის მოწმე: ტანკსაწინააღმდეგო ასეულში, რომელსაც ვმეთაურობდი, მოადგილე სამწყობრო ნაწილში ლეიტენანტი ავთანდილ დავითაშვილი, რომელიც შემდეგ ასმეთაური გახდა, წიგნის დიდი ტრფიალი იყო. კავკასიის კარიბჭესთან გაჩაღებული გააფთრებული ბრძოლების დროს, როდესაც ფაშისტთა ურჩხულები ჩვენი პოზიციებისაკენ მოიწვევდნენ, დავინახე, რომ ტანკსაწინააღმდეგო თოფთან მიწოლილ ავთანდილს გადაეშალა წიგნი და ერთი შეხედვით დინჯად, თითქოს აქ არაფერიყო, კითხულობდა. ამასთან ცალი თვალი შეტევაზე გადმოსული ფაშისტებისაკენ ეჭირა. ავთანდილის ასეთი სიღინჯის ერთი წყაროც იმ წიგნის შინაარსი იყო. იერიშზე წამოსულ ფაშისტთა ურჩხულების მაცქერალ, ნერვებატვიმულ მებრძოლზე იგი ყოველგვარ სიტყვაზე უფრო დამამშვიდებლად მოქმედებდა. ეს წიგნი იყო ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. ავთანდილს შემდეგაც არასოდეს განელებია წიგნის სიყვარული. ომიდან მძიმე ჭრილობებით დაბრუნებულმა, სამამულო ომის პირველი და მე-



ორე ხარისხის ორდენებითა და სხვა მრავალი საბრძოლო ჯილდოთი მკერდდამშვენებულმა, თავისი მშვიდობიანი შრომაც წიგნს მიუძღვნა. იგი დღემდე თავდადებით მუშაობს თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბაში და არ ზოგავს ცოდნასა და ენერგიას, რომ ქართველ მკითხველს ღამაზად დაბეჭდილი და ღაზათიანად გაფორმებული წიგნები მიაწოდოს.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის საბრძოლო თანამეგობრობის ისახველ გამოფენებზე საპატიო ადგილზეა ექსპონირებული გამოჩენილი რუსი მწერლის ანა ანტონოვსკაიას ისტორიული რომანი — „დიდი მოურავი“. იქვე დევს ყუმბარის ნამსხვრევი, რომელმაც წიგნი შუაზე გაგლიჯა. ამ წიგნის მფლობელია ლეგენდარული № 53 ჯავშნოსანი მატარებლის ყოფილი მეტყვიამფრქვევე, ამჟამად ომის სახელოვანი ვეტერანი ალექსი მნათობიშვილი.

ჯავშნოსანი მატარებელი № 53, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი მოსკოვთან ისტორიულ ბრძოლებში, ომის პირველ თვეებში შეიქმნა თბილისში. იგი ერთ დიდ მრავალეროვან ოჯახს წარმოადგენდა. მისი შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო რუსების, ქართველების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხთა შვილებით. მატარებელს მეთაურობდა ისი ხალხის სახელოვანი შვილი ა. ჯახიევი, ხოლო კომისარი (შემდეგში მოადგილე პოლიტნაწილში) იყო რუსი ნ. სმირონოვი, ქალაქ კლინთან ბრძოლების დროს, როდესაც დროებით მიყუჩდა არტილერიის კანონადა, ა. მნათობიშვილი რკინიგზის სადგურზე ჩავიდა და იქ საარტილერიო ჭურვებით დანგრეულ ბიბლიოთეკის შენობაში შემთხვევით წააწყდა ანა ანტონოვსკაიას „დიდ მოურავს“. ქართველმა ჰაბუკმა დიდად გაიხარა ჩვენი სახელოვანი წინაპრის შესახებ დაწერილი წიგნით და მოწიწებით ჩაიძო გიბეში. გააფთრებულ ბრძოლებში, როგორც კი თავისუფალ დროს იპოვიდა, ა. მნათობიშვილი გადაშლიდა „დიდ მოურავს“ და გატაცებით კითხულობდა. გიორგი სააკაძის პატრიოტიზმი და ვაკეკაცური შემართება, რაც შესანიშნავად აქვს აღწერილი ანა ანტონოვსკაიას, ქართველ მეომარს ალაფრთოვანებდა საგმირო საქმეებისათვის. მნათობიშვილს თილისმისა არა სწამდა რა, მაგრამ ანა ანტონოვსკაიას „დიდმა მოურავმა“ მის ცხოვრებაში მართლაც რომ ავგაროზის როლი შეასრულა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს პიტლერელთა ჭურვის მოზრდილმა ნამსხვრევმა გახვრიტა ჯავშნოსანის რკინის პერანგი და ა. მნათობიშვილს სწორედ იმ ადგილას მოხვდა მუცელში, სადაც



ნაღმის ნამსხვრევით ვაგლეჩილი დიდი მოურავი

„დიდი მოურავი“ ჰქონდა შენახული. მოხდა სასწაული: ა. მნათობრივი-  
 ლი წიგნმა გადაარჩინა. ამ ამბის სამახსოვროდ მან თავის მხსნელ წიგნს  
 წააწერა: „მე მიხსნა ორმა ადამიანმა, შესანიშნავმა რუსმა მწერალმა  
 ანა ანტონოვსკიამ და ჩემმა დიდმა წინაპარმა გიორგი სააკაძემ“.



„Gudaplen qanqatona xarq, aja?  
 Taslexta manqa qatqon qaris qanqa —  
 Bolajun kep qatqun asker seni  
 Bir qotun talaq anel dujmandarax“, —  
 Çaqqaq çeq anla xanna usul sezym,  
 Amir xer solap qelatin İndostanqa.

Çuqlap İndia eli xyt keşel,  
 Atama qol kony xq serax.  
 „Bir elin — ala çarxanux“ dep qalın çol  
 „Bizi el“ dep an ysynde temingil.  
 Mədətin amiriktin — axtap xerip;  
 İndostan loq çarlap, xeritil qil.

Amir! xanz çelqex xeten mindin —  
 Teqdus necen-necen celen İndia,  
 Colbertin) xiptus qaraan xastarlarlan,  
 On loqy xaxaxind; xax elidix.  
 An xerip çelqeləxtun çol anında,  
 Çeq tənə xaxap xaxap tanqa mindin“.

Xvəndə xanna xqğandə çelqex erdin,  
 „O çelqin tanqç elin xaly çerdin“  
 Dəp əlxp, əlx xaxəca çarap tuxdu,  
 Çarəlxu çarəlxəlxu anyo — Tanjeldin,  
 „Çarəlxəlxu çarəlxəlxu çarəlx andəp,  
 Çirəp xarəlxəlxu çelkinehm“.

Xvəndə xaxyo xaxp xaxndəlx dax:  
 Çarəlxəlx xax çarəlxəlx xaxəlxəlx,  
 Çarəlxəlx çarəlxəlx xaxəlx xaxəlxəlx,  
 Çarəlxəlx çarəlxəlxəlx çarəlxəlx —  
 Xaxəlxəlx xaxəlx çarəlx xaxəlxəlx“.

ვეფხისტყაოსანი ყირგიზულ ენაზე ხაზგასმული აფორიზმით

ფრიად საინტერესო ბიოგრაფია აქვს ყირგიზულ ენაზე 1940 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ვგზემბლარს, რომელიც ასევე ხალხთა მეგობრობის მუზეუმშია დაცული. შოთა რუსთაველის ეს გენიალური ქმნილება ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანთა შთაგონების წყარო. „ვეფხისტყაოსნის“ ღრმააზროვანი ფილოსოფიური აფორიზმები ძმობის, მეგობრობის, თანასწორობისა და მოყვასისადმი თავდადების შესახებ, ერთნაირად მახლობელია ყველა ებოქისა და თაობის ადამიანისათვის. ბევრი ქართველი მეომარი ავტომატის ვაზნებთან ერთად ომის მძიმე გზებზე ზურგჩანთით ატარებდა „ვეფხისტყა-

ოსანს“. მაგრამ ყირგიზ მეომარ ბაგირ ბაბულოვს რომ მრისხანე ომის მთელ პერიოდში უბეში ეღო ეს წიგნი, აღნიშნული ფაქტი მემორიალურ მეტყველია: იგი ჯარისკაცის ოფლითაა გაუღენთილი. წიგნი ხალხთა მეგობრობის მუხუფუმს საჩუქრად გადასცა ბაგირის ძმამ — კანიშალი ბაბულოვმა მის მიერვე შედგენილი წერილობითი განმარტებითა და კომენტარებით. ფურცლავ „ვეფხისტყაოსნის“ ამ მრავალჭირნახულ ეგზემპლარს და გრძნობ, თუ რა დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და გულისხმიერებით კითხულობდა მას რიგითი ყირგიზი ჯარისკაცი. დიდი შოთა რუსთაველის შემოქმედებისადმი ბაგირ ბაბულოვის სიყვარული გამონაკლისს არ წარმოადგენდა.


ერთ-ერთი მრავალჭირნახულ წიგნთაგანია ნაღმის ნამსხვრევით უღმობლად „დაჭრილი“ რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელმაც თავის მფლობელთან ერთად დიდი სამამულო ომის მრისხანე ბრძოლები გამოიარა და მშობლიურ მიწა-წყალზე მშვიდობით დაბრუნდა. მას ომის მთელ გზაზე ატარებდა ქართველი მეომარი ნიკოლოზ დავითის ძე განუგრავეა.

ეს ლექსიკონი არა მარტო იმითაა შესანიშნავი, რომ პატრონთან ერთად გამოიარა სისხლისმღვრელი ბრძოლების ქარცეცხლი, არამედ იმითაც, რომ ქართველი კაცის რუსული ენისადმი სიყვარულსა და პატივისცემაზე მიუთითებს. ქართველ ვაჟკაცს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებშიც კი, როდესაც ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სიკვდილი, არ სტოვებდა დიდი ლენინის ენის საფუძვლიანად დაუფლების კეთილშობილური სურვილი. ეს იყო მრისხანე ომში ჩაბმული წითელი არმიის მეომრებისათვის დამახასიათებელი უშრეტო ოპტიმიზმის, მომავლისადმი რწმენის კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია.

ნიკოლოზ განუგრავეას, ისე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანს, მეომარს, მუშას, კოლმეურნეს თუ ინტელიგენტს, მტკიცედ სჯეროდა, რომ ჩვენი ხალხი ფაშიზმზე აუცილებლად გაიმარჯვებდა. ამიტომ სიკვდილზე კი არ ფიქრობდა, არამედ ფაშიზმის განადგურებასა და ომისშემდგომ მშვიდობიან შრომაში ჩაბმაზე ოცნებობდა, რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნაც იმისათვის სჭირდებოდა, რომ მოძვე საბჭოთა ხალხების მხარდამხარ კვლავ განეგრძო კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მშვიდობიანი შრომა, რაც ჩვენს ქვეყანაში ჰიტლერელთა თავდასხმამ დროებით შეწყვიტა.

ფაშიზმზე გამარჯვების მტკიცე რწმენამ შეაძლებინა ნიკოლოზ განუგრავეას ვაჟკაცურად გადაეტანა ომის მთელი საშინელება და თავის






ნატყვიარი რუსულ-ქართული ლექსიკონი

რუსულ-ქართულ ლექსიკონთან ერთად გამარჯვებული დაბრუნებული-  
ყო. ნ. განუგრაავა ფრონტული შემართებით კვლავ ჩაება მშვიდობიან  
შრომში, ხოლო ნაღმის ნამსხვერვეთ დაფლეთილმა ლექსიკონმა, რო-  
მელმაც თავისი სუსტი ფურცლებით შეაკავა მომაკვდინებელი ლითონ-  
ი და არ მიუშვა იგი მეომრის გულამდე, საპატიო ადგილი დაიკავა  
ხალხთა მეგობრობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში.

საბრძოლო თანამეგობრობის ამსახველ ექსპონატებს შორის საპა-  
ტიო ადგილზე დევს გამოჩენილი ქართველი სარდლის გენერალ კონ-  
სტანტინე ლესელიძის „საველე წიგნაკი“, რომელიც მფლობელს სავე-  
ლე ჩანთაში ედო სიკვდილამდე. მე-18 სადესანტო არმია, რომელსაც  
გენერალი კონსტანტინე ლესელიძე სარდლობდა, ინტერნაციონალურ  
ოჯახს წარმოადგენდა. არმიის პირადი შემადგენლობის ლენინური მე-  
გობრობის გვირგვინი იყო პოლიტსამმართველოს მაშინდელი უფრო-  
სის, ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის,  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის  
ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრობა კონსტანტინე ლესელიძესთან და არმიის

საგანგებო ნაწილის უფროს ვლადიმერ ზარელუასთან. ლ. ი. ბრეჟნევი მოგონებაში „მცირე მიწა“ კონსტანტინე ლესელიძის პორტრეტს დიდი სიყვარულითა და ღრმა ადამიანური გრძნობებით გვიხატავს: „კონსტანტინე ლესელიძე წითელი არმიის ერთ-ერთი უნიჭიერესი მხედართმთავარი იყო. იგი საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა. მკაცრი და დაუნდობელი მტრის მიმართ, კეთილი და გულისხმიერი მეგობრისადმი, ნამუსის კაცი, ხალისიანი და მამაცი — ასეთი ჩამრჩა მუხსიერებაში ჩემი მეზობელი მეგობარი და თანამოსანგრე კონსტანტინე ლესელიძე“.



კონსტანტინე ლესელიძის საველე წიგნაკი, მისივე ავტოგრაფი

გენერალ კ. ლესელიძის „საველე წიგნაკი“ შედგება სტამბურად დაბეჭდილი ტიტულარული ფურცლებისაგან. მათზე სარდალი ბრძოლის პროცესში წერდა განკარგულებებს, რომლებსაც პირადი ადიუტანტის, ანდა შიკრიკის ხელით უგზავნიდა კორპუსების, დივიზიების, ბრიგადების, ლეგიონებისა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა საგან-

გებო ნაწილების მეთაურებს. გარდა ამისა, წიგნაკის ფურცლებზე იწერდა ცნობებს ემელონების, შეიარაღების, ქვეგანაყოფთა რაოდენობის, მათი განლაგებისა და სხვა ფრიად საიდუმლო საკითხებს, რომლებიც მხოლოდ პირადად სარდალსა და არმიის სამხედრო საბჭოს წევრებს შეიძლებოდა სკოდნოდათ.

ფონტგამოვლილ წიგნებზე საუბრისას მინდა შევჩერდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთ წიგნზე, რომელსაც მეტად საინტერესო ისტორია აქვს. მის ყდაზე წერია: „ფ. კუპერი. მერსედეს კასტილიელი. სახელგამი. 1937 წელი.“ ეს წიგნი არა მარტო იმით არის საინტერესო, რომ ჩემთან ერთად დიდხანს იარა ომის მძიმე გზებზე, არამედ იმითაც, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში მის დასაბრუნებლად ცნობილ ბიბლიოთეკარს, წიგნის ქომავს, მარგო ოქიტაშვილს დიდი ბრძოლა მოუხდა.

ფ. კუპერის „მერსედეს კასტილიელის“ ეს ეგზემპლარი სწორედ ომის დაწყების წინ, 1941 წლის ივნისის დამდეგს გავიტანე სტუდენტთა სამკითხველოს სააბონენტოდან, სადაც მაშინ მარგო ოქიტაშვილი მუშაობდა. იმ დროს ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები საზაფხულო სესიების ციებ-ცხელებით ვცხოვრობდით. სკოლის მერხიდან გამოიმუშავდა და აქამდე მტკიცედ შემომჩა ასეთი ჩვეულება: სპეციალური საგნის მომზადებით ან მეცნიერული მუშაობით რომ დავიღლები, მხატვრული ლიტერატურის კითხვაზე გადავდივარ და სულ რაღაც 20—30 წუთში გონებრივად ვისვენებ. მაშინაც სწორედ ამ მიზნით გავიტანე „მერსედეს კასტილიელი“, რომელშიც ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის ამბავი ავტორს შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით და მსუბუქი იუმორით აქვს აღწერილი.

ომი რომ დაიწყო, სესიები არ მქონდა დამთავრებული და არც „მერსედეს კასტილიელი“ მქონდა ბოლომდე წაკითხული. ომში ისე წავედი მოხალისედ, რომ ბიბლიოთეკისათვის მის დაბრუნებაზე, ცოდვაგამკლავებით თუ ვიტყვით, არც მიზრუნია. ანდა სად იყო მაშინ წიგნის დაბრუნებაზე ფიქრის დრო, როდესაც ახალგაზრდობა გასაწვევ პუნქტებთან გამართულ რიგებში ვალამებდით და ვათენებდით ჯარში წაყვანის მოლოდინში. წავედი ომში და ჩემს ზურგჩანთაში მცირე საგზალთან ერთად „მერსედეს კასტილიელიც“ ჩავდე. მართალია, კახეთის ექვსთვიან საოფიცრო სკოლაში სწავლის პერიოდში იგი ორჯერ მაინც წავიკითხე, მაგრამ ვაზეთში სათუთად გახვეული შევინახე საველე ჩან-





თაში. ამასთან, ჩემს თავს სიტყვა მივეცი, რომ ომიდან თუ ცოცხალი დავბრუნდებოდი, ეს წიგნი სიკვდილამდე შემენახა როგორც განუყოფელი მეგობარი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი თავისთვის მიცემულ ამ სიტყვას რაიმე გამატეხინებდა.

ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავი ნათქვამი რომ გავიმეოროთ, ომი მართო სისხლი და სიკვდილი არ არის. ბრძოლების ყველაზე მძიმე წუთებშიც კი მეომრები ახერხებდნენ სიმღერას, კარიკატურების დახატვას, „საბრძოლო ფურცლების“ გამოშვებას და ასე განსაჯეთ, დაბადების დღის გადახდასაც. ბრძოლის ქარცეცხლში მეც ვპოულობდი დროს „მერსედეს კასტილიელის“, ვინ მოთვლის მერამდენეჯერ, წასაკითხად. რას იზამ, ძლიერ ღარიბი იყო მოწინავე სანგრებში მჯდომი მებრძოლების „ბიბლიოთეკა“. ამიტომ არა თუ რომანის, არამედ გაზეთის, თუნდაც ერთი ფრაგმენტი ნაბეჭდი ფურცლის წაკითხვაც დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა. მით უმეტეს, გუშინდელ სტუდენტებს, რომლებიც წიგნთან მტკიცედ ვიყავით დამეგობრებული. ქრისტეფორე კოლუმბის სულის სიმტკიცე და შეუდრეკელობა დასახული მიზნის მიღწევისათვის, მამაცი დონ ლუის შემართება, სანჩოს გონებამახვილობა ჩემზე ყოველთვის შთამაგონებლად მოქმედებდა და ვერაფერზე გამარჯვების რწმენას განმიმტკიცებდა. მახსოვს, 1942 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან ღამეს, მდინარე თერგის ბრძოლით ფორსირების დაწყების წინ, ერთმა ჯარისკაცმა, შავად მოლაპლაპე მდინარის ფართო კალაპოტი რომ დაინახა, ეჭვი გამოთქვა მისი გადალახვის შესაძლებლობაში. სიმართლე რომ ვთქვა, ეჭვი არცთუ უსაფუძვლო იყო. ბობოქარი მდინარის გადალახვას მეტად პრიმიტიული „სანაოსნოს“ საშუალებით ვაპირებდით. ეჭვის ჭია ომში მეტად საშიშია. იგი შეიძლება სხვებსაც გადაედოს, პანიკაში გადაიზარდოს და ვეშაპად იქცეს. ჯარისკაცს უმალ მივუბრუნდი და ხმამაღლა ვუთხარი: „ქრისტეფორე კოლუმბმა სამი მოზრდილი ნავით მთელი ატლანტიკის ოკეანე გადალახა და ჩვენ, სტალინური წრთობის მეომრებმა, ბორნითა და ნავეებით თერგი. რომ ვერ გადავლახოთ, შარვლის ტარების ღირსიც არ ვიქნებით-მეთქი“. ჯარისკაცებმა მას წკობურტი უთავაზურს და სიცილი დააყარეს. ეჭვის ბურანიც უმალ გაიფანტა. საბრძოლო დავალება წარმატებით შესრულდა.

თმის ქარცეცხლს მრავალგზის დაჭრილ-დაჩეხილი კაცი, მშვიდობით გადავურჩი. ტყვიით გახვრეტილ და სისხლში მოსვრილ ჩემს კომკავშირულ ბილეთთან და სხეულიდან ამოღებულ თერთმეტ ნამსხვრევთან ერთად, ჩემი განუყრელი თანამგზავრი „მერსედეს კასტილიელიც“

ჩამოვიტანე. თუმცა ისიც საკმაოდ იყო შეფეროთხილი და მეტად შესაბრალოსად გამოიყურებოდა. ამიტომ ორივენი, მე ექიმების, ხოლო ჩემი წიგნის რესტავრატორთა ხელში მოვხვდით სამკურნალოდ.

ახალგაზრდა ორგანიზმმა სიკვდილს სძლია. მომიშუშდა ქრილობები და ომის გამო შეწყვეტილი სწავლა 1944 წლის დამდეგს კვლავ განვაგრძე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. რა თქმა უნდა, ძველი ჩვეულებისამებრ, მაშინვე ბიბლიოთეკას მივადექი საჭირო წიგნებისათვის. პირველი, ვინც შემხვდა, მ. ოქიტაშვილი იყო. ერთმანეთი და-ძმურად მოვიკითხეთ. გულაჩუყებულმა მარგომ დიდხანს მალაპარაკა ომის საშინელებაზე. მეგობრულ საუბარში სიტყვა შემომპაპარა „მერსედეს კასტილიელის“ შესახებ; ჩემო ზაქრო, კარგია, რომ შენი დაბრუნებით ყველა გაგვახარე, მაგრამ არც ის იქნება ურიგო, თუ შენი მშობლიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ომის წინ შენს მიერ გატანილ „მერსედეს კასტილიელსაც“ არ დაუკარგავ და დააბრუნებო.

ომის ქარცეცხლში დამეგობრებულ წიგნთან განშორება მიჭირდა, ამიტომ ქალბატონი მარგოს სიტყვები შორს დავიჭირე. მაგრამ იგი არ მომეშვა: ყოველთვის, როდესაც მივდიოდი ახალი წიგნების წასაღებად ან ძველის ჩასაბარებლად, ნახევრად ხუმრობით შემახსენებდა ხოლმე „მერსედეს კასტილიელს“. რა არ მოვიგონე — მომპარეს, დავკარგე, დამეხა-მეთქი, მაგრამ იგი ყოველთვის ღიმილით მიპასუხებდა: „არა, ზაქრო, წიგნს შენ არ დაკარგავდი, მჯერა მონახავ და ჩაგვაბარებო“. ამასთან, არასოდეს გამოუყენებია კანონით მისთვის მინიჭებული უფლება და ბიბლიოთეკიდან წიგნების მოცემა არ შეუწყვეტია. ბოლოს და ბოლოს ომში გაუტეხელი კაცი გამტეხა ამ ქალის ხასიათის სიმტკიცემ, საქმისადმი თავდადებად და ბოლოს მივიტანე ბიბლიოთეკაში „მერსედეს კასტილიელი“. ამ დღიდან ჩემმა „ფრონტელმა მეგობარმა“ კვლავ დაიკავა თავისი ყოფილი ადგილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თაროზე.

ბრძოლაგამოვიღე წიგნებზე საუბრის დასასრულს დღევანდელი ახალგაზრდობის საყურადღებოდ მინდა დავსძინო, რომ 40-იანი წლების „ღიმილის ბიჭები“ არა მარტო სახელოვნად იბრძოდნენ, არამედ მათ წიგნის ყადრიც კარგად იცოდნენ. ალექსი მნათობიშვილი ან ნიკოლოზ განუგრაჟა იმიტომ კი არ ატარებდნენ უბით წიგნებს, რომ მტრის ტყვიისაგან დამიცავნო (ეს მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას მიეწერება), არამედ გულით მეგობრობდნენ მათთან; უყვარდათ და უმ-

რავლეს შემთხვევაში თვითონვე იფარავდნენ მას. როდესაც ჯარისკაცი  
ზურგით იწვა ტალახიან სანგარში, წიგნი გულში ჰქონდა ჩახუტებული,  
რომ არ დასველებულიყო. ყველა ფრონტელი დამიდასტურებს, რომ  
მძიმე საბრძოლო ლაშქრობით დაღლილ ჯარისკაცს ასიოდე გრამი ზედ-  
მეტი ტვირთის მოცილება კი შელავათს მისცემდა. წიგნის ტრფიალი  
„ლიმილის ბიჭები“ კი ხელშეუხებელ ულუფას უფრო გაიმეტებდნენ,  
ვიდრე წიგნს, რომელიც მათ ნამდვილ ფრონტულ მეგობრად იყო ქცე-  
ული.

თ ბ ი ლ ი ს ი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის  
თავზადასავალი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ ფონდში დაცულია ძვირფასად შემკული და დიდი ხელოვნებით შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხა.

„ვეფხისტყაოსნის“ მოხატულ ნუსხებს შორის ეს ხელნაწერი გამოირჩევა აშიათა მხატვრულ-დეკორატიული მრავალფეროვნებით. ყოველ გვერდს ოთხივე მხრიდან შემოვლებული აქვს აშიები. აშია წარმოადგენს სტილიზებულ ყვავილოვან ორნამენტს, რომელშიც ჩართულია ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი. ორნამენტული ნახატი დაფერილია ოქროთი. ოქროს სიუხვე კი ქმნის ბრწყინვალეებისა და ზეიმის შთაბეჭდილებას. ხელნაწერი შესრულებულია ლაშაზი მხედრულით მაღალხარისხოვან ქალაღზე. სათაურები, ყოველი ტაეპის დასაწყისი ორი სიტყვა, ბოლო სტრიქონის შემაერთებელი „და“ კავშირი და რითმები (სტრიქონთა ბოლო სამი ასო) სინგურითაა შესრულებული. ყოველ გვერდზე ტექსტს შემოვლებული აქვს წვრილხაზოვანი ფერადი ჩარჩო.

ხელნაწერს დართული აქვს ვრცელი ანდერძი, რომელშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი ხელნაწერის დაკვეთისა და გადაწერის ამბავი: „... სახელმწიფოებრივ პატრონთან პატრონთაჲმან, უფალმან ჩუქმმან გიორგი ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსანისა“ და წარავო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი გელოვნებასა ამის წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილმწიფიერ ყოფილიყო, რომელ არცა ფრიად კეთილ და მწიფიერ, თუინიერ ზოლო ნაწერისაგან კიდე. ესეცა უწყოდით, უფალნო ჩემნო, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუძქვია წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ მსგავსად პატრონისა ჩუენისად... სრულ იქ-



მნა წიგნი ესე ინდიკტიონსა მფლობელისა ჩუენისასა მეოთხესა. დაუს-  
რულებელი ყუან ღმერთმან პელმწიფობა მეფის გიორგისა...

ქართული  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთ-  
ობის  
სამსახური

ქ. სახელითა ღმრთისათა აღვასრულე ქრონიკონს ტამ მე, ფრიად  
ცოდვილმან და სახითა ოდენ მდივანმან და საქმითა ყოველთა მწიგნო-  
ბართა უნარჩევესმან, ბეგთაბეგ და თუ უგბილებითა ჩემითა დამცდარი  
ნახოთ,... შემინდობდით, მიმეტევება დაკლებისათჳს“.




1680 წლის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი (გადაშლილი გვერდები)

მოყვანილი ანდერძიდან ირკვევა, რომ 1680 წელს მეფე გიორგი XI დაკვეთით, მეფის მდივანს ბეგთაბეგ თანიაშვილს გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა. შემდეგ ხელნაწერი მოსკოვს მოხვედრი-  
ლა. სავარაუდოა, რომ იგი საქართველოდან მეფე ვახტანგ VI რუსეთს  
გამგზავრების დროს გაიტანეს.

ხელნაწერს დართული აქვს ფურცელი, რომელზედაც ერეკლე II  
სახლთუხუცესის, გრიგოლ ჩოლოყაშვილის ძის, ქაიხოსროს ხელით გა-  
კეთებული აქვს შემდეგი მინაწერი: „ქრონიკონს ჩღყა მოველ საქარ-



06906380  
01001030



მის უფრო ვხედავ სწინს ზეშვიტა	ა	-	-
ბაღს მუქარა უფრო ვაგე სწა	ბ	-	-
მეც ვინა ზეშვიტა მუხრის ზეშვიტა ვე	გ	-	-
ბეჭდვით ხანს იჯი მისი ვაჯი	დ	-	-
ვინა მართლმადიდებლის სწინს ვინა ვინა	ე	ვ	-
შეადრე წყურა ბაღის მუქარა ზეშვიტა	ბ	ვ	-
სწინს მისი ბეჭდვით ზეშვიტა ზეშვიტა	ბ	ვ	-
ბეჭდვით მისის მისი მუქარა მისი ზეშვიტა	ბ	ვ	-
მისი მისი სწინს ვინა ვინა მისი მისი	-	-	-
ვინა სწინს ბაღის ვინა ზეშვიტა მისი	-	-	-
ვინა მისი მისი მისი მისი მისი მისი	-	-	-
ბეჭდვით მისი მისი მისი მისი მისი მისი	-	-	-
მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი	-	-	-
ვინა მისი მისი მისი მისი მისი მისი	ბ	-	-
ვინა მისი მისი მისი მისი მისი მისი	ბ	-	-
მისი მისი მისი მისი მისი მისი მისი	ბ	-	-
ბეჭდვით მისი მისი მისი მისი მისი მისი	ბ	-	-

1680 წლის ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის ერთი გვერდი

თველოდამ სამეუფოსა ქალაქში მოსკოვს მე, თავადი გრიგოლ-სახლთ-  
ხუცის ძე, ქაიხოსრო ჩოლოყოვი საქართველოს მეფის ირაკლის  
დროს და ვიყავი კახეთის სახლთუხუცესი და ამილახვარი. და ვიშორე  
აქ მოსკოვს ეს „ვეფხისტყაოსანი“ და წაველ ისევ საქართველოში  
ჩლქე (წელსა), თვესა მაის. ვინც ეს წაიკითხოთ, ამ წერილით მოგონე-  
ბულ მყავით“.

როგორც მინაწერიდან ჩანს, ვახტანგ VI დროს რუსეთში წადებული  
„ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა, 1791 წელს მოსკოვში გამოუქყვდიდა  
ერეკლე მეორის სახლთუხუცესის, გრიგოლ ჩოლოყაშვილის შვილს —  
ქაიხოსროს და 1795 წელს ისევ საქართველოში ჩამოუტანია.

ხელნაწერი, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს თავის მოგონე-  
ბებში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის 100 მანე-  
თად დაუთმია ყაზახაშვილის ქვრივს თავისი ვაჟების რჩევით, რომელ-  
ნიც სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდნენ ექვთიმე თაყაიშვილის  
ღირექტორობის პერიოდში.

ყაზახაშვილის ქვრივი ექვთიმე თაყაიშვილს არწმუნებდა, რომ მის  
განსვენებულ ქმარს ოჯახის გაყრისას 13 დღიური მიწა დაუთმია თავი-  
სი ძმებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ამ ნუსხის საფასურად. როგორ  
მოხვდა ხელნაწერი ყაზახაშვილების ოჯახში, ცნობილი არ არის.

ხელნაწერის ისტორია ამით არ დამთავრებულა. 1917 წელს, რევო-  
ლუციის შემდეგ, ყაზახაშვილის ქვრივმა ექვთიმე თაყაიშვილს მიუგ-  
ზავნა თავისი ერთ-ერთი ვაჟი და ხელნაწერის უკან დაბრუნება მოი-  
თხოვა, რასაც იგი უსახსრობით ხსნიდა. მას განზრახული ჰქონდა ხელ-  
ნაწერი დიდ ფასად მიეყიდა უცხოელებისათვის თავისი ინგლისელი  
სიძის (ქალიშვილის ქმრის) დახმარებით. ექვთიმე თაყაიშვილმა მის ყო-  
ფილ მოწაფეს სთხოვა შეეხვედრებინა თავის ინგლისელ სიძესთან.  
თხოვნა შეუსრულეს. ექვთიმემ ხელნაწერი თავიდან ბოლომდე დაათ-  
ვალიერებინა მას. ინგლისელი განათლებული კაცი გამოდგა, ხელნა-  
წერით აღფრთოვანებულმა ექვთიმეს უთხრა: „ასეთი წიგნი ყოველი  
ერისათვის ნაციონალური სიამაყის საგანია და, რასაკვირველია, ეგვი  
ქართველებს უნდა დაგრაჩეთ“.<sup>1</sup> მან ექვთიმე თაყაიშვილს სთხოვა  
წიგნის საფასურად კიდევ ცოტა ფული მიეცათ მისი სიდედრისათვის.  
ექვთიმემ იშუამდგომლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-

<sup>1</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, 1968 წ., გვ. 311—  
312.

ბის წინაშე, წერილი მისწერა ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგეს და კარტიკაშვილს, და ხელნაწერის ყოფილ პატრონს 200 მანეთით დაუბრუნა ტეს.

1921 წელს მენშევიეებმა საქართველოდან განძეულობა გაიტანეს, რომელშიც შედიოდა უძველესი და უძვირფასესი ქართული ხელნაწერები: მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული (978—988 წწ.), ალავერდის ოთხთავი (1053 წ.), გელათის ოთხთავი (XI ს.), ვახტანგ VI სამართლის წიგნი (1751 წ.) და მრავალი სხვა. ხელნაწერთა შორის იყო „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხაც. განძეულობა მენშევიეებმა მთავრობამ საფრანგეთის ბანკს მიაბარა შესანახად, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის ქირა გადაუხადა. ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ ქართული განძის, როგორც „უპატრონო ქონების“, კონფისკაცია მოახდინა. ქართველ მამულიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს დიდი ბრძოლა მოუხდა ამ განძეულობის გამოსასყიდად.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დახმარებით 1945 წლის 12 აპრილს ქართული განძი სამშობლოში დააბრუნეს. სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით ქართული ხელნაწერები გადასცეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, რომელიც 1958 წელს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტად გადაკეთდა. ხელნაწერებმა აქ დაიდო სამუდამო ბინა. აქვე, H ფონდის კოლექციის 54-ე ნომრად ინახება გიორგი მეთერთმეტისეული „ვეფხისტყაოსანი“.



გიგლიო,  
თეკევი  
ს  
გიგლიო,  
ფილევი



## უნივერსიტეტის პირველი

ქართველი ერის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსება. იმთავითვე საფუძველი ჩაეყარა ბიბლიოთეკასაც, რომელმაც უნივერსიტეტთან ერთად რთული და საინტერესო გზა განვლო.

ბიბლიოთეკას მეცნიერების ტაძრის შენობაში, მეოთხე სართულზე განეკუთვნა სამი ოთახი ერთი საშტატო ერთეულით, მაგრამ მას წიგნადი ფონდი არ გააჩნდა.

ქართველ ხალხს წიგნის სიყვარული ძველთაგანვე მოსდგამს. ქართული უნივერსიტეტის მოამბაგეებმა პროფესორებმა: პ. მელიქიშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, ფ. გოგიჩაიშვილმა და ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი მუშაობა გასწიეს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესაქმნელად. უნივერსიტეტის გამგეობა მიმოწერას აწარმოებდა სამეცნიერო დაწესებულებებთან და აგრეთვე ცალკეულ პირებთან წიგნადი კოლექციების შექმნის თაობაზე, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ბიბლიოთეკას გადაეცა სამთო სამმართველოს, კავკასიის სამხედრო შტაბის, ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, თბილისის სასულიერო სემინარიის, სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციების მრავალი კოლექცია, აგრეთვე ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა — პ. მელიქიშვილის, ალ. ცაგარელის, ვ. პეტრიაშვილის, სვ. კლდიაშვილის, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, დ. სარაჯიშვილის, ალ. ჯაბადარის, კ. აბაშიძის, გ. ზდანევიჩის, თ. ქორღანიას პირადი წიგნადი კოლექციები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უცხოეთშიც გამოუჩნდნენ მზრუნველნი: ოლივერ უორდროპმა გამოგზავნა 7 წიგნი, მათ შორის შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და „ვისრამიანი“ (ინგლისურ ენაზე), ინ-



აკად. გიორგი ახვლედიანი.

გლისურ-სვანურ ლექსებსა და  
ცაგარელის „ქართულ ხელნაწერ-  
თა კატალოგი“, ი. ქავჭავაძის  
„განდეგილი“ და სხვა.

ამრიგად, შემოწირული კლექციებით ერთბაშად შეიქმნა მდიდარი წიგნთსაცავი. უნივერსიტეტის რექტორი, დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ენერგიული მუშაობის წყალობით, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა თანაგრძობით და დახმარებით, კერძო პირთა უხვი და ძვირფასი შემოწირულებით და ფულებით შეძენითაც სულ მოკლე ხანში დიდი საუნივერსიტეტო და კარგი მოწყობილი წიგნთსაცავი შეიქმნა“.

ომამდე ბიბლიოთეკას სათავეში ედგნენ დიდი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ა. შანიძე, პროფ. გრ. წერეთელი, პროფ. შ. ნუცუბიძე, ცნობილი ბიბლიოგრაფი დოც. გ. ბაქრაძე, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ბიბლიოთეკის ორგანიზაციის საქმეში.

არანაკლები ღვაწლი მიუძღვით ახალდგენადგმული ბიბლიოთეკის თანამშრომლებსაც: თ. ნაკაშიძეს, ა. კანდელაკს, ს. წერეთელს, ზ. ხიმშიაშვილს, რ. აფხაიძეს, ელ. ბაქრაძეს, ი. მრევლიშვილს, გ. ციციშვილს, მ. აღლაძეს, ნ. ბარათაშვილს, ფ. შნაპეკს, ქ. ავალიშვილს, ელ. თიკანაძეს, ნ. ამბოჯაძეს და სხვ.

საბიბლიოთეკო კომისია, რომელსაც პროფ. აკაკი შანიძე თავმჯდომარეობდა, წიგნების დასამუშავებლად იწვევდა უცხო ენების მცოდნეებს — იური მარს, მ. კალატოზიშვილს, ა. ოქრომჭედლიშვილს, ლ. ეგორაშვილს, რომელნიც სიყვარულით, უანგაროდ ემსახურებოდნენ ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

პირველ ხანებში ბიბლიოთეკას უჭირდა მკითხველთა მომსახურება,

რადგან შესაფერი პირობები არ გააჩნდა. მას მხოლოდ 25 მკითხველი ჰყავდა.

1920 წლისათვის ბიბლიოთეკა გადავიდა უნივერსიტეტის შენობის პირველ სართულზე, სადაც დღემდე არის მოთავსებული, გაიზარდა მკითხველთა რაოდენობაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა მთავრობის სახელმძღვანელო დეკრეტების და დადგენილებების ცხოვრებაში განხორციელებას, რომელთა საფუძველზე წარიმართა საბიბლიოთეკო საქმიანობაც. იგი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ამ დროს 111 ათასამდე ტომს ითვლიდა.



ბიბლიოთეკაში დაცული ზოგიერთი იშვიათი გამოცემა

საგამომცემლო საქმის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას.





საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვისა და დახმარების შედეგად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ როგორც ფონდების შემადგენლობით, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა რესპუბლიკაში. 1938 წლიდან იგი ფუნდამენტური ბიბლიოთეკის სახელწოდებას ატარებდა, ხოლო 1950 წლიდან სამეცნიერო ბიბლიოთეკა ეწოდება.

1938 წელს ბიბლიოთეკაში შეიქმნა რარიტეტსაცავი, ქართველოლოგიის და კავკასიისმცოდნეობის ფონდი.

სამაშულო ომის პერიოდში, როდესაც ფაშისტური გერმანიის ურდოებმა დაარღვიეს საბჭოთა ხალხის სიმშვიდე, უნივერსიტეტში არ შეწყვეტილა ინტენსიური სამეცნიერო და სასწავლო მუშაობა. ომის მძიმე წლებში ბიბლიოთეკის კოლექტივი მხარში ედგა უნივერსიტეტს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდისა და ეროვნული კულტურის დაცვის საქმეში. ბიბლიოთეკის კატალოგებში, კარტოთეკებში და გამოფენებზე ფართო ადგილი ეთმობოდა სამშობლოს დაცვის თემატიკას.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სწრაფმა განვითარებამ მზარდი მოთხოვნილებები წაუყენა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს, მათ შორის ბიბლიოთეკებსაც. ბიბლიოთეკამ გაითვალისწინა არსებული ვითარება და უნივერსიტეტთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი, საბჭოთა ადამიანის აღზრდის, კადრების მომზადების და ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში.

ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დაარსებიდან, ამ ხნის განმავლობაში იგი უნივერსალური გახდა. მისი ფონდები თანდათან ივსებოდა და მუშაობის პროცესებიც იხვეწებოდა. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ზრდის სქემა:

1918 წ.	1928 წ.	1938 წ.	1948 წ.	1958 წ.	1968 წ.	1978 წ.	1979 წ.
9160	205875	546302	725286	1375982	2355497	2890620	2940510

ბიბლიოთეკაში თავმოყრილია სამეცნიერო და უნივერსიტეტში შესასწავლ სპეციალობათა სასწავლო ლიტერატურის სრული კომპლექსი. აქვე თავმოყრილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, პე-



რიოდული გამოცემები, რარიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების, სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების გამოცემები.

იშვიათი წიგნებიდან აღსანიშნავია ასზე მეტი ქართული წიგნი, დაბეჭდილი ქართველი მეფეების — ვახტანგ VI, სოლომონ II, ერეკლე II, (XVIII ს.) სტამბებში, აგრეთვე მოსკოვში, პეტროგრადში, პარიზში, სტამბოლში, კრემენჩუგსა და ა. შ.


აქვეა 1629 წ. რომში გამოცემული „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, 1670 წელს გამოცემული ფრანცისკო მარია მაჯიოს მიერ შედგენილი „ქართული გრამატიკა“, 1705 წელს არჩილ მეფის მიერ მოსკოვში გამოცემული „დავითნი“, 1712 წელს ვახტანგ VI მიერ პირველ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“. პირველი ქართული გაზეთის — „საქართველოს გაზეთის“ 1819 წლის სრული კომპლექტი, უფროსად „ცისკარის“ 1852 წლის და „თბილისის უწყებანის“ 1828 წ. არასრული კომპლექტები. 1753 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული „Устав воинский“, გერცენის „კოლოკოლი“ და სხვა.

შუა საუკუნეების უცხოური გამოცემებიდან საყურადღებოა 1526 წ. ამსტერდამში გამოცემული ერაზმ როტერდამელის „კოლოკვიუმი“, XVI საუკუნეში გამოცემული იერონიმე სტრიდანელის, იოანე ოქროპირისა და არისტოტელეს თხზულებანი. აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ენებზე გამოცემული ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის მრავალი ლიტერატურა. აგრეთვე კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურა პროკოფი კესარიელის XVII ს. გამოცემებიდან დაწყებული დამთავრებული ევროპელი მოგზაურებით. კიდევ უფრო საინტერესოა 1484 წელს ქ. ლუბეკში გამოცემული ინკუნაბულა „ცხოვრება წმინდა იერონიმესი“.

ამჟამად ბიბლიოთეკაში მუშაობს 144 გამოცდილი და მაღალკვალიფიციური თანამშრომელი სპეციალური და არასპეციალური უმაღლესი განათლებით, მათგან 16 საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი და 17 საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარია.

ბიბლიოთეკის ცენტრალური ნაწილი მოთავსებულია უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში, ხოლო სასწავლო-დარგობრივი ბიბლიოთეკები — სხვადასხვა კორპუსებში შესაბამის ფაკულტეტებთან.

უნივერსიტეტში 16112 სტუდენტი სწავლობს და 4000-მდე პროფესორ-მასწავლებელი, ასპირანტი და თანამშრომელია. ბიბლიოთეკას 20237 მუდმივი მკითხველი ჰყავს, წელიწადში დაახლოებით ემსახუ-



ინკუნაბულა „ცხოვრება წმინდა იერონიმესი“.

რება 702 000 მკითხველს, წიგნის ბრუნვადობა 1 650 000 ერთეულს შეადგენს.

ბიბლიოთეკა ემსახურება აგრეთვე სხვა ქალაქებიდან უნივერსიტეტში მოვლინებულ მეცნიერ-მუშაკებს და სასწავლებლად ჩამოსულ ასპირანტებსა და საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტაჟიორებს. იგი ყოველგვარ პირობას უქმნის მათ სასწავლო და მეცნიერული მუშაობისათვის.

თბილისის უნივერსიტეტს მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აქვს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებთან: ბერლინის, პრადის, კრაკოვის, ბუდაპეშტის, დებრეცენის, სოფიის და სხვ. უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ასპირანტები ეგვიპტიდან, პერუდან, ბულგარეთიდან, ინდოეთიდან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და სხვ. სტაჟირებას გადიან ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, პოლანდიიდან, ნორვეგიიდან, შვედეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მოვლინებული ახალგაზრდა მეცნიერები.

ბიბლიოთეკასთან შექმნილია სამეცნიერო და მეთოდური საბჭოები. სამეცნიერო საბჭოში თანამშრომლებთან ერთად გაერთიანებულია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მას ხელმძღვანელობს პრორექტორი სამეცნიერო დარგში. სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე ისმენენ ბიბლიოთეკის მუშაობის წლიურ ანგარიშებს, მოხსენებებს, სახავენ წიგნის პროპაგანდის და ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სტუდენტთა დარგობრივ მომსახურებაში გარკვეულ როლს თამაშობს ბიბლიოთეკათა ქსელი, რომელშიც გაერთიანებულია 10 სასწავლო-დარგობრივი (საფაკულტეტო) ბიბლიოთეკა და 120-მდე კაბინეტებისა და კათედრების ბიბლიოთეკები. აქ მომსახურება დიფერენცირებულია, ფონდები დაკომპლექტებულია დარგობრივი ლიტერატურით.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ლიტერატურის გაცემა ხდება ორი სახის აბონემენტით: პროფესორ-მასწავლებელთათვის და სტუდენტებისათვის.

უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში ბიბლიოთეკას აქვს მამროფილზელი ლიტერატურით დაკომპლექტებული მრავალადგილიანი კეთილმოწყობილი 5 სამკითხველო დარბაზი. ზოგიერთ საფაკულტეტო ბიბლიოთეკასა და სამკითხველო დარბაზში დანერგილია მკითხველთა

მომსახურების ახალი, პროგრესული ფორმა — წიგნის თაროებთან/ მკითხველთა თავისუფალი დაშვება.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა ითვალისწინებს უნივერსიტეტის გარდა რდილ მოთხოვნებს, მის პრობლემურ საკითხებს და სახელმწიფო გამოცემლობათა თემატური გეგმების მიხედვით წინასწარ ითვალისწინებს მისი წიგნადი ფონდების შეესებასა და დაკომპლექტებას.

ლიტერატურის შექმნის წყაროებია: მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტის გამოცემები, „საქწიგნის“ და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მალაზიები, ქართული წიგნის უფასო და რუსული წიგნის უფასოანი სავალდებულო ცალები. ამ წყაროებით სამეცნიერო ბიბლიოთეკა წელიწადში საშუალოდ 75 ათასამდე წიგნსა და პერიოდულ გამოცემას იძენს.

ბიბლიოთეკათა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა საერთაშორისო წიგნთგაცვლა. წიგნთგაცვლა წარმოებს საბჭოთა კავშირის 445 ორგანიზაციასთან, მათ შორის რესპუბლიკების დედაქალაქთა უნივერსიტეტებისა და მეცნიერებათა აკადემიების ბიბლიოთეკებთან, მსოფლიოს 32 ქვეყნის 145 სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასა და სასწავლო ორგანიზაციასთან. წიგნთგაცვლისა და საჩუქრების სახით ბიბლიოთეკამ მნიშვნელოვნად შეავსო თავისი წიგნადი ფონდი. მათ შორის აღსანიშნავია: ქ. ენევიდან — Webster's Third New International Dictionary of the English Language. Unabridged. Springfield, Mass; 1976. სტოკჰოლმიდან შვედურ ენაზე — Chabua Amiredzjibi, Den Fredlöse — Stockholm, 1978. დანიიდან — Chabua Amiredzjibi, Den Zovlose. Denmark, 1978. W. Churcill A History of the English — Speaking Peoples. London, 1974. H. Ianson — History of Art. New-York, 1976. ოქსფორდიდან — A. Thomson — A Practical English Grammar, Oxford, 1977. სალონიკიდან — Greece and Albania 1908—1914, Tessaloniki, 1976.

სალონიკიდან აგრეთვე ბერძნულ ენაზე მიღებულია — ტიტოს პ. იოხალასი, გეორგიოს კასტრიოტის-სკენტემპისი ახალი ბერძნული ისტორიისა და ფილოლოგიის შესახებ, სალონიკი, 1975. სატირიოს ლ. ვარნალიდოსი, ახრიდოს არქივისკოპოსი ზოსიმასი (1686—1746) და მისი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწეობა, სალონიკი, 1974. არსტიდოს პასადეოსი, მსოფლიოს ეკლესიის პატრიარქის სარეზიდენციო სასახლე, სალონიკი, 1976.



ლაიფციგიდან — კ. მარქსის სახელობის უნივერსიტეტიდან მიღებულია 425 ცალი სხვადასხვა სახის საინტერესო ლიტერატურა.

მეცნიერებისა და სწავლების ფორმების განვითარებამ განაპირობა მზარდი მოთხოვნილება უცხოურ ლიტერატურაზე. სამეცნიერო ბიბლიოთეკა უცხოური ლიტერატურით ამარაგებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში შემავალ უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებს.

მკითხველთა მომსახურების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტს (ბშა), რომელიც 1936 წლიდან არსებობს ბიბლიოთეკაში. დღეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მკვიდრო ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირის 110 და საზღვარგარეთის 17 ბიბლიოთეკასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოვის ლენინის სახელობის; საჯარო ისტორიული; უცხოური ლიტერატურის საკავშირო სახელმწიფო; ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო; საკავშირო მეც. აკადემიის; მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები; მოძმე რესპუბლიკების უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკები, რომლებიც გულისხმობენ ეკიდებიან სამეცნიერო ბიბლიოთეკის მოთხოვნებს; საზღვარგარეთის ქვეყნების — ბერლინის, იენის, ვარშავის, ბუდაპეშტის, პრაღის, ბრატისლავის, ბუქარესტის, მაგდებურგის, დრეზდენის, საქსონიის საოლქო, პალეს და სხვა ბიბლიოთეკები.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავის მხრივ დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების 534 სამეცნიერო ბიბლიოთეკის მოთხოვნებს. მოთხოვნები უფრო ხშირად უნივერსიტეტის გამოცემებზეა.

ზოგიერთ შემთხვევაში წიგნადი ფონდის შევსება ხდება წიგნების მიკროფირის ან ფოტოფირის საშუალებით. მათგან აღსანიშნავია:

Немесий Эмесский, О природе человека, 1904;  
 И. Владиславлев. Философия Плотина, СПб., 1868, основателя новоплатонской школы.  
 А. Жирков, Персидский язык, М., 1927;  
 A. R a a b e, Schiller, 1961;  
 Doktor Merab Medicans et médecin en Ethiopie, Paris, 1910;  
 Josef Emin, The life and abrentures of Emin Armenian  
 Vol. I—II. London, 1792.  
 კოლოსალური წიგნადი და პერიოდული გამოცემების ფონდების



პრაქტიკულად გამოყენების საქმეში მკითხველებს დიდ დახმარებას უწევს კარგად დამუშავებული კატალოგების სიტემა ქართულ კატალოგის საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ფართო მეცნიერულ მუშაობას ეწევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უნივერსიტეტის ისტორიასა და მპროფილებელ დარგებს. გამოქვეყნებულია მთელი რიგი მეთოდური და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, რომელთაგან აღსანიშნავია: ა. კასრაძე, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა — 1918—1960 წწ.“, ე. თოხაძე, „თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ (ცნობარი ქართულ და რუსულ ენებზე). „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემები 1919—1960 წწ.“, „უნივერსიტეტში დაცული დისერტაციების ბიბლიოგრაფია 1920—1956 წწ.“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფია“, რომელიც ნაკვეთების სახით ყოველ ხუთ წელიწადში გამოდის, პროფესორების: ივ. ჭავჭავაძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ნ. ბერძენიშვილის, შ. ნუცუბიძის, ფ. გოგიჩაიშვილის და სხვათა პერსონალური ბიბლიოგრაფიები.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკის თანამშრომლები პრესაში აქვეყნებენ ბიბლიოთეკის ცხოვრების ამსახველ მასალებს, მეთოდურ წერილებს, რაც წიგნის პროპაგანდის ერთ-ერთი ფორმაა. ამ მიზნით ბიბლიოთეკა მჭიდრო კონტაქტშია უნივერსიტეტის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველად ორგანიზაციასთან. ტარდება ერთობლივი ღონისძიებები: მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები ახალგაზრდობასთან, მეცნიერული და მხატვრული წიგნების გარჩევა, საიუბილეო საღამოები.

ბიბლიოთეკა საინფორმაციო გამოცემებით დიფერენცირებულ მომსახურებას უწევს რექტორატსა და კათედრებს. იქმნება საცნობარო-საინფორმაციო ფონდი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტდება უმაღლესი სკოლის პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინფორმაციის ინსტიტუტის გამოცემებით. დიდი მნიშვნელობა აქვს „ახლად შემოსული წიგნების საინფორმაციო ბიულეტენის“ შედგენას, რომელიც ვრცელდება დარგობრივად, შესაბამის ფაკულტეტზე.

ბიბლიოთეკა ფართო იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა სტუდენტებსა და მკითხველებს შორის. ეწყობა სასწავლო სემინარები

და შეხვედრები, ლექციები, სამეცნიერო და მკითხველთა კონფერენციები, თემატური და ახალი წიგნების გამოფენები, რომლებიც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.



დიდი ყურადღება ექცევა დაზიანებული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების რესტავრაციას, მის მოვლა-პატრონობას, ჰიგიენის დაცვას, რათა ხანდაზმული უნიკალური გამოცემები კვლავაც დიდხანს ემსახუროს მკითხველებს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ბიბლიოთეკების მეთოდურ ცენტრს. იგი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლების ბიბლიოთეკებს. მეთოდცენტრისა და უნივერსიტეტის წამყვანი ბიბლიოთეკარების საშუალებით ყოველწლიურად ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სისტემატურად ტარდება კონსულტაციები და მიმოხილვები ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ახალ მეთოდურ ლიტერატურაზე. ეწყობა მკითხველთა კონფერენციები როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის წამყვანი ბიბლიოთეკების კონფერენციებსა და სემინარებში, იგზავნებიან სტაჟირებაზე. სამეცნიერო ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული რიგის სტუჩკას სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ეწყობა შეხვედრები თბილისსა და რიგაში.

ტრადიციად იქცა საშეფო მუშაობა. ბიბლიოთეკა მეთოდურ დახმარებას უწევს, უნივერსიტეტის გამოცემებს აწვდის თბილისის ი. სტალინის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის ბიბლიოთეკას, თბილისის 56-ე რუსულ საშუალო სკოლას, 126-ე ქართულ საშუალო სკოლას, აკად. ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმს სოფელ ხოვლეში, ახალციხის რაიონის საშუალო სკოლებს, ი. მაჩაბლის სახლ-მუზეუმს ს. თამარაშენში. ბევრი საინტერესო წიგნი გადაეცათ ქართველ მშენებლებს ბაზზე და უნივერსიტეტის მეყამირე სამშენებლო რაზმების წევრებს სმოლენსკის ოლქში.

მთარგმნელობით მუშაობას ეწევა სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბებული „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“. თარგმნილი





და გამოქვეყნებულ იქნა ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა ნაშრომები, მათ შორის, პეროდოტეს „ისტორია“ ტ. I და ტ. II (1975), ფონტის „მოგონებანი სოკრატეზე“, „სოკრატეს აპოლოგია“ (1973), ვირგილიუსის „ენეიდა“ (1976), „ორფიკული არგონავტიკა“ (1977), საფოს „ლირიკა“ (1977), ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ (1980). „ბერძნულ-ლათინურ ბიბლიოთეკას“ მეცნიერულ ხელმძღვანელობასა და კონსულტაციებს უწევს უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრა.

საბიბლიოთეკო საქმიანობას შესანიშნავად უხამებენ მეცნიერულ-შემოქმედებით მუშაობასაც; თანამშრომლები იმყოფებიან მიზნობრივ ასპირანტურაში და იცავენ დისერტაციებს. ომისშემდგომ პერიოდში ბიბლიოთეკართა რიგებიდან 12 კაცმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.


ბიბლიოთეკა პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. მის ბაზაზე ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები გადიან საწარმოო და სასწავლო პრაქტიკას, რომლებიც თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენენ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას. აგრეთვე თვით უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის I და II კურსის სტუდენტთათვის ეწყობა ლექცია-საუბრები ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და ბიბლიოგრაფიაში.

მეორე წელია ბიბლიოთეკასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია არეოპაგიტული პრობლემების კომპლექსურად შემსწავლელი სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია 50-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი. მან საქმიანი ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებთან, ასევე ევროპის და ამერიკის უნივერსიტეტებთან და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან, საიდანაც მიღებულია საინტერესო ბიბლიოგრაფიული მასალები და ინფორმაციები. სამეცნიერო ცენტრი ბიბლიოთეკის დახმარებით ახდენს მიღებული ლიტერატურის სისტემატიზაციას, ადგენს ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიული წყაროების კარტოთეკას, ქმნის არეოპაგიტული ლიტერატურის ფონდს.

სამეცნიერო ცენტრთან არსებობს მულტიმედი სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის კათედრები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის თანამშრომლები. ჩატარდა რამდენიმე სხდომა, მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ქართველი არეოპაგისტების მემკვიდრეობის შესწავლისათვის“, „ეფრემ მცირეს მემკვიდრე-

ობის შესწავლის საკითხისათვის“, „საკუთარი სახელის — დიონისე არეოპაგელის ქართული თარგმანისათვის“ და სხვა.


სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში განუხრელად ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმის დადგენილებით „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“ და კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით.



დიპლომი

1970 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაჯილდოვდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს I ხარისხის დიპლომით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკების სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალეიერებაში გამარჯვებისათვის. ასეთივე ჯილდო დაიმსახურა ბიბლიოთეკამ 1977 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას დიდი პერსპექტივები



ბიბლიოთეკის შენობის პროექტი

აქვს. მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს მას გადაეცემა 5 მილიონი ტომისათვის გათვალისწინებული კეთილმოწყობილი ხუთსართულიანი შენობა, რომელიც ამჟამად შენდება დელისში, უნივერსიტეტის ახალშენებლობათა კომპლექსის ტერიტორიაზე.

თ ბ ი ლ ი ს ი



დავით დადიანის ბიბლიოთეკა

დასავლეთ საქართველოში მდიდარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ დადიანებს, გურიელებსა და წერეთლებს. სამეგრელოს მთავრების — დადიანების ოჯახები გამოირჩეოდნენ თავიანთი სამწიგნობრო-კულტურული ტრადიციებით. დადიანების საგვარეულო ბიბლიოთეკის მოცულობასა და ღირსებაზე მეტყველებს მათი წიგნების დღემდე შემორჩენილი ნუსხები.

მწიგნობრობით გატაცებული იყო ჯერ კიდევ ლევან დადიანი, ხოლო მისი შვილი, საქართველოს უკანასკნელი მთავარი დავითი (1813-1853) წიგნის ნამდვილი ტრფიალი იყო. ის არა მარტო აგროვებდა წიგნებს, არამედ თვითონაც ეწეოდა ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას. ამასთან, საყურადღებოა, რომ მისი დაკვეთით ითარგმნა და გადაიწერა მრავალი მხატვრული ნაწარმოები და სამეცნიერო შრომა. იგი თვითონაც მიმართავდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლებას, რითაც დაღუპვას გადაარჩინა არაერთი ძვირფასი ძეგლი.

დადიანებს სასახლე ჰქონდათ ზუგდიდში, გორდში, მურში, სალხინოში და ა. შ. მაგრამ ბიბლიოთეკა, შემორჩენილი ცნობების მიხედვით, არსებობდა ზუგდიდისა და გორდის სასახლეებში.

ზუგდიდის სასახლე დადიანების ძირითადი საცხოვრებელი იყო. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის — დავით დადიანის დროს ის სამჯერ გადაბუგა ხანძარმა. პირველი ხანძრის დროს (1835 წელს) შენობა დამწვარა, მაგრამ სხვა ქონებასთან ერთად ბიბლიოთეკა გადაურჩენიათ. 1836 წლის 13 იანვრით დათარიღებულ წერილში დავით დადიანი თავის ძმას გრიგოლს ატყობინებდა: „წარსულს წელს, 17 დეკემბერს, მშუთარი სასახლე ჩემი ყოველთავე ავეჯეულობით დაიწვა“...

დავით დადიანმა მალე ააგო ახალი სამთავრო სასახლე. როცა 1855 წელს ომარ ფაშამ ზუგდიდი აიღო, სასახლეში დაჭრილები მოათავსა.



ხოლო 1856 წელს, როცა გრიგოლ დადიანმა ზუგდიდი დაიბრუნა, ის-  
 კანდერ ფაშამ სასახლეს ცეცხლი წაუკიდა. სამეგრელოს დედოფალი  
 ეკატერინე დადიანი გორდიდან გამოგზავნილ 1856 წლის 2 თებერვლით  
 დათარიღებულ წერილში პლ. იოსელიანს ატყობინებდა: „...სამეგრელო  
 მტერმა გააფუჭა და მთავრისა მათის ოჯახი ცეცხლის ალს მიეცა. ზუგ-  
 დიდი აღარ არის. იქაური თექვსმეტი წლის ნაშრომი ბალი, რომელიც  
 კავკასიის მხარეში კი არა, უცხო ქვეყნებშიც მოსაწონი იყო, მტერმან  
 აღგავა. ყ[ოვე]ლი ხილი, ყვავილი და უცხო ქვეყნის მცენარეები ზოგი  
 წაიღეს და ზოგიც დასტრეს. პარიკული და სხვა მებელი რაც იყო, წაი-  
 ღეს და მთელი ოჯახი და გარემო მტერად აქციეს“...<sup>1</sup>

დადიანების ბიბლიოთეკა ამჯერადაც გადაურჩა დაღუპვას, რადგან  
 ომარ ფაშას შემოსევამდე, როგორც ჩანს, წიგნები სასწრაფოდ იქნა  
 გადატანილი.

დამწვარი სასახლე ხელახლა განაახლა დიმიტრი ყიფიანმა, მაგრამ  
 განახლებულ სასახლესაც ბედი არ ეწერა და ცეცხლმა განადგურა. ამის  
 შემდეგ იგი აღარ განუახლებიათ. ხანძარგადარჩენილი მასალა მოხმარ-  
 და საშეგრელოს თავადის ნიკო დადიანის ახალი სასახლის მშენებლობას.

ბედნიერ შემთხვევას უნდა მიეწეროს, რომ ზუგდიდის სასახლის  
 მდიდარი ბიბლიოთეკა დაღუპვას გადაურჩა.

გორდის სასახლე ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევით იქნა აშენებული  
 არქიტექტორ ვასილიევის პროექტით. სასახლეს საფუძველი ჩაეყარა  
 1841 წელს. აქ ზაფხულს ატარებდა ნიკოლოზ დადიანი. აქ გარდაიცვალ-  
 ნენ: მართა დედოფალი, დავით დადიანი და ეკატერინე დედოფალი.

გორდში დადიანებს ჰქონდათ ბიბლიოთეკა, რაზეც მიუთითებს მათი  
 მინაწერები ხელნაწერ წიგნებზე. მაგალითად, ს.-ს. ორბელიანის „ქართ-  
 თული ლექსიკონის“ ერთ-ერთ ნუსხას (S 1247) მიწერილი აქვს: „ეს  
 ლექსიკონი გორდის სასახლის არის“<sup>2</sup>. 1767-1768 წწ. გადაწერილ ან-  
 ტონ I „ქართულ გრამატიკაზე“ (S 419) მიწერილია: „ეს ორამატიკა გორ-  
 დის სასახლისა არის“<sup>3</sup>. მხითარ სევასტიელის „რიტორიკაზე“ (S 347)  
 დავ. დადიანს მიუწერია: „გორდი, 1845, აგვისტოს ე-ს [5]. ეს რიტორი-  
 კა ვინც კარგათ ისწავლოს, მისია“<sup>4</sup>. ვოლტერის „ალზირას“ ხელნაწერ-

<sup>1</sup> ი. მ. უ. ნ. ა. გ. ი. ა. ქართული მწერლები. II. შედგენილი სოლ. ცაიშვილის  
 მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. 1957, გვ. 327.

<sup>2</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. I. 1959, გვ. 247.

<sup>3</sup> იქვე, 83. 532.

<sup>4</sup> იქვე, 83. 401.

ზე (S 5142) გრ. წერეთელს მიუწერია: „ჩულო-სა [1839] წელსა, სეკ-  
დებრის ერთს, გორდს, დავით ლეონის ძეს დადიანს, ჩემს დისწულს  
ამოვსძარღვე ეს ტრადედია დიდის ღვაწლით“<sup>5</sup>.

მ. ბროსეს ცნობით, დავით დადიანს ჰქონდა „უვრცელესი ბიბლიო-  
თეკა“, რომელიც ქართული ხელნაწერების მდიდარ კოლექციას წარ-  
მოადგენდა<sup>6</sup>. ეს ბიბლიოთეკა მას უნახავს 1848 წ. საქართველოში ყოფ-  
ნის დროს და ზოგიერთი ხელნაწერიც შეუსწავლია<sup>7</sup>. დავითის ბიბლიო-  
თეკა 1850 წ. ნახა და ხელნაწერი წიგნები დაასახელა დიმიტრი მეღვი-  
ნეთუხუცესმა<sup>8</sup>. ი. მეუნარგია წერდა: „დავითი დიდი მოყვარული იყო  
ქართული მწიგნობრობისა. მისი ქართული ხელნაწერი ბიბლიოთეკა...  
ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკათაგანი იყო, თუ არა ერთადერთი საქარ-  
თველოში. დავითი სულ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ამ ბიბლიოთე-  
კისათვის ახალი და ახალი ხელნაწერი წიგნები შეეძინა“<sup>9</sup>. ზ. ჭიჭინაძე,  
განიხილავდა რა დადიანების წიგნთსაცავში დაცულ ს.-ს. ორბელიანის  
„ქართული ლექსიკონის“ ხელნაწერს (S 247), აღნიშნავდა: „ეს ახლად  
აღმოჩენილი იშვიათი განძი ყოფილა საკუთრება გრიგოლ და ნიკოლოზ  
დადიანების ძველის ქართულის ხელნაწერების წიგნების ბიბლიოთე-  
კის, რომელი ბიბლიოთეკაც შესანიშნავი განძი იყო მთელს XVIII საუ-  
კუნეში“<sup>10</sup>.

დავითი გამუდმებით ზრუნავდა თავისი ბიბლიოთეკის გამდიდრები-  
სათვის. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობისა და მრავალ-  
მხრივი შინაარსის წიგნი ჰქონოდა. თავისი საფასით უკვეთავდა  
საუკეთესო და ცნობილ კალიგრაფებს ამა თუ იმ წიგნის გადაწერას.  
იოსიპოს ფლავიოსის „იუდეურიისა სიტყუა დასაბამობისას“ (S 372)  
დართული აქვს გადაწერის შემდეგი ანდერძი: „აღიწერა წიგნი ესე  
იოსიპოსს სამეგრელოს მემკვიდრის დავით დადიანისაგან აბელ ბაშბე-  
უქოვის მიერ და დადებულ იქმნა წიგნთსაცავსა შინა მისს უგანათლებუ-

<sup>5</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერალობა (S კოლექცია). ტ. VII, 1973, გვ. 127.

<sup>6</sup> Brosset. Voyage archeologique... VII rapp. 1849.

<sup>7</sup> დროება, 1891, № 85.

<sup>8</sup> დ. მეღვინეთუხუცესი. მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა. 1850 წ.  
(სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელ-  
ნაწერთა ფონდი, H 47, ფ. 38).

<sup>9</sup> ი. მეუნარგიას დასახ. წიგნი, გვ. 168.

<sup>10</sup> ზ. ჭიჭინაძე. იშვიათი საუნჯე ქართული ლექსიკონების ისტორიის წინაშე.  
„ტრიბუნა“, 1922, № 372.

ლესობისსა 1840 წელსა“.<sup>11</sup> 1825 წ. ეგნატე იოსელიანის მიერ სომხურიდან გადმოთარგმნილ „ფსალმუნთა განმარტებას“ (S 400) კი მიწერილი აქვს: „ნამდვილიდამ (ე. ი. დედნიდან—გ. მ.) გადმოგჰსწერე მისს უგანსთა ლებულესობის სამენგრელოას მემკვდრის დავით დადიანის მწერალმან, საქართველოას კეთილშობილმან აბელ ბაშბეუქოვმან“.<sup>12</sup> დავითის დავალებით არის გადაწერილი აგრეთვე „ბიბლია“ (S 422) და იოსიპოს ფლავიოსის თხზულების სხვა ხელნაწერებიც (S 315 — S 321).

დავითი საგანგებოდ ეძებდა ისეთ თხზულებებს, რომლებიც მას არ ჰქონდა. 1835 წლის 7 ივნისით დათარიღებულ წერილში ვორონეიიდან სწერდა თავის ძმას გრიგოლს: „ჩინებული წიგნი ვიშოვე გადასაწერად კენისასაგან რეზანს — იონას „კალმასობა““.<sup>13</sup>

მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა დავითის ბიძას გრიგოლ წერეთელს, რომლისგანაც დავითს გადასაწერად მოჰქონდა ისეთი თხზულებები, რომლებიც მის ბიბლიოთეკაში არ მოიპოვებოდა. ერთ-ერთ ხელნაწერზე (S 315) დავითს ფანქრით მიუწერია: „დავით დადიანს აქუს ბიძის მისის გრიგოლ წერეთლის წიგნები: ა. მატიანე ვრცელი, ბ. ლილიმარა კურასი, გ. პლატონ მიტროპოლიტის ღვთისმეტყველება, დ. მელორდი, ე. ხრონოლოდია სამეფოთა ევროპისათა, ვ. კვინტ კურციოს, ზ. იოსიპოსი, ც. ტრადედია აღამემნონისა, თ. არჩილიანი, ი. ხუცური ქართლის ცხოვრება“.<sup>14</sup>

1845 წელს 1 აგვისტოს გორდიდან გამოგზავნილ წერილში დავითი პლ. იოსელიანს სწერდა: „ძლიერ საჭიროდ აღმიჩნდა მიხითარ ყოვლად ბრძნის სევასტოვისა სომეხთა მოძღვრისა ღრამატიკის განჩხრეკა ქართულს ენაზედ, რომელიც გადმოთარგმნა კათალიკოსმან ღვთივ კურთხეულმან, უწინარეს ვიდრე განკარგავდა თავის ღრამატიკას, და ის ღრამატიკა ბავშვობაზედ, მახსოვს, მინახავს, განსვენებულის ეგნატეს ანლად შეუკრავი, თავისის ხელით დაწერილი. და გთხოვთ დიდად, მათხოვოთ რამდენიმე კვირით. წარვიკითხავ, განვიხილავ, გულისხმას ვყოფ და მოგართმევთ დიდის მადლობით. ასე, ჩემო პლატონ, უთუოდ მიშოვი“.<sup>15</sup>

1852 წლის 22 ივლისით დათარიღებულ წერილში კი დავითი პ. იო-

<sup>11</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. I, 1959, გვ. 431.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 502.

<sup>13</sup> ი. მ. ე. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. ს. დასახ. წიგნი, გვ. 168.

<sup>14</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. I, 1959, გვ. 378.

<sup>15</sup> ი. მ. ე. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. ს. დასახ. წიგნი, გვ. 288-289.



სელიანს ატყობინებდა: „ივა ბერს (ივანე ხოშტარიას. — გ. მ.) ვისტუმრებ ათონის მთაშიდ, იეროსალიმს, ქიქოს მონასტერში. დიდად მწაფს, რომ სინას მთასაც მოვიდეს, თუ შესაძლებელი იქნება. წიგნების განხილვასაც იღვწის, ეგებ იპოვოს რამე და ჯვრის მონასტერშიაც“.<sup>16</sup>

1851 წლის 29 დეკემბრით დათარიღებულ წერილში კი დავითი ზუგდიდიდან პ. იოსელიანს ატყობინებდა: „აწ ერთი ამბავი მოგახსენო: შენს «დაბადებას» წინაბჭე გაუკეთე ზედწერილობა, ლანძღვა-გინებაში არ ჩამომართო, შენი ნამეტანი ქება მომივიდა, მაგრამ იმაში საქები იყავი და რა ჩემი ბრალია. სხვაში ხომ არ გაქებ, შე კაცო. იმ «დაბადებას» ბევრი ეგერ-ეგერ აკლდა. ერთ დღეს ჩემს ბიბლიოთეკას ვალაგებდი. განგებელი საქმე მოხდა. ვიპოვენე ფურცლებად დაბნეული დაბადების თავები, მივხვდი მისთანავე. სწორედ ის ერთს ალავს რაც აკლდა — ესე იგი სულ ლევიტელთა, რიცხვთა, მსაჯულთა და მეორე... იმოდენა რამდენიც აკლდა. ჩვენი ოდიშარია დიაკონი მიზის და ვაწერიანებ — ეს დიაკონი მინდა სულ ჩემთან ვამყოფო. ეგების ნაყოფი კეთილი გამოიღოს. ახლა ამას რომ მოვრჩები, გამოსვლათას მოძებნას ვცთი. ეგებ ღმერთი შემეწიოს“.<sup>17</sup>

დავითი თვითონაც ეწეოდა ხელნაწერების გამრავლებას. ასე მაგალითად, მან გადაწერა იოანე პეტრიწის „პროლოგი“ (S 379), აბატი მილოტის „ყოვლად საზოგადო ისტორია“<sup>18</sup> და სხვ.

თავის ბიბლიოთეკას დავითი ამდიდრებდა ნათარგმნი ლიტერატურითაც. იგი თვალყურს ადევნებდა იმ დროს რუსულ ენაზე არსებულ ლიტერატურას და მისთვის საინტერესო თხზულებებს ქართულად ათარგმნიებდა. საამისოდ მას საგანგებოდ მთარგმნელიც კი ჰყავდა შერჩეული. ეს იყო გორელი მღვდელი იესე გარსევანიშვილი, რომელსაც დავითმა ათარგმნინა ბევრი წიგნი. ესენია: ჰეროდოტეს „ისტორია“ (S 309), პლუტარქეს „შედარებითი ცხოვრების აღწერანი“ (S 256-262), აბატი მილოტის „ყოვლად საზოგადო ისტორია“ (S: 282, 283, 296, 297, 298, 299, 308 და 313), ფენელონის „ტელემაკი“ (S 1672; S 260, ფ. 39r-292v) და ა. შ. დავითის დაკვეთითვეა თარგმნილი „შეყუანილება მითოლოდიად“ (S 343).

<sup>16</sup> ი. მ. ე. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. ს. დასახ. წიგნი, გვ. 294.

<sup>17</sup> ი. ქ. ვ. ე. გვ. 292.

<sup>18</sup> გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 12947; ხელნაწერთა აღწერილობა. I. შედგენილი ივ. ლოლაშვილის მიერ („ლიტერატურის მატეანე“, წ. 5, ნაკვ. მეორე, 1949), გვ. 56.





დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის სახლი ცნობილი იყო მთელ საქართველოში. XIX საუკუნის პირველ ნახევარში იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს თავისი ლიტერატურული სალონებით. დავითის ოჯახთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ იმდროინდელი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დადიანების ბიბლიოთეკის შევსება-დაკომპლექტების ერთ-ერთ წყაროს ნაჩუქარი წიგნები წარმოადგენს.

დავითისთვის ბევრი წიგნი უჩუქნია მის უმცროს ძმას გრიგოლს. 1834 წელს დავითი სწერდა მას: „გმადლობ ლექსიკონებისა, სალიუსტოს და ტიტა ლივიასთვის“<sup>19</sup>. ხოლო 1838 წლის 1 დეკემბრით დათარიღებულ წერილში დავითი სთხოვდა გაეგზავნა თეიმურაზ ბაგრატიონის პიესა „სამსახეობა რაინდისა“, თავისი შეთხზული ლექსები და სხვა ქართული წიგნები. „რაინდი, შენის წიგნის (წერილის.—გ. შ.) მოსვლამდის მიესწერე ბატონიშვილს, რომ არ ვიცი რა არის-თქო. თუ გიყვარვარ, გამომიგზავნე ისიც და ყოველი შენგან თქმული რაც იყოს... ქართული წიგნები გამომიგზავნე, თორემ გაგებუტები“.<sup>20</sup> გრიგოლ დადიანის ნაჩუქარი წიგნებია: ალაბიტე კონსტანტინეპოლელის „სამეფო ქარტა ანუ ტომარი“ (S 335), „მოთხრობა გამოცხადებისა ყოვლად წმინდისა ტიფონის მღვთისმშობლისა“ (S 337), ამბროსი მედიოლანელის თხზულებანი (S 341), მარკ ტული ციკერონის „ლეღი ანუ მეგობრობისათვის“ (S 289), გაბრიელ პრავატსკის „ფსალმუნთა განმარტება“ (S 276), „ვედუქსია, ასული ველისარიონისი“ (H 2132).

დავითის ბიბლიოთეკის წიგნებს შორის გვხვდება თეიმურაზ ბაგრატიონის ნაჩუქარი წიგნებიც. თეიმურაზს უჩუქებია: მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასას“ ორი ტომი (S 370 და S 371), „აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ შემცველი ხელნაწერი (A 1411), „ფრიკისისა და ელეიას წიგნი“<sup>21</sup> და სხვ. მონტესკიეს ნაშრომი დავით ბაგრატიონის ნათარგმნი მისივე ხელით არის გადაწერილი, ამიტომ თეიმურაზს ხელნაწერზე მიუწერია: „ამ წიგნს, რადგან იმისის (დავით ბაგრატიონის. — გ. შ.) ხელით არის ნაშრომი, თქვენ უნდა პატივ-სცეთ

<sup>19</sup> ი. შ. უნარგიას დასაბ. წიგნი, გვ. 168.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 315—316.

<sup>21</sup> ქუთაისის საბელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. II. შედგ. ე. ნიკოლაძის მიერ. 1964, გვ. 138—139.

და როგორც ანტიკი ანუ უნჯი რამ ძვირფასი, ისე შეინახოთ თქვენს წიგნთსაუნჯეში“.<sup>22</sup>



დავით დადიანს წიგნები აჩუქეს აგრეთვე: იონა ხელაშვილმა, ვისი ნაშრომი „სიბრძნის პოვნის წიგნი“,<sup>23</sup> გიორგი არქიმანდრიტმა XVI საუკუნის „მარგარიტი“ (A 1738), პლ. იოსელიანმა „ტიბიკონი“,<sup>24</sup> სერგეი ქუჩუბეიმ „სახარება“ (Q 895), გრ. წერეთელმა XIV—XVI სს. „კარაბადინი“ (S 1274) და ჰეროდოტეს „ისტორია“ (S 309).

დავით დადიანი არ იყო ჩვეულებრივი ბიბლიოფილი-კოლექციონერი. ფართო სწავლა-განათლება მას საშუალებას აძლევდა გამოეცლინებინა გაცილებით მეტი სამწიგნობრო-ლიტერატურული ინტერესები. და ეს ასეც მოხდა. ის თხზავდა ლექსებს, თარგმნიდა, ასწორებდა ტექსტებს და ა. შ. ყოველივე ამისთვის კი საჭირო იყო თვალყური ედევნებინა რუსეთში არსებული მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურისათვის და საფუძვლიანად გაცნობოდა მას. ამიტომ იგი დაკავშირებული იყო XIX საუკ. პირველ ნახევარში პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენციასთან და მისი საშუალებით იძენდა თავისთვის საჭირო წიგნებს. ერთ-ერთი ხელნაწერის (S 365) ქვედა ყდის შიდა მხარეზე დავითს მკრთალად ფანქრით მიუწერია სახელწოდებანი იმ წიგნებისა, რომლებიც მისთვის უნდა შეესყიდათ პეტერბურგში და გადმოეგზავნათ საქართველოში. როგორც მეტად საყურადღებო დოკუმენტს, აქვე ვიძლევით აღნიშნულ სიას მთლიანი სახით (ხელნაწერში თხზულებანი ჩამოთვლილია ერთმანეთის მიყოლებით, აბზაცებად დაყოფა და რიგითი ნომრები ჩვენ გვეკუთვნის):

„1832. 7. 29. . . . . გავგზავნე პეტერბურლსა 46 ოქრო და

დავებარე ისტორიები ქვემო აღწერილნი:

1. ისტორია მილოტა, უკანასკნელი გამოცემული წიგნი 14;
2. ისტორია დეროდოტესი, წიგნი რვა (8);
3. პლუტარხოს, წიგნი 12.
4. ტელემაქი, წიგნი 2;
5. ოცდახუთ-წლებითი ევროპა, მეფობა ნაპოლეონისა და ალექსანდრეს, წიგ. 1;

<sup>22</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. I. 1959, გვ. 430.

<sup>23</sup> ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. I. შედგ. ე. ნიკოლაძის მიერ. 1953, გვ. 405.

<sup>24</sup> ი. მუხნარგიას დასახ. წიგნი, გვ. 169.

6. ცხოვრება ნაპოლეონისა, წიგ. 14;
7. სწავლანი მარკოზ ავრელიანესნი, წიგ. 2;
8. ზაპისკა იოზეფინა (!) იმპერატრიცასი, წიგნი 4;
9. ხაჯი-ბაბა,\* წიგნი 8;
10. ცხოვრება იოაკიმ მურატისა, ნეაპოლიტანის კოროლისა, სიძისა ნაპოლეონის;
11. ცხოვრება ახოვნისა მარშლისა ნეისა;
12. მერკური ბრიგისაგან დამარცხება 184-ს ზარბაზნიანების 2-ს ხომალდისა;
13. ზაპისკა იმპერატრიცა მარია ლუიზასი;
14. დარღვევა ტროადისა;
15. მიძალოლია, ესე იგი ზღაპარსიტყვაობა;
16. უკანასკნელი ცხოვრება ნაპოლეონისა...<sup>25</sup>

როგორც აღნიშნული ხელნაწერის ზემო ყდის შიდა მხარეზე დავითის მინაწერიდან ირკვევა, მას პეტერბურგიდან მიუღია დაკვეთილი წიგნები (მთლიანად თუ არა ნაწილი მაინც), რადგან ორი თვის შემდეგ სიაში დასახელებული ერთ-ერთი წიგნის თარგმნაც კი დაუწყია. დავითი წერს: „1832. 9. 9 წელსა დავიწყე თარგმნა ხაჯი ბაშის (!) მე და გიორგიმ, ზედამხედველობისა ქვეშე გრიგოლისა“. მინაწერში მოხსენიებული გრიგოლი არის გრიგოლ წერეთელი, ხოლო გიორგი — გიორგი მდივანი, რომელსაც გრ. წერეთელმა გადააწერინა „ქილილა და დამანა“ და „ლილიმარა კურასი“ (იხ. გრ. წერეთლის ბიბლიოთეკის წიგნების სია). რაც შეეხება თხზულებას, აქ დამახინჯებულად არის მოცემული სახელწოდება. ივლისსმება ჯემს მორიერის „ჰაჯი-ბაბა ისპანელის თავგადასავალი“, რომელიც ინგლისურიდან რუსულად თარგმნა ო. სენკოვსკიმ (ბარონ ბრამბელსმა) და 1831 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა ოთხ ტომად. სენკოვსკის თარგმანი უკანასკნელად 1970 წელს დაიბეჭდა.<sup>26</sup> დავით დადიანისა და მდივან გიორგის ქართულმა თარგმანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.<sup>27</sup>

\* ხელნაწ.: ხაჯი ბაბა.

<sup>25</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. I, 1959, გვ. 421.

<sup>26</sup> Джеймс Морнер. Похождения Хаджи-Бабы из Исфагана. Роман. Перевод с английского О. Сенковского. М., 1970.

<sup>27</sup> არსებობს მეორე ქართული თარგმანის ფრაგმენტი, შესრულებული ინგლისურიდან თეიმურაზ ზაგრატიონის მიერ (გ. შარაძე. თეიმურაზ ზაგრატიონი. II. შეშოქმელება. 1974, გვ. 149—159).



დადიანების ბიბლიოთეკის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ მათი წიგნსაცავი ჩაკეტილი კი არ იყო, მარტო ოჯახის წევრებისთვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ ამ წიგნებით ხშირად სარგებლობდნენ ნათესავები, ახლობლები და ნაცნობ-მეგობრები. წიგნები მიჰქონდათ წასაკითხად, გადასაწერად და სტამბური სახით გამო-საქვეყნებლადაც კი. ამ ბიბლიოთეკის წიგნების მიმოქცევის შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით იმ დროის მოღვაწეთა მიმოწერასა და თვით ხელნაწერების მინაწერებში. ასე მაგალითად, ძველი ქართული სიძველეების შესასწავლად საქართველოში ჩამოსული მარი ბროსე 1848 წ. დავით დადიანს ქუთაისიდან ატყობინებდა: „მაქვს მე ერთი თქვენი წიგნი, სულხან-საბას მოგზაურობა, მეორე ნაწილი. თქვენის ბრძანებისამებრ გადავაწერინებ და მას უკან მოგიბრუნებთ, თუ მექნება ბედნიერება თქვენისა ნახვისა პეტერბურღს. უთუოდ იმ დროს მოვრჩები და ხელშიდ მოგცემთ, თუ არადა მას უკან ფოშტით“.<sup>28</sup>

გენერალ ვასილ ბებუთოვისთვის (1791-1858) დავითს გაუგზავნია ალ. ჰავეჭავაძის მიერ ქართულად გადმოთარგმნილი ვოლტერის „აღზირა“, რის გამოც 1850 წ. 20 ივლისით დათარიღებულ წერილში ბებუ-თოვი მადლობას უხდის: „გუშინ თქვენმა სეკრეტარმან მომიტანა სა-ამური წერილი თქ[ვე]ნი, და მასთანვე აღზირა, თარგმანი თქ[ვე]ნის გან-სვენებულის სიამარისა...“

მისს უგანათლებულესობას მთავრინას, ეკატერინეს უღრმეს პატი-ვისცემას განუცხადებთ მე და ჩემი ცოლიც, რომელიც უმდაბლესს მო-კითხვასთან მადლობასაც მოგახსენებთ აღზირას ბოძებისათვის“.<sup>29</sup>

დავითის ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა დიდი რუსი მწერლის ა. ს. პუშკინის თხზულებანი, რომელიც მას ვილაცისთვის უთხოვებია. დავითი შეკითხვია გრ. ორბელიანს: შენთან ხომ არ არის ჩემი წიგნებო. ამის შესახებ გრ. ორბელიანი 1839 წლის 11 მარტით დათარიღებულ წერილში ქ. გორიდან თავის ძმას ილიას ატყობინებდა: „დადიანი დავით და გრიგოლ წერეთელი აქ ვნახე ანაზღეულად ქალაქიდან მომავალნი. მოახსენე ჩემ მაგიერ, რომ მე პუშკინის წიგნები არა წამილიარა ჰემ-მარიტად, და არც არა სხვა წიგნები, თორემ რად დავმაღავედი“.<sup>30</sup>

<sup>28</sup> ი. მ. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. ს. დასახ. წიგნი, გვ. 320.  
<sup>29</sup> ი. მ. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. ს. დასახ. წიგნი, გვ. 322—323.  
<sup>30</sup> გრ. ორბელიანი ი. წერილები. ტ. I, (1832—1850). ა. გაწერელის რედ. და შენიშვნებით, 1936, გვ. 49.



პ. იოსელიანს დავითისთვის უთხოვია მისი ბიბლიოთეკიდან ამოღებული ჩია და დასაბეჭდად გაეგზავნა მცირე მოცულობის რაიმე თხზულება, რაზეც დავითმა უპასუხა 1851 წ. 16 ნოემბრით დათარიღებულ წერილში: „მაწვევ წარმოგიგზავნო მცირედი რაიმე ჩემის ბიბლიოთეკიდან დასაბეჭდად და მეორედ მიმეორებ რაბამ შესაძლო იყოს პატარა. და ამის ძლით, ვერც პატარა და ვერცა დიდი ვერ მოგართვი. დიდი არ შესატნობება. მასთან პატარა ვერა ვპოე რა, რომ გეხერხოს“<sup>31</sup>. ერთი წლის შემდეგ კი, 1852 წლის 22 ივლისს, დავითი პ. იოსელიანს სწერდა: „მე მაქვს არჩილ (კურთხეულის) მეფის ბრძანებით გაშიარებული საქართველოს ზნეობა. იქნება შენც იცნობდე მაგ შაირებს. და თუ დაბეჭდვინებას იკისრებ და არ გაქვს, გაახლებ და იმასთან მამის შენის მიერ თარგმნილს «მშვიდლათვის საკვირველებათა». მცირეა და უვიცთათვის უცხოთა ენათა, მარგებელი. აგრეთვე «ქეჟაოზ ხელმწიფისაგან შვილისა მისისა ამილნასარის დარიგება»... მდაბიო და უცხო-უცხო იგაგებით შემკული — ეგვეც ცოტაა. ასე რომა, სამივ ძლივდა შეადგენს «დიდმოურავიანის» ოდნობას. ამისი პასუხი მამცნეთ“<sup>32</sup>.

ერთ-ერთ ხელნაწერზე (S 315) დავით დადიანს ჩაუნიშნავს, თუ მისი ბიბლიოთეკის წიგნები ვის აქვს წაღებული და ვინ დააბრუნა: „მარტირია ბიძია გრიგოლმა [წერეთელმა] დატოვა, ნინოს ცხოვრება — მამიდაჩემმა. ბიძიას აქუს კიდევ პლუტარხი — ნაწილი მეცხრე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება აქუს ანტონს [ეპისკოპოსს], ქართლის ცხოვრება და მითოლოგია — ნიკოს [დადიანს], ილიადა კიდევ ბიძიას“<sup>33</sup>.

სამწუხაროდ, დადიანების ბიბლიოთეკა ამჟამად გაფანტულია და სხვადასხვა მიზეზის გამო მთლიანი სახით ჩვენამდე ვერ მოაღწია. ჯერ კიდევ მეპატრონეთა სიცოცხლეში ბიბლიოთეკიდან გადიოდა წიგნები. ასე მაგალითად, დავითს თავისი ბიძისათვის — გრ. წერეთლისათვის უჩუქებია ხელნაწერი, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: „ჩემ [1840] წელსა, იანერის კ-ს [20] ეს წმიდა მარტირია ებოძა ჩემთვის დავით ლეონის ძეს დადიანს სახსოვრად მისსა თა გრიგოლ წერეთელი, რომელი ვიყავ დედით ბიძა მისი“<sup>34</sup>. გრ. წერეთელსვე წაუღია ვოლტერის „ალზირა ანუ ამერიკელნი“ (S 5142); დავით დადიანს გიორგი სხვიტა-

<sup>31</sup> ი. მეუწარგიას დასახ. წიგნი, გვ. 291.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 294.

<sup>33</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. I. 1959, გვ. 377—378.

<sup>34</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია). ტ. II. 1962, გვ. 132.

რიასთვის უბოძებია „ყოვლად საზოგადო ისტორია“ (S 4612), ხოლო 1848 წ. მარი ბროსესთვის უჩუქებია ფეშანგის „შაჰნავაზიანის“ უნიკალური ხელნაწერი<sup>35</sup> და ა. შ.



როგორც ჩანს, დავითის გარდაცვალების შემდეგ მისი ბიბლიოთეკის წიგნები შიგადაშიგ გაყიდულა კიდეც. მაგალითად, დავითის ბიბლიოთეკის „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი შეუძენია თავად ბ. ლორთქიფანიძეს<sup>36</sup>. ძვირფასი ხელნაწერები ნიავედებოდა სხვადასხვა მიზეზითაც. 1885 წელს ვასილ მაჩაბელი პეტერბურგში მყოფ ნიკო დადიანს ატყობინებდა: „რაოდენიმე წიგნები დააკლდა ბიბლიოტეკასო“<sup>37</sup>.

ზუგდიდის სასახლეში დაცული ხელნაწერების მცირე ნაწილი ხანძარს უნდა მოესპო. „ჩემი კვინტოს კურციოს სახლი რომ დამეწვა, სხვათა შორის, ისიც დამეწვა“, — გულნატკენი სწერდა დავითი თავის ძმას გრიგოლს<sup>38</sup>.

დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1853 წ.) მისი მდიდარი წიგნების კოლექცია მემკვიდრეობით გადავიდა შვილზე—ნიკო დადიანზე<sup>39</sup>. არსებობს ნ. დადიანის პირადი ბიბლიოთეკის წიგნების ნუსხა<sup>40</sup>. ნ. დადიანმა აღნიშნული ბიბლიოთეკა, იონა მეუნარგიასა და ვასილ მაჩაბლის რჩევით, 1885 წელს შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

1885 წ. 28 თებერვალს პეტერბურგიდან მოწერილ წერილში ნ. დადიანი რწმუნებას აძლევს ვასილ მაჩაბელს თავისი მამის წიგნსაცავი ჩაბაროს წერა-კითხვის საზოგადოებას. როგორც დიდად საყურადღებო დოკუმენტი, გაზეთმა „დროება“ ეს წერილი მაშინვე გააცნო ფართო საზოგადოებას:

<sup>35</sup> ფეშანგის. შაჰნავაზიანი. გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედ., 1935, გვ. VII—IX.

<sup>36</sup> ქილილა და დამანა. სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. ილ. ჭყონიას რედ., 1886, გვ. II.

<sup>37</sup> ი. მეუნარგიას დასახ. წიგნი, გვ. 328.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 168.

<sup>39</sup> დ. ბაქრაძე. ბიბლიოთეკა თ. ნიკოლოზ თავადის სამეგრელოსა. „დროება“, 1885, 23 აპრილი, № 85; „მწვემსი“, 1885, № 10, გვ. 13—14. შდრ. დ. ბაქრაძის წერილი წიგნზე: იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1862, გვ. XXIV—XXV.

<sup>40</sup> А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. Т. I, вып. III. СПб., 1894, გვ. 238—245. აღნიშნული ხელნაწერების სრული და ზუსტი აღწერილობა მოცემულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ S ფონდის „აღწერილობის“ პირველ ტომში.

„კნიაზო ვასილი! დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც კი შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას, ან საზოგადოდ, რაიმე მხარეს ჩვენის სამშობლოსას, გადამეცა ჩვენის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო მომეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდის ეს სურვილი შეუსრულებელი დამრჩა. ახლა გთხოვთ, ჩემს მაგიერ გარდასცეთ ზემოხსენებული საზოგადოების მმართველობას, რომ მე მოვახდინე განკარგულება — მთელი ჩემი ბიბლიოთეკა თავადმა კონსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში „დროების“ რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისაგან ამორჩეულ პირთ შეუძლიათ ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახავენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხ თავს ბედნიერად.

თქვენი პატივისცემელი თავადი მეგრელიისა ნიკოლოზ<sup>41</sup>.

ნ. დადიანის პატრიოტულ წამოწყებას გაზ. „დროება“ იმავე ნომერში გამოეხმაურა მოწინავე წერილით — „მართლა რო მეფუტრი შემოწირულობა“, ეურნ. „ივერიამ“ კი თავის ფურცლებზე დაბეჭდა ბიბლიოთეკის ზოგადი აღწერა.

1885 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ილ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით შეადგინა კომისია, რომელშიც შედიოდნენ: დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, ვასილ მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი და სიმონ ლოლობერიძე. კომისიას დაევალა ბიბლიოთეკის ადგილზე ჩაბარება და თბილისში ჩამოტანა.

დადიანისეული ბიბლიოთეკის ჩამოტანა თბილისში იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად ჩათვალა მაშინდელმა მოწინავე საზოგადოებამ, რომ აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად თვითონ ილია ჭავჭავაძე გემგზავრა სამეგრელოში იონა მეუნარგიასა, გრიგოლ ყიფშიძესა და ვასილ მაჩაბელთან ერთად<sup>42</sup>.

<sup>41</sup> თავადი მეგრელიისა [ნ. დ. დადიანი]. კნიაზო ვასილი „დროება“, 1885, 19 მარტი, № 60.

<sup>42</sup> ტ. ხუნდაძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ნარკვევი საარქივო მასალების მიხედვით (1879—1927). თბ., 1960, გვ. 62.



კომისიამ პირველად ჩაიბარა გორდის საზაფხულო სასახლეში დაცული არქივი, რომლის სრული კატალოგი კომისიის ჩასვლამდე უკვე შეედგინა ა. წერეთელს. ამის შემდეგ კომისია ზუგდიდში ჩავიდა და იქაური კოლექცია ჩაიბარა<sup>43</sup>.

დადიანების ბიბლიოთეკა ამჟამად ვაფანტულია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი (ნაბეჭდი წიგნები) დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ნაწილი აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ნაწილი ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ნაწილი აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და რამდენიმე ხელნაწერი და ძველი წიგნი ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში.

მოდწეული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებისა და ბიბლიოთეკის წიგნებისათვის სხვადასხვა დროს შედგენილი სიების მიხედვით ნაწილობრივად ზერხდება დადიანების წიგნსაცავის აღდგენა და მისი წიგნადი ფონდის გათვალისწინება.

დავით დადიანის წიგნების კატალოგი ინახება ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში<sup>44</sup>.

თ ბ ა ლ ის ი

<sup>43</sup> ს. ო. ცაიშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. 1965, გვ. 106.

<sup>44</sup> ი. მეუწარგიას დასახ. წიგნი, გვ. 288.





**ღაკით მესხიშვილის (რეპტორის)  
საოჯახო წიგნსაცავი**

წიგნსაცავთა არსებობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი წიგნსაცავები — „საწიგნენი“ მონასტრებთან დაარსდა. ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელმა ჩაუყარა საფუძველი წიგნსაცავს ახლადგებულ უბისის მონასტერში. წიგნსაცავები ჰქონიათ ქართველთა მონასტრებს აგრეთვე იერუსალიმში, პეტრიწონის მონასტერში, შავ მთაზე, სინას მთის, ათონის ივერის, მარტვილის ნამარნევის, შიო მღვიმის, ქვათახევის, დავით გარეჯის მონასტრებს და სხვ.

მდიდარი წიგნსაცავები ჰქონდათ ქართველ მეფეებს — დავით აღმაშენებელს, ვახტანგ VI, ერეკლე II, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილებს და სხვ.

ერის კულტურული დონის ზრდასთან ერთად ხალხის სულიერი მოთხოვნილებაც იზრდებოდა. განათლებულ ოჯახებში წიგნისმოყვარულნი ცდილობდნენ შეეგროვებინათ წიგნები, თვითონ გადაეწერათ, ან სხვისთვის დაევალებინათ მისი გადაწერა. ამრიგად, სამონასტრო და სამეფო წიგნსაცავთა პარალელურად საფუძველი ეყრებოდა საოჯახო წიგნსაცავებსაც.

წიგნსაცავი, სამეფო იქნებოდა, სამონასტრო თუ საოჯახო, ერის კულტურული წინსვლისა და მისი ინტერესების მიმანიშნებელი იყო. იგი წარმოადგენდა პატარა ცენტრს, სადაც თავს უყრიდნენ წინაპართა ნააზრევს.

სამონასტრო და სამეფო წიგნსაცავთაგან განსხვავებით, საოჯახო წიგნსაცავს საქართველოში თავისი სპეციფიკა აქვს. საოჯახო წიგნსაცავის მფლობელი ხელოვანი კალიგრაფიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ცდილობდა თავისი გადაწერილი ხელნაწერებითაც შეეცნო საკუთარი კოლექცია. ამრიგად, იგი ქართველ გადაწერათა რიცხვს მიეკუთვნება. ზოგჯერ მას მრავალი წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდა, რომ მის-

თვის საჭირო და საინტერესო ხელნაწერი შეეძინა ან მცირე ხნით მაინც ჩაეგდო ხელთ გადასაწერად. სწორედ აქ იჩენდა ხოლმე თავს ბიბლიოფილისა და კოლექციონერის განსაკუთრებული თვისება — ფანატიკური სიყვარული საკუთარი კოლექციისადმი და მიზანდასახულობა — გაემდიდრებინა ეს კოლექცია.

საქართველოში საოჯახო წიგნსაცავთა შემქმნელი განსაკუთრებული ტიპის ბიბლიოფილთა კატეგორია იყო, რომელთა მოღვაწეობა მხოლოდ წიგნის სიყვარულით იყო გამოწვეული. აქ ადგილი არ ჰქონია არც მატერიალურ დაინტერესებას, არც სხვა რაიმე პრივილეგიასა და პატივმოყვარეობას. გარდა ამისა, საოჯახო წიგნსაცავი, სამონასტრო და სამეფო წიგნსაცავთაგან განსხვავებით, საზოგადოების ფართო მასებისთვისაც ხელმისაწვდომი იყო. ოჯახის მახლობელთა გარკვეულ წრეს, და ზოგჯერ არცთუ ისე მახლობელსაც, შეეძლო ესარგებლა ამ წიგნებით.

საოჯახო წიგნსაცავი კოლექციონერისა და ბიბლიოფილის არა მარტო წიგნის დიდ სიყვარულზე, არამედ მის განათლებაზე, ცოდნასა და გონებრივ-ესთეტიკურ დონეზე მიგვანიშნებს.

პიროვნების ინტერესები ვლინდება როგორც მის მიერ თარგმნილსა თუ გადაწერილ, ასევე მის მიერ შეგროვებულ წიგნებში, მათში აირეკლება პიროვნების კულტურის დონე, გემოვნება. საოჯახო წიგნსაცავი უხილავი ძაფებით არის დაკავშირებული მის მფლობელთან და იმ საზოგადოებასთან, რომელშიც მფლობელი იმყოფება. იგი საზოგადოების სულიერი სახეა.

ამრიგად, ერის კულტურისა და აზროვნების განვითარების ისტორიის სრული სახით წარმოსადგენად საოჯახო წიგნსაცავების შესწავლა ძლიერ საინტერესოა.

საოჯახო წიგნსაცავებით, ბიბლიოფილთა და კოლექციონერთა საქმიანობით მკვლევართა გარკვეული წრე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაინტერესდა. 1834 წელს პარიზში დაარსდა ჟურნალი Bulletin du bibliophile et du bibliothecaire, რომელსაც მამა და შვილი ტეშნეები სცემდნენ.

საოჯახო წიგნსაცავების შიძარტ ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა მე-20 საუკუნეში. ამ საკითხს მრავალი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში.

საქართველოში არსებული საოჯახო წიგნსაცავების შესახებ ცნობებს ქართულ ხელნაწერთა მინაწერებში ვხვდებით. ხელნაწერი წიგ-



ნის მფლობელი მინაწერს უკეთებდა, ზოგჯერ ნომრავდა კიდეც მის. სანიმუშოდ მოვიყვანთ ზოგიერთი ნუსხის მინაწერს: „თავადრის-მდივნის“ ნის დიმიტრის თუმანოვისა არის მ ა რ ტ ი რ ი კ ა ესე. ვითხოვ უმდაბლესად: ვინც დასტკბეთ, აღმოკითხვითა, მომიგონებდეთ ლოცუათა შინა თქვენდა ამაღ, რომელ მრავლისა ღონისძიებით მომიპოვებდეს და დამიდვიეს წიგნის საცავსა შინა“<sup>1</sup>, „№ 8 საოჯახო კ. ელენე მაყაევისა“<sup>2</sup>, „№ 33 ნიკონის ბიბლიოტეკისა“<sup>3</sup>. ასეთი მინაწერები მრავლად მოიპოვება ძველ ქართულ ხელნაწერებზე.

თუ რამდენად ფასდებოდა საოჯახო ბიბლიოთეკის შემქმნელთა ღვაწლი, როგორ პატივისცემას იმსახურებდნენ ერისა და საზოგადოების წინაშე, ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფრაგმენტი იონა ხელაშვილის მიერ სოლომონ დოდაშვილისადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილიდან, რომელშიც იონა აღუთქვამს სოლომონს „ხვასტაგთა წარმოგზავნას“ წიგნების გამოსაცემად საქართველოში და თან დასძენს: „...კაცთა ნუ მისცემთ ხელად, რომელთა არა აქუნდეთ ბიბლიოტეკა, არამედ მათ ანათხოვრეთ, რომელნი იკრეფდეს წიგნებთა და რომელთაცა ჰსურდეთ გარდაწერა და ჰსწავლა, მათდამი განჰფინეთ ტალანტი ეგე“<sup>4</sup>.

გავეცნოთ XVIII-XIX საუკუნეების ცნობილ კალიგრაფთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის — დავით მესხიშვილის (რექტორის) საოჯახო ბიბლიოთეკას.

მესხიშვილები სამოღვაწეო ასპარეზზე მე-17 საუკუნის დასასრულს გამოჩნდნენ და ამ დროიდან მოყოლებული თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების სარბიელზე მრავალმხრივსა და საინტერესო მოღვაწეობას ეწეოდნენ: შესანიშნავი კალიგრაფები, ხელნაწერთა მომხატავნი, მთარგმნელები, ხელნაწერთა გამმართავნი, პოეტები; ისინი ამავე დროს მდიდარ და საინტერესო წიგნსაცავს ფლობდნენ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, A — 2988 ხელნაწერი 216.

<sup>2</sup> იქვე, A — 1046 ხელნაწერის თავფურცელი.

<sup>3</sup> იქვე, A — 334 ხელნაწერის თავფურცელი.

<sup>4</sup> იქვე, H — 2226 ხელნაწერი 391 V.

<sup>5</sup> ერეკლე მეფემ ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფის ალექსი მესხიშვილის პატივსაცემად მის შვილებსა და მრავალრიცხოვან შთამომავალთ ნება დართო წოდებულნი ყვნენ ალექსი-მესხიშვილებად. ამის შემდგომ მესხიშვილები ალექსი-მესხიშვილებად, ალექსიშვილებად და ზოგჯერ ალექსიძეებადაც იწოდებიან ძველ ქართულ ხელნაწერებსა თუ ისტორიულ დოკუმენტებში (იხ. Акты Кавказской археографической комиссии, т. I, ст. 373).

აღესწერე ესე უქუსთა დღეთ: აღესწის ბეჭან პეცტ-  
ორმან ტაუთ. მთაბნა. ღვთსტონა. კიკბონა.  
4: ჩვესა უანვორაილომთივან სიჭყუესა რისა:

ჩაქც:

ჩაქცაილონა ჩაქცა ზიდა: უქც:

საქართველოს  
საქართველოს

დავით მესხიშვილის ავტოგრაფი


მესხიშვილთა საოჯახო წიგნსაცავს დიდი ხნის ისტორია აქვს. მას  
ჯერ კიდევ ამ ოჯახის შორეულმა წინაპარმა — გრიგოლ მესხიშვილმა<sup>6</sup>  
ჩაუყარა საფუძველი. მის ზრდასა და შევსებაზე ზრუნავდა გრიგოლის  
შვილი ალექსი. მრავალ ნუსხათა გადამწერ-გამმართავი, მომხატავი  
ალექსი, ამასთან ხელნაწერთა შეკრებისა და მათი მოვლა-პატრონობის  
დიდი ინიციატორი იყო. მის ბიბლიოთეკას ამშვენებდა იოანე ბერას  
მიერ 973-976 წწ. გადაწერილი შატბერდის კრებული, რაზედაც მიგვი-  
თითებს ალექსისეული მინაწერი ხელნაწერ 1-რ-ზე. იგი მესხიშვილების  
წიგნსაცავის სხვა ხელნაწერებთან ერთად გადაეცა ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას<sup>7</sup>.

დავით ალექსის ძე მესხიშვილი ამ სახელოვანი ოჯახის საუკეთესო  
წარმომადგენელია. მან თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა

<sup>6</sup> ი. გაჩეჩილაძე, XVIII—XIX სს. ქართველ კალიგრაფთა მოღვაწეობა (მესხი-  
შვილთა კალიგრაფიული სკოლა და მათი საოჯახო წიგნსაცავი), სადისერტაციო ნაშ-  
რომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ-  
ლად, 1975, გვ. 43—44.

<sup>7</sup> დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტში შიფრით S—1141.

ეს წიგნი მწიფის მაღალ ვიწრო შიშველით, აქვს მისი  
 ქსისი ხე ვახუშის საშუალო რეკტორი ს. პეტრიაშვილი  
 ის არის ღმრის წიგნი შინა წიგნი ანაბ სახეი წიგნი 1-ე  
 შიშველი შეუქმნილია 2-ე უახრ კამას წიგნი ვაჭიანი  
 3-ე უახრ კამას წიგნი მის შექმნილია



დავით მესხიშვილის ავტოგრაფი

ქართული კულტურისა თუ ლიტერატურის განვითარების თითქმის ყველა მნიშვნელოვან დარგში. იგი თელავის სემინარიის რექტორი იყო, ამიტომ ხშირად დავით რექტორად იხსენიებენ. ასევე უწოდებს იგი თავისთავს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებშიც.

ცნობილია, რომ დავით რექტორს თბილისში საკმაოდ დიდი წიგნსაცავი ჰქონდა, რომელიც განადგურებულა 1795 წლის 22 სექტემბერს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს. ამ წიგნსაცავის კატალოგი მასვე შეუდგენია 1810 წლის 21 სექტემბერს<sup>8</sup>.

1838 წელს კატალოგის ფრანგული თარგმანი პირველად მ. ბროსემ გამოაქვეყნა, როგორც თავად ციციშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი, ხოლო როდესაც იპოვა დავით რექტორის კატალოგის ავტოგრაფული ნუსხა, 1872 წელს იგი მეორედ გამოაქვეყნა. მეორე გამოცემას მ. ბროსემ დაურთო დავით რექტორის წინასიტყვაობის ფრანგული თარგმანი და ხელნაწერის მოკლე აღწერილობა. კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის ზუსტი აღწერილობა დაბეჭდა მ. ბროსეს შვილმა, ლორან ბროსემ 1887 წ.<sup>9</sup>

<sup>8</sup> ტ. რუხაძე, ვინ არის „ძველი ქართული მწერლობის კატალოგი“ ავტორი? „ლიტერატურული საქართველო“, 1940, 24 იანვარი, № 3.

<sup>9</sup> გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი 1974, გვ. 10.



1894 წელს კატალოგი გამოაქვეყნა ალ. ცაგარელმა, როგორც **ქვეყნის ენობრივი კატალოგი**<sup>10</sup>.

დავით მესხიშვილის წიგნსაცავის კატალოგის ავტორად დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში H-46 შიფრით.

მესხიშვილის საოჯახო წიგნსაცავის შესახებ ცნობებს ვპოულობთ როგორც ქართულ ხელნაწერთა მინაწერებში, ასევე ძველი ქართული პერიოდიკის ფურცლებზე.

გაზ. „მწყემსი“ (1886, № 29) ათავსებს ცნობას ძველი წიგნებისა და ხელნაწერების შესახებ. მათ შორის დავით რექტორის წიგნების ბაზრობაზე გაყიდვის შესახებ.

გაზ. „ივერიაში“ (1887 № 39) პ. უმიკაშვილი მესხიშვილთა ბიბლიოთეკის შესახებ წერს: „...ამბობენ, ეს უკანასკნელი ბიბლიოთეკა ქართული წიგნების გაყიდვის დროს ცხრა ფუთი გამოვიდაო. დანარჩენი წიგნები აქა-იქ გაფანტულა“.

გაზ. „ივერიაში“ (1888 წლის ნოემბრის 9, 11, 12, 13 და 2 დეკემბრის ნომრები) გამოქვეყნებულია მესხიშვილთა წიგნსაცავის ხელნაწერთა სია, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა მ. დ. ალექსი-მესხიშვილმა<sup>11</sup>. სიაში 62 ხელნაწერია ჩამოთვლილი. მათ შორის არის ზემოთ დასახელებული შატბერდის კრებული S-1141. ამათგან დიდი ნაწილი მესხიშვილების ოჯახის წევრების მიერ არის გადაწერილი. თითოეულს ახლავს მოკლე აღწერილობა. ამჟამად ყველა ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში S — 1128-დან 1189-მდე შიფრით<sup>12</sup>.

გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა იოანე მესხიშვილის<sup>13</sup> მეტად საინტერესო წერილი:

„განსვენებულის მამისჩემისაგან მე ხშირად გამიგონია, რომ ჩვენს საგვარეულოში მრავალი ხელთ-ნაწერი ძველი წიგნები იპოვებოდა, მე თვითონ ჩემს თვალთ მინახავს განსვენებულის ბიძაჩემის ტარასის

<sup>10</sup> Ал. Цагарели, Сведения о памятниках груз. письменности, т. 1, вып. III. СПб. 1894, стр. 252—266.

<sup>11</sup> მიხეილ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი დავით რექტორის ძმის — სოლომონის შვილიშვილია.

<sup>12</sup> იხ. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, ტ. 2, 1961, გვ. 16—89.

<sup>13</sup> იოანე დიმიტრის ძე მესხიშვილი დავით რექტორის ძმის — სოლომონის შვილიშვილია.

სადგომში (წმინდა დარიას) ერთი დიდი თახჩა სავსე წიგნებით, სულ, რასაკვირველია, ხელთ-ნაწერით, სად ჩაინთქა იმოდენა სიმდიდრე წიგნებისა, როგორათაც ტარასისა, აგრეთვე მართლად ჩვენის საგვარეულო სი, უწყის ღმერთმან და იციან მათ, ვისაც იგინი დაუტაცნიათ. მართალია, არც მამიხიმის ორი განჯინა და ერთი ზანდუკი, გავსილი ძველებურის წიგნებით ჩამორჩებოდნენ უკან ტარასის წიგნებს, მაგრამ მათაც ის სნება დაემართათ, რაც სხვებს ემართებოდათ. ესე იგი, ჩვეულებისამებრ თხოვნა ღროებით წიგნებისა და მათი გაქრობა. ამ წელს ივნისში მომიხდა მე თელავში წასვლა. პირველი მოკითხვა ჩემი იყო წიგნების თაობაზედ. აღმოჩნდა, რომ იმ აუარებელ წიგნებში იპოება მხოლოდ 55 წიგნი. სხვებისა კი მიაბნეს, რომ რომელიც უფრო საინტერესო იყო, აღრევე წაეღო ერთს ბერს ღროებით (გვარს არ ვაცხადებ) და ის ღროება გადაქცეულიყო საბოლოოთ და წიგნები, რასაკვირველია, უკან აღარ დაბრუნებულყვნენ. აგრეთვე აღარსად ჩანს „კიბე ცხოვრებისა“ დავით რექტორისა. „კიბე ცხოვრებისა“ იყო ნახატი თითქმის ათს თაბახზედ, ჩამოსაკიდი კედელზედ. მხატვრობა როგორითაც მე მახსოვს, წარმოადგენდა ორგვარ კიბეს 80 საფეხურით, პირველს საფეხურზედ, რომელიც აღიოდა ზევით, იღვა ერთის წლის ბავშვი, მეორეზედ ორი წლისა, მესამეზედ მესამისა, ტანიც წლოვანებას შეეფერებოდა. ამგვარად აღიოდა საფეხური ვიდრე შუამდე, სადაც იყო გამოხატული ახოვანი შავ წვერიანი კაცი, აბჯარ მოსილი, გადაჯვარედინებულ ფეხებით, მარცხენას ხელში ეკირა მას დაბჯენილი შუბი და მარჯვენა ხელში სასწორო. შემდეგ ამისა, საფეხური ეშვებოდა ძირს ვიდრე 80 წლამდინ, აქაც იყო გამოსახული მოხუცი კაცი მოდრეკილი წელში, თეთრის თმით და გრძელის თეთრისავე წვერით, დაბჯენილი ორსავე მხრივ ყავარჯენზედ. სურათები წლოვანობის გამო ცვლილებით იყვნენ გამოსახულნი. კიბეს ირგვლივ ევლო ვარაყიანი და ფეროვნებით შემკული, ერთიერთმანეთზედ გადაგრებილი ვაზის ფოთლები და მუხისა თუ დაფნისა აღარ მახსოვს. კიბის ძირს იყო შენიშვნა, სადაც იხსნებოდა კაცის თვისება და მიდრეკილება წლოვანობის გამო, ასე რომ, წელიწადის მომატება, ანუ კიბეზედ ასვლა და აგრეთვე ჩამოშვება, რას უმატებდა კაცს ან აკლებდა, ხსნიდა ის შენიშვნა. მხატვრობა იყო მართლად კარგი სანახავი და თითქმის უწყუნარი, რომ კიდევ არ შევებოთ იმ ძველებურს ძვირფასობას. მომეტებული ნაწილი დაკარგულის წიგნებისა იყო თხზულება დავით რექტორისა და ამ 55 წიგნშიაც უფრო მისივეა. სხვათა შორის, მაქვს მე ამჟამად მშვენიერი სპი-

ლოს ძელის ქანდრაკი გამოქანდაკებული, ოქროს საათი და პანტონო  
დურბინდი, ნაბოძები, ვგონებ მეფე გიორგისაგან დავით რექტორისა  
დმი. ამ ზემოხსენებულ წიგნებს ვუძღვნი მე საზოგადოებას, რომელსაც  
ავრცელებს ქართულ ენას. უმორჩილესადა გთხოვთ, ბატონო რექტო-  
რო, თუ შესაძლებელი იქნება, მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩემს  
შენიშვნას ადგილი. აი, სია წიგნებისა:

1. ზედ დადგინება მეტაფიზიკისა;
2. პანტონ, 3. თეატრონ პოლი-  
ტიკა, 4. განჩხრეკა საზოგადოდ კაცთა სახისა (ლეოლრაფია); 5. ტროა-  
დის დარღვევა; 6. იოანე დამასკელის კატელორია. 7. მონტესკუ, I და  
II ნაწილი. 8. აღწერა საცხოვრებელთა ადგილთა, ზნეთა, ჩვეულება-  
თა, ჰსჯულთა და სხვ. აფრიკელთა არაბთასა, რომელნიც იწოდებიან  
ბედუინად. 9. სულიერი სასარგებლო სწავლა. 10. ფრიდოლინი. 11. შე-  
მოკლებული მოთხრობა ცხოვრებისა და მოქმედებათა, მუსულმანთაგან  
წინასწარმეტყველად აღსარებულის მახმედისა, სიძისა მისისა ალიასი და  
შვილთა ამა ალიასათა და უსენისა. 12. ანდაზები ბალაკირევისა. 13. აღ-  
წერა დღეთა კვიმატთა, რომელ არს პეტრიკონი საეტლოთა და სამ-  
თავრიოთა. 14. მოკლე მწყემსებრივი სწავლა აცრისათვის. 15. სიკვ-  
დილი დიდ მოურავისა სააკაძისა. 16. ანტონისა მიერ არხიეპისკოპოზისა  
დავითიანისა კატელორიათა არისტოტელითად შეყვანილობა. 17. ტაძარ-  
ი წმინდისა სოფიასი. 18. აღწერა ქალაქისა ღვთისა იერუსალიმისა.  
19. ძნელად საპოვართა ნივთთა სახსოვარი. 20. ძღვევისათვის მტერთა  
ზედა ქრისტესა მოსასელისა მხედრობისათა. 21. ელეონისა კასტილიუ-  
რი. 22. შესხმანი სხვადასხვა დღესასწაულთა ზედა, გალექსილნი. 23.  
სახსოვარი იშვიათ საპოვართა ქმნულებათა. 24. აღწერა აია სოფიას  
დიდებულის ტაძრისა. 25. რომელნიმე სულისა სასარგებლონი მოთხ-  
რობანი. 26. სხვადასხვა მოთხრობა. 27. ლილიმარა კურასი. 28. აღწერა  
სამხედროთა მოქმედებათა ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისა.  
29. ქართლის ცხოვრება. 30. განყოფილება ღვთისმეტყველებისა. 31.  
იოანე ჯანბაკურ-ორბელიანისა ქართველთა მსაჯულისა მიერ სიტყვაე-  
ბა (კავშირი). 32. საზოგადო რეგლამენტი. 33. აღწერა წამებისა ქეთევან  
დედოფლისა, 34. ძუნწი ისტორია ეგვიპტელთა, კართაგენელთა, ასი-  
რიელთა, ბაბილონელთა და სხვათა ტომთა. 35. ცხოვრება ესოპესი.  
36. მარწუხი ანდერძი მშრომელისა. 37. მოხსენების წიგნი. 38. ცხოვ-  
რება საქართველოს მეფის ირაკლის II-ს. 39. აღწერა ვნებათა ლარ-  
გვისის არხიმახდრიტის პაფნოტისა. 40. ისტორიული გამოხატულება  
საქართველოსი. 41. მოხრება ქალაქის თბილისისა სპარსეთის ყაენის





ყაჯარის აღამაჰმადხანისაგან. 42. აღსნა პორფირისა შეყვანილუებისადმი. 43. ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი ანანდრაისი, რომელმაც დააარსა სალოს ქრისტესათვის. 44. ინსტრუქცია ჩვენდა მომართთა მახლობელთა ადგილებთა. 45. უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების. 46. ჩარდავრიშინი. 47. რიტორიკა სევასტიანისა. 48. დაუჯდომელი. 49. წინასიტყვაობა ფილოსოფოსისათვის და ნახულთა მისთა. 50. აღსარების წიგნი. 51. ეპისტოლი ავგაროზ მთავრისა. 52. მოკლე აზრი ყოველთათვის სწავლათა საჭმარად ყრმათა საქართველოსათა. 53. სინდისის წიგნი. 54. ვინ იყვნენ ეპისკოპოზნი, ანუ საილამ იწყებიან საქართველოსა შინა. 55. უსახელო ნარევი წიგნი<sup>14</sup>.

დავით რექტორის ხელნაწერების ნაწილი დადიანების საოჯახო წიგნსაცავსაც ამშვენებდა. ამის შესახებ პ. უმიკაშვილი ეურ. „ივერიაში“ (1877, № 39) წერდა: „გადაწერილი წიგნები დავით რექტორისა მრავალია, როგორც გაგვიგონია ბევრი ამ ხელნაწერებიდან ანჩისხატის დეკანოზს დიმიტრის ჰქონია და მერე გრიგოლ დადიანს წაუღია. ამას გარდა ყოფილა კიდევ სხვა მესხიევის ოჯახში, საიდანაც ამ რამდენიმე წლის წინათ გაფანტულ-გამოფანტულა თუ სახლებში და თუ ქალაქის მყიდავ მეწვრიმანეებში...“<sup>15</sup>.

დავით რექტორისეულ ხელნაწერებს რომ მართლაც დადიანების საოჯახო წიგნსაცავში დაუდევიათ ახალი ბინა, ეს ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდანაც დასტურდება.

1. საეკლესიო კრებულის S—358 (გადაწერილია 1735 წელს ზებედეს მიერ) ზემო ყდის საცავი ფურცლის V-ზე ვკითხულობთ: „ეს წიგნი მისის მალალკეთილშობილების ალექსის ძის ალექსოვის, სრულიად კახეთის სამეფოს რექტორის, სიბრძნის მოყვარის დავითისა არის“.

იქვე დავით დადიანის ხელით არის მინაწერი:

„უფალო, მალალკეთილშობილად თავისა განმადიდებელო, დავით! ჰგონებ შენსა უფროსად სიბრძნის მაჩვენებლობის ნდომასა, ვიდრეღა სიბრძნის მოყვარეობისასა. დავით (დადიანი)“.

2. ვასილი დიდი, ექვსთა დღეთა (S—272), გადაწერილი 1799 წელს დავით რექტორის მიერ. ამის შემდგომ ხელნაწერი დადიანთა ოჯახში

<sup>14</sup> გაზ. „დროება“, 1883, № 3.

<sup>15</sup> ეურ. „ივერია“, 1877, № 39.



მოხვედრილა, რასაც მოწმობს დავით დადიანის მინაწერი 392 გვერდზე<sup>16</sup>.

აღსანიშნავია, რომ დავით რექტორის წიგნსაცავის შემესებ წყაროს სხვების მიერ გადაწერილი ხელნაწერებიც წარმოადგენდა. მაგალითად, იოსებ წინამძღვრის მიერ გადაწერილი ხრონოგრაფის (S—1377) 255 V-ზე ვკითხულობთ: ქ. ხრონოღრაფი ესე დავით რექტორისა არის“.

დავით რექტორის ბიბლიოთეკას ერეკლე მეფის საცავის ერთი ხელნაწერიც ამშვენებდა: „საულ-დავითიანი“, დიდი წიგნი ესე იყო მეფის ერეკლეს წიგნსაცავისა შინა“<sup>17</sup>.

დავით რექტორის წიგნსაცავი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის მსხვერპლი გახდა: ნაწილი გაიყიდა, ხოლო ნაწილი გაიბნა რუსეთსა თუ საქართველოში. მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. მაგრამ ამგვარი რუდუნებით შეკრებილმა საცავმა თავისი მისია შეასრულა. დავით მესხიშვილის ზრუნვის შედეგად ქართულ მწერლობას შემოენახა მრავალი ნუსხა, რომელიც დღესაც ამშვენებს ჩვენს სიძველეთა საცავებს.

წინაპართა ნააზრევის ერთად თავმოყრა, მისი მოვლა-პატრონობა ეროვნული კულტურის შესვენურთა წმინდათა-წმინდა ვალია და ეს ვალი დავით რექტორმა (მესხიშვილმა) პირნათლად შეასრულა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

თ ბ ი ლ ი ს ი

<sup>16</sup> მინაწერის ტექსტი ვრცელია, რის გამოც მას არ ვუბრთავთ.  
<sup>17</sup> ა. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული კატალოგის № 247, იხ. Ал. Цагарели, сведения о памятниках груз. письменности, т. I, вып. III. СПб., 1894, გვ. 265.

\* \* \*

მეგობრებო! ჩემს ბინაში  
რომ მოდიხართ ასე ხშირად,  
ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე,  
მაგრამ გეტყვით პირდაპირად:  
თუ არა გსურთ, რომ ჩვენს შორის  
უძრახობა ჩამოვარდეს,  
სურნელება ჰქონდეთ შმორის  
ჩვენს გულეებში დარგულ ვარდებს,  
თუ არა გსურთ, მძლედ და უხმოდ  
დაძიჩაგროთ პოეტს გული —  
წიგნებს ნუ მთხოვთ! წიგნებს ნუ მთხოვთ!  
შეისმინეთ ჩემი თქმული...  
წიგნს შევწირე მე ოჯახი,  
გამიჩინა გულს იარა, —  
მთხოვე, რაც გსურს,  
მთხოვე, რაც გსურს,  
პერანგს მოგცემ, წიგნს კი არა.

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 101



# ქივიანი



## იოანე პეტრიწის უცნობი თარგმანები

იოანე პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული: მისი ერთი ნაწილი დაკარგულია, ნაწილიც საძიებელია ძველ ქართულ ხელნაწერებში. დღეს არავისთვის არ არის საეჭვო, რომ ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს ბერძნულიდან ქართულად უთარგმნიათ სვიმეონ ლოლოთეტისა და იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული საკითხავები. მაგრამ რაკი ამ საკითხავთა უმრავლესობას არ ერთვის (ან არ უძღვის) მთარგმნელთა ვინაობის მაუწყებელი ანდერძები და ზედწარწერილები, ამიტომაც ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, ვინ რომელი თხზულება გადმოაქართულა. ერთი რამ ცხადია: ეფრემ მცირეს დიდი წვლილი უდევს სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასულ თხზულებათა თარგმნაში<sup>1</sup>, რაშიც მას აქტიურ დახმარებას უწევდა არსენ იყალთოელი<sup>2</sup>. იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასების მთარგმნელად კი კ. კეკელიძე 1918 წელს ვარაუდობდა იოანე პეტრიწს<sup>3</sup>. „კიმენის“ პირველი ტომის შესავალ ნარკვევში იგი წერდა:

როდესაც „დამთავრდა სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასების ქართულად თარგმნა, იოანემ საჭიროდ დაინახა ამ შრომის გაგრძელების — ქსიფილინოსის მეტაფრასების გადმოქართულება, რაც თვითონვე იკისრა და შეასრულა კიდევაც. რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, რომ ყველა ის ცხოვრება-ქადაგებახი, რომელიც სამ უზარმაზარ ტომად ინახება გელათში და კათალიკოზ ევდემონის ბრძანებითაა გადაწერილი, იოანე ქსიფილინოსს ეკუთვნის და იოანე პეტრიწის მიერაა თარგმნი-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 212—226; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 261 (ქვემოთ ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობ).

<sup>2</sup> ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 45—48.

<sup>3</sup> კიმენი, I, კ. კეკელიძის რედაქტორობით, 1918, გვ. XXV—XXX.

ლი; შესაძლებელია, შემკრებლებმა და გადამწერლებმა ბევრი რამ ისეთი შეიტანეს ამ კრებულში, რაც არც ქსიფილინოსს და არც პეტრიწს ეკუთვნის. ეს საგანგებო გამოკვლევას თხოვლობს; ამჟამად შეუძლებელია საკმაოა ამ ისტორიულ-ლიტერატურული დებულების მიღება და შეწყნარება, რომ იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასები ქართულად უთარგმნია იოანე პეტრიწს მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მეფე დიმიტრი პირველის დროს“ (გვ. XXX).

შემდეგში კ. კეკელიძემ ეს მოსაზრება ნაწილობრივ შეცვალა: სვიმეონ ლოლოთეტის თხზულებათა გადმოქართულებაში იოანეს მონაწილეობა შესაძლებლად სცნო, სამაგიეროდ ქსიფილინოსის კრებულის მთარგმნელის შესახებ განაცხადა, რომ: „დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ვინ გადმოთარგმნა ეს კაპიტალური შრომა, მაგრამ, თუ თარგმანის ხასიათს გავითვალისწინებთ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გამოსულია პეტრიწონის სალიტერატურო სკოლიდან და იოანე პეტრიწის ერთ-ერთ მახლობელ შეგირდს ეკუთვნის“<sup>4</sup>.

ხოლო 1938 წელს პ. ინგოროყვამ აღნიშნა, რომ მეტაფრასების კრებულის ერთი ნაწილი (სახელდობრ, ველათურ № 2 ხელნაწერში მოთავსებული თარგმანები) „იოანე ფილოსოფოს ჭიმჭიმელს ეკუთვნის“-ო<sup>5</sup>. თუ დავუშვებთ, რომ ჭიმჭიმელი და პეტრიწი ერთი და იგივე პირია, მაშასადამე, პ. ინგოროყვას მიერ ნავარაუდევეი ნაწილის მთარგმნელად უნდა ვცნოთ იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი.

სამწუხაროდ, კ. კეკელიძისა და პ. ინგოროყვას ფრიად საგულისხმო მოსაზრება, რომელსაც საფუძვლად უდევს ანგარიშგასაწევი ლოგიკური წანამძღვრები, ჯერ კიდევ დოკუმენტურად არ არის დადასტურებული, რის გამოც მხოლოდ ნაწილობრივია გარკვეული საკითხი — რა წვლილი მიუძღვის იოანე პეტრიწს ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიაში.

XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონი წერდა, რომ იოანე პეტრიწმა „მრავალნი შესხმანი წმიდათანი ბერძულისაგან ქართულად გარდამოიღო“<sup>6</sup>. ამასვე შენიშნავდა XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბაგ-

<sup>4</sup> კ. კეკელიძე ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 506.

<sup>5</sup> პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 66.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ეტოუდები, I, 1956, გვ. 279; იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსცა ი. ლოლაშვილმა 1968, გვ. 12.

რატიონი<sup>7</sup>. მაგრამ ეს „მრავალნი შესხმანი წმიდათანი“ ჯერაც არ არის აღმოჩენილი, თუმცა მათგან ზოგიერთი მეტაფრასული საკითხველი „ცხორება თეოდორა ალექსანდრიელისა“ და მერკვირის, ბარბარესა და ზოსიმეს „წამებანი“ მეცნიერებისათვის ცნობილია. ახლა ამ რამდენიმე საკითხავს ემატება ორი სხვა თხზულებაც — „ცხორება წმიდათა შორის მამისა ჩუენისა კონსტანტინუპოლელ მთავარეპისკოპოსისა ნიკიფორე აღმსარებელისა“<sup>8</sup> და „სიტყუა ექსორიობით აღმოყვანებისათჳს სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა“<sup>9</sup>. ეს თხზულებები ბერძნულ ენაზე დაწერა ნიკიფორეს მოწაფემ — ეგნატე დიაკონმა, რომელიც IX საუკუნეში მოღვაწეობდა. ბიზანტიურ მწერლობაში იგი ითვლება ერთ-ერთ ცნობილ ჰაგიოგრაფად. „ნიკიფორეს ცხოვრების“ გარდა მას შეუთხზავს „ცხორებანი“ ტარასი პატრიარქისა და გრიგოლ დეკაპოლიტი-სა. მასვე მიეწერება ენკომიები და წერილები<sup>10</sup>. მის თხზულებათა ქართულად თარგმანები ჩვენამდე მოღწეულია გელათური ხელნაწერებით. მათი ტექსტები გამოუცემელია.

\* \* \*

ნიკიფორე პატრიარქი VIII-IX საუკუნეების გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი და საეკლესიო მოღვაწეა<sup>11</sup>. დაიბადა 750 წელს, იმპერატორ კონსტანტინე მეხუთის (741-775) დროს. მამამისი თეოდორე იყო ხატთაყვანისმცემელი, რის გამოც სდევნიდნენ კიდევ, მაგრამ ამისდა მიუხედავად სიკვდილამდე ერთგულად მსახურობდა კონსტანტინოპოლში სასახლის ნოტარიუსად. ნიკიფორემაც თავისი კარიერა სასახლის მწერლის თანამდებობიდან დაიწყო. 787 წელს მან მონაწილეობა მიიღო ირინა დედოფლის ინიციატივით ხატმბრძოლთა (ანუ უხატოთა) წინააღმდეგ გამართულ საეკლესიო კრების საქმიანობაში, შემდეგ კი საერო სამსახური მიატოვა და ბერად აღიკვეცა.

ნიკიფორემ ჭაბუკობაშივე კარგი განათლება მიიღო: შეისწავლა

<sup>7</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 174.

<sup>8</sup> გელ. 3, ფ. 7—40 (ბერძნული ტექსტი გამოცემულია კარლ ბორის მიერ: Nicephori archiepiscopi Constantinopolitani opuscula historica, edidit C. de Boor. Accedit Ignatii diaconi Vita Nicephori, Lipsiae, 1880, S. 139—217.

<sup>9</sup> გელ. 2, ფ. 172—205.

<sup>10</sup> Hans-Georg Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, München, 1959, S. 511—512.

<sup>11</sup> Е. Э. Липшиц, Очерки истории византийского общества и культуры, М.-Л., 1961, с. 268—296.

საღმრთო და საერო ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა და მათემატიკა. აი, რას წერს მისი ბიოგრაფი ეგნატე დიაკონი (ტექსტს ვეძებ): ძველქართული თარგმანის მიხედვით):

ნიკიფორე დაეუფლა იმ საგნებს, „რაოდენი ღრამმატიკოსობისათვის არს და მისისა კერძოსა და ორლანოსა“, ასევე — „რაოდენი რიტორულთა მრავალ-გმათა ბარბითთა ტკბილ-ავაჯობისა და დამსულებელობისათვის იჩუენა“; მათგან სასარგებლო რამ შეიწყნარა, ხოლო „დაუტევა“ ის, რომელიც „აღმწამობს მესიბრძნეობითისა ცულ-ზღაპრობისა და მომზრახობისა მიმართ“; სამაგიეროდ, „კეთილგანმრჩეველობისათვის ენისა სიწმიდისა შემაწყობელობისა სიტკბო და მახარებლობა შოიძარჯვა და მსწავლელობითობისა (მათემატიკის) ოთხეულ მოქცეველობისათვის, რომელმან განწიადებულთა შემცველთა და განმსაზღვრებელთაგან მიიღო შემტკიცება, რამეთუ: ანუ იძრვის და ჰყოფს ვარსკულავთ-მრიცხუველობასა (ასტროლოგიას), ანუ უძრაობს და ჰყოფს ქუეყანის-მზომელობასა (გეომეტრიას), ანუ კუალად მოწლეობასა შორის არს და მოქმედებს მუსიკელობასა, ანუ უშოწლეო არს და ჰყოფს მრიცხუველობასა (არითმეტიკას), რომელმან მხარკეობით წარვლა ამან, ვიდრე ყოველთა წილ ერთისა და ერთისა წილ ყოველთა მომღუაწელისა ყოველთა შინა უპირატესობისა მომფრდელობამდე“... შემდეგ იგი „ამათ ოთხთა მხეველთა (იგულისხმება ზემოთჩამოთვლილი ოთხივე საგანი, ი. ლ.) ნამდვილისა ხელოვნებისათა ეზრახა რამ განცხადებულად, ამათისა დედოფლისადმი, ვიტყვ ფილოსოფოსობისა და ამისთანათა ხედვათა, მზაობით მოვლო უცთომელად და, თუ რომელნი და რაოდენნი არიან საზღუარნი მისნი, სიმშვიდით გამოიკულისა“ (გვ. 8—9).

ეს ნიშნავს: ნიკიფორემ დიდი მონღომებით აითვისა მათემატიკური საგნები — ასტროლოგია, რომელიც სწავლობს მოძრავ სხეულებს; გეომეტრია, რომელიც სწავლობს უძრავ სიბრტყეს; მუსიკა და არითმეტიკა, რომელნიც ფილოსოფიას ემსახურებიან. მერმე ხელი მიჰყო ამ ოთხი მხეველის დედოფლის, ანუ ფილოსოფიის შესწავლას და წყნარად გამოიძია, „რამ არს ფილოსოფია“, მისი საგანი და რამდენგვარია მისი განსაზღვრება<sup>12</sup>. მაგრამ მათ შორის ყველაზე მალლა დააყენა ღვთის-

<sup>12</sup> შტრ.: А. П. К а ж д а н, Книга и писатель в Византии, М., 1973, с. 54.



მეტყველება: „მუსიკური შეაწყობ ბარბითი არა პითალორა სამიღვლე-საებრი, არცა მაცთურისა არისტოქსენისაებრი, არამედ აუფერფლეს ასერგასძალედი (150-ძალიანი ებანი ანუ ფსალმუნნი) და მისი მარადის მცემელი“ — დავით წინასწარმეტყველი (გვ. 8).

806 წელს გარდაიცვალა კონსტანტინოპოლის პატრიარქი ტარასი, „ეთერული (ჰაეროვანი) ესე კაცი, ქუეყანასა შინა მცხოვრებელი და ანგელოზთა სწორებული“ (გვ. 10). მისი სურვილის თანახმად ნიკიფორე იმპერატორმა (802—811 წწ.) პატრიარქად დაადგინა თავისივე თანამოსახელე ნიკიფორე. ამ ახალმა მწყემსთმთავარმა მაშინვე დაიწყო ხატმბრძოლთა შევიწროება, რის გამოც მრავალი ხატთაყვანისმცემელი მიიმხრო კიდეც.

811 წელს ბულგართა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა ნიკიფორე იმპერატორი. „შემდგომად მისა მეფე იქმნა სტავრაიკოს, ძე მისი, ორ წელ და დღე რაოდენიმე. და მის შემდგომად (813 წელს, ი. ლ.) განმეფნა მიხაილ, სიძე მისი, და მერმე (იმავე წელს, ი. ლ.) — სომეხთ ნათესავთ შთამომავალი ლეონ“ (გვ. 13)<sup>13</sup>.

ლეონ კეისარმა როგორც კი თავზე გვირგვინი დაიდგა, მაშინვე ნიკიფორე პატრიარქისა და ხატთაყვანისმცემელთა საწინააღმდეგოდ დაიწყო მოქმედება: ჯერ გაასამართლა ნიკიფორე, როგორც მეფის ურჩი, პატრიარქობიდან გადააყენა, სამეუფო ქალაქიდან გააძევა და შორეულ მონასტერში გამოამწყვდია ბერად; შეიპყრო მისი ერთგული ეპისკოპოსებიც და ყველა დასაჯა. 815 წლის 13 მარტს საპატრიარქო საყდარზე ავიდა თეოდორიტე მელისინი, რომელმაც მაშინვე საეკლესიო კრება მოიწვია, 787 წლის კრების განჩინება დაგმო და 754 წლის ხატმბრძოლთა გადაწყვეტილება აღადგინა. ქალაქში გამეფდა უსასტიკესი რეაქცია, რასაც მოჰყვა ეკლესიების დარბევა და ხატთაყვანისმცემელთა აწიოკება. მოვუსმინოთ ეგნატე დიაკონს, მომხდარი ამბების თვითმხილველსა და თანადამხედურს:

ჭეშმარიტი მლოცველნი, „მწვალებელთა შიშისათვის დამფარველნი ხატთანი“, ვერ ითმენდნენ ხატმბრძოლთა თავხედობას, „მრავალ-გზის ცრემლითა აღპრევდიან ვერ-მომთმენელნი საქმისა მის საძაგელებისანი, რამეთუ: ყოვლითა მნებებელისად წმიდათა სახეთა გინება მიშვებულ იყო, ვინამა რომელნიმე პატიოსანთა ჭურჭელთა ითხვედეს, სხუანი სამლდელოთა პატიოსანთა შესამოსელთა წულილ-წულილად განმბძარ-

<sup>13</sup> Источн Византии, II, М., 1967, с. 65—79.



ველნი ქუეყანად დაპყრიდეს, სხუანი ფიცართა ზედა დაწერილთა, საკუთებელთ აღმომკრელნი უბანთა შორის უგბილად დასწავრიდეს. სხუანი მყარლთა და უშუერთა საცხებელთა მიერ საკუმეველთა წარწირვათა წილ შეამწიკულედეს. და იყო სახილველ დათრგუნვილება საღმთთა ტაძართა შესაწირავებისა, ვითარ ტყუეობასა. იყენეს სახილველ მრავალთად შეუხნი და უხილავნი: კელებითა ბილწებითა — ზიდულ და ყოველთა სახილავისა წინადადებულ; მწყემსნი და მამანი და მოყუასნი — განჯდილ და წერტილ, და დილეგთა გამოუვალთა წყუდეულ და ვიდრე სიკუდილადმდე გრძელთა ტკივილთა მთმენელ. და რომელნიმე — მახვილითა სიცოცხლით ზღუეულ, ხოლო სხუანი ძაძებითა ქვათაებრ წყალთა დანთქმულ. და დედანი — სახილველად მამათა განხმშულეზულ და დასჯილთაებრ განრთხმულ და გუემულ და ყოველსავე ქრისტეს ხატისათჳს მენითა ცნობითა მომთმენელ. და ამათ ვიდრემე საღმრთოთა და პატიოსანთათჳს ჭეშმარიტების მოძულე ლეონ აჩუენებდა“ (გვ. 32—33).

ერთი სიტყვით, ლეონ კეისრის პოლიტიკა იყო მკაცრი და ტერორისტული. ამან ხალხში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, მალე შეიქმნა შეთქმულთა ორგანიზაცია, რომლის მოთავეებმა 820 წლის 24 დეკემბერს მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება: ლეონი მოკლეს და სამეფო ტახტზე დასვეს მიხეილ ტრაველი (ენაჩლიკი).

რაც შეეხება ნიკიფორე პატრიარქს, ის ამ დროს კვლავ ექსორიაში იმყოფებოდა: ჯერ — მის მიერ „აღშენებულსა მონასტერსა აღათოსა“, შემდეგ წარავლინეს „უშორესად მის მიერვე დამტკიცებულსა ვანისადმი დიდისა მოწამისა თეოდორესსა“, სადაც 829 წელს გარდაიცვალა კიდევ.

ნიკიფორე მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში დაუცხრომლად იბრძოდა ხატთაყვანისმცემელთა უფლებების აღდგენისათვის და უშიშრად ამხელდა ხატმბრძოლთა და თვით ლეონ მეფის ვერაგულ საქმიანობას: ისტორიულ და დოგმატიკურ-პოლემიკურ ნაშრომებში მკაცრად აკრიტიკებდა ხატმბრძოლთ და თავისი მიზნისადმი იჩენდა პრინციპულობასა და ერთგულებას, რითაც თანამოაზრეთა შორის მოიხვეჭა მგზნებარე საეკლესიო მოღვაწის სახელი.

847 წელს, როდესაც ბიზანტიაში კვლავ აღდგა ხატთაყვანისმცემლობა, ნიკიფორეს ნეშტი მეთოდი პატრიარქის (843—847 წწ.) ინიციატივით გადმოასვენეს თეოდორეს მონასტრიდან კონსტანტინოპოლში და დაკრძალეს წმიდა მოციქულთა ეკლესიაში. ამ ისტორიულ ფაქ-



ტთან დაკავშირებით მისმა მოწაფემ ეგნატე დიაკონმა შეთხზა მჭევრ-მეტყველური „სიტყვა ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა“, რომელიც, ალბათ, ჯერ ზებირად წარმოითქვა და შემდეგ ლიტერატურულადაც გაფორმდა. ეს სიტყვა შემკულია მითოლოგიური ტერმინებითა და სახელებით, რომელთაც ქართულ თარგმანში ერთვის ვრცელი კომენტარები. სამწუხაროდ, მის ბერძნულ დედანს ვერ მივაგენი<sup>14</sup>.

\* \* \*

ვინ არის ეგნატე დიაკონის თხზულებათა მთარგმნელი?

ქართულ მეტაფრასულ კრებულებს ამის შესახებ ცნობა არ მოეპოვებათ, თარგმანთა სტილისტური ანალიზი ადასტურებს, რომ ორივე ძველი გადმოქართულებულია ერთი პირის მიერ. მთარგმნელი პეტრიწული მთარგმნელობითი მეთოდის მომხრეა: ფრაზები გადმოაქვს მიმღობური კონსტრუქციებით და ტექსტს ტვირთავს ვრცელი პერიოდული წინადადებებით, მითოლოგიური და ფილოსოფიური ტერმინებით და სიტყვაწარმოების ისეთი ნიმუშებით, რომელთაც უხვად ვხვდებით პეტრიწისა და მისი სკოლიდან გამოსული მწერლების შრომებში. ამ ნიმუშების მიხედვით ორივე თარგმანში კარგა ხანია ვხედავდი იოანე პეტრიწის სტილსა და ხელს<sup>15</sup>, მაგრამ მთარგმნელის ვინაობის დასახელება და მისი დასაბუთება მიჭირდა, რაკი საამისოდ ხელთ არა მქონდა ურყევი წინამძღვრები. უკანასკნელ ხანს ვიპოვე ერთი ძველქართული ბიბლიოგრაფიული ცნობა, რომლის მიხედვით, ვფიქრობ, საკითხი ეგნატე დიაკონის თხზულებათა მთარგმნელის ვინაობის შესახებ იოანე პეტრიწის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში S 2523 ნომრით ინახება არისტოტელის „პერიერმენეია“ (განმარტებისათვის), „მთარგმანებული და განმარტებული დავითის მიერ არმანთა ფილოსოფოსისა“<sup>16</sup>. ტექსტი გადმოქართულებულია სომხურიდან XVIII საუკუნეში, გადაწერილია „ქალაქსა ტფილისს გელითა დეკანოზის ალექსისძის, ანჩისხატის დეკანოზის, მლუღლის გიორგისათა... თთუესა მაისსა 28, განჯორციელებითგან სიტყუსა 1764“ (ფ. 116). მისი ერთ-ერთი მფლო-

<sup>14</sup> იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გვ. 117—119.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 121—122.

<sup>16</sup> S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, 1965, გვ. 49—50.



ბელი ყოფილა იოსებ გაბაევი, რასაც ადასტურებს ასეთი მინაწერი: „მაღლითა ყოვლად უსაზღვროსა ღთისათა ვისწავე წერა და დაბეჭდვა ამისთანა. ივნისის 20, წელთა 1815. იობიანთ ნათესავი, ძე დეკანოლისა (!), იოსებ გაბაევი“ (იქვე). ხოლო 118-ე ფურცელზე იკითხება: „ეს დიალიქტიკა (!) მამაჩემმა მომაბარა მე, იოსებს“. აი, ამ ხელნაწერს XVIII საუკუნის მხედრული ხელით იქვე ერთვის ასეთი შინაარსის მინაწერი:

„იოანე პეტრიწი ნიკიფორეს ცხოვრებაშია სწერს და მსწავლელობითობისა ოთხეულ მომქცეველობისათვის, რომელმან განწიადებულთა შემცველთა და განსაზღვრებულთა განმიიღო შემტაკიცება, რამეთუ: ანუ იძრვის და ყოფს ვარსკვლავთმრიცხველობასა, ანუ უძრაობს და ყოფს ქვეყნის-მზომელობასა, ანუ კვალად მოწლეობისა შორის არს და მოქმედებს მუსიკელობასა, ანუ უმოწლეო არს და ყოფს მრიცხველობასა“.

ვის ეკუთვნის ეს მინაწერი, არ ვიცით, მაგრამ ის კი ირკვევა, რომ მისი ავტორი ფილოსოფიაში განსწავლული პირი ყოფილა, რაკი იგი დაინტერესებულა არისტოტელეს თხზულებითა და „ნიკიფორეს ცხოვრების“ იმ ურთულესი ფრაზით, რომელშიც მოცემულია მათემატიკურ მეცნიერებათა დარგებად დანაწილება. ძველ საქართველოში ფილოსოფიის ექვსნაირი განსაზღვრება და მეცნიერებათა ანალოგიური კლასიფიკაცია კარგად იყო ცნობილი ამონიოს ერმისის (V—VI სს.) ფილოსოფიური თხზულების — „მოსავსენებელი ხუთთა ჯმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“—ს იოანე პეტრიწისეული ქართული თარგმანით (S 2562)<sup>17</sup>. ამ ძეგლში ვკითხულობთ:

„და მსწავლელობითი (-მათემატიკა) განიწვალების (-იყოფა) ოთხად: ქუეყანის-მზომელობისა (-გეომეტრიის) მიმართ, ვარსკვლავთ-მრიცხველობისა (-ასტროლოგიის), მუსიკობითისა და მრიცხველობითისა (-არითმეტიკის)“ (გვ. 93).

თუ „ნიკიფორეს ცხოვრებისა“ და ამონიოს ერმისის „მოსავსენებლის“ ციტატებს ერთმანეთს შევეუდარებთ, ცხადი გახდება, რომ მათ შორის არა მარტო აზრობრივი ერთიანობაა, არამედ ტერმინოლოგიური

<sup>17</sup> ი. ლოლაშვილი, „ფილოსოფიის განსაზღვრებათა“ ძველქართული თარგმანები (იბეჭდება კრებულში „ფილოსოფიური ძეგანი“).



დამთხვევაც. რასაკვირველია, ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მინაწერის ავტორის ცნობას („იოანე პეტრიწი «ნიკიფორეს ცხოვრებაში» წერს“) საფუძვლად უდევს რომელიღაც ძველი ხელნაწერი, რომელშიც აღნიშნული ყოფილა, რომ „ნიკიფორეს ცხოვრება“ ეკუთვნის იოანე პეტრიწს, როგორც მთარგმნელს.

ასე რომ, ახლა მაქვს საფუძველი დავასკვნა:

ა. ეგნატე დიაკონის თხზულება „ცხოვრება კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა ნიკიფორე აღმსარებელისა“ თარგმნილია ქართულად ბერძნულიდან იოანე პეტრიწის მიერ.

ბ. მისივე „სიტყუაჲ ექსიორობით აღმოყვანებისათჳს სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა“ გადმოღებულია ქართულად იმავე იოანეს მიერ, რადგან „ცხოვრება“ და „სიტყუა“ თარგმნილია ერთნაირი სტილითა და მეთოდით.

\* \* \*

ისმება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს ეგნატე დიაკონის თხზულებათა ქართულ თარგმანებს ქართული მწერლობისა და აზროვნების ისტორიისათვის? — უპირველესად იგი ამდიდრებს იოანე პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და გვიქმნის წარმოდგენას მის შემოქმედებითს ინტერესებზე; ამასთან ქართველ მკითხველს ფართოდ და დოკუმენტურად აცნობს იმ სამკედრო-სასიციოცხოლო რელიგიური ბრძოლის ისტორიას, რომელიც წარმოებდა VIII—IX საუკუნეების ბიზანტიაში ხატომბრძოლთა და ხატთაყვანისმცემელთა შორის. ამ ბრძოლის ანარეკლი საქართველოშიც შეინიშნება, რადგანაც 1103 წლის რუსურბნისის საეკლესიო განჩინებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „მაგინებელი საღმე ხატისა ღმრთისაჲ ღმერთსა აგინებს უეჭველად“<sup>18</sup>. ეს კი აშკარად მოწმობს, რომ ქართული ეკლესია იცავდა ხატთაყვანისმცემლობას. სწორედ ამან განაპირობა ეგნატე დიაკონის თხზულებათა თარგმნაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებისათვის კარგად იყვნენ ცნობილი ბიზანტიელი გამოჩენილი საეკლესიო მამები, რომელნიც თავგამოდებით იბრძოდნენ უხატოთა განსაქიქებლად<sup>19</sup>. ერთ-ერთი ამ მამათაგანი იყო ნიკიფორე პატრიარქი, რომელთანაც VIII—IX საუ-

<sup>18</sup> დიდი სჯულის კანონი, 1975, გვ. 556.  
<sup>19</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 485.



კუნეების ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს შეიძლება პირადი კონტაქტიც კი ჰქონდათ. ნიკიფორე პატრიარქი (750—829 წწ.) და ავგუსტინე ხანძთელი (759—861 წწ.) ერთდროულად ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. წლოვანებით ისინი თითქმის თანამოასაკენი იყვნენ (მათ შორის 9 წელი იყო სხვაობა). რა სამეცნიერო დისციპლინებსაც სწავლობდა ნიკიფორე, გრიგოლიც ქართლის ერისთავის ნერსეს კარზე იმავე დისციპლინებს ეუფლებოდა ალბათ. საინტერესოა, რომ ქართველი მოსწავლე იმგვარად ითვისებდა საღმრთო და გარეშე მოძღვრებას, როგორც ჭაბუკი ნიკიფორე. გიორგი მერჩულე წერს:

„ხოლო გულისკმეირება სწავლისაჲ განსაკვრებელ იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა «დაავითი» და კმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ. სამოდუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ. და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწვართნა. ხოლო სიბრძნეჲცა ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის, ... გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყუსაებრ მოციქულისა, ვითარმედ: «განრამმე-აცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ»<sup>20</sup>.

ის, რაც აქ ნათქვამია ზოგადად ყრმათა სწავლების შესახებ, „ნიკიფორეს ცხოვრებაში“ დაკონკრეტებულია, ხოლო ორივე ძეგლი ერთად აშუქებს მკაფიოდ, თუ VIII საუკუნის ბიზანტიასა და ქართლში რა დისციპლინები ისწავლებოდა და მოსწავლენი რა დამოკიდებულებას ავლენდნენ საღმრთო და გარეშე სიბრძნის მიმართ. აპრიორულად უნდა ვივარაუდოთ, რომ გრიგოლისთვის, როგორც დიდად განათლებული მეუდაბნოესთვის, რომელსაც ფართო კონტაქტები ჰქონდა საზღვარგარეთელ მოღვაწეებთან, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ნიკიფორე პატრიარქის ვინაობა, მისი თავდადებული ბრძოლა ხატომბრძოლთა წინააღმდეგ და ექსორიობის ისტორია. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ როდესაც 826 წლის ახლოს (ამოტ კუროპალატის მკვლელობის წინარე ხანაში) გრიგოლი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, ლეონ კეისარი ცოცხალი აღარ იყო, ხოლო ნიკიფორე კვლავ ექსორიაში იმყოფებოდა. მაშინ მან კონსტანტინოპოლში „თაყუანის-სცა ძელსა ცხორებისასა, და წმიდათა ყოველთა ნაწილთა და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმი-

<sup>20</sup> ძეგლი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 249—250.



დანი ადგილნი სალოცველნი“ (იქვე, გვ. 264). ეს იყო აშკარა დადასტურება იმისა, რომ გრიგოლ ხანძთელი აღიარებდა ხატთაყვანისმცემლობას.

ამრიგად, ეგნატე დიაკონის თხზულებათა პეტრიწისმიერი ქართული თარგმანები საყურადღებოა არა მარტო თვით იოანეს სამწერლო-სამთარგმნელო საქმიანობისა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესასწავლად, არამედ VIII-IX საუკუნეების საქართველოს კულტურული ცხოვრების გასათვალისწინებლადაც.

თ ბ ი ლ ის ი

## ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ

ათონის სალიტერატურო სკოლის მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებაში სრულიად განსაკუთრებულია. ექვთიმე ათონელიდან მოკიდებული ათონის ივერთა მონასტერში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ითხზებოდა და ითარგმნებოდა სასულიერო მწერლობის ბრწყინვალე ნიმუშები.

როგორც იოვანესა და ექვთიმეს ბიოგრაფი გიორგი მთაწმიდელი მოგვითხრობს, ექვთიმე ათონელს, რომელმაც საფუძველი დაუდო შორეულ ქალკედონის ნახევარკუნძულზე ქართულ მწიგნობრობას, მთარგმნელობითი მოღვაწეობა დაუწყია თავისი მამის — იოვანეს რჩევისა და შეგონების შედეგად: „ეტყვნ მამამ იოვანე, ვითარმედ: შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანამ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლან. და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმაღლებია შენდა, აწ ილუაწე, რამთა გახამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან. და იგი, ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილი, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად, და ყოველნივე განაკურვანა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“<sup>1</sup>.

ათონზე მყოფ ექვთიმეს მუიღრო კონტაქტი ჰქონდა თავის ქვეყანასთან. წიგნის მოყვარული ქართველი საზოგადოება ხარბად ეწაფებოდა მის თარგმანებს. ამაზე მიანიშნებს სიუხვე იმ ხელნაწერებისა, რომლებშიც მისი თარგმანებია დაცული. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმეს თარგმანები ჩვენამდე სრულად არ არის მოღწეული. მათი მრავალრიცხოვანი ფოლიანტებიდან ნაწილი „ჟამთა სიავის“ გამო დაკარგულა.

<sup>1</sup> ძველი ქართული პავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები... წიგნი II, თბ., 1967, გვ. 61.





„იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ ისიცაა ნათქვამი, რომ იქვე თიმე თავის თარგმანებს უშუალოდ დავით კურაპალატს უგზავნიდა მან „მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელნი-იგი იხილნა რამ, ვითარცა იყო მორწმუნე, სიხარულითა აღივსო და აღიდებდა ღმერთსა და იტყოდა, ვითარმედ: მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ ეამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა. და ზედას-ზედა მოუწერნ, რამთა თარგმნიდეს და წარსცემდეს“ (იქვე).

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში (ყოფილ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციაში) 2251 ნომრით ინახება ხელნაწერი, რომელიც სულ მალე ათ საუკუნეს მიითვლის. გარდა იმისა, რომ იგი ექვთიმეს თარგმნილ თხზულებებს შეიცავს, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მის ანდერძ-მინაწერებში დატულია საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობები. ანდერძ-მინაწერები, სხვათა შორის, ადასტურებენ გიორგი მთაწმიდელის მონათხრობს დავით კურაპალატის ლიტერატურული ინტერესებისა და ამ თვალსაზრისით მისი ურთიერთობის შესახებ ათონის სალიტერატურო სკოლასთან.

H 2251 ხელნაწერი გადაწერილია ტყავზე და ტყავის ყდაშივეა ჩასმული. ზომით დიდი არაა (26×20). ნაწერია ნუსხურით, სათაურები და ზოგი მინაწერი შესრულებულია სინგურით. მთავრული ასოები გამოყენებულია აბზაცების დასაწყისში, შეიცავს 419 ფურცელს, ნაკლებია, ფურცლები აკლია თავსა და ბოლოში, ნაწილობრივ შიგნითაც. აქვს ძველი პაგინაცია (გადამწერისეული, რვეულებრივი) და ახალიც (ფურცლობრივი). რვეულების დაკლებული ფურცლებისა და ცალკეულ თხზულებათა ხარვეზების აღნუსხვის შედეგად ირკვევა, რომ ხელნაწერს დაახლოებით 50 ფურცელი კლებია.

ხელნაწერში სულ 26 თხზულებაა (ნაკლები ტექსტების ჩათვლით), მათგან 19 ჰომილია ეკუთვნის ბასილი დიდს (კაბადოკიელს), დანარჩენი შვიდი ნაწარმოები კი სხვა ავტორებს.

ბასილი დიდისაა შემდეგი თხზულებები:

„წმიდისა ნათლისღებისათჳს მათდა მიმართ, რომელნი-იგი გჳანად ნათელს-იღებდეს“ (თავნაკლებია, სათაური აღდგენილია Ath—32-ის მიხედვით), „მარხვისათჳს“ (თავი ა), „მარხვისათჳს“ (თავი ბ), „სიტყჳსა მისთჳს მოსე წინააღწარმეტყუელისა, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“, „მადლობისათჳს“, „ივლიტა მოწამისათჳს და ნაკლებე ვანებისათჳს პირველ თქმულისა მის თავისა და მადლობისათჳსვე“,



„ვითარმედ არა არს ღმერთი მიზეზ ბოროტთა“, „მრისხანეთათს“, „მღერისათს“, „სიტყუსა მისთვის ლუკაჲს სახარებისა, რომელი იტყვის მღერისათსა მისთვის და ანგაპრებისათს“, „მდიდართა მიმართ“, „სწავლამ... რომელი თქუა ქამსა სიყმილისა და უწყმროებისა“, „დაწყებისათს სოლომონის იგავთამსა“, „მომთრვალებითს“, „სწავლამ... რომელი თქუა ლაიზეს შინა ქალაქსა“, „სიმდაბლისათს“, „არაშექცევისათს საქმეთა სოფლისათა და ცეცხლისა მისთვის, რომელი შეედგა მაშინ კესარიელთა ქალაქსა“, „სარწმუნოებისათს წმიდისა სამებისა“, „დაწყებისათს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: პირველითგან იყო სიტყუაჲ“ (ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე სტრიქონი).

დანარჩენი შვიდი თხზულებიდან — „ცხოვრებამ და შესხმამ წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი“, „ნათლისღებისათსვე, რომელი იკითხვის ხვალისა დღე განცხადებისა“, და „შესხმამ წმიდათა მაკაბელთაჲ“ ეკუთვნის გრიგოლ ღვთისმეტყველს (ანუ ნაზიანზელს), „შესხმამ წმიდისა დიდისა ბასილისთვის, ძმისა თვისისა“ — გრიგოლ ნოსელს, ხოლო „შესხმამ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი“, „მიცვალებისათს ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისა“ და „პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჭუარისა ამაღლებისათს“ — ანდრია კრიტელს.

რაკი ხელნაწერში ბასილის ჰომილიები დიდ უმრავლესობას შეადგენს, ამ კრებულს ბასილი დიდის ჰომილიათა კრებულსაც უწოდებენ. ბასილის ჰომილიები უმეტესად მორალის თემაზე დაწერილი „სწავლანია“. მართალია, ეს „სწავლანი“ ძირითადად მონაზონთათვის იყო განკუთვნილი და მათ ზნეობრივ წვრთნას ისახავდა მიზნად, მაგრამ ამ ჰომილიებში მოცემული დიდაქტიკა ბევრ შემთხვევაში ისეთია, რომ თავის აქტუალობას ყველა დროისათვის ინარჩუნებს. მათში გაკიცხულია ადამიანის მანკიერი მხარეები — შური, სიხარბე, ღორმუცელობა, მრისხანება, ლტოლვა სიმდიდრის დაგროვებისადმი, ანგარება, სიმთვრალე და სხვა. მაღალმხატვრული ენით შესრულებული ბასილის „სწავლანი“ გამოირჩევა აზრის ხატოვანი გადმოცემით და დღევანდელ მკითხველშიც დიდ ემოციებს იწვევს.

ექვთიმემ, ქართველი ხალხის დიდმა მოჭირნახულემ, დიდი ნიჭისა და ერუდიციის მთარგმნელმა, ბასილის ნაწერებიდან სათარგმნელად ზნეობისათვის საჭირო და სასარგებლო ჰომილიები შეარჩია და ამავე დროს მოგვცა მხატვრული თვალსაზრისით ორიგინალთან შეთანასწო-



რებული, ორიგინალის დონეზე აყვანილი თარგმანები. აი, ფრაგმენტები  
ამონაწერი:

ზომიერი ჭამა-სმის სარგებლიანობას ქადაგებს და ღორმუცელობას  
გმობს ბასილი დიდის ერთ-ერთი ჰომილია, რომლის ერთი მონაკვეთიც  
ექვთიმეს თარგმანში ასე იკითხება:

„რამ უადვილეს არს გუამისათვის და უსუბუქეს? საზრდელითა ლი-  
ტონითა სუბუქად წარვლამ ღამისამ, ანუ სიმრავლისაგან ჭამადთამსა  
დაძძიმებულად წოლამ? და არცა თუ წოლამ, არამედ ზედასზედა ქცე-  
ვამ, გან-რამ სთქდებინ მუცელი სიმრავლისაგან ჭამადთამსა და სნე-  
კვხ?.. ძალი იგი ბუნებისა ჩუენისამ ლიტონსა და ზომითსა ჭამადსა  
ადრე მოიდნობს და სარგებელად კაცისა ჰყოფს მას. ხოლო რაჟამს  
სიმრავლც და თითოფერებამ (მრავალფეროვნება) ჭამადთამ მიიღოს  
და მერმე ძლევად მათდა ვერ შეუძლოს, თითოფერთა მათ სენთა მოა-  
წევს მის მიერ კაცსა ზედა...“

ლოთობა ადამიანთა მოდგმის მტერი იყო ყოველთვის. ეს მანკიე-  
რება გაიცხული ბასილის მეორე ჰომილიაში. ექვთიმეს თარგმანში  
ლოთობის განქიქებისას ტონი უფრო გამძაფრებულია:

„შ საქმე საწყალობელი... რაჟამს-იგი კაცი, ჭაბუკი ჰასაკითა, ძლიე-  
რი გუამითა, მგედრობისა წესთა შინა განშუენებული, მითრევით მიიყ-  
ვანებინ სახედ თვსა (თავის სახლში), რამეთუ ვერ შემძლებელ არს ზე  
დადგომად და თვსითა ფერკითა სლვად. კაცი, რომელსა თანა-აცნ, რამ-  
თამცა საშინელ იყო სახილველად მბრძოლთა, იქმნის მიზეზ სიცილისა  
ყრმათა, უბანთა შინა მავალთა. თვნიერ მახვლისა მოწყულულ არნ,  
თვნიერ მბრძოლისა მოკლულ არნ, თვნიერ რკინისა შებორკილებულ  
არნ...“

ან კიდევ: „მოუწოდ მას, ვითარცა მოყუარესა, სერობად, ხოლო  
წარავლენ, ვითარცა მკუდარსა, რამეთუ ღვინისა მიერ ცხორებამ მისი  
დააქციი“ და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ H—2251 ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლუ-  
ლია, გადაწერისეული ანდერძ-მინაწერებით საკმაოდ მდიდარია.

ეს ანდერძები და მინაწერები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა,  
ჩვეულებრივ საკითხავებს შორისაა ჩართული. მათ წარმოვადგენთ იმ  
თანამიმდევრობით, როგორადაც ხელნაწერშია მოცემული:

— „ღმრთისათვის, ლოცვა ყავთ ეფთიმესთვის მთარგმნელისა და იორ-  
დანესთვის მწერლქსაჲ“ (27r, ფურცლის ქვემო კიდებზე).

— „ესე ბრძანებამ ეფთიმესი არს: წმიდანო მამანო, რომელნი ამას



იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ვთარგმენ(!) და ღმრთისათჳს, ვინცა გარდასწერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომგოცთ მეცა გლახაკსა, რამეთუ ამისთჳს თავს-მაც ფრიადი შრომაა სწავლასა და თარგმანობასა ამისსა, რამთა მი-ლოცვიდეთ. და ლოცვა ყავთ, ღმრთისათჳს, კურთხეულისა ამის მამისა იორდანესთჳს, რომელმან ფრიადი შრომაა თავს-იდვა და მოვიდა ქართ-ლისა ქუეყანით საბერძნეთს, მთაწმიდას, ღმრთისათჳს, თავად და მერმე ბრძანებისათჳს დავით ქართველთა მეფისა და თავს-იდვა ჭირი და დაწე-რა წმიდაჲ ესე წიგნი. აჲ ვინცა ამას იკითხვიდეთ, ღმერთმან დაგაჯე-როს, ლოცვა ყავთ ჩუენ ყოველთათჳს“ (46r, საკითხავის ბოლოს).

— „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ვთარგმენ. სიყუარულის[ათჳ] ღმრთისა, ანუ ვინ მომიგონაბდის ზომად-წერი-სათჳს. ბრძანებაჲ მქონდა ნუსხვისაჲ ოდენ სისწრაფისაგან. ლოცვა ყავთ გლახაკისა იორდანესთჳს მაძრენისელისაჲ, შორთა ქუეყანათაგან რომელმან ვლე ოთხმეოცდაათექუსმეტი დღე, ვიდრე მთაწმიდამდე“ (204r).

— „ჲ უფალო, დაიცევ დღეგრძელებით მეფე დავით“ (278r, სა-კითხავის ბოლოს).

— „ლოცვა ყავთ [მამი]სა იოვანესთჳს და საყუარელისა შეილისა მათისა ეფთიმესთჳს, რომელმან თარგმნა ესე წიგნი, ღმერთმან დაგა-ჯეროს. და საწყალობელი იორდანეცა, რომელ მივიწიე წერად, ლოცვა ყავთ“ (291r, საკითხავის ბოლოს).

— „ჲ მეუფეო, შეჰმატე დღეთა დავით ქართველთა მეფისათა“ (301v, საკითხავის ბოლოს).

— „უფალო ღმერთო, დაიფარე მკლავითა შენითა მალღითა მეფე დავით, მხოლოჲ, მარტოჲ, უმამოჲსა მამაო“ (311).

— „ლოცვა ყავთ მამისა იოვანესთჳს და ეფთიმესთჳს, რომელმან ესე თარგმნა. შემეწიე, ღმერთო, იორდანეს“ (328r, საკითხავის ბო-ლოს).

— „ჲ მეუფეო ცათა და ქუეყანისაო, მამეც ძალი და შეწევნაჲ და გონებაჲ მოუწყინელი დღე და ღამე და განაგდე ჩემგან ვნებაჲ მტერი-სამიერი, რამთა შეწევნითა შენმიერთთა მწრაფლ მომემადლოს ნუსხ-ვაჲ წმიდათა ამათ წერილთაჲ და მიიწიოს წინაშე დავით ქართველთა მეფისა, რომელი სურვიელ იყო და მოსურნე სმენად საღმრთოთა მათ თქუმულთა მოძღურებისათა და მიმლოდებელ, რომელ ვითარცა სიძესა რაჲ მიაქუნ ვკრკნი იგი, ძრწიან ( . . . ) და ვითარცა ძე

იგი მეფისად, რომელი დღე და ღამე დაუვიწყებლად ისწრაფინ ( ) და მეფობასა მამულისა თვისისა. შემეწიე, ქრისტე, გლახაკსა, [იორდანეს, აენ“] (344r, ფურცლის კიდებზე).

— „შეეწიე, წმიდაო გიორგი, დავით ქართველთა მეფესა, ჭეშმარიტად მკედარსა ქრისტესსა და საღმრთოთა საქმეთა მეძიებელსა“ (364r, საკითხავის ბოლოს).

ამ ანდერძ-მინაწერებში გარკვევით და თანაც არაერთგზისაა აღნიშნული, რომ ხელნაწერებში დაცული საკითხავების მთარგმნელი არის ექვთიმე ათონელი, ხოლო კრებული გადაუნუსხავს (გადუწერია) იორდანეს, რომელიც სასულიერო პირი ყოფილა (ერთ-ერთ ანდერძში მოხსენიებულია, როგორც „კურთხეული მამა“). იგი ამ ხელნაწერის გადასაწერად საგანგებოდ მიუვლინებია შორეულ მთაწმიდაზე დავით ქართველთა მეფეს.

იორდანე თავის თავს „მაირენისელს“ (მაირენისის მკვიდრს) უწოდებს. მას 96 დღე უვლია, ვიდრე „შორთა ქუეყანათაგან“ („ქართლისა ქუეყანი“) საბერძნეთს, მთაწმიდას, მიადწევდა. დავალებული ჰქონია, რაც შეიძლება ჩქარა, „სისწრაფისაგან“ გადაუნუსხა ხელნაწერი, ამიტომ „ზომად-წერისათს“ პატიებასაც თხოულობს.

ერთ-ერთ ანდერძში, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე დაზიანებულია, იორდანე შეპლალადებს „ცათა და ქუეყანის მეუფეს“ და შესთხოვს ძალას და შეწევნას, რომ დღე და ღამე „მოუწყინელი“ შრომით შეაძლებინოს „წმიდათა ამათ წერილთა“ გადანუსხვა, რათა დროულად „მიიწიოს“ წინაშე დავით ქართველთა მეფისა“, რომელიც „სურვიელ იყო და მოსურნე სმენად საღმრთოთა მათ თქუმულთა მოძღურებისათა და მომლოდებელ“.

ეს ფაქტი ჩვენი კულტურის, ჩვენში მწიგნობრობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მეტად მრავლისმეტყველია: იმისათვის, რომ ერთი ლიტერატურული ძეგლით გაემდიდრებინა თავისი ქვეყანა, ქართველთა მეფეს, დავითს, მის გადასაწერად და საქართველოში ჩამოსატანად შორეულ ათონზე (96 დღის სავალზე) მიუვლენია გადამწერი.

ექვთიმესა და იორდანეს ანდერძ-მინაწერთა მნიშვნელობა მარტო ხელნაწერის შექმნის საინტერესო ისტორიით არ ამოიწურება, აქ მოცემული ცნობები აზუსტებს მისი გადაწერის თარიღს და კორექტივი შეაქვს ქართველ მეფეთა ტიტულატურაში.

ამ ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულ დავით ქართველთა მეფედ კ. კეკელიძე სრულიად ბუნებრივად დავით კურაპალატს ვარაუდობს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერს არც თარიღი უზის და მეფე დაე-  
თიც არც ერთხელ კურაპალატად არ იხსენიება. იგი წერდა: „რომელსაც  
ეს თხზულება (იგულისხმება ბასილი დიდის „სწავლანი“ — ც. ქ.) უთარა  
გმნია ექვთიმეს, დავით კურაპალატის ბრძანებით, მისი პირის მოსატანად  
საქართველოდან ათონზე წასულა ვინმე იორდანე და მოუტანია იგი“<sup>2</sup>.

თუ დავით ქართველთა მეფეში დავით კურაპალატი იგულისხმება,  
ხელნაწერი მის გარდაცვალებამდე, 1001 წლამდე, ყოფილა გადაწერი-  
ლი, რადგან ამ ანდერძ-მინაწერების მიხედვით დავითი ცოცხლად იხ-  
სენიება.

მეორე მხრივ, თუ ხელნაწერი დავით კურაპალატის სიცოცხლეში,  
ე. ი. 1001 წლამდეა გადაწერილი, იგი ექვთიმე ათონელის ნებართვისა  
და ხელშეწყობის გარეშე ვერ გადაიწერებოდა, რადგან 1001 წლამდე  
ათონზე ჩასულ კაცს, ცხადია, მასპინძლად თვითონ ექვთიმე უნდა დახ-  
ვედროდა, აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძში, რო-  
მელსაც თავზე აწერია „ესე ბრძანებაჲ ეფთიმესი არს“, ექვთიმე მარ-  
თლაც ფიგურირებს როგორც მასპინძელი.

ეს ანდერძი განსაკუთრებით იმითაა აღსანიშნავი, რომ დაწერილი  
ჩანს ექვთიმეს მიერ საგულდაგულოდ სწორედ ამ ხელნაწერისათვის.  
აქ ექვთიმე პირველ პირში მოგვითხრობს თავის თავზე და თანაც თავს  
„გლახაკად“ იხსენიებს („ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთს,  
რომელმან ესე ვთარგმენ... და ნუ აღმომვოცთ მეცა გლახაკსა,  
რამეთუ ამისათს თავს-მიც ფრიადი შრომაჲ სწავლასა და თარგმანო-  
ბასა ამისსა“); ხოლო მესამე პირით იხსენიებს და „კურთხეულ მამას“  
უწოდებს გადამწერ იორდანეს („და ლოცვა ყავთ, ღმრთისათს, კურ-  
თხეულისა ამის მამისა იორდანესთს, რომელმან ფრიადი შრომაჲ თავს  
იდვა და მოვიდა ქართლისა ქუეყანით საბერძნეთს, მთაწმიდას“...“ და  
შემდეგ: „თავს-იდვა ჭირი და დაწერა წმიდაჲ ესე წიგნი“).

ექვთიმეს მიერ დაწერილ ანდერძში ეს ასეც იყო მოსალოდნელი,  
რადგან, მართალია, ექვთიმე კრებულის მთარგმნელია და იორდანე კი  
მხოლოდ გადამწერი, მაგრამ რაკი ექვთიმე წერდა ანდერძს, ამიტომ  
ეტიკეტის მიხედვით იგი ვალდებული იყო, თავის თავსა და თავის  
ღვაწლზე თავმდაბლად და მოკრძალებით ელაპარაკნა, ხოლო მის მიერ  
თარგმნილი კრებულის გადამწერი, რომელმაც ამით მის ნამუშევარს  
ღვაწლი დასდო, პატივისცემით მოეხსენებინა და განედიდებინა.

ეტიკეტის დაცვა არც იორდანეს ავიწყდება: სხვა ანდერძ-მინაწერ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 164, სქ. 2. <sup>2</sup>

რებში, რომლებიც აშკარად იორდანეს კუთვნილებათ, ექვთიმე და იორდანე შებრუნებული ეპითეტებით არიან დახასიათებული: ექვთიმე „კურთხეული“, ხოლო იორდანე — „საწყალობელი“, „საწყალი“, „გლახაკი“ (შდრ. „ლოცვა ყავთ კურთხეულისა ეფთიმესთჳს მთარგმნელისა და მნუსხველისა იორდანესთჳს“; „საწყალობელი იორდანეცა, რომელ მოვიწიე წერად, ლოცვა ყავთ“; „შემეწიე ღმერთო საწყალსა იორდანეს“, „შემეწიე, ქრისტე, გლახაკსა იორდანეს“).

საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ ანდერძში ექვთიმეც და იორდანეც — ორივე „გლახაკად“ არიან მოხსენიებული: „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთჳს, რომელმან ვთარგმნე“... ლოცვა ყავთ გლახაკისა იორდანესთჳს შადრენისელისა, შორთა ქუეყანათაგან რომელმან ვლე ოთხ-მეოცდაათექუსმეტი დღე ვიდრე მთაწმიდადმდე“. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ იორდანეს ექვთიმესეულ დედანში არსებული ანდერძი გადმოუწერია, შემდეგ კი, თავის მხრივ, ისეთივე მოკრძალებით დაურთავს ცნობები თავისი დამსახურების შესახებ.

ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ექვსჯერაა ნახსენები დავითი, ოთხჯერ როგორც „ქართველთა მეფე“, ხოლო ორჯერ — როგორც „მეფე“.

ქართველთა მეფე დავითი, რომელიც ექვთიმე ათონელის დროს ცხოვრობდა და თანაც დაინტერესებული იყო ექვთიმეს მთარგმნელობითი საქმიანობით, როგორც „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ზემოთ მოტანილი ციტატიდანაც ჩანს, დავით კურაპალატი.

სწორედ დავით კურაპალატს ესადაგება იორდანეს ანდერძ-მინაწერებში ქართველთა მეფის შესახებ ფქმულიც: „ჭეშმარიტად მკვდარი ქრისტესი და საღმრთოთა საქმეთა მეძიებელი“, აგრეთვე: „სურვიელ იყო და მოსურნე საღმრთოთა მათ თქუმულთა მოძღურებისათა და მიმლოდებელ“.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ხელნაწერში დავითი არ იხსენიება კურაპალატად, არამედ როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ქართველთა მეფედ“ (ოთხ შემთხვევაში), ანდა მხოლოდ „მეფედ“ (ორჯერ).

ისტორიულ წყაროებში დავით კურაპალატი „ქართველთა მეფის“ ტიტულით არსად მოხსენიებული არ არის, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ მას საერთოდ არ ჰქონია ეს ტიტული (ექვთ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი). სწორედ ამ ხელნაწერის ანდერძებიდან დგინდება საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — დავით კურა-

პალატს გარკვეულ პერიოდში უტარებია „ქართველთა მეფის“ ტიტულიც. როგორც ნ. შოშიაშვილმა გამოიკვლია, ეს უნდა იყოს 994—1001 წლები. ე. ი. ბაგრატ ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 994 წელს)<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტზე დამყარებით H-2251 ხელნაწერის გადაწერის დრო უფრო კონკრეტული წლებით იფარგლება: იგი გადაწერილი ჩანს დავით კურაპალატის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღებიდან მის გარდაცვალებამდე — ე. ი. 994—1001 წლებს შორის.

### თ ბ ი ლ ის ი

---

<sup>3</sup> ნ. შოშიაშვილი, IX—X ს.ს. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ზოგიერთი ქრონოლოგიური საკითხი. — მოხსენება წაკითხულია 1977 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე.





მეათე საუკუნის ქართველი მწიგნობარნი

X საუკუნის სინურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ერთი და იმავე სახელით იხსენიება რამდენიმე კვირიკე, იოანე, მიქაელი, გიორგი, გაბრიელი და ბასილი, რომელთაც ზედწოდებებით ასხვავებდნენ. ამათგან ზოგიერთის ვინაობა დადგენილია, მაგრამ გვხვდებიან ისეთი თანამოსახელე მოღვაწენიც, რომელთა ვინაობის გარკვევა სპეციალურ კვლევას საჭიროებს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ სახელებს მექანიკურად უკავშირებს უკვე ცნობილ მოღვაწეთა სახელებს, ახდენენ მათ იდენტიფიკაციას და, ამრიგად, პირველი თუ მეორე რიგის მოღვაწეებს მიაწერენ ზოგიერთ ისეთ ცნობას, რაც სინამდვილეში მათ არ ეხებათ. ეს ხდება იმიტომ, რომ ხსენებულ მოღვაწეთა შესახებ არსებული მასალები სათანადოდ არ არის შესწავლილი, არ არის გამოიყნული, მაგალითად, ერთი კვირიკე მეორისაგან, ან ერთი გიორგი — სხვა გიორგისაგან. ასეთი აღრევა იწვევს ანდერძების ცნობათა აღრევასაც, რაც ზოგჯერ დაუსაბუთებელი მოსაზრებების წყაროც ხდება.

განვიხილოთ ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან მიქაელი და კვირიკე.

მ ი ქ ა ე ლ კ ა თ ა მ ო ნ ე ლ ი

სინურ ხელნაწერებში დასახელებულ მიქაელთა შორის ერთ-ერთი მათგანია კათამონელი. სინას № 9 ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ:

„...შეიმოსა... წმიდა ესე წიგნი სინა-წმიდას კელითა იოვანე ფრიად ცოდვილისაჲთა, ბრძანებითა და მოღუაწებითა მიქაელ პატროსნისა მღღელისა კათამონელისა, დღეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებულობისა ჩუენისაჲთა, სალოცუელად ჩუენდა დასაბამითგან წელთა ქართულად ხვამ (6587—5604=983) და ქო-



რონიკონი იყო ქართულად ხვ (780+203=983 წ.). ქრისტე, შეიქმნა მიქაელ, იოანე, ზოსიმე და ყოველი ძმანი მისნი“<sup>1</sup>.

ხელნაწერი თავბოლონაკლულია, შეიცავს იოანეს სახარების თავს. ანდერძში ხსენებული ერთი პირი არის X საუკუნის ცნობილი მოღვაწე იოანე-ზოსიმე, რომლის სახელთანაც მრავალი სინური ხელნაწერია დაკავშირებული. მიქაელის ვინაობის შესახებ კი კ. ცავარელი წერს: „როგორც ჩანს, ეს იერომონაზი მიქაელი სინას მთაზე მივიდა პალესტინიდან, სადაც ის ადრე ცხოვრობდა წმ. სვიმეონ ღვთისმამის მკვლელის, სხეანაირად კათამონის, მონასტერში, იერუსალიმის ახლოს, ჯვრის მონასტრის მეზობლად, რის გამოც მიიღო მან ზედწოდება კათამონელი“ (იქვე). მიქაელი სინას მთაზე პალესტინიდან მისულად მიიჩნია აგრეთვე კ. კეკელიძემ<sup>2</sup>.

მიქაელ კათამონელი ეკუთვნოდა იმ მწიგნობართა რიცხვს, რომელნიც სინას მთაზე X საუკუნეში სათავეში უდგნენ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობას და მიზნად ისახავდნენ ლიტერატურული საქმიანობის აღორძინება-განვითარებას, სჯუთარი სავანის გადაქცევას ერთ-ერთ თვალსაჩინო სამწიგნობრო ცენტრად.


ისმება კითხვა: ნუთუ ამ მიქაელის შესახებ არ მოგვეპოვება სხვა ცნობა?

ირკვევა, რომ იგი, მართლაც, გვაქვს დაცული სინას № 67 ხელნაწერში, რომლის ანდერძიც იმდენად ძლიერაა შებღალული, რომ მიქაელ კათამონელის სახელი მთლად წარბოცილია.

№ 67 ხელნაწერი პარაკლიტონია, გადაწერილი XII-XIII საუკუნეებში. მის ბოლოსაცავ ფურცლად ერთ-ერთ ძველ რესტავრატორს გამოუყენებია X საუკუნის ეტრატის ფურცელი, რომლის ერთ გვერდზე ასომთავრულით ორ სვეტად წერია ორი სხვადასხვა ანდერძი: ერთი ეკუთვნის გადაწერს, მეორე — ხელნაწერის შემმოსველ იოანე-ზოსიმეს (ხელწერის მიხედვით). იოანე-ზოსიმეს ანდერძი საგრძობლად დაზიანებულია: მარჯვენა მხარე სიგრძეზე დაფარულია რესტავრაციის დროს გამოყენებული სხვა ფურცლით და, ამდენად, ტექსტის ეს ნაწილი გაუჩინარებულია. გადარჩენილ ნაწილშიც სიტყვები ალაგ-ალაგ გამქრალია. ფურცლის მეორე გვერდზე დაცულია უცნობი ასკეტიკური თხზულების ტექსტი.

<sup>1</sup> А. Цагарели. Памятники грузинской старины на Св. земле и Синае, ППС, т. IV, вып. I, 1888, с. 200.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 92.



იოანე-ზოსიმეს ანდერძი (მარჯვნივ), რომელშიც მოხსენებულია მიქაელ  
კათაპონელი (№67, 973 წ., ეტრატის ფურცელი)

ეტრატის აღნიშნული ფურცელი სხვა ხელნაწერისაა; ეს შენიშნეს ა. ცაგარელმა და ნ. მარმა, რომელთაც მიუთითეს, რომ იგი წარმოადგენს X საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის კუთვნილებასო, მაგრამ კერძოდ რომლისას, ამის გამორკვევა მათ არ უცდიათ; ახლახან მ. დვალმა და ლ. ჭლამაიამ დაადგინეს, რომ ეს ერთი ფურცელი ეკუთვნის № 35 სინურ ხელნაწერს, რომელიც შეიცავს აპოფთეგმებს<sup>3</sup>. მაგრამ ამ საინტერესო მიგნებასთან ერთად მკვლევარებმა ვერ გადმოსცეს სწორად იოანესეული ანდერძის ტექსტი, თანაც გამოთქვეს ზოგი ისეთი მოსაზრება, რომელიც დაზუსტებას საჭიროებს.

№ 67-ის ჩანართ ფურცელზე დაცული ანდერძი, იოანე-ზოსიმეს ხელით დაწერილი, ნ. მარმა ასე გამოაქვეყნა:

„სახელითა ღმრთისაჲთა [...] და მეოხებითა [...] შეიმოსა წმიდაჲ ესე წი[...] მონასტერსა შინა] მაყოვლოვანსა [...] გელითა იოვანე [...] ცოდვილისაჲთა დ [...] წელთა ქართვე[...]**ხფოზ** და ქრკ [...] და ბერძულად წე[...] ქორონიკონი იყო პა [...] თანა შეწვევითა] ჰაჯითა მიქაელ [...] დელისა კალამ [...] სალოცველად და მი[...]კნ ცოდვილთა თვსთა და ნათესავთა ჩ[...] აწ გვედრებით თ[ნ] მამათა და ძმათა] იკითხვიდეთ და იმ[...] ამას წიგნსა მო[...]ვენი ესე და გვე[დ] თქუნესა მე ფრიად ცოდვ[...] ამისი სახელად მდლი [საქმით] ავაზაკი [...] და გიორგი და მშობელ[...] და ყოველნი ცოცხალნი] ჩუენნი და რომელი [მი]ვეთ ღმრთისა თვს. ქრისტე შეიწყალენ მიქაელ და ყოველნი ძმანი ს[ინ] და ყოველნი ქრისტეანე [...] ლოცვა [ყავთ] წმინდანო ლოცვა ყავთ ჩუენთ [...] რამეთუ [...] ფრიად გოვრწამს [...] ქრისტე შეგვწყალენ...“<sup>4</sup>

დამოწმებულ ანდერძში ხელნაწერის შემოსვის წელი აღნიშნულია ორგვარი (ქართული და ბერძნული) თარიღებით. ქართულით ეს ხელნაწერი შეუქმოსავს იოანე-ზოსიმეს „ხფოზ“ (ე. ი. 973) წელს, ამავე წელს იძლევა ბერძნული ქორონიკონი პა (პანოდორესეული ერა 81 + 112 + 780) — 973 წელი.

ნ. მარს არ უცდია ანდერძის სრული სახით აღდგენა, ხოლო ის ადგილი, სადაც ხელნაწერის შემოსვის ინიციატორია მოხსენებული,

<sup>3</sup> შანანა დვალი, ლალი ჭლამაია, შეათე საუკუნის პატერიკის (№ 35) ერთი ფრაგმენტის შესახებ, „მრავალთავი“, VI. თბ., 1978. გვ. 72—82.

<sup>4</sup> Н. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.-Л., 1940, с. 169—170.



მან ასე გამოაქვეყნა: „თანა შეწევნით[ა] ჰაჭითა მიქაელ [...] დელისა კალამ [...]“.

№ 35 ხელნაწერის ტექსტისა და № 67-ის ეტრატის ფურცლის ურთიერთობის ვარკვევისას იოანესეული ანდერძი შეისწავლეს და გამოაქვეყნეს ზემოხსენებულ შრომაში მ. დვალმა და ლ. ჯღამაიამ. მათ ანდერძი ასე წაიკითხეს (გვ. 75-76):

„სახელითა ღმრთისაათა და მეოხებითა შეიმოსა წმიდაჲ ესე წ[იგნი] მონასტერსა შინ[ა] მაყოზლოვანსა ს[ინას]. გელითა იოვანე ცოდვილისაათა და წელთა ქართველთა ხფოზ, ქორონიკონი პა.

თანაშეწევნითა [და] ჰაჭითა მიქაელ [მლ]დელისა კალამ სალოცველად და მი...ქნ ცოდვილთა თუსთა და ნათესაეთა ჩ[უენსა].

აწ გვედრებით თქუენ, მამათა და ძმათა ჩუენთა, ვინცა იკითხვოდეთ იმ... ამას წიგნსა მო... ესე და გვედრით ფრიად ცოდვილი. თქუენ... ამით სახელი... მით ავაზაკი... და გი და მშობელნი და ყოველნი ცოცხალნი ჩუენნი და რომელი რ...ვეთ ღმრთისათს.

ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და ყოველნი ძმანი ს[ინელნი] და ყოველნი ქრისტეანენი, ლოცვა ყავთ, წმიდანო, ლოცვა ყავთ ჩუენთს, რამეთუ ფრიად გურწამს. ქრისტე, შეგვწყალენ...“

ანდერძის ამგვარი წაკითხვა განსხვავდება ნ. მარისეული პუბლიკაციისაგან. მართალია, მ. დვალმა და ლ. ჯღამაიამ აღადგინეს ზოგიერთი სიტყვა, რაც ნ. მარს არ ჰქონდა ამოკითხული — „ს[ინას]“, „[მლ]დელისა“, ან დააზუსტეს მისეული წაკითხვა („მი...ვეთ“ კომპლექსის მაგიერ „რ...ვეთ“), მაგრამ მათ გაეპარათ შეცდომაც იმ ადგილას, სადაც აღნიშნულია ხელნაწერის შემოსვის თარიღი — 973 წელი. მკვლევარებმა ეს ადგილი ნაშრომში ასე წარმოადგინეს: „...შეიმოსა წმიდაჲ ესე წ[იგნი] მონასტერსა შინ[ა] მაყოზლოვანსა ს[ინას]. გელითა იოვანე ცოდვილისაათა და წელთა ქართველთა ხფოზ, ქორონიკონი პა“ (გვ. 75).

ტექსტის ამგვარი წაკითხვიდან გამოდის, რომ ხელნაწერი შემოსილა „წელთა ქართველთა ხფოზ (ე. ი. 973 წელს), ხოლო ქორონიკონი ყოფილა „პა“ (ე. ი. 866 წელი). როგორც ვხედავთ, ქართული დასაბამითგანი და ქორონიკონური წლები ერთმანეთს არ ემთხვევა: ერთი აღნიშნავს 973-ს, მეორე — 866 წელს. მკვლევარებს ამგვარი უზუსტობა მოუვიდათ იმის გამო, რომ მათ ტექსტში წელთა ქართველთა ხფოზ“-ის შემდეგ გამორჩათ და „ქორონიკონი [...] და ბერძულად წე[ლთა]“, რომელიც ხელნაწერში ახლაც იკითხება. მათ ეს ადგილი ამგვარად რომ წარმოედგინათ: „გელითა იოვანე ცოდვილისაათა დ[ასაბამითგანთა] წელ-



თა ქართველთა] ხფოზ და ქორონიკონი [. . .] და ბერძულად წმელთა-ქ ქორონიკონი იყო პა“, თარიღში ყოველგვარი უზუსტობა აცილებული იქნებოდა, როგორც ეს გვაქვს ნ. მარისეულ პუბლიკაციაში.

მ. დვალმა და ლ. ჭლამიაშვილმა ვერ შეძლეს ანდერძის სრულად აღდგენაც. ეს კი აუცილებელია, თუნდაც იმის შემდეგ, რაც გამოიკრევა, რომ იოანესეული ანდერძი წარმოადგენს იმ ხელნაწერის (№ 35) კუთვნილებას, რომელიც X საუკუნის სინურ ხელნაწერებს შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია (907 წ.) და რომლის ძირითადმა (გადამწერისეულმა) ანდერძმა „შემოგვიანახა ზუსტი ცნობები იერუსალიმის პატრიარქების ზეობის შესახებ... ფაქტები ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი პატრისტიკული ძეგლისა, № 35-ის შესახებ“. იოანესეული ანდერძი იმითაც არის საინტერესო, რომ გვაძლევს ზოგიერთ ახალ ცნობას № 35 ხელნაწერის შემოსვის ინიციატორის ვინაობაზეც.

ანდერძის იმ ადგილას, სადაც მიქაელია მოხსენიებული, გვხვდება სიტყვის ნაწილი „კალამ“. სიტყვის მეორე ნაწილი არ ჩანს. თუ გავითვალისწინებთ მის წინამავალ სიტყვებს „მიქაელ [მლ]დელისა, „კალამ“ უნდა წავიკითხოთ, როგორც „კათამ“ (ლ-ს თ-თან აღრევის შედეგად), რომელიც შეიძლება ასე დაბოლოვდეს — „კათამონელისა“. იოანე-ზოსიმესეულ ანდერძებში ჩვეულებრივია ასეთი კონსტრუქცია: „მიქაელ პატიოსნისა მლდელისა“, „კვირიკე სინაწმიდისა დეკანოზისა“; № 67-ის ანდერძში კი გამოთქმას „მიქაელ [მლ]დელისა კალამ“, რაღაც აკლიამას უნდა აკლდეს სწორედ ზედწოდება მიქაელისა, რადგან სინას მთაზე რამდენიმე მიქაელი იყო მღვდლის ხარისხით, ერთმანეთისაგან გასარჩევად იოანე № 67-ის მიქაელს მარტო მღვდლად არ მოიხსენიებდა. ამრიგად, დაუმთავრებელ ნაწილში უნდა გვქონდეს „კათამონელისა“.

იოანე-ზოსიმეს სხვა ანდერძთა მოშველიებით ამ დაზიანებული ანდერძის დანარჩენი გამჭრალი ადგილების აღდგენაც მოხერხდა (გარდა ბოლო ნაწილისა, რომელიც მიკროფილმსა და ფოტობიპრში თითქმის აღარ იკითხება).

იოანე-ზოსიმეს ანდერძებში „მეოხებითა“-ს შემდეგ ჩვეულებრივია ხსენება „ღმრთისმშობლისაიდა“, „სალოცველად და“-ს შემდეგ იკითხება არა „მი...კნ“, არამედ „მო...ჩნ“, ე. ი. „მო[სახსენებლად] ჩუენ“; „ნათესავსა ჩ[უენსა]“-ს მაგიერ — „ნათესავთა ჩ[უენთათჳს]“, როგორც უფრო სწორი ფორმა, ხოლო „ამას წიგნსა“-ს წინ — „იმ[სახურებდეთ]“, „მო...“ კი უნდა დამთავრდეს ასე: „მო[გ]ვი[ხსენ]ეთ“.



დაზიანებულ ადგილებში, სადაც უნდა გვეჩონოდა ქართული ქორონიკონისა და ბერძნული დასაბამითგანის აღნიშვნა, უნდა შევიტანოთ ორივე დათარიღება: ქორონიკონით რფგ (-973 წ.), ბერძნული დასაბამითგანით ხჳჲ, რომელიც (პანოლორესეული ერა — 6465—5492) გვაძლევს იმავე 973 წელს.

ასე რომ, ანდერძი დაზიანებული ადგილების გამართვის შემდეგ ასე იქნა აღდგენილი:

„სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა [წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა] შეიძოსა წმიდაჲ ესე წ[იგნი] მონასტერსა შინსა] მაყოვლოვანსა, ს[ინა წმიდას] გელითა იოვანე ფ[რიად] ცოდვილისაჲთა დ[ასაბამითგან-თა] წელთა ქართველთა] ხფოზ და ქორონიკონი [იყო რფგ და ბერძნულად წე[ლთა ხჳჲ], ქორონიკონი იყო პა. დ[იად?] თანაშეწევნით[ა] და პაჩითა მიქაელ [მლ] დელისა კათამონელისა]. სალოცველად და მოსაჯსენებელად] ჩუენ ცოდვილთათჳს [მშობელ]თა და ნათესავთა ჩ[უენთათჳს]. აწ გვედრებით თქუენ მამათა და ძმათა, რომელნი იკითხვიდეთ და იმსახურებდეთ] ამას წიგნსა, მო[გ]ვი[ქსე]ნეთ ესე და გვედ[იეთ] თქუენ [ლოცვასა] ფრიად ცოდვილი [იოვანე?] ამისი სახელად [ო]დენ[... მით ავაზაკი [...] და გიორგი და მშობელნი და ყოველნი ცოცხალნი] ჩუენნი და რომელი რ[აჲ დამეკლოს], [შემინდ]ვეთ ღმრთისათჳს.

ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და ყოველნი ძმანი ს[ინე]ლნი] და ყოველნი ქრისტეანე[ნი]. ლოცვა ყავთ წმიდანო, ლოცვა ყავთ ჩუენთ[ჳს], რამეთუ ფრიად გოვრწამს [თქუენი ლოცვაჲ]. ქრისტე, შეგვწყალენ“.

შკვლევაკრები მ. დვალი და ლ. ჯღამაია № 67 ხელნაწერის ეტრატის ფურცელზე მოხსენიებული მიქაელის შესახებ წერენ:

„იოანე-ზოსიმეს მიქაელ მღვდლის თხოვნით და ხელშეწყობით 973 წელს მესამედ შეუმოსავს სინ. 35... იოანე-ზოსიმე და მიქაელ მღვდელი ხშირად იხსენიება ერთად მეათე საუკუნის 70-იან წლებში გადაწერილი სინური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში. ეს ის მიქაელ მღვდელია, სინას მთის მოღვაწე, რომლის შეწევნითა და მეოხებით იოანე-ზოსიმეს გადაუწერია 974 წ. სამოციქულო (№ 39). ანდერძში მიქაელ მღვდელი უკვე დეკანოზად იხსენიება. 978 წელს იოანე-ზოსიმეს იმავე მიქაელის მეოხებითა და თხოვნით გადაუწერია ოთხთავი (№ 15). მიქაელისავე ხელშეწყობით იოანე-ზოსიმეს 981 წელს მესამედ შეუმოსავს სინური მრავალთავი. ამავე წელს მისივე თხოვნით იოანე-ზოსიმეს გადაუწერია წმიდათა ცხოვრება (№ 6)“. (გვ. 76).



მოტანილი ნაწყვეტი შეიცავს ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომას ასევე ზოგი მოსაზრებაც მოითხოვს დაზუსტებას.

იმის აღნიშვნა, რომ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი შეუქმნა „მესამედ“, ხელნაწერის არცერთი ცნობით არ დასტურდება, ამის შესახებ არც ანდერძშია რაიმე თქმული.

მოტანილ ციტატაში აღნიშნულია, რომ მიქაელის შეწვევითა და მეოხებით იოანე-ზოსიმეს გადაუწერია 974 წ. სამოციქულო № 39, ჩვენ კი ვიცით, რომ 974 წლის სამოციქულო № 39, როგორც გაარკვია ც. ჭანკიევმა, გადაწერა არა იოანე-ზოსიმემ, არამედ პალესტინელ გადამწერთა რიცხვიდან რიგით მესამე იოვანემ, რომელმაც № 39-ის გარდა გადაწერა №№ 20, 64, 65 და № 11 ხელნაწერის ბოლო (361—400) ფურცლები<sup>5</sup>.

ამავე ციტატაში ვკითხულობთ: „978 წელს იოანე-ზოსიმეს იმავე მიქაელის მეოხებითა და თხოვნით გადაუწერია ოთხთავი (№ 15)“. ამგვარი რამ არცერთ ანდერძში არ არის ნათქვამი. ვილაც მიქაელი იხსენიება 292-ე გვერდზე სინელ მოღვაწეთა შორის, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ აქვს ხელნაწერის გადაწერასთან. არც სხვა ხელნაწერში გვხვდება ცნობა ამის შესახებ.

როგორც განხილული №№ 9 და 67 ხელნაწერთა ცნობებიდან ჩანს, მიქაელ კათამონელი სინას მთის ქართული სავანის ლიტერატურული კერის გამდიდრების ერთ-ერთი მზრუნველ-მოამავეთაგანია. მას ჰქონია მღვდლობის ხარისხი. მართალია ა. ცაგარელი, როდესაც ამბობს, რომ მიქაელი კათამონის მონასტერში მოღვაწეობდა და ამის გამო მიიღო მან ზედწოდება — კათამონელიო. ისიც ნათელია, რომ ამ მიქაელს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონია იოანე-ზოსიმესთან, ავალეობდა მას ხელნაწერთა რესტავირებას. რაკ მიქაელი პირველად იხსენიება 973 წ. სინურ ხელნაწერში, ეს იმის მომასწავებელია, რომ კათამონელი სინას მთაზე სამოღვაწეოდ გადასულა არა უგვიანეს X საუკუნის 70-იანი წლებისა.

ასეთია დასკვნები, რომლებიც აუცილებლად გამომდინარეობენ მის შესახებ არსებული ცნობებიდან. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ № 35, რომელიც X საუკუნის ერთ-ერთი ძველი ხელნაწერია, სინას მთაზე შესაძლებელია მიტანილია საბაწმიდიდან (მისი წარმოშობის ადგილიდან)

<sup>5</sup> ც. ჭანკიევი, პალესტინელ გადამწერ „იოვანეთა“ შესახებ, მრავალთავი, № II. 1973 წ. გვ. 47.





სწორედ მიქაელ კათამონელის მიერ და მასვე უკისრია ხელნაწერის გადაწერიდან 63 წლის შემდეგ მისი აღდგენა (პალესტინის ქართული მონასტრის ბერებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ერთ-მანეთთან და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სინას მთაზე გადასვლამდე მიქაელი საბაწმიდაში ყოფილიყო).

მიქაელ კათამონელის ხსენებას (მხოლოდ სახელით) უნდა ვხვდებოდეთ სხვა ანდერძებშიც.

### მიქაელ დეკანოზი

სინური ხელნაწერების სხვა ანდერძ-მინაწერებში ერთ-ერთი მიქაელი დეკანოზად იხსენიება:

ა. 981 წლის № 6 ხელნაწერი: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ დეკანოზი სინა-წმიდისაჲ, მომგებელი ამის წმიდისა წიგნისაჲ“ (ფ. 200. იგივე იხსენიება ფურცლებზე: 1, 169, 183, 224).

ბ. X საუკუნის № 11 ხელნაწერი: „წმიდაო არეთა... მეოხ გუეყავ... იოვანეს მწარედ ცოდვილსა და მიქაელ დეკანოზსა“ (ფ. 391).

გ. 974 წლის № 39 ხელნაწერი: „...მომემადლა მე, ფრიად ცოდვილსა იოვანეს, დაწერად წმიდაჲ ესე წიგნი საქმე წმიდათა მოციქულთაჲ გელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა და ღიად უცბეზიო, ბრძანებითა პატიოსნისა მღვდელისა მიქაელ დეკანოზისაიოა“... (ფ. 132. შდრ. იქვე, ფ. 128).

ისმება კითხვა: ვინ არის ეს მიქაელი?

მკვლევარებს მ. დეკლსა და ლ. ჯღამაიას 974 წლის სამოციქულოსა (№ 39) და წმიდათა ცხოვრებაში (№ 6) მოხსენიებული მიქაელი (იგივე დეკანოზი) № 67-ის ეტრატის ფურცელზე მოხსენიებულ მიქაელად ითვნიან; ამ უკანასკნელი ხელნაწერის ანდერძში კი აღმოჩნდა, რომ ეს მიქაელი არის კათამონელი, ე. ი. გამოდის, რომ თუ მკვლევართა მოსაზრებას დავეყრდნობით, მიქაელ დეკანოზი და მიქაელ კათამონელი ერთი და იგივე პირია.

რა შეიძლება ითქვას ამ თვალსაზრისის შესახებ?

უნდა აღინიშნოს, რომ სინურ ხელნაწერთა ცნობები იქ მოღვაწე ბევრი ქართველი მწიგნობრის შესახებ იმდენად ფრაგმენტულ წარმოდგენას გვაძლევენ, რომ დამატებითი საბუთების გარეშე ცალკეულ პიროვნებათა იდენტიფიკაცია ძალზე სახიფათოდ მოჩანს.

არის თუ არა მიქაელ დეკანოზი იგივე № 67-ის მიქაელი, ანუ მიქაელ



კათამონელი? ხელნაწერები ამის შესახებ პირდაპირ ცნობებს არაა. მეცნიერებას ხელთ არა აქვს არც სხვა არგუმენტები, მათზე დაყრდნობით, რომ შეიძლებოდეს ამ საკითხის დამაჯერებელი გადაწყვეტა. დღეისათვის კი მიქაელ დეკანოზისა და მიქაელ კათამონელის გაიგივებას აბრკოლებს მრავალი გარემოება, რომელთაგან აღენიშნავთ ზოგიერთს:

1. იმ ცნობებში, სადაც მიქაელ კათამონელი იხსენიება, მინიშნებაც კი არ არის, რომ იგი დეკანოზი იყო. გვიანდელ ცნობაშიც (№ 9) მხოლოდ მღვდლის ხარისხით იხსენიება.

2. № 6 ხელნაწერის ერთ-ერთ ანდერძში (ფ. 224) ყურადღებას იქცევს წინადადების ასეთი კონსტრუქცია: „ქრისტე ღმერთო, მოივსენე და შეიწყალე სული მიქაელ პატიოსნისა მღვდლისა, რომელი მიზეზ ექმნა წმიდასა ამის წიგნის აღმართებასა“. ეს ანდერძი ეკუთვნის იოანე-ზოსიმეს, დაწერილია „დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხფპჳ (983 წ.) და ქორონიკონი იყო სბ (982 წ.) ე. ი. 982-983 წლებში. უფრო მისაღებია ქორონიკონური დათარიღება (982 წ.), როგორც უფრო უცდომელი.

იოანე-ზოსიმე, რომელსაც შეუმოსავს ხელნაწერი, მიქაელ მღვდლის სულის მოხსენებასა და შეწყალებას სთხოვს მაცხოვარს. ამ მიქაელში, რომელიც „მიზეზ ექმნა წმიდასა ამის წიგნისა აღმართებას“, ივულისხმება მიქაელ დეკანოზი, როგორც ეს ჩანს იმავე ხელნაწერზე დართული სხვა (ფ. 183, 200) ანდერძებიდან.

რას უნდა ნიშნავდეს: „მოივსენე და შეიწყალე სული მიქაელ პატიოსნის მღვდლისა“.

გამოთქმა „შეიწყალე სული“ სინური ხელნაწერების ანდერძებში გვხვდება საკმაოდ ხშირად და ითქმის ცოცხალი ადამიანის შესახებაც, მაგრამ ისეთი გამოთქმა, რომელიც გამოხატავდეს თხოვნას ცოცხალი ადამიანის სულის მოხსენების შესახებ და ეს თხოვნა მიმართული იყოს ღმერთისადმი, სინურ ხელნაწერებში არ დასტურდება. გადამწერი ჩვეულებრივ უფალს სთხოვს შენდობასა და შეწყალებას, ხოლო წიგნის წამკითხველთ — ლოცვის დროს მოხსენიებას:

— „ყოველი დაკლებული ჩუენი შეგვანდეთ ღმთისათჳს და თქუენცა ქრისტემან შეგვანდვენ და შეგვიწყალენ“ (№ 32-33).

— „აჲ გვედრებით თქუენ, ყოველთა ღმრთისმოყვარეთა, მღვდლთა და რომელნი იმსახურებდეთ წმიდათა ამათ წიგნთა, მოგვხსენენით წმიდასა ლოცვასა თქუენსა“ (№ 39).



— „რომელნი იმსახურებდეთ იადგართა ამათ, რაჟთა მოგვცესნენთ ჩუენ ცოდვილნი ესე, წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა“ (№ 40) ამიტომ იზადება ეპიკი, რომ გამოთქმაში, რომელშიც გამოხატულია თხოვნა პიროვნების სულის მოხსენიების შესახებ და ეს თხოვნა მიმართულია ღვთისადმი, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება აქ გარდაცვლილად იგულისხმება? ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ და მაშინ გამოდის, რომ 982 წელს მიქაელ დეკანოზი გარდაცვლილია და, ბუნებრივია, 983 წელს იგი იოანე-ზოსიმეს ვერ შეუპყვეთავდა № 9 ხელნაწერის შემოსვას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მიქაელ დეკანოზის ხსენებას 982 წლის შემდეგ ხელნაწერებში ვეღარ ვხვდებით.

3. თითოეულ სინელ მოღვაწეს გამორჩეულად თავ-თავისი გვარი ან წოდება ჰქონდა და ანდერძებშიც გადამწერები ერთმანეთის გასარჩევად ამგვარად მოიხსენიებდნენ მიქაელ კათამონელსა და მიქაელ დეკანოზს.

მიქაელ დეკანოზს თავისი მწიგნობრული მოღვაწეობით განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონია მოპოვებული სინელ ძმებს შორის. იოანე-ზოსიმე მას ეძახის სულიერ ძმას და უფალს, მოწიწებით ასრულებს მის დავალებებს (№ 6).

მიქაელი პირველად დეკანოზად იხსენიება ანდერძებში 974 წლიდან და არა 982-დან, როგორც ამას აღნიშნავს ცილა ჭლამაია<sup>6</sup>. ასევე საქმის ობიექტურობას ვერ ასახავს თქმა: „მიქაელი სინას მთის დეკანოზად 80-იანი წლების დასაწყისიდანაა“. რადგან მიქაელი პირველად იხსენიება 974 წელს, მისი დეკანოზად დანიშვნა 70-იანი წლების ახლოს უნდა ვივარაუდოთ.

ხელნაწერთა ერთ ნაწილში გვერდი-გვერდ ორი მიქაელი იხსენიება:

- ა. „ქრისტი, შეიწყალე მიქაელ, მიქაელ და კურიკე“ (981 წ. № 6, ფ. 66).
- ბ. „ღმერთო, შეუნდვენ ცოდვანი მათნი მიქაელს და მიქაელს“ (იქვე. ფ. 83).
- გ. „შეიმოსა მესამედ წმიდამ ესე წიგნი მრავალთავი... ბრძა-

<sup>6</sup> ც. ჭლამაია, მეთვ. საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები, მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1973, გვ. 59.

ნებითა და ფრიად მოსწრაფედ მოღვაწეობითა მიქაელ და მიქაელ პატიოსანთა მღვდელთაათა (981 წლის ანდ. № 32-33) 214).

დ. „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და მიქაელ...“ (იქვე).

ამ ანდერძებში ორი სხვადასხვა პიროვნება უნდა იგულისხმებოდეს, ერთ-ერთი უკვე ცნობილია ჩვენთვის: № 6 ხელნაწერში ნახსენები მიქაელი დეკანოზია, ხოლო მეორე, ვფიქრობთ, უნდა იყოს კათამონელი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხელნაწერების რესტავრირებაში. იგი მიქაელ დეკანოზთან ერთად ერთ-ერთი ინიციატორი უნდა იყოს 864 წლის სინური მრავალთავის (№ 32-33) შემოსვისა.

სინურ ანდერძებში კიდევ იხსენიება რამდენიმე მიქაელი: № 46 (ღრღულელი), № 56 (მომგებელი), № 60-ის მინაწერში, მაგრამ მწიერი ცნობების გამო მათი ვინაობის გამოცნობა არ ხერხდება.

#### კვირიკე მიძნაძორელი

სინურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულია რამდენიმე კვირიკეც. მათ შორის ერთ-ერთია მიძნაძორელი. მის შესახებ ცნობები დაცულია ორ (№ 60, № 38) ხელნაწერში. მათგან ვიგებთ, რომ იგი ყოფილა სინას მთის მონასტრის დეკანოზი („სინაწმიდისა დეკანოზმან“) და „მთისა ხუცესი“. მისი ეს ზედწოდებანი მიგვაჩნია იმ ძირითად საშუალებებად, რომელთა დახმარებითაც კვირიკე მიძნაძორელი უნდა გავარჩიოთ სხვა სინელ კვირიკეთაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში კვირიკე მიძნაძორელის პიროვნებას არაიშვიათად ურევენ მის თანამოსახელე სხვა მოღვაწეებთან. ამის შედეგად ორი სხვადასხვა ზედწოდება ერთსა და იმავე პიროვნებას მიეწერება, როცა სინამდვილეში ამ ზედწოდებებს სხვადასხვა მოღვაწეები ატარებენ. ასეა კვირიკე მიძნაძორელის ვინაობის გარკვევის საკითხშიც.

კვირიკე მიძნაძორელი, როგორც ზემოხსენებულ ზედწოდებებზე დაყრდნობით ირკვევა, სხვა ხელნაწერებშიც იხსენიება:

1. № 30: „ქრისტე შეიწყალე კვირიკე, ხუცესი მთისა“ (ფ. 121).
2. № 38: სინელ ძმებს შორის (ფ. 143).
3. № 31: „ქრისტე, შეიწყალე კვირიკე, ამის წიგნისა მომგებელი, მთისა ხუცესი“ (ფ. 32). ხელნაწერი წარმოადგენს სამოციქულოს, და-

თარიღებულია 977 წლით (ყ. გარიტი); სინას ბიბლიოთეკაში კვირიკეს მიერ შეწირული სხვა სამოციქულო არა გვაქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, 979 წლის ანდერძში ბიბლიოთეკისათვის შეწირულ წიგნთა შორის „წმიდათა მოციქულთას“ ქვეშ გულისხმობს № 31-ის „საქმე მოციქულთას“ (ფ. ფ. 33—118).

№ 31-ის გაგრძელებას წარმოადგენს № 58 (ნ. მარი, ყ. გარიტი). ორივე ხელნაწერში დაცულია ეპისტოლეთა ტექსტიც (№ 31, ფ. 31-32); № 58-31-ის ანდერძში მოხსენიებულ „პავლე“-ში ეს ტექსტები უნდა იგულისხმებოდეს.

4. № 47: „მომემადლა მე, იოვანეს ფრიად ცოდვილსა ამას, და დავხზრივე წმიდაჲ ესე წიგნაჲ... ბრძანებითა ქრისტეს მოყვარისა და პატიოსნისა მღვდელისა კვრიკე წმიდისა მთისა სინაწმიდისა დეკანოზისაჲთა“ (ფ. 90). ხელნაწერი გადაწერილია 977 წელს.

5. № 20: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი კელითა იოვანესითა, ბრძანებითა კვრიკე მთისა ხუცისაჲთა“ (ფ. 30). ხელნაწერი თარიღდება 987 წლით.

კვირიკე მიძნაძორელი უნდა იხსენიებოდეს სინური იადგარის (№ 64, 65) ანდერძებშიც:

„დიდება შენდა, სამებაო წმიდაო, დაესრულა იადგარი საზამთროჲ და საზატიკოჲ. ქრისტე, შეიწყალე კვრიკე მოძღუარი, ამისი მომგებელი და იოვანე უცბად მწერალი, ლოცვა ყავთ“ (№ 64, ფ. 159).

სხვა ფურცლებზე: „ქრისტე, შეიწყალე, კვრიკე, მომგებელი ამისი“ (ფ. 52); „დაესრულა იადგარი საწელიწდოჲ, ქრისტე, შეიწყალე იოვანე მწერალი, ფრიად ცოდვილი, და კვრიკე მოძღუარი და ყოველნი ძმანი, ამენ“ (ფ. 167).

გამორიცხული არ არის, რომ კვირიკე მიძნაძორელი მოძღვარიც ყოფილიყო. როგორც დეკანოზსა და ღვაწლმოსილ პირს, მას შეგიძლებოდა ეყოლებოდა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ №№ 64-ისა და 65-ის ვადაწმერ იოვანეს გადაწერილია კვირიკე მიძნაძორელის მიერ მოგებული სხვა ხელნაწერიც (№ 20). ჩანს, კვირიკეს ერთ-ერთ ვადამწერად ჰყოლია თავისივე მოწაფე.

აღნიშნული მოსაზრების საფუძველს გვაძლევს ზოგიერთი ფაქტიც.

№ 38-ის ანდერძში კვირიკე მიძნაძორელი ბიბლიოთეკისათვის შეწირულ წიგნთა შორის ასახელებს „იადგარს ახალს“. ეს იადგარი (№ 64-65) მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნდა პალესტინური სალიტერატუ-

რო სკოლიდან გამოსულ ძველ რედაქციად<sup>7</sup>, მაგრამ როგორც გამოირკვა, № 64-65 ხელნაწერები წარმოადგენენ „ახალი ტიპის იადგარის ვარიანტებს“<sup>8</sup>. ხელნაწერები დათარიღებულია X საუკუნის 70-იანი წლებით (პ. ინგოროყვა). ვფიქრობთ, არაფერი არ უშლის ხელს, ვივარაუდოთ, რომ კვირიკე მიძნაძორელი „იადგარ ახალში“ სწორედ №№ 64-65 ტექსტს გულისხმობდეს და მასში მოხსენიებული მოძღვარი და მომგებელი თვითონვე იყოს. მაშინ გამოდის, რომ კვირიკე მიძნაძორელი ჯერჯერობით პირველად იხსენიება X საუკუნის 70-იანი წლებიდან (თუ დავეყრდნობით პ. ინგოროყვას დათარიღებას), იწოდებოდა მოძღვრადაც და მისი სულიერი მოწაფე იყო იოვანე სინელი, რომელმაც გადაწერა №№ 39 (სამოციქულო), 62 (ავიოგრაფიული კრებული), 20 (იადგარის შემოკლებული ვარიანტი), 64-65 (იადგარის ვრცელი ვარიანტი) და 11-ის (ავიოგრაფ. კრებ.) ბოლო ნაწილი (ფფ. 361—400).

„მიძნაძორთა“ („მიჯნაძორთა“), რომლიდანაც ნაწარმოებია კვირიკეს ზედწოდება, წარმოადგენდა ძველ ქართულ სავანეს ტაო-კლარჯეთის მხარეში<sup>9</sup>. მიძნაძორის მონასტერი მდიდარი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების კერა ყოფილა უკვე X საუკუნის შუა ხანებში. სამეცნიერო ლიტერატურაში მიმოხილულია ცნობები მის დამაარსებელთა და იქ მოღვაწე მწიგნობრების შესახებ<sup>10</sup>. ამიტომ მათ აქ აღარ გავიმეორებთ, გამოვყოფთ მხოლოდ ერთ მათგანს, რომლის მოღვაწეობა X საუკუნის I პერიოდს ემთხვევა. ეს არის იაკობ მიძნაძორელი, რომლის შესახებაც გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში წერს: „ხოლო შატბერდისა მამათა შორის ფრიად იყვნეს შემდგომითი-შემდგომად მონაზონებისა სიმკნითა რჩეულ და რომელნიმე წინასასწარმეტყუელებისა მადლითა ბრწყინვალე სხუათა მათებრ უდაბნოთა ქამითი-ქამად წმიდათა კაცთა გამობრწყინვებითა, რომელთა შორის ქამთა ჩუენთა ბრწყინვიდა გევსა მას მიძნაძორთასასა დიდი იაკობ, ვითარცა მთიები შორის ვარსკულაეთა, ზეშთა სიტყუსა ჩუენისა შემკობილი მრავალ-ფერითა მადლითა მოყუასთა თანა საღმრთოთა“.

<sup>7</sup> პ. ინგოროყვა, თხზ., ტ. III, თბ., 1965, გვ. 219.

<sup>8</sup> ე. მეტრეველი, „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია“, ნაკვეთი I, თბ., 1978, გვ. 10.

<sup>9</sup> აღწერილი აქვს ნ. მარს. იხ. მისი „Дневник поездки в Шавшию и Кларджию“. ТР, ки. VII, П. 1911, с. 132.

<sup>10</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 353—354; ლ. შენაბაძე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I. ნაკვ. II, თბ. 1962, გვ. 430.



იაკობ მიძნაძორელის შესახებ, აღნიშნულის გარდა, სხვა წყაროში არავითარი ცნობა არ დაჩენილა, ამიტომ მისი დეაწლისა და ვინაობის გათვალისწინების შესაძლებლობას მოკლებული ვართ. მაგრამ გვინტერესებს ჩულებს თქმა, რომ იგი „ბრწყინვიდა... ვითარცა მთიები შორის ვარსკულავთა“, გვაფიქრებინებს, რომ იგი გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა.

როგორც სინური ხელნაწერებიდან ვიცით, კვირიკე მიძნაძორელი X საუკუნის 70-იან წლებში სინას მთაზე უკვე სახელმოხვეჭილი მწიგნობარი და მოღვაწეა, ხოლო 977 წლიდან დეკანოზად იხსენიება. ამ პერიოდისათვის მისი ასაკი 40 წელზე ნაკლები არ უნდა ვივარაუდოთ, თუ უფრო მეტი არაა. მისი ახალგაზრდობის წლები X საუკუნის I ნახევრის შუა პერიოდზე მოდის. ამ დროს, როგორც ვთქვით, იაკობი მიძნაძორში მოღვაწეობდა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია კვირიკე იაკობის უმცროსი თანამედროვე იყო და პირადად იცნობდა მას. მაგრამ იყო თუ არა იაკობი კვირიკეს მოძღვარი, რაიმეს თქმა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, როგორც ერთი ცნობიდან ჩანს (№ 38), კვირიკე თითქოს ბერ დათუას შეგირდი ყოფილა.

და ბოლოს, რომელ წლებში იყო კვირიკე დეკანოზად?

კვირიკე დეკანოზად ყველაზე ადრე იხსენიება ორ სინურ ხელნაწერში (№№ 60 და 47), რომლებიც 977 წლით თარიღდება. ეს არის კვირიკეს დეკანოზობის პირველი ქრონოლოგიური თარიღი. კვირიკე დეკანოზად იხსენიება აგრეთვე 979 წლის ოთხთავში. ე. ი. ფაქტიური მონაცემებით კვირიკე დეკანოზად იხსენიება 977-979 წლებში. დასაზუსტებელია მხოლოდ ერთი ხელნაწერის ტექსტზე დართული ანდერძის მონაცემი. ასე, მაგალითად, № 60-ში ნათქვამია: „დაუწერე წმიდაჲ ესე წიგნი გელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა ძმასა ჩემსა სულიერსა კვირიკეს მიძნაძორელსა, დათუასა ხუცესსა, რომელი იყო დეკანოზად მთასა ამას წმიდასა მღვდელი პატიოსანი“. ხელნაწერი თარიღდება 977 წლით. ამ წელს კვირიკე დეკანოზია სინას მთის მონასტრისა (№ 47). ამ ანდერძიდან კი ისე გამოდის, თითქოს კვირიკე 977 წელზე ადრე ყოფილა დეკანოზად („იყო“ დეკანოზად). შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ ანდერძის ავტორს რაღაში დასჭირდებოდა ეხმარა სიტყვა „იყო“, როცა იმავე წელსვე, როცა ხელნაწერი გადაწერა, კვირიკე დეკანოზი იყო? როგორც ჩანს, კვირიკე სოხასტრელის ხსენებული ანდერძი გვიანდელი პერიოდისაა, როცა კვირიკე აღარ იყო დეკანოზად (დაახ. 980), ხოლო ტექსტი გადაწერილია უფრო ადრე, 977 წელს.



ცნობები კვირიკე სოხასტრელის ვინაობის შესახებ დაცულია ერთადერთ ხელნაწერში (№ 60):

„საყვარელნო ძმანო, სახელითა ღმრთისაჲთა მოვიწიე წმიდასა ამას მთასა სინასა მე კვირიკე ცოდვილი სოხასტრელი და თაყუანი ვეც წმიდასა ამას მთასა სინასა... და მივეც დიდებამ და მადლობამ მომცემელსა კეთილისასა და დაუწერე წმიდამ ესე წიგნი გელითა ჩემითა ფრიად ცოდვილითა ძმასა ჩემსა სულიერსა კვირიკეს მიძნაძოროელსა... რომელი დამეკლოს, შემინდვეთ, რამეთუ უგუნურად მჩხრეკალი ვიყავ და ღმერთმან იცის, გუამითა დიად ზაშმი... დასაბამითგანნი წელნი იყვნეს **ხვბა** (977 წ.) ქორონიკონი იყო **რჟზ** (977 წ.)“.

ბოლო სტრიქონებს შორის იმავე ხელით ჩანართია: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და კვირიკე კურდანა“ (ფ. 12).

კვირიკეს სინელ მოღვაწეთა შორის იხსენიებენ ა. ცაგარელი, ნ. მარი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა. ამ უკანასკნელმა კვირიკე სოხასტრელი მიიჩნია № 60-ის ანდერძის ბოლო სტრიქონებს შორის ჩამატებულ კვირიკე-კურდანად და იგი გააიგივა X საუკუნის II ნახევრის ცნობილი მოღვაწის მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოხსენიებულ ჰიმნოგრაფ კურდანასთან. მიქაელ მოდრეკილის კრებულში კურდანას ეკუთვნის „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი“, რომლის შესახებაც პ. ინგოროყვა წერს:

„საგალობელთა კიდურწერილობაში ავტორი მოიხსენება საერო (იშვიათად ხმარებული) სახელით: კურდანი. ავტორი ამ საგალობელთა დაწერის დროს საერო პირი ყოფილა. უფრო გვიან კურდანი ბერად შემდგარა და კვირიკეს სახელი მიუღია. X საუკუნის 70-იან წლებში იგი საქართველოდან ჩასულა სინას მთაზე და 977 წელს გადაუწერია ბავლეს ეპისტოლენი და მოციქულთაჲ, რომელთა ანდერძში იგი მოიხსენება, როგორც კვირიკე-კურდანი“ (თხზ. ტ. III. გვ. 348).

პ. ინგოროყვას მოსაზრება მიქაელ მოდრეკილის კრებულის კურდანასა და № 60-ის კვირიკე კურდანას იდენტურობის შესახებ გაიზიარა, ხოლო კვირიკე სოხასტრელის საქართველოდან პირდაპირ სინას მთაზე „მოწევის“ აზრი ეპვის ქვეშ დააყენა ც. ჯღამაიამ. მან აღნიშნა: „ჩვენი ვარაუდით, სინ. 60-ის მინაწერის კვირიკე-კურდანი, შესაძლებელია, ხელნაწერის გადამწერი კვირიკე სოხასტრელი იყოს, მაგრამ არა





საქართველოდან გადმოსული, არამედ საბაწმიდიდან სინას მოწვეულ-  
ლი“ (გვ. 59).

იმავე ნაშრომში ც. ჯღამაია გამოთქვა ამგვარი მოსაზრება: „სინას 60-ის მინაწერში კვრიკე-კურდანა მიქაელთან ერთად იხსენიება: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ და კვრიკე-კურდანა“. სინური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში მიქაელთან ერთად კვირიკე ხშირად ჩანს.

1. „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ, მიქაელ და კვრიკე“ (982 წლის სინ. 6. 66).

2. „ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ, მიქაელ, კვრიკე“ (978 წლის სინ. 15, 292).

3. „ქრისტე, შეიწყალე კვრიკე, გაბრიელ, მიქაელ“ (979 წლის სინ. 38, 143).

4. ჩამოთვლილი ხელნაწერები, — განაგრძობს ც. ჯღამაია, — ერთი პერიოდისაა — 977-982 წწ. ამიტომ, ვფიქრობთ, უეჭვოა, რომ ყველგან ერთი და იგივე მიქაელი და კვრიკე იხსენიება. კვრიკე, ალბათ, სინ. 60-ის კვრიკე-კურდანას და, ამდენად, მიქაელ მოდრეეკელის ჰიმნოგრაფ კურდანას გულისხმობს“ (იქვე).


მაშასადამე, მკვლევარს მიაჩნია, რომ №№ 16, 15, 38 ხელნაწერებში მოხსენიებული კვირიკე, რომელიც მიქაელთან ერთად იხსენიება, ერთი და იგივე პირია. იგი შეიძლება № 60-ის მინაწერი კვრიკე-კურდანა, ხოლო ეს უკანასკნელი „ხელნაწერის გადამწერი კვრიკე სოხასტრელი იყოს“.

მკვლევარის ამ ნააზრევებიდან კი გამოდის, რომ ციტირებულ სტრიქონებში მოხსენიებული კვირიკე და კვირიკე სოხასტრელი ერთი და იგივე პირია.

დასახელებული მაგალითებიდან № 38-ის 143-ე ფურცელზე მოხსენიებული კვირიკე ვერ იქნება კვირიკე სოხასტრელი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი კვირიკე მიძნაძოროელია ხელნაწერზე დართული ანდერძების მიხედვით. ხოლო რაც შეეხება დანარჩენი ხელნაწერების (№ 6, 15) კვირიკეებს, მათი იდენტიფიკაციისათვის, ვფიქრობთ, საკმარისი არ იქნება იმ არგუმენტის მოტანა, რომ ის ხელნაწერები, სადაც ისინი იხსენიებიან „ერთი პერიოდისაა“ — 977/982 წწ. ამ წლებში სინას მთაზე რამდენიმე კვირიკე მოღვაწეობს და რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხელნაწერებში სხვადასხვა კვირიკეები არ იხსენიებოდნენ? დამატებით საბუთს

საჭიროებს აგრეთვე კვირიკე-კურდანასა და კვირიკე სოხასტრელის ან კვირიკე-კურდანასა და იელის იადგარის კვირიკეს გაიგივების საკითხი გერჯერობით კი მეცნიერებას არ მოუპოვებია ისეთი არგუმენტები, რომელზე დაყრდნობითაც მოხერხდებოდა კვირიკე სოხასტრელის ვინაობის გარშემო წამოჭრილი საკითხების დამაჯერებელი ახსნა.

დაბოლოს, შევეხთ კვირიკე სოხასტრელის მწიგნობრული მოღვაწეობის ორიოდ მხარესაც:




ანდრძი, რომელშიც კვირიკე ცოდვილი ამბობს, რომ მან დაჩხრიკა „მამას წამება“ (№ 52, 983 წ., ფ. 51).

სინას ბიბლიოთეკაში ინახება ერთ-ერთი ხელნაწერი — № 52, რომელშიც დაცული ტექსტის ერთი ნაწილი (ფფ. 1-51) შეიცავს „მამას წამებას“ და გადაწერილია ნუსხახუცურით „კვირიკე ცოდვილის“ მიერ: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე კვირიკე ცოდვილი, რომელმან ესე დაჩხ-

რიკა წმიდისა მამიას წამებამ წმიდისათჳს მთისა სინამსა, შემინდვეთ უნდოდ დაჩხრეკისათჳს ყოველად არა ყოფასა, ესევე შჯობს დასტოვება ყავთ ჩემთჳს, ძმანო წმიდანო“ (ფ. 51).

ამ ტექსტის ხელი კალიგრაფიულად საოცრად წააგავს კვირიკე სოხასტრელის ხელს. ბან-ების დაწერილობა ისეთივეა, როგორც № 60-ის კვირიკე სოხასტრელისეულ ანდერძში: ხშირია კუთხოვანი ბ-ს ხმარება, გვხვდება აგრეთვე თავმომრგვალებული (ფფ. 15, 16, 17, 18), თავშეკ-



ნიმუში კვირიკე სოხასტრელის ავტოგრაფისა, ნუსხური  
 („მამიას წამება“ № 52, ფ. 4).

რული (6, 3, 5) ბან-ები. გან-ებიც კუთხოვანია, ზოგიც თავშეკრული, უ-ს ვერტიკალური ხაზიც გაზნეჲილია და კბილებს ზემოთ არის ატანილი. ხ, ტ, ც-ს დაწერილობაც ისეთივეა, როგორც № 60-ის ანდერძში.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ № 52-ის ანდერძის „კვირიკე ცოდვილი“ კვირიკე სოხასტრელი უნდა იყოს და „მამიას წამების (1-51) ტექსტი



ჟ: ზე: ზოც: ზრდა:   
 ლ: ლა: ლე: ლე: ლე:   
 მ: მა: მე: მე: მე:   
 ნ: ნა: ნე: ნე: ნე:   
 ი: ია: იე: იე: იე:   
 ო: ოა: ოე: ოე: ოე:   
 პ: პა: პე: პე: პე:   
 რ: რა: რე: რე: რე:   
 ს: სა: სე: სე: სე:   
 თ: თა: თე: თე: თე:   
 ც: ცა: ცე: ცე: ცე:   
 ლ: ლა: ლე: ლე: ლე:   
 მ: მა: მე: მე: მე:   
 ნ: ნა: ნე: ნე: ნე:   
 ი: ია: იე: იე: იე:   
 ო: ოა: ოე: ოე: ოე:   
 პ: პა: პე: პე: პე:   
 რ: რა: რე: რე: რე:   
 ს: სა: სე: სე: სე:   
 თ: თა: თე: თე: თე:   
 ც: ცა: ცე: ცე: ცე:

ლ: ლა: ლე: ლე: ლე:   
 მ: მა: მე: მე: მე:   
 ნ: ნა: ნე: ნე: ნე:   
 ი: ია: იე: იე: იე:   
 ო: ოა: ოე: ოე: ოე:   
 პ: პა: პე: პე: პე:   
 რ: რა: რე: რე: რე:   
 ს: სა: სე: სე: სე:   
 თ: თა: თე: თე: თე:   
 ც: ცა: ცე: ცე: ცე:   
 ლ: ლა: ლე: ლე: ლე:   
 მ: მა: მე: მე: მე:   
 ნ: ნა: ნე: ნე: ნე:   
 ი: ია: იე: იე: იე:   
 ო: ოა: ოე: ოე: ოე:   
 პ: პა: პე: პე: პე:   
 რ: რა: რე: რე: რე:   
 ს: სა: სე: სე: სე:   
 თ: თა: თე: თე: თე:   
 ც: ცა: ცე: ცე: ცე:

ძ: ძა: ძე: ძე: ძე:   
 ლ: ლა: ლე: ლე: ლე:   
 მ: მა: მე: მე: მე:   
 ნ: ნა: ნე: ნე: ნე:   
 ი: ია: იე: იე: იე:   
 ო: ოა: ოე: ოე: ოე:   
 პ: პა: პე: პე: პე:   
 რ: რა: რე: რე: რე:   
 ს: სა: სე: სე: სე:   
 თ: თა: თე: თე: თე:   
 ც: ცა: ცე: ცე: ცე:   
 ლ: ლა: ლე: ლე: ლე:   
 მ: მა: მე: მე: მე:   
 ნ: ნა: ნე: ნე: ნე:   
 ი: ია: იე: იე: იე:   
 ო: ოა: ოე: ოე: ოე:   
 პ: პა: პე: პე: პე:   
 რ: რა: რე: რე: რე:   
 ს: სა: სე: სე: სე:   
 თ: თა: თე: თე: თე:   
 ც: ცა: ცე: ცე: ცე:

ნიმუში კვირიკე სოხასტრელის ფტოგრაფისა, ასომთავრული (№ 58, X ს., ფ. 4)



მის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს. განსხვავება მხოლოდ საწერო მასალაშია: № 60-ის ანდერძი ნაწერია შედარებით წერილი საწერელით, ხოლო „მამას წამება“ — მსხვილი საწერელით და ასოებით. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს დაბრკოლებას არ უნდა უქმნიდეს № 60-ის და № 52 (ფფ. 1-51)-ის გადამწერთა იდენტურობას.

როგორც ცნობილია, № 58-31-ისა და 60-ის ტექსტები ერთმანეთის გაგრძელებაა (ე. გარიტი), გადაწერილია 977 წელს კვირიკე სოხასტრელის მიერ. აქედან გამომდინარე, ამ ხელნაწერებში გვაქვს ასომთავრულით დაწერილი კვირიკეს ავტოგრაფები (№№ 58:1-46; 31:1-121, 60 ასომთ. ნაწერი).

თუ სწორია ჩვენი მოსაზრება № 60-ის ანდერძისა და „მამას წამების“ კვირიკეთა იდენტურობის შესახებ, მაშინ გვქონია კვირიკე სოხასტრელის როგორც ასომთავრულით, ისე ნუსხახუცურით ნაწერი ტექსტები-ავტოგრაფებიც.

ამრიგად, ყოველივე თქმულის მიხედვით ირკვევა, რომ X საუკუნეში სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, მოღვაწეობდნენ ერთი და იმავე სახელით, ოღონდ განსხვავებული ზედწოდებებით რამდენიმე პირი — მიქაელ კათამონელი, მიქაელ დეკანოზი, კვირიკე მიძნაძორელი და კვირიკე სოხასტრელი — ქართველი მწიგნობარნი, წიგნის მოყვარულნი და ჩვენი ძველი კულტურის თავდადებული მოამაგენი, რომელნიც მარად ზრუნავდნენ სინას მთის ლიტერატურული სკოლის აღმავლობისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის.

თ ბ ი ლ ის ი

(პ. გ. ან X, 82 წ.) ნუსხეანოს, ამფიბოტე მთუგატსკოპ ციხეე ეწენი

ფ

ჩახსულნი  
ფუძსლები



## ოშკის ბიბლია

ძველ ძვირფას ხელნაწერ წიგნთა შორის, რომლებითაც ამჟამად ჩართველი ხალხი, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ბიბლიის დიდი ორტომიანი ხელნაწერი — ოშკის ბიბლია. ასეთი სახელი მას დაერქვა გადაწერის ადგილის მიხედვით.

ოშკის მონასტერი, სადაც ათასი წლის წინათ შეუმზადებიათ ეს ხელნაწერი, ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. იგი მდებარეობს მაღალ მთაზე იმ ადგილის მახლობლად, სადაც თორთუმისწყალი თორთუმის ტბას ერთვის. ეს მიდამოები 1917 წელს ინახულა და აღწერა აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა<sup>1</sup>. მისი აღწერით, ოშკის ტაძარს თავისი გრანდიოზულობით მხოლოდ ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი და ალავერდის კათედრალი თუ შეედრება. იგი მნახველს ხიბლავს სილამაზით, ჰარმონიულობით, სამკაულებით. ტაძარი მონატული ყოფილა, მაგრამ ძველი დიდებული მხატვრობიდან დღეისათვის მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩენილა. ტაძრის სამხრეთის ფრთა მეჩეთად უქცევიათ.

როგორც წარწერებიდან ირკვევა, ოშკის ტაძარი აგებულია ადარნასეს მეფობაში გრიგოლ ოშკელის ხელმძღვანელობით. თუ აქ იგულისხმება ადარნასე II (888—923), გამოდის, რომ ოშკი IX—X საუკუნეთა მიჯნაზე ყოფილა აგებული; მაგრამ, მკვლევართა უმეტესობის აზრით, მშენებლობა უწარმოებიათ X საუკუნის შუა წლებში, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით კურაპალატის მამის — ადარნასეს მეფობაში. რაც შეეხება ტაძრის მშენებლობის ინიციატორს გრიგოლ ოშკელს, მის შესახებ ჩვენ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით,

<sup>1</sup> Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, 1905.





რომ ის საეკლესიო მოღვაწე იყო, იცოდა სომხური ენა და თარგმნიდა იქიდან სასულიერო ხასიათის თხზულებებს<sup>2</sup>.

ოშკის მონასტრის ტერიტორიაზე, გარდა მთავარი ტაძრისა, არის კიდევ რამდენიმე შენობა თუ შენობის ნანგრევები. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ერთი სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევი, რომელსაც ჩრდილოეთიდან დიდი ოთხკუთხა დარბაზი ეკვრის. მკვლევართა ვარაუდით, აქ სემინარია უნდა ყოფილიყო მოთავსებული, სადაც ბევრი ცნობილი მწიგნობარი ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

ოშკის მონასტერი უმაღვე ქცეულა ქართული კულტურის მძლავრ კერად, რომელსაც ძველი ქართველი მოღვაწეები „დიდებული ლავრის“ სახელით იხსენიებენ<sup>3</sup>. გარდა ბიბლიისა, დღემდე შემოგვენახა რამდენიმე სხვა ძვირფასი ხელნაწერიც, რომლებიც ამ ლავრაშია გადაწერილი სულ მალე მისი დაარსების შემდეგ — X საუკუნის 70-იან წლებში.

ასეთია, სახელდობრ, იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებული, ანუ „სამოთხე“, რომელიც ოშკის იოანე ნათლისმცემლის საფანეში გადაუწერია და ყდაში ჩაუსვამს სტეფანე დეკანოზს 977 წელს, როცა მონასტრის წინამძღვრად ყოფილა საბა. იმავე საბას წინამძღვრობის დროს მეორე გადამწერს, იოანე ჩირაის, გადაუწერია „იოანე ოქროპირის ცხოვრება“. ორივე ამ წიგნის დამკვეთნი ყოფილან ძმები — იოანე-თორნიკე და იოანე-ვარაზვაჩე, შვილები ჩორდვანელისა. მათ შესახებ „სამოთხის“ ანდერძში ვკითხულობთ:

„მე, იოვანე თორნიკოფილმან, და ძმამან ჩემმან იოვანე-ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ „სამოთხე“... სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლისა კურაპალატისა დავითისთჳს... და მათსა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა: პირველად იოვანე-თორნიკოფილისათჳს და აწ წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სუნგელოზისათჳს, — რომელმანცა სიყუარულისათჳს ღმრთისა დაუტევა დიდებაჲ ქუეყანისაჲ და პოვა ზეცისაჲ... რამეთუ... მსწრაფლ

<sup>2</sup> კ. ძეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1950, გვ. 170—171.

<sup>3</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვ. 2, 1962, გვ. 447—454.



• შეიცვალა ხატი ერისკაცობისა და შეიმოსა სახე მეუღაბნოეთა, არამედ ამასცა სახესა შინა დიდად და ერთგულებით ჰმსახურა ძელსა, რებისასა წმიდათა მეფეთა, რაჟამს-იგი გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი, განლაღებული და მგლომად აღუდგა წმიდათა მეფეთა; ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოვლით კერძივე უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა ამათითა დაამკუთ განზრახვად მისი და განამტკიცნა წმიდანი მეფენი, — ღმერთმან დაიცვენ სულთ და ჯორცით! — და მერმე იოვანე-ვარაზვაჩქსთვს და მეუღლისა მისისა და შეილთა მისთა: მიქაელისა და ჩორდვანელ ზორავარისა და ჩოროლოდისათვს და თორნიკისთვს, და ძმისწულთა ჩემთა: ჩორდვანელ პატრიკისათვს და ბაგრატ პატრიკისათვს, და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა და მშობელთა ჩემთა: ჩორდვანელისათვს და მარიამისათვს, და ძმათა ჩემთა: ბაგრატისათვს და არშუშამისთვს და აბუჰარბისთვს, და მამის-ძმათა: აბუჰარბისთვს და არშუშამისთვს და ყოველთა სახლისა ჩემისა მიცვალებულთათვს.

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშქს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, მამობასა საბაჲსა, — ქრისტემან აკურთხენი — გელითა სტეფანე დეკანოზისაჲთა და მისითავე გელითა შეიმოსა, — ღმერთმან აკურთხენი ქრონიკონი იყო რჳზ [=977 წ.]


ეს ანდერძი მე, უღირსმან... დავით, დისწულმან ღმერთშემოსილისა მამისა მიქაელ მოდრეკილისამან, დავწერე. თუ რაჲ სიუცბით დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათვს და ლოცვა-ყავთ“.

მეორე წიგნის მინაწერი კი გვაუწყებს: „წადიერ ვიყავ მსახურებისათვს ღმრთივ-დიდებულთა უფალთა და წმიდათა მამათასა, — პირველად იოვანე-თორნიკ სინგელოზისათვს და ვარაზვაჩე-იოვანესთვს და შეილთა მათათათვს ერთობით...“

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა დიდებულსა ოშქს... წინამძღურობასა წმიდისა მამისა საბაჲსსა... გელითა ჩემ გლახაკისა საწყალობელისა იოვანე ჩირაჲსითა“.

იგივე პირები — იოანე-თორნიკყოფილი და იოანე-ვარაზვაჩე თავიანთ შევილებთან ერთად — იხსენიებიან აგრეთვე სხვაგან („ქუეყანასა კარნისასა“, ე. ი. არზრუმში) 981 წელს გადაწერილი „განძის“ ანდერძში:

„მე, იოვანე-თორნიკყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა უფლისა ჩორდვანელისამან... დავწერე წიგნი... „განძი“... აწ გევედრები... მოიგსენენით პირველად მოძღუარი ჩემი იოვანე-აბულჰერით და ძმა ჩემი



თშეის ბიბლიის ერთი გვერდი



იოვანე-ვარაზვაჩე და შვილნი ჩუენნი სულიერნი და გორციელნი: მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი და მცირაი თორნიკ და სულნი მშობელთა ჩემთანი და ძმათა და ყოველთა თჳსთა ჩემთაი“.

ამ ანდერძ-მინაწერებში დიდი პატივით მოხსენიებული იოანე-თორნიკოფილი გახლავთ სახელოვანი ქართველი სარდალი თორნიკე ერისთავი, რომლის თავგადასავალიც დღეს ყოველმა მოსწავლემ იცის აკაკი წერეთლის ისტორიული პოემის წყალობით. ამ პოემას საფუძველად უძევს ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი — „ცხოვრება იოანესი და ეფთჳიმესი“<sup>4</sup>, მაგრამ იგი არ შეიცავს თორნიკე ერისთავის ბიოგრაფიის ზოგიერთ ისეთ დეტალს, რისი დაზუსტებაც ზემოთ მოყვანილი ანდერძებით არის შესაძლებელი.

„სამოთხის“ ანდერძში სახელდებით არის ჩამოთვლილი თორნიკეს ახლო ნათესაეების სამი თაობა (ოღონდ მხოლოდ მამის ხაზით და ისინიც ყველა მხოლოდ მამრობითი სქესისა). როგორც ამ ანდერძიდან ვგებულობთ, თორნიკეს მშობლებს რქმევიათ ჩორდვანელი და მარიამი. ჩორდვანელს ჰყოლია ძმები: აბუჰარბი და არშუშა. მათი სახელები დაურქმევია მას თავისი უმცროსი შვილებისათვის. ჩორდვანელსა და მარიამს სულ ხუთი ვაჟიშვილი ჰყოლიათ: თორნიკე, ვარაზვაჩე, ბაგრატი, არშუშა და აბუჰარბი.

977 წლისათვის, როცა გადაწერილია „სამოთხე“, თორნიკეს მშობლები, ბიძები და სამი ძმა უკვე გარდაცვლილნი არიან. ძმათაგან, თორნიკეს გარდა, ცოცხალია მხოლოდ ვარაზვაჩე, იგივე იოანე, რომელსაც ჰყავს სამი ვაჟი: მიქაელი, ჩორდვანელი და თორნიკე.

როგორც ვხედავთ, ვარაზვაჩეს ერთ-ერთი შვილისთვის თავისი მამის სახელი (ჩორდვანელი) დაურქმევია, მეორისთვის (უმცროსისთვის) კი — ძმის სახელი (თორნიკე).

გარდაცვლილი ძმებიდან ერთ-ერთს (ან, შესაძლოა, ორს) დაარჩენია ორი ვაჟიშვილი, რომელთაგან ერთს აგრეთვე თავისი პაპის სახელი ჰქვია (ჩორდვანელი), მეორეს კი — ბიძის სახელი (ბაგრატი).

თავისთავად იგულისხმება, რომ თორნიკე ერისთავს საკუთარი ვაჟიშვილი არ ჰყოლია, თორემ ის უთუოდ იქნებოდა ნახსენები ამ ანდერძში, სადაც მთელი მისი ნათესაობა ასე დაწვრილებითაა ჩამოთვ-

<sup>4</sup> გ ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ცხოვრება იოანესი და ეფთჳიმესი. გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, 1946. ძველი ქართული ენის ძეგლები 3, 1946.

ლილი. როგორც ჩანს, თორნიკეს უშვილებია და აღუზრდია თავის/ობოლი ძმისწულები — ჩორდვანელი და ბაგრატი. ეს საცესებით ნათლად და ექვეშეუტანლად დასტურდება „განძის“ ანდერძით, სადაც თორნიკე გვევდრება: „მოივსენენით... ძმა ჩემი იოვანე-ვარაზვაჩე და შვილნი ჩუენნი სულიერნი და ჯორციელნი: მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი და მცირაი თორნიკ“.

როგორც ვხედავთ, აქ უმცროსი (მესამე) თაობიდან დასახელებულია იგივე ხუთი პირი, რომლებსაც „სამოთხის“ ანდერძით ვიცნობთ: მიქაელი, ჩორდვანელი, ბაგრატი, მეორე ჩორდვანელი და თორნიკე, რომელსაც სახელოვანი ბიძისაგან (დიდი თორნიკესაგან) გასარჩევად „თორნიკ მცირაი“ ეწოდება. „სამოთხის“ ანდერძიდანვე ცნობილია, რომ ამათგან მიქაელი, ჩორდვანელი და თორნიკე იოანე-ვარაზვაჩეს შვილებია, მეორე ჩორდვანელი და ბაგრატი კი — გარდაცვლილი ძმის შვილები. თორნიკე ერისთავის ღვიძლი შვილი არც აქ ჩანს. მაშასადამე, თორნიკე თავის შვილებად გულისხმობს შვილად აყვანილ ძმისწულებს — ჩორდვანელსა და ბაგრატს.

თორნიკეს ნაშვილები ძმისწულები — როგორც ჩორდვანელი, ისე ბაგრატი — „სამოთხის“ ანდერძში პატრიკის (პატრიკოსის, ანუ მთავრის, ეპარქოსის) ტიტულით იხსენიებიან, „განძის“ ანდერძში კი პატრიკად რატომღაც მხოლოდ ბაგრატი იხსენიება. ეს ბაგრატი შემდგომში მაგისტროსი გამხდარა. XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ასოლიკის ცნობით, თორნიკე ბერის შვილი ბაგრატ მაგისტროსი მოკლეს ომში 998 წელს.

„განძის“ ანდერძის მიხედვით, ორი ჩორდვანელიდან ერთი ექუსოვიტის ტიტულს ატარებს. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს ჩორდვანელ ვარაზვაჩეს ძე, რომელიც ადრე (977 წლის „სამოთხის“ ანდერძში) ზორავარისა და ჩოროლოდის ტიტულებით იხსენიებოდა. ამათგან ზორავარი, იგივე ზორვარი, მხედართმთავარს ნიშნავს, ჩოროლოდი (ჩორორორდი) კი — ტეტრარქს, ოთხთა სამთავროთა (ან ოთხთაგან ერთ-ერთის) მეთაურს. რაც შეეხება ექუსოვიტს, ეს უნდა იყოს დამახინჯებული ფორმა ექუსუსიატესი, რაც „მფლობელს“ ნიშნავს და ბიზანტიის იმპერიაში განსაკუთრებით საპატიო წოდებას წარმოადგენდა. როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ბიზანტიის მთავრობა ექუსუსიატესის სახელით იხსენიებდა მეზობელი ქვეყნების მეფეებს და ისიც ყველას არა<sup>5</sup>.

<sup>5</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 106—107.



სომეხთა ისტორიკოსის ასოლიკის ცნობით<sup>6</sup>, თორნიკე ბერის ძმის-  
შვილი მაგისტრი ჩორტვანელი მოკლულ იქნა 990 წელს პატრიკ, მანტი  
(იმავე პორტეზის) მიერ. იგივე ასოლიკი აღნიშნავს, რომ თორნიკე ბე-  
რის ძმისშვილი პატრიკი ჩორტვანელი 988 წელს ტყვედ ჩაუვარდა ეგ-  
ვიპტის ემირს. ვფიქრობთ, ეს ორი ცნობა სხვადასხვა პირს ეხება: ჩორ-  
ტვანელი მაგისტრი ვარაზვანეს ძე უნდა იყოს, ჩორტვანელი პატრიკი კი  
თორნიკეს მეორე ძმის შვილი, თორნიკეს გაზრდილი და შვილობილი.

როგორც აკად. ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, სახელი ჩორტვანელი  
(სომხური წყაროებით—ჩორტვანელი, ჩორტვანიკი) იგივეა რაც ჩორჩა-  
ნელი და მიღებულია ადგილის სახელწოდებისაგან. ასეთი სახელწო-  
დების სოფელი საქართველოში რამდენიმეა, მაგრამ მათგან უფრო  
ცნობილია ქვაბლიანის ხეობაში (ადიგენის რ.) ზარზმის მონასტრის  
მახლობლად მდებარე სოფელი ჩორჩანი, რომელსაც ამშვენებს შესა-  
ნიშნავი ციხე-სიმაგრე ოქროსციხე (მერმინდელი ალთუნ-ყალა). ეს  
უნდა ყოფილიყო რეზიდენცია ტაოელი ძლიერი ფეოდალებისა, ჩორჩა-  
ნელებისა, რომლებიც ცნობილი არიან აგრეთვე ხურსიძის (ხურციძის)  
გვარით. შესაძლებელია თორნიკე ერისთავიც ამ ფეოდალური საგვა-  
რეულოს წარმომადგენელი იყო.

როგორც ცნობილია, თორნიკე ერისთავი, რომელიც დავით კურა-  
პალატის დროს ქართველთა ჯარის მთავარსარდალი იყო, ხანში რომ  
შევიდა, ბერად აღიკვეცა იოანეს სახელით და საბერძნეთის ერთ-ერთ  
მონასტერს მიაშურა. მალე ამის შემდეგ ბიზანტიის ჭაბუკ იმპერატო-  
რებს ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა სარდალი ბარდა სკლია-  
როსი (ვარდა სკლეროსი), რომელსაც ტახტის ხელში ჩაგდება უნდოდა  
და წარმატებით მიიწვედა კონსტანტინოპოლისაკენ. გასაჭირში ჩავარ-  
დნილმა იმპერატორებმა, ბერძენი დიდებულების რჩევით, ქართველებს  
მიმართეს დახმარებისათვის და მოციქულად თორნიკე ერისთავი გამო-  
გზავნეს. ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა ბერძნებს მიაშველა თორ-  
მეტათასიანი ლაშქარი, რომლის სარდლობა ისევ თორნიკეს დაეკისრა.

ქართველებმა დიდი როლი შეასრულეს სკლიაროსის აჯანყების ჩა-  
ქრობაში. 979 წლის 24 მარტს მდინარე ღალისის (პალისის) პირას გა-  
მართულ ბრძოლაში სკლიაროსი საბოლოოდ დამარცხდა და განიდევ-

<sup>6</sup> Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозва-  
нию — писателя XI столетия. Переведена с армянского и объяснена Н. Эм-  
ным. Москва, 1864.

ნა ბიზანტიიდან<sup>7</sup>. ამ დამსახურებისათვის დავით კურაპალატს სავაჟ-გებლოდ გადაეცა ტაოს მოსაზღვრე რამდენიმე პროვინცია, ქართველთა მეომრებმა კი ჯილდოდ მიიღეს დიდძალი ქონება და ოქრო-ვერცხლი. თორნიკე ერისთავმა თავისი წილი ქონება მოახმარა ქართველთა მონასტრის მშენებლობას ათონის მთაზე (საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე).

ათონის ქართველთა (ივერთა) მონასტერი, დაარსებული 980—983 წლებში, გადაიქცა ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად, უდიდეს მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში<sup>8</sup>.

ახლად დაარსებული მონასტერი, თავისთავად ცხადია, სათანადო ლიტერატურითაც უნდა ყოფილიყო მომარაგებული. თორნიკე ერისთავს ადრევე უზრუნეა ამაზე და გადასაწერად დაუკვეთია არა ერთი და ორი წიგნი, რომლებიც შემდეგ ათონის ივერთა მონასტრისათვის შეუწირავს. ასეთებია, კერძოდ, ზემოხსენებული „სამოთხე“ და „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, რომელთა დამკვეთად თორნიკესთან ერთად მისი ძმა ვარაზვაჩეც იხსენიება. ორივე ეს წიგნი, როგორც უკვე ვთქვით, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს არის გადაწერილი ოშკის ლავრაში. ორივე წიგნი დღესაც ათონზეა დაცული. იქვე ინახება თორნიკეს დაკვეთით არზრუმში გადაწერილი „განძიც“, რომელიც წმიდა მამათა ცხოვრებასა და ქადაგებებს შეიცავს.

ოშკშია გადაწერილი და დღეს ათონზე ინახება აგრეთვე ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი. მსგავსად „განძისა“, ისიც შექმნილია საკუთრივ მხოლოდ თორნიკეს დაკვეთით. დამკვეთის ანდერძში ნათქვამია: „მე, იოვანე-თორნიკეყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა ჩორდვანელისამან, მოვიგე წმიდაი ესე წიგნი „მეფეთაი“ სალოცველად თავისა ჩემისა და ძმათა ჩემთა და შვილთა ჩემთათჳს და მოსაჯსენებელად სულისა ყოველთა მიცვალებულთა ჩემთასა“. სხვა ადგილას ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაი ესე წიგნი ლავრასა შინა დიდსა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემელისასა, სალოცველად სულკურთხეულისა თორნიკ სუზგელოზისათჳს და შვილთა მისთა“.

ამავე ანდერძში აღნიშნულია წიგნის შექმნის თარიღი: „ოდეს ესე

<sup>7</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, გვ. 477—479.

<sup>8</sup> კ. კ. მ. ე. ლ. ი. ძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები, II, 1945, გვ. 218.

წიგნი დაიწერა, ქრონიკონი იყო რეც“<sup>9</sup>. როგორც ცნობილია, ქრონიკონი რეც (198) უდრის 978 წელს (780+198=978).

ამრიგად, ეს უძვირფასესი ხელნაწერი, გადაწერილი ოშკის ლავრაში 978 წელს, უკვე ათასი წლისაა.

ოშკის ბიბლია აკინძულია ორ ტომად, რომელთაგან პირველში 532 ფურცელია, მეორეში — 428. ასე რომ, ორივე ტომი ერთად ათასამდე ფურცელს (2000-მდე გვერდს) შეიცავს. თავდაპირველად ეს ორტომეული 2000 გვერდზე მეტიც ყოფილა, მაგრამ რამდენიმე რვეული ამჟამად დაკარგულია.

ეს ორი ვეებერთელა ტომი გადაუწერია სამ ოშკელ მოღვაწეს: მიქაელ ვარაზვაჩეს ძეს, გიორგი გელასის ძეს და სტეფანე მწერალს, ხოლო შეუყინძავს და ყდაში ჩაუსვამს ერთ-ერთ მათგანს — სტეფანეს: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი კელითა სამთა მწერალთა: მიქაელისითა, გიორგისითა და სტეფანესითა... შეიმოსა კელითა გლაზხაისა სტეფანესითა“<sup>9</sup>.

გადამწერთაგან უფრო მეტი შრომა გაწეული აქვს მიქაელს, რომლის გადაწერილია პირველი ტომი მთლიანად და აგრეთვე მეორე ტომის ბოლოს მცირე წინასწარმეტყველთა რამდენიმე წიგნი; მეფეთა წიგნები გადაწერილია სტეფანეს მიერ, მეორე ტომის დანარჩენი წიგნები კი — გიორგის მიერ.

როგორც ვიცით, თორნიკე ერისთავის ძმის, ვარაზვაჩეს, უფროს ვაჟს მიქაელი ერქვა. არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ეს მიქაელი უნდა იყოს ოშკის ბიბლიის ერთ-ერთი გადამწერი მიქაელ ვარაზვაჩეს ძე. სავსებით დასაშვებია ვარაუდი, ოღონდ მაშინ მას ვერ გავაიგივებდნენ ცნობილ მიქაელ მოდრეკილთან, როგორც ამას აკად. კ. კეკელიძე ფიქრობდა. მიქაელ მოდრეკილიც ვარაზვაჩეს ძე იყო, მაგრამ ამასთანავე ის იხსენიება როგორც „ძმისწული ღმერთშემოსილისა მამისა დავითისი“, ჩვენ კი ვიცით, რომ თორნიკესა და ვარაზვაჩეს ძმებში დავითი არც ერთს არ ერქვა. მაშასადამე, მიქაელ მოდრეკილი სხვა ვარაზვაჩეს შვილია და არ შეიძლება იყოს თორნიკეს ძმისწული. უფრო დიდი შეცდომა მოუვიდა ისტორიკოს თედო ჟორდანიას, როდესაც მიქაელ მოდრეკილი თორნიკესა და იოანე-ვარაზვაჩეს დედის ძმად გამოაცხადა.

ოშკის ბიბლიის გადაწერის მონაწილე და შემმოსველი სტეფანე მწერალი უნდა იყოს იგივე სტეფანე დეკანოზი, რომელმაც ერთი წლით ადრე, 977 წელს, გადაწერა და ყდაში ჩასვა ზემოთ უკვე არაერთგზის ხსენებული „სამოთხე“.

<sup>9</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892.





ოშკის ბიბლია მის დამკვეთს თორნიკე ერისთავს შეუწირავს. აღნიშნულად დაარსებული ივერიის მონასტრისათვის და იმ დროიდან მოყოლობა დაიწყო ლეხულის დღემდე ეს ხელნაწერი ივერთა სავანეში არის დაცული ათონის მთაზე. მხოლოდ ერთხელ, 1849 წელს, იგი მცირე ხნით ათონიდან წამოიღო და თბილისში ჩამოიტანა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა.

საქართველოში ბიბლიის მთელი ტექსტი გადაწერეს ორ ცალად: ერთი — სიონის ტაძრისთვის, მეორე კი — სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისთვის. ამის შემდეგ დედანი კუთვნილებსამებრ ათონის ივერთა მონასტერს დაუბრუნდა და, როგორც ვთქვით, ამჟამადაც იქ ინახება.

ათონზე ეს ხელნაწერი ინახულა და პირველად აღწერა პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა 1883 წელს. მისი აღწერილობა გამოქვეყნდა 1886 წელს<sup>10</sup>. მკვლევარმა აქვე გააცნო მკითხველს ხელნაწერის დადიანისეული და სიონისეული ასლებიც.

1898 წლის ზაფხულში ათონზე იმყოფებოდა პროფესორი ნიკო მარი<sup>11</sup>, რომელმაც ოშკის ბიბლიიდან მთლიანად აღმოწერა ორი პატარა თხზულება — რუთის და იონას წიგნები, ამოიწერა ადგილები ეზდრადან და გადააღებინა ფოტოპირები ნეემიას წიგნისა.

ოთხი წლის შემდეგ ხელნაწერი მოინახულა კიდევ ერთმა ქართველმა მეცნიერმა — პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა, რომელიც ათონზე იმყოფებოდა 1902 წლის ივნის-ივლისში. მან ათონზე დაცული ქართული ბიბლიის შესახებ საგანგებო მოხსენება წაიკითხა არქეოლოგთა XII ყრილობაზე ხარკოვში 1903 წელს. ეს მოხსენება იმავე წელს დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო მოამბეში“<sup>12</sup>.

დაბოლოს, ოშკის ბიბლიის ვრცელი აღწერილობა მოგვცა ცნობილმა უცხოელმა ქართველოლოგმა — პროფესორმა რობერტ ბლეიკმა, რომელიც რამდენჯერმე იყო ათონის მთაზე და დაწვრილებით აღწერა იქაური ხელნაწერები. ეს აღწერილობანი გამოქვეყნდა 1929—1932 წლებში პარეარდსა და პარიზში ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

რაც შეეხება ტექსტის გამოცემას, ამ მხრივ მდგომარეობა დღემდე

<sup>10</sup> А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, С.-Петербург, 1886.

<sup>11</sup> Н. Марр. Из поездки на Афон: ЖМНП, март, 1839.

<sup>12</sup> Ал. Хаканов (Хаканашвили), Афонский список грузинской библии 978 г. и его значение для исправления неточного текста, «Богословский вестник», ноябрь, 1903.

არ არის სახარბიელო: გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე მტკიცებულება  
ნაკვეთი.



პირველად 1886 წელს ალ. ცაგარელმა გამოსცა ქებათაქება (დადიანისეული ასლის მიხედვით), ხოლო 1920 წელს კ. კეკელიძემ — ეკლესიასტე (როგორც დადიანისეული, ისე სიონში დაცული ასლების მიხედვით).

აკადემიკოს აკაკი შანიძის ცნობით, „მთელი ტექსტის გამოქვეყნებას აპირებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც უკვე 1910 წელს მოეპოვებოდა ფოტოპირები ამ ხელნაწერისა. ეს ფოტოპირები აზიის მუზეუმში იყო დაცული. შედგა კომისია ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად, რომლის ხელმძღვანელი იყო ნ. მარი, ხოლო წევრები: ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე და ა. შანიძე. სალექსიკონო მასალების ამოსაკრებად ერთ-ერთი მთავარი წყარო უნდა ყოფილიყო ათონის ბიბლია და ამასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი მისი გამოცემისა. საამისოდ მოწვეულ კრებაზე (1913 წლის შემოდგომაზე) პირველი სამი წიგნი მოსესი ასე განაწილდა კომისიის წევრებს შორის სასტამბოდ დამზადებისათვის: დაბადებისა — ი. ჯავახიშვილს, გამოსვლათა — ა. შანიძეს და ლევიტელთა — ი. ყიფშიძეს“.

აკაკი შანიძე შესდგომია კიდევ გამოსვლათა ტექსტის გადმოწერას და სასტამბოდ დამზადებას, ტექსტის აწყობა და ბეჭდვაც დაწყებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მაგრამ საქმე ჯერ ომიანობის გამო გაჭიანურებულა, შემდეგ კი სულაც შეწყვეტილა.

ოშკის ბიბლიის კრიტიკულ გამოცემაზე მუშაობა ა. შანიძემ განაახლა დიდი ხნის შემდეგ თბილისში. მან 1947 წელს ძველი აღთქმის წიგნებიდან ერთ ნაკვეთად გამოსცა დაბადებისა და გამოსვლათა წიგნები, ხოლო 1948 წელს მეორე ნაკვეთად — ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთის, იობის და ესაიას წიგნები<sup>15</sup>. ამის შემდეგ ტექსტზე მუშაობა შეჩერდა და მომდევნო ნაკვეთები გამოუცემელი დარჩა.

შემდგომში ბიბლიის კრიტიკული ტექსტის დადგენაზე მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივი პროფესორ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო საქმე კვლავ შეფერხდა, მაგრამ ამჟამად განახლებულია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი სამეცნიერო საზოგადოების დიდი ხნის სურვილი მალე განხორციელდება და ოშკის ბიბლიის ტექსტი მთლიანი სახით ახლო მომავალში გახდება ხელმისაწვდომი დაინტერესებული მკითხველისათვის.

<sup>15</sup> წიგნი ძუელისა აღთქმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით გამოსცა აკაკი შანიძემ. ტ. I, ნაკვ. 1, 1947; ნაკვ. 2. 1948. ძველი ქართული ენის ძეგლები, 4-5.



დავით ჩუბინაშვილის ნაღვაში და ნაანდერძები

ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარსა და ლექსიკოგრაფს დავით ჩუბინაშვილს, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, 1890 წელს ქართველმა საზოგადოებრიობამ ილია ჭავჭავაძისა და ილია ოქრომჭედლიშვილის ინიციატივით სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი გადაუხადა. ამასთან დაკავშირებით „ივერიამ“ 1890 წლის 9 და 12 მაისის ნომრებში მოწინავე წერილებად დაბეჭდა „სამეცნიერო მოღვაწეობა დავით იესეს ძის ჩუბინაშვილისა“. ეს ხელმოუწერელი წერილი გაზეთის რედაქტორის ილია ჭავჭავაძის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. ამას გვაფიქრებინებს ადრევე, 1888 წლის 18 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილი ილია ოქრომჭედლიშვილისადმი. დავით ჩუბინაშვილის მადლიერი მოწაფე, ილია ჭავჭავაძე, თავის სენხიას სწერდა: „ძმაო ილიავ!.. მწერ ჩუბინოვის იუბილეისას... ერთი რამ ვარჩიე, თუ შენც მოგეწონა: მოდი მაინდამ ერთი შენებური ცხარე წერილი მოიწერე, ასწერე ჩუბინოვის ღვაწლი და ნამუშევარი და სთქვი, რომ უმადურობა იქნება ჩვენ მიერ იუბილეი არ გადავიხადოთ-თქო. ჩვენ ამ წერილს გაზეთში დავბეჭდავთ, მერე ჩვენც მოგყვებით, ბუკსა და ნალარას დავკრავთ, და იმედია, რომ სოფელი აშენდება... იუბილეის თაობაზედ ეს არის ჩემი აზრი და სხვებისაც, რომელთაც მართალის გულით უნდათ მადლობის გადახდა მოხუცის სამსახურისათვის. შენ ამ იუბილეებში უფრო გამოცდილი კაცი ხარ და ამიტომ შენვე გთხოვთ, გვიწინამძღვრო და დანარჩენი ჩვენ ვიცით. ველი ამაზედაც შენს პასუხს“<sup>1</sup>.

და აი, სწორედ „ბუკისა“ და „ნალარის“ შედეგი უნდა იყოს, რომ ილია ჭავჭავაძე აღნიშნულ ხელმოუწერელ წერილში წერდა:

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თბუღლებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 100—101.

„... დიდი ღვაწლია დ. ჩუბინაშვილისა მეცნიერების წინაშე ის-სესი ყვარული, რა სიყვარულითაც მან შეაგროვა და დაიცვა ძველი ქართული ხელნაწერები. ვინ იცის, რაოდენი შრომა გასწია და რაოდენი მსხვერპლი გასწირა ამ საქმისათვის ჩუბინაშვილმა და აი ახლა ჩვენ გვაქვს მდიდარი კოლექცია ქართულის ხელნაწერებისა, ისეთი კოლექცია, რომლისთანაც არც კი გვეგულება სადმე. რაც უნდა მოელოდეს ამ კოლექციას, ვის ხელშიაც უნდა ჩავარდეს, ეს მაინც უეჭველია, რომ ეს ძვირფასი წიგნთსაცავი ხელუხლებელი საკუთრებაა მეცნიერებისა. უჩუბინაშვილოდ ვერ გაჩნდებოდა ეს კოლექცია, ის რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის ეს ხელნაწერები სად დამპალიყო სარდაფებსა და ნოტიო განჯინებში, ისე როგორც დალბა და დარწმუნებულნი ვართ, ლებდა დღესაც მრავალი ხელნაწერი, წაღებული რუსეთში მე-18 საუკუნის მიწურულებიდან დაწყებული, ან არა და, იმ ხელნაწერებსაც მოსკოვის წიგნთსაცავის დღე დაადგებოდა, იმ წიგნთსაცავის, რომლის ძვირფასი ფასდაუდებელი ხელნაწერები წამოიღო საქართველოდგან მეფე ვახტანგ მე-6 და ვახუშტიმ და რომელიც ცეცხლმა იმსხვერპლა მეორაშობე წლებში. ვახტანგისა, ვახუშტისა და თეიმურაზის ნაწერებში ხშირად არის მოხსენებული ის ხელნაწერები. ეჭვი არ არის, რომ ასეთი კეთილსინდისიერი მწერალნი ტყუილად არ მოიხსენებდნენ ისეთს ხელნაწერებს, რომელიც არა ყოფილა მართალი.

აი ასეთის დაუღალავობით შრომობდა პატივცემული პროფესორი დავით იესეს ძე, რომელმაც აგერ მიაღწია 80 წელს. ეჭვი არ არის, რომ მან სრულიად და სავსებით დაიმსახურა, რომ მოისვენოს სიბერის ეპოქა. მაგრამ რასა ვხედავთ? იმის მაგიერ, რომ მოსვენებით იყოს და ერთობოდეს, თავის თავისუფალ დროს ლექსიკონის ბეჭდვას ახმარებს, სინჯავს და ასწორებს მის კორექტურებს, ემსახურება კვლავ მეცნიერებსა და თავის სამშობლო ქვეყანას. ესე შრომობს დავით იესეს ძე დღედაღამ, შრომობს უნაგაროდ და არავისაგან არ ითხოვს არავითარს ჯილდოსა და სასყიდელს“<sup>2</sup>.

თბილისის შემდეგ, ქუთაისის საზოგადოებრიობამაც 30 ივლისს აღნიშნა დავით ჩუბინაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე ნადიმით. იუბილარი ავადმყოფობის გამო პეტერბურგიდან საქართველოში ვერ ჩამოვიდა. საიუბილეო ზეიმის მესვეურებმა მისალოცი დებეშა გაუგზავნეს იუბილარს.

<sup>2</sup> „ივერია“, 12 მაისი, 1890 (№ 99).



საიუბილეო ზემისა და ნადიმის მონაწილე ილია ოქრომჭედლი-  
შვილმა ქუთაისის საზოგადოებრიობას ვრცელი და შინაარსიანი სიტყ-  
ვით მიმართა. მან ხაზგასმით აღნიშნა დავით ჩუბინაშვილის დამსახუ-  
რება სამშობლოს წინაშე. „საზოგადოებამ მეტად ისიამოვნა ბ-ნ ოქრო-  
მჭედლიშვილის საინტერესო საუბრითო“, — დასძენდა გაზეთის კო-  
რესპონდენტი<sup>3</sup>.

ალ. ხაზანაშვილმაც სპეციალური წერილი უძღვნა დავით ჩუბინა-  
შვილს, მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გაზეთ „თეატრი“<sup>4</sup>.

ამის შემდეგ დავით ჩუბინაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი  
გარდაიცვალა 1891 წლის 5 ივნისს პეტერბურგში, რასაც „ივერია“  
დიდი მწუხარებით აუწყებდა საზოგადოებრიობას<sup>5</sup>. ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, „ივერიის“ რედაქცი-  
ისა და ილია ჭავჭავაძის თხოვნით პროფესორმა ალ. ცაგარელმა გვირ-  
გვინებით შეამკო განსვენებულის ცხედარი. ილია ჭავჭავაძის გვირგვინს  
ამშვენებდა წარწერა: „ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს და დამ-  
რიგებელს დ. ი-ძეს ჩუბინაშვილს, მისის მადლობელის შეგირდის თავ.  
ი. გრ-ძის ჭავჭავაძისაგან“<sup>6</sup>.

დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ გაიკრვა, რომ მისი  
ანდერძის თანახმად, მისმა მემკვიდრეებმა მეცნიერის მდიდარი ბიბ-  
ლიოთეკა და ხელნაწერები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებელ საზოგადოებას შესწირეს. ამის შესახებ გაზეთი „ივერია“  
საზოგადოებას აუწყებდა: „დიდად სასიამოვნო ამბავი მოგვივიდა პე-  
ტერბურგიდან. იქიდან გვწერენ დეპეშით, რომ ამას წინად გარდაცვა-  
ლებულის დამსახურებული პროფესორის დავით იესეს ძის ჩუბინაშვი-  
ლის ძვირფასი ბიბლიოთეკა ძველის ქართულის ხელნაწერებისა მისმა  
მემკვიდრეებმა შემოსწირეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებელს საზოგადოებასო“. შედგენა შემოწირულის ბიბლიოთეკის  
კატალოგისა უტვირთნია პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტისას  
ბ-ნს ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს<sup>7</sup>.

ილია ჭავჭავაძე თავიდანვე დაინტერესებული იყო, რომ დავით  
ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები სამემკვიდრეოდ ქართ-

<sup>3</sup> „ივერია“, 3 აგვისტო, 1890, № 166, გვ. 1.

<sup>4</sup> „თეატრი“, 13 მარტი, 1890, (№ 11), „დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი“.

<sup>5</sup> „ივერია“, 8 ივნისი, 1891 (№ 119).

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> „ივერია“, 1891 (№ 192).



ველ საზოგადოებას გადასცემოდა. მისი ეს სურვილი შესრულდა, როგორც ვხედავთ, გასულა დიდი ხანი და „ივერიაში“ დაიბეჭდა ხელმოწერილი მოწინავე წერილი: „ტფილისი, 13 სექტემბერი“, რომელიც ეხებოდა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისათვის განსვენებულ დავით ჩუბინაშვილის შემოწირულ ბიბლიოთეკას, მის განუზომელ მნიშვნელობას ქართული ეროვნული კულტურისათვის. ამ მოწინავე წერილში, რომელიც უდავოდ ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს, ეწერა: „ამ ბიბლიოთეკაში დაცულია მრავალი ძველი ქართული ხელნაწერი, მრავალი ძნელად მოსაპოვებელი წიგნი, შესახები ჩვენის წარსულის ცხოვრებისა და დაბეჭდილი სხვადასხვა ევროპულს ენაზედ.“

განსვენებული დავით იესეს ძე დიდი მოყვარული იყო ასეთი ხელნაწერებისა და წიგნებისა და თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში დიდი გულდადებითაც აგროვებდა ისეთს წიგნებსა და ხელნაწერებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულს, მის ისტორიასა და მის ლიტერატურას შეეხებოდა.

დავით იესეს ძე ყმაწვილობიდანვე შეუდგა ამ საქმეს და ღრმა მოხუცობამდე ნელ-ნელა აგროვებდა, ოცისა და ორმოცის წლის განმავლობაში, ჩვენის ენისა, მწიგნობრობისა და ლიტერატურის საუნჯესა.

აგროვებდა და ინახავდა დიდის მზრუნველობით, დიდის სიფრთხილითა და სიფაქიზით და აი ამ სახით შესდგა ძვირფასი წიგნთსაცავი, მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი სალარო, რომელშიც დაცულია აუარებელი მასალა ჩვენთა მამა-პაპათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სასიამოვნოა ის ამბავი, რომ ასეთი ძვირფასი განძი, ასეთი საუნჯე საქართველოს არ დაუკარგეს განსვენებულის პროფესორის მემკვიდრეებმა და საქართველოს დეიძლის შვილის ნამოღვაწევი და ნაჭირნახულევი ბიბლიოთეკა მასვე დაუბრუნეს, ვისთვისაც ისე თავგამოდებული ზრუნავდა და იღვწოდა თავისს ხანგრძლივს სიცოცხლეში ბიბლიოთეკის ღრმად მოხუცებული პატრონი“...

ავტორი წერს, რომ „ასეთი უხვი შემოწირულობა დიდსა და მძიმე ვალსა სდებს, როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ისე მთელ ქართველობასაც“.

ამ შეწირულობით „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკა, ისედაც მდიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა, უფრო მეტად გამდიდრდება და გაიმატებს“. ამიტომ საჭიროა ერთიორად იმატოს ჩვენმა ზრუნვა-ვამაც, როგორც მისი შესაფერად დაცვის, ისე გამოყენებისათვისაცო.



„დღემდე ბიბლიოთეკისათვის არა გვაქვს ნაზრუნი — განაგრძობს „მოწინავეს“ ავტორი, — განსაკუთრებული ცეცხლისაგან უზრუნველყო „შენობა“. დროა ამისათვისაც წერა-კითხვის საზოგადოებაშიცა და საზოგადოდ მთელმა ჩვენმა ქვეყანამაც იზრუნოს. ამასთანავე საჭიროა სამეცნიერო კატალოგის შედგენის გარდა, ბეჭდვა და გამოქვეყნება ამ მდიდარი საისტორიო და სალიტერატურო განძისა, რომელიც დაცულია ხელნაწერებად ბიბლიოთეკაში. ამ საქმისათვის კი აუცილებელია ცალკე დაარსება ისეთი განყოფილებისა, რომელიც იტვირთებს ბიბლიოთეკის მოვლას, შესწავლასა და ბეჭდვას. „მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ჩვენცა ვთქვათ, რომ ხელში გვაქვს დიდი და თავმოსაწონებელი სიმდიდრე, რომელსაც გულხელდაკრეფილი კი არ შევსცქერით, რომელიც უქმად-კი არ გვიწყვია, უქმად-კი არა გვაქვს შეკავებასა და განჯინებაში ჩაკეტილი, არამედ ლამპარივით არის ანთებული და გვინათებს იმ წარსულს ცხოვრებას, იმ თავგადასავალს ჩვენის მამა-პაპისას, რომელიც დღემდე სიბნელით იყო მოცული და რომელსაც დღევანდელმა საქართველოს შეილებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არაფერი არა ვიცოდით-რა. სწორედ ამ ლამპრის ანთებას უნდა ვეცადნეთ ყველანი საერთო ძალით და ღონით და არ დავიშუროთ ამისათვის არც თითო შაური და აბაზი და არც თითო და ორ-ორი საათი გარჯისა და მუშაობისა... საერთო საქმისათვის შეწირული, არავის არ დაგვლუბავს და არ დაგვანელებს, ხოლო თვითონ საქმეს-კი, საერთო საყოველთაო საქმეს, დიდად წინ წასწევს და ფრთებს შეასხამს“<sup>8</sup>.

ახლა საჭირო იყო მხოლოდ საზოგადოებას ეზრუნა, რაც შეიძლება მალე, ეს ბიბლიოთეკა და ხელნაწერები პეტერბურგიდან თბილისში დროულად ჩამოეტანა და დაებინავებინა. ამის გამო გაზეთი „ივერია“ 1891 წლის 13 ნოემბერს „ახალ ამბავში“ საზოგადოებას ატყობინებდა: „ამას წინად, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ სთხოვა პროფესორს ბ-ნს ალ. ცაგარელს შედგენა კატალოგისა გარდაცვალებულის დ. ი. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა შემოსწირეს ზემოხსენებულს „საზოგადოებას“. ხოლო, რაკი ამჟამად ბ-ნი ალ. ცაგარელი საზღვარგარეთ იმყოფება და კატალოგის შედგენა კი გვიანდება, ამიტომ, ეს საქმე უტვირთნია ბ-ნს ალ. ხაბანაშვილს“<sup>9</sup>.

<sup>8</sup> „ივერია“, 14 სექტემბერი, 1891 (№ 196).

<sup>9</sup> „ივერია“, 13 ნოემბერი, 1891 (№ 242).



პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ალ. ცაგარელს ილია ჭავჭავაძემ 1891 წლის თებერვალში საზოგადოების სახელით დაავიწყებდა დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენა. ალ. ცაგარელმა, როგორც ჩანს, ეს დავალება მოუცლევლობის გამო დროზე ვერ შეასრულა. შემდგომ ეს საქმე მიანდეს ალ. ხახანაშვილს. 1891 წლის ნოემბერში საზოგადოების გამგეობას, წერილთან ერთად, ალ. ხახანაშვილისათვის გაუგზავნია რწმუნების ქაღალდი დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად, ინსტრუქცია ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად და თანხა ხარჯებისათვის.

ამ შეტად დიდმნიშვნელოვანი საქმის ისტორიის ნათელსაყოფად, საჭიროა დოკუმენტი მთლიანად იქნეს წარმოდგენილი.

1891 წლის 18 ოქტომბერს საზოგადოების გამგეობამ, ილია ჭავჭავაძისა და დავით კარიჭაშვილის ხელმოწერით ალ. ხახანაშვილს მოსკოვში ოფიციალურად (№ 203) მიმართა:

„მოწყალე ხელმწიფეს ბ-ნს ალექსანდრე სოლომონის ძეს ხახანაშვილს.

გაგვგონებათ, რომ დავით ჩუბინაშვილის მემკვიდრეებმა მამის ბიბლიოთეკა წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსწირეს. მაგრამ მათ ყველა წიგნები არ შემოუწირიათ, არამედ მარტო ისინი, რომელნიც ან ქართულად არიან დაწერილნი, ან საქართველოს შეეხებიან. დანარჩენი წიგნები მათ თავიანთთვის დაიტოვეს. ამიტომ მათ მოითხოვეს, რომ შემდგარიყო მთელის ბიბლიოთეკის კატალოგი, რათა დაენახათ, რომელი წიგნი იყო დასატოვებელი და რომელი საზოგადოებისათვის შემოსაწირავი. პროფესორმა ცაგარელმა კიდევ იკისრა ამ კატალოგის შედგენა, მაგრამ მის მალე სამძღვარს იქით მოუხდა წასვლა და კატალოგის შესადგენად ერთი სტუდენტი ბ. ქართველიშვილი დაასახელა. ამ საგანზე ქართველიშვილს კიდევ ჰქონდა ერთხელ მოლაპარაკება ილია ჭავჭავაძესთან პეტერბურგში ყოფნის დროს, ალუთქვა კიდევ კატალოგის შედგენა, მაგრამ ის იყო და ის. მას აქეთ ქართველიშვილი არც ჭავჭავაძესთან გამოცხადებულა, არც ჩუბინაშვილის სახლში მისულა. ეტყობა იმან არ ინდომა რამე მიზეზით ამ საქმის გაკეთება. ამნაირად ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკა ჯერ კიდევ განსვენებულის მეუღლესთან არის და, თუ კატალოგი არ შესდგა, ჩვენს საზოგადოებას წიგნებს არ დაანებებენ. საჭირო კია, რომ, რაც შეიძლება, მალე ჩაიბაროს საზოგადოებამ ჩუბინაშვილის წიგნები, რადგან საფიქრებელია, რომ არ დაგვეკარგოს. ვინ იცის, იმისთანა ძვირფასს წიგნებს მუშტრები არ გა-



მოუჩნდნენ (კიდევაც თურმე არიან) და არ დაახარბონ მემკვიდრეები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას მხოლოდ სიტყვიერად დაჰპირდნენ წიგნების ჩუქებას, ამიტომ უნდა მივაშუროთ და, რაც შეიძლება, მალე დავეპატრონოთ. რაკი ეს კატალოგის შეუდგენლად მოუხერხებელია, საზოგადოების გამგეობა მოგმართავს თქვენ, რომლის გულშემატკივრობა წერა-კითხვის საზოგადოებისა და საზოგადოდ ყოველთვის საქართველოს სიკეთისადმი მან კარგად იცის, და გთხოვს ინებოთ და თქვენს თავზე მიიღოთ შრომა ამ კატალოგის შედგენისა. თქვენ, როგორც პროფესორს, შეგიძლიანთ ყოველთვის დრო ჩაიგდოთ ხელთ, როცა გნებავთ წაბრძანდეთ პეტერბურგს და შეუდგეთ კატალოგის შედგენას. ჩვენი საზოგადოება მოგართმევთ მისვლა-მოსვლის, პეტერბურგში ყოფნის და შრომის ხარჯს, როგორც კი შეთანხმდებით. გამგეობას იმედი აქვს, რომ თქვენც ყურადღებაში მიიღებთ გარემოებას, რომელიც გვაიძულებს საქმის დაშურებას და ახლავე შეუდგებით კატალოგის შედგენას. გამგეობაც დაამზადებს ინსტრუქციას და მოგვივა თუ არა თქვენი პასუხი, მაშინვე გაახლებთ მას.

თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე  
საქმეთ-მწარმოებელი: დ. კარიჭაშვილი<sup>10</sup>.

ამ მიმართვის<sup>11</sup> მიღებისთანავე ალ. ხახანაშვილმა იმავე წლის 31 ოქტომბერს მოსკოვიდან ილია ჭავჭავაძეს მისწერა:

„დიდად პატივცემულო ბატონო ილია!

თუმცა პეტერბურგში ცხოვრება აკრძალული მაქვს ექიმებისაგან, მაგრამ მე მზად ვახლავართ წავიდე დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად, თუ იქ პროფ. ცაგარელს და სხვებს საწყენად არ დარჩებათ. 15 დეკემბერს შემიძლიან აქედან გავიდე და ამაზედ აღრე კი ნებას არ მომიცემენ. თუ ეს ვადა დაგვიანებულად არ მიგაჩნიათ, შემატყობინეთ და ინსტრუქციაც გამომიგზავნეთ. ხარჯის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ შრომის ფასი არ მინდა, ხოლო წასვლა-მოსვ-

<sup>10</sup> ხელმოწერა, „ილია ჭავჭავაძე“ — ავტოგრაფია, ტექსტი დ. კარიჭაშვილის ხელითაა დაწერილი.

<sup>11</sup> ამ მიმართვის შავიც დაწერილია დ. კარიჭაშვილის ხელით, დაცულია საზოგადოების ფონდში (საქ. ცსსა, ფონდი № 481, საქმე № 302, გვ. 17-18). მიმართვაზე აღნიშნულია შტამპი წარწერით: „ტფილისის საზოგადოება წიგნის ცოდნის გამავრცელებელი ქართველთა შორის კავკასიის სანამესტრეიკოში. გამგეობა საზოგადოებისა, № 203, 18 დეკემბრისთვე, 1891 წლისა“.



ლის და იქ ოთახის დასაჭერად დამჭირდება 60 მანეთი. ეს არის ჩემი პირობა და თქვენი პასუხიც გთხოვთ მაცნობოთ.

თქვენი პატივისმცემელი ა. ხახანაშვილი<sup>12</sup>.

ალ. ხახანაშვილის საპასუხო წერილის მიღების შემდეგ, საზოგადოების თავმჯდომარემ ილია ჭავჭავაძემ და საქმეთა მწარმოებელმა იმავე წლის 11 დეკემბერს ალ. ხახანაშვილს ოფიციალური წერილით (№ 230) მიმართეს. ამ წერილით მას ატყობინებდნენ:

„მის მაღალკეთილშობილებას — ალექსანდრე სოლომონის ძეს ბ-ნს ხახანაშვილს.

თანახმად თქვენის წერილისა ამ წლის ოქტომბრის 31-ითგან წერაკითხვის საზოგადოების გამგეობა ამასთან გიგზავნით რწმუნების წერილს ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად, ინსტრუქციას ამ ბიბლიოთეკის კატალოგის შესადგენად და ექვსს თუმანს. გამგეობას იმედი აქვს, რომ ამის მიღებისთანავე წაბრძანდებით პეტერბურგს და შეუდგებით საქმეს.

თავმჯდომარე საზოგადოებისა: ილია ჭავჭავაძე  
საქმეთა მწარმოებელი: დ. კარიჭაშვილი<sup>13</sup>.

ამ მიმართვას თან ერთვის ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ინსტრუქცია დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მიღების შესახებ. ტექსტი დაწერილია უცნობი ხელით. ხელმოწერილია: „თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე“ — (ავტოგრაფია) ინსტრუქციას ვებეჭდავთ მთლიანად:

„ინსტრუქცია“

თავი და თავი სურვილი გამგეობისა ის არის, რომ დავით ჩუბინოვის მემკვიდრეთ შემოწირული ბიბლიოთეკა რაც შეიძლება მოკლე ხანში გამოიგზავნოს პეტერბურგიდან, რათა დაგვიანებამ არ დააკლოს ამ ბიბლიოთეკას ჩვენთვის საჭირო და საყურადღებო წიგნები, და ნამეტნავათ შემომწირველთ არ გამოუცვალოს აზრი შემოწირვის შესახებ. დაგვიანება ამ საქმისა გამგეობას საზარალოთ მიაჩნია თავისათვის. გამგეობა დარწმუნებულია, რომ მოკლე ხანში სრული კატალოგის შედ-

<sup>12</sup> სცსა, ფონდი 481, საქმე № 302, ფურც. 19, ავტოგრაფი 1 ფურც. წერილები აღნიშნულია თარიღი: 31. X. 1891 წ.„.

<sup>13</sup> მიმართვის ორივე ხელმოწერა ავტოგრაფია. ტექსტი დაწერილია დავით კარიჭაშვილის ხელით. დატულია საქ. ცსს არქივის ფონდში (481, საქმე № 302, გვ. 22). რწმუნების წერილის ტექსტი რუსულ ენაზეა.

გენა შეუძლებელია და სრული კატალოგის შედგენა ეხლა გამგეობას  
სახეში არა აქვს, არამედ გამგეობა ვთხოვს თქვენ მოიწვიოთ <sup>გამგეობა</sup>  
ნიმე სტუდენტი თანაშემწედ და შეძლებისამებრ მოკლე ხანში <sup>შესაძლებელია</sup>  
ნოთ სრული სია ყველა ამ ხელნაწერებისა, სიგელ-გუჯრებისა და ნაბე-  
ჭდი წიგნებისა, რომელიც მოიპოვება განსვენებულის დავით ჩუბინო-  
ვის ბიბლიოთეკაში. გასამრჩელოს თქვენს თანაშემწეთათვის როგორც  
მორიგდებით, გამგეობა გაახლებთ.

ხოლო ვინაიდგან დავით ჩუბინოვის მემკვიდრეთ აღუთქვამთ მარ-  
ტო იმ წიგნების შემოწირვა, რომელნიც შეეხებიან საქართველოს და  
საზოგადოდ კავკასიის ისტორიას და შესწავლას, ამიტომაც სია წიგნე-  
ბისა, რომელნიც სათაურის მიხედვით არ ეკუთვნიან საქართველოს და  
საზოგადოდ კავკასიას, მაგრამ შინაარსით მთლად თუ არა, რამოდენი-  
მეთ მიანიც ეხებიან ჩვენს მხარეს, — ამ წიგნების სია ისე უნდა იყოს  
შედგენილი, რომ ყოველთვის იყოს ნაჩვენები, რით არის ეს წიგნები  
ჩვენთვის აუცილებელი საჭირო და რომელი მასში მოქცეული სტატია  
ეხება საქართველოს. ამგვარ წიგნებად უნდა ჩაითვალოს ის წიგნებიც,  
რომელნიც შინაარსით ეკუთვნიან სპარსეთის, ოსმალეთის, მონგოლე-  
ბის, საბერძნეთის, რომის, სომხეთის და სხვა საქართველოს მოსაზღვრე  
ხალხების ისტორიას და ეტნოგრაფიას. გამგეობას იმედი აქვს, რომ  
თუ ამ წიგნების მნიშვნელობა ჩვენი მხარისათვის მოხსენებული იქნება  
სიაში და თქვენ პირადად განუმარტებთ შემომწირველთ მათ საჭიროე-  
ბას ჩვენთვის, ესენი არ დაეკარგება ჩვენს საზოგადოებას.

გარდა წიგნებისა და ხელნაწერებისა, ჩუბინოვის ბიბლიოთეკაში,  
როგორც გამგეობამ იცის, მოიპოვება კავკასიის და საქართველოს რუ-  
კები და საკმაოდ ბევრი სიგელ-გუჯრები თუ სიგელ-გუჯრების ასლები.  
განსვენებული დ. ჩუბინოვი მსახურობდა სააზიო დეპარტამენტში, სა-  
დაც ბევრი სიგელ-გუჯრები იყო წარდგენილი ჩვენი ბატონიშვილების  
და თავადაზნაურების მიერ. ამ სიგელ-გუჯრების გარჩევა და გადათარ-  
გმნა მინდობილი ჰქონდა დავით ჩუბინოვს, რომელიც ყოველთვის იტო-  
ვებდა თავისთვის ასლებს საყურადღებო სიგელ-გუჯრებისა. ჩუბინოვის  
ბიბლიოთეკაში უნდა მოიპოვებოდეს აგრეთვე ზოგიერთი წერილები  
ჩვენი მეფეებისა და ბატონიშვილებისა. სასურველია ყველა ამგვარი წე-  
რილები და სიგელ-გუჯრები ერთათ იყოს მოგროვილი და განცალკე-  
ვებული ნომრებით, ყველა წიგნზეც ნომერი უნდა იყოს დასმული და  
სია ნომრებით შედგენილი, რომ აქ გარჩევის დროს ადვილად შეიძლე-  
ბოდეს შემოწმება წიგნებისა.



თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ხელნაწერები, შემდეგ კველი ნაბეჭდი წიგნების სია ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ერთი და ერთი ავტორის წიგნები ერთი ერთმანეთს მისდევდეს.

ამასთანავე გამგეობა გთხოვთ, როდესაც სია იქნება დამზადებული და შემოწირული წიგნები არჩეული, მოიწვიოთ წიგნების ყუთებში ლამაზად ჩამწყობი ოსტატი (ასეთს ოსტატს იშოვით „პასრედნიკის“ მაღაზიაში, ნევის პროსპექტზედ, სომხების საყდრის სახლში) და თქვენივე თანდასწრებით ჩააწყობიოთ წიგნები ყუთებში და მისცეთ როსიის სააგენტოში, ხოლო სია ფოშტით გამოგვიგზავნოთ.

წიგნები „სტრაზში“ უნდა მისცეთ ათიათას მანეთში.

თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე<sup>14</sup>.

აქვე ამ საქმეში დაცულია ილია ჭავჭავაძის დეპეშის ტექსტი, გაგზავნილი 1891 წლის 11 დეკემბერს ალ. ხახანაშვილისადმი:

„მოსკოვი, ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს ხახანაშვილს. ფული და ინსტრუქცია გადმოგეგზავნათ დღეს. ჭავჭავაძე (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე)“.

საზოგადოების გამგეობისაგან ამ წერილებისა და საჭირო დოკუმენტების მიღების შემდეგ ალ. ხახანაშვილი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საპატიო დავალების შესრულებას. 1892 წლის 18 იანვარს გამგეობის თავმჯდომარეს ილია ჭავჭავაძეს იგი სწერდა:

„თქვენო ბრწყინვალეზე  
ბატონო თავმჯდომარე!“

თანხმად „წერა-კითხვის საზოგადოების“ მინდობილობისა ამ თვის 18 წაველ პეტერბურგს პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად. ბიბლიოთეკა დავათვალაიერე, მოველაპარაკე განსვენებულის მემკვიდრეებს, რომელთაც გადმომცეს, რომ წიგნების და ხელნაწერების სიის შედგენას უკვე შეუდგა ა. ცაგარელის ზედამხედველობით ერთი ქართველი სტუდენტი. პროფ. ცაგარელს ამ შრომისათვის აღუთქვამს კიდევ სტუდენტისათვის ჯილდოდ 100 მანეთი. პროფ. ცა-

<sup>14</sup> ამ ინსტრუქციის შავი, ექვთიმე თაყაიშვილის ხელით დაწერილი, დაცულია საქ. ცსს არქივის ფონდში № 981, საქმე № 302, გვ. 20-21; გამგეობის მიმართების, რწმუნების ქაღალდისა და ინსტრუქციის დედნები დაცულია საქ. სახალხო განათლების მუზეუმის ფონდში № 1, 2, 3 (მათი შავები იხ. საქ. სცსსა, ფონდი 841, საქმე 302, ფურც. 17-18, 20-23).



გარელმა მეტად იწყინა, რომ მისთვის მინდობილი საქმე გადმოვიცით იმ დროს, როცა სიის შედგენა თავდება კიდევ. უკმაყოფილოდ, რომ ამ თქვენი განძრახვის შესახებ არა აცოდინეთ—რა წერილით. ამ გვარად, მე უსიამოვნო მდგომარეობაში მოვექმეც, რადგან „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ჩემს წასვლა-მოსვლაზედ ხარჯი გაიღო და მინდობილი საქმე, ჩემდა სამწუხაროდ ვერ შევუსრულე.

დასამწვიდებლად „საზოგადოებისა“ უნდა მოგახსენოთ, რომ მემკვიდრეებს მტკიცედ აქვთ გარდაწყვეტილი შემოსწირონ „საზოგადოებას“ განსვენებულის ბიბლიოთეკა. ჩემის თხოვნით გამოიგზავნებიან აგრეთვე ის წიგნები, რომელთაც აქვთ რაიმე კავშირი და დამოკიდებულება კავკასიასთან. ამგვარი წიგნები უკვე გადაჩეულია და სიაც ჩქარა შესდგება. სიგელ-გუჯრების ასლები აღმოჩნდა ერთ დიდ წიგნად შეკრულნი და ფრიად საყურადღებო ცნობებით სავსენი. მოიპოვებიან მეფეების სიგელ-გუჯრებიც, რომელთა შორის ერთი დიდად საყურადღებოა. ხელთნაწერებში ბევრი ისეთი მანუსკრიპტები ვნახე, რომელნიც არ მოიპოვებიან, რამდენადაც ჩვენ ვიცით „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში. ასეთია, მაგალითებრ, თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, თავდაზნაურთა ჩამომავლობის ისტორიის მასალა, სიები ძველი წიგნებისა. თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის გადათვალიერებამ და დ. ჩუბინოვის ხელთნაწერების დაწვრილებით შესწავლამ დამარწმუნა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ძვირფასი წიგნთსაცავი დ. ჩუბინოვს შეუსყიდნია, ან სხვა გზით შეუქენია. რაც შეეხება სხვადასხვა ენებზედ ნაწერს წიგნებს, ამათში ვნახე ისეთი თხზულებანი, რომელნიც არ მოიპოვებიან არც ტფილისში და არც მოსკოვში. ამ მხრივ „საზოგადოება“ იძენს ფრიად შესანიშნავს საისტორიო მასალას. აღმოჩნდნენ რუკებიც, რომელნიც აგრეთვე გამოიგზავნებიან ტფილისში. საკუთარი განსვენებულის ხელთნაწერებში აღმოჩნდა, როგორც მის შვილის თანდასწრებით მე ვნახე, შენიშვნები, ლექციები, მოკლე გამოკვლევანი, რომელნიც შეიძლება დაიბეჭდოს, თუ „საზოგადოებას“ ხარჯი არ გაუჭირდება. განსვენებულის მემკვიდრეებმა მთხოვეს შევადგინო დ. ჩუბინოვის ვრცელი ბიოგრაფია და მასთან დავბეჭდო ზოგიერთი მის ხელთნაწერი ლექციები. თუ „საზოგადოება“ თანახმა იქნება, მე შემიძლიან აქ უნივერსიტეტის ქურნალში დავბეჭდო და შემდეგ ცალკე წიგნად გამოვცე „საზოგადოების“ სასარგებლოდ.

სიის შედგენა თავდება: გადათვალიერებულია ნაბეჭდი წიგნები,



80 ხელთნაწერი. დარჩა 60 ხელთნაწერი და რუსულ ენაზედ წიგნებთა როგორც გათავდება სიის შედგენა, მაშინვე გამოგზავნის მემკვიდრე განსვენებული პროფესორისა ნიკოლოზ ჩუბინოვი. თქვენი სურვილი-საძებრ წიგნებს დააზღვევებს 10.000 მან. და გამოგზავნის როსიის სა-აგენტოს შუამდგომლობით. სია გამოიგზავნება პოჩტით. თუ საჭირო იქნება, მე თვითონ წავალ პეტერბურგს ბიბლიოთეკის მისაღებად. დასასრულ ჩემი ანგარიშისა კიდევ მიმაჩნია საჭიროდ გავიმეორო, რაც ზევით მოგახსენებთ: მემკვიდრეებს გადაწყვეტილი აქვთ „საზოგადოებ-ბას“ შემოსწირონ თავიანთი ბიბლიოთეკა და მაშასადამე შიში მის და-კარგვისა უსაფუძვლოა.

სამსახურისათვის მუდამ მზა — ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.  
1891 წ. დეკემბრის 28 დღესა.

ერთი კვირა მე და სტუდენტმა გადავათვალე ერთ სია უკვე შერ-ჩეული წიგნებისა და გუშინ დავბრუნდი მოსკოვს და ვაშურებ ამ ან-გარიშს“.

ამრიგად, როგორც ჩანს, ალ. ცაგარელისა და შემდეგ ალ. ხახანა-შვილის ხელმძღვანელობით, დ. ჩუბინაშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა—წიგნები, ქართული ხელნაწერები და ისტორიული სიგელ-გუჯრები პეტერბურგიდან (ლენინგრადიდან) საზოგადოებას თბილისში 1892 წელს გადმოეგზავნა. ამ ბიბლიოთეკაში არსებული ქართული ხელნაწერების შესახებ ალ. ხახანაშვილმა თავისი ხელმოუწერელი წერილი — „დავით ჩუბინაშვილის ხელთნაწერ ბიბლიოთეკის გამო (წერილი პეტერბურ-გიდამ)“, 1892 წლის 9 იანვრის გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა. წერი-ლის დასასრულს ავტორი წერდა:

„... რაიცა შეეხება სხვადასხვა ენაზეც ნაწერს წიგნებს, ამათ შო-რის არის ისეთი თხზულებანი, რომელნიც არ მოიპოვებიან არც ტფი-ლისსა და არც მოსკოვში. ამ მხრივ „წ.-კ. საზოგადოება“ იძენს ფრიად შესანიშნავს საისტორიო მასალას. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა რუკანიც, რომელნიც აგრეთვე გამოიგზავნება ტფილისს.

განსვენებულის საკუთარ ხელნაწერთ შორის აღმოჩნდა ცალკე შენიშვნები, ლექციები, მოკლე გამოკვლევანი, რომელნიც შეიძლება დაიბეჭდოს, თუ საზოგადოებას ხარჯი არ გაუჭირდება“<sup>15</sup>.

<sup>15</sup> „ივერია“, 9 იანვარი, 1892 (№ 5). წერილის ავტორი რომ ალ. ხახანაშვილია, ეჭვს არ იწვევს. ამას ის ადასტურებს, რომ საზოგადოების „ივერიის“ კომპლექტში აღნიშნულ წერილზე მიწერილია: „ა. ხახანაშვილი“.

პეტერბურგიდან მოსკოვში დაბრუნების რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე თვის 24 იანვრის „ივერიაში“ ალ. ხახანაშვილი თავის წერილში „დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გამო (წერილი მოსკოვიდან)“ წერდა, რომ ხელნაწერი „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, ქმნილი მეფისა გიორგი მეათცამეტის ძის თეიმურაზის მიერ“ იმდენად საყურადღებოა, რომ სასურველია მოკლე ხანში დაიბეჭდოსო“<sup>18</sup>.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის დიდიხნის მეცადინეობითა და მეთაურობით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართულ კულტურას შესძინა და შთამომავლობას სამემკვიდრეოდ შემოუნახა პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორის — დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნაღვაწით შექმნილი და ერთად თავმოყრილი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ბიბლიოთეკა და ხელნაწერები. ამ დიდი კეთილშობილური საქმის განხორციელებაში ალექსანდრე ცაგარელთან ერთად თავისი უანგარო წვლილი ალ. ხახანაშვილმაც შეიტანა.

თ ბ ი ლ ი ს ი

<sup>18</sup> „ივერია“, 1892, № 17, გვ. 3.



ქართული ჟივნის ავავლარი

სამსონ ფირცხალავას, როგორც ნიჭიერ ჟურნალისტსა და რედაქტორ-გამომცემელს, კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში იმთავითვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება „სიტყვისა“ და „კალამის“ ფსევდონიმებით გამოქვეყნებულმა მისმა მახვილმა პუბლიცისტურმა წერილებმა.

სამსონ ფირცხალავა ავტორია წიგნებისა: „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?“ (1914 წ.), „სამაჰმადიანო საქართველო, ან ძველი მესხეთი“ (1915 წ.), „თამარ მეფე“ (1939 წ.), „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-6 ს. ს. ძვ. წ.“ (1948 წ.).

ნაყოფიერი იყო მისი, როგორც რედაქტორ-გამომცემლის მოღვაწეობა. სხვადასხვა წლებში რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს: „გლახს“, „მიწას“, „მზეს“, „ფასკუნჯს“, „სახალხო საქმეს“. ბეჭდავდა როგორც ცნობილი მწერლების, ისე ახალგაზრდა, დამწყები ავტორების ნაწარმოებებს, რითაც ხელს უწყობდა მათ პოპულარიზაციას. საკმარისია ითქვას, რომ ს. ფირცხალავამ 1909 წელს „ფასკუნჯში“ დაბეჭდა ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „ნიავე“, „ღამე“, „მომაკვდავი“, „ფიქრი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „...ვარდი კოკობი...“.

იოსებ გრიშაშვილი 1922 წელს წერდა: „სამსონ ფირცხალავას უეჭველად აქვს ესთეტიური ალღო. 1909 წელს<sup>1</sup> მან პირველად გამოსცა პოეზიის გაზეთი „მზე“ (შემდეგ „ფასკუნჯი“), რომელშიც იბეჭდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ისეთი წერილები, რომელთაც წმინდა ხელოვნების დამლაჰმონდა, ნიკო ბარათაშვილის წიგნიც გამთბარია ასეთი ნიავეთ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> უნდა იყოს 1908 წ. (ლ. ნ.).

<sup>2</sup> „ილიონი“, 1922 წ., № 2, გვ. 57 (იგულისხმება ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა).





სამსონ ფირცხალავა

1902—1910 წლებში სამსონ ფირცხალავა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად და საქმეთა მმართველად მუშაობდა. როგორც ცნობილია, ამ საზოგადოებამ შემოიკრიბა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი; გამოსცა ქართული წიგნები, სახელმძღვანელოები, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. სწორედ ამან აფიქრებინა სამსონ ფირცხალავას საგამომცემლო საქმისათვის მოეკიდა ხელი. მან ილია ჭყონიასთან ერთად მოამზადა ს. მესხის ნაწერების ორი ტომი

(I — 1869 — 1879 წწ. „ნაწერები“, II — 1879 — 1883 წწ. „პირადი წერილები და მოგონებები ს. მესხის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე“). I ტომი გამოვიდა 1903 წ., მაგრამ ვერ გაამართლა გამომცემელთა იმედი, იყიდებოდა მძიმედ და მეორე ტომი აღარ გამოსულა. გამოცემას იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკაც შენიშვნებით გამოეხმაურა<sup>3</sup>.

სერგეი მესხის თხზულებათა სამტომეულის შემდგენელი და რედაქტორი პროფ. ი. ბოცვაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წიგნის გამოსვლას: „ს. ფირცხალავას მიერ გამოცემულმა ს. მესხის ნაწერების პირველმა ტომმა დიდი როლი ითამაშა როგორც ს. მესხის ლიტერატურული მემკვიდრეობის, ასევე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საქმეში. თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში ეს გამოცემა წარმოადგენდა ერთადერთ ძირითად წყაროს, რომ-

<sup>3</sup> ზ ა ნ ვ ი (ვრ. რციხლაძე) რეცენზია ს. მესხის ნაწერებზე, ვაზ. „ცნობის ფურცელი, 1904 წ., № 2614, 18. IX.



ლითაც მკვლევართა დიდი ნაწილი ეცნობოდა ს. მესხის მსოფლმხედველობას<sup>4</sup>.

1903 წელსვე შიო მღვიმელთან და ვ. ედილაშვილთან ერთად ს. ფირცხალავამ გამოსცა ახალგაზრდა მწერლის — ია ეკალაძის ნაწერები.

ს. ფირცხალავა დაინტერესებული იყო ლიტერატურული კრებულის გამოცემით. მის მიერ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ:

„დღეს ყოველი შეგნებული ადამიანი უნებურად მიაქცევს ყურადღებას ერთს გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ თითქმის სრულებით შეწყდა სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა ბეჭდვა-გამოცემა. არა გვაქვს ეჟურნალები, გაზეთები კი დღეს გატაცებული არიან პოლიტიკური ამბებით. სიტყვაკაზმული ნაწერები რომ არ იბეჭდება, ეს იმას არ მოასწავებს, რომ ვითომც სიტყვაკაზმული შემოქმედება შეჩერდა, გამზრა. არ არის მხოლოდ შესაფერი პირობები სიტყვაკაზმული ნაწარმოების დასაბეჭდად. ზოგიერთს ნიჭიერს მწერალს, როგორც ვიცი მე პირადად, უკვე გამზადებული აქვს ნაწარმოები, მაგრამ გამოცემა არავინაა, თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ პოეტის ნიჭიც ბაზარს, გამომცემელს ემორჩილება. თუ მოვითხოვთ, ვიკისრებთ გამოცემას, ნაწარმოებიც გაჩნდება, მოვა.

მივაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება და ვიკისროთ დროგამომშებით წმინდა ლიტერატურული, სიტყვაკაზმული მწერლობის კრებულები<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, ამ განცხადებას სასურველი შედეგი მოჰყოლია: 1904 წელს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა „ქართული პოეტების რჩეული ლექსები“, მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. კრებულში წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, გრ. ორბელიანის, მიხ. თუმანიშვილის, ივ. კერესელიძის და ვახ. ორბელიანის პოეზია<sup>6</sup>.

<sup>4</sup> ს. მესხი, თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. I, 1962 წ. გვ. 7.

<sup>5</sup> ცსსა, ფონ. № 481, საქ. № 850.

<sup>6</sup> ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ ლექსების ამ კრებულს აწერია: „გრიშაშვილის ჭიქოძესაგან“, მინაწერი „[სამ. ფირცხალავას რედაქცია]“.

თავფურცელზე: „ტფილისი, 12 ივნისი, 1914 წ.

[შედგენილი სამსონ ფირცხალავას მიერ] ი. გრ.“.

1906—1908 წლებში გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ რედაქტორობის პერიოდში, ს. ფირცხალავას ინიციატივით გამოდიოდა „სამკითხველოს“ სერიით სხვადასხვა ბროშურა, მათ შორის „როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე“, „რა უნდათ სოციალისტებს“, „საგლეხო კალენდარი“, რომელიც უფასოდ დაურიგდა ხელისმომწერლებს და სხვ.

1907 წელს ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო პრესაში ბევრი საყურადღებო მასალა გამოქვეყნდა, მათ შორის სიტყვები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე წარმოითქვა.

1907 წ. გაზეთ „ისარის“ 14 სექტემბრის ნომერში შემდეგი განცხადება დაიბეჭდა:

„იბეჭდება და მალე დარიგდება გასასყიდად ახალი დასურათებული გამოცემა „ბაქოს ქართ. აზხ. „კალამისა“ შედგენილი „მიწის“ რედაქციის მიერ“.

ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა.

(კრებული იმ ნაჩვენებ წერილებისა, დებეშებისა და სიტყვებისა, რაც კი წარმოთქმულია მხცოვან პოეტის მოკვლიდან დაკრძალვამდის).

უკეთუ კიდევ ვინმე ავტორს სურს ამ კრებულში მოათავსოს თავისი (მოკლე ზომიანი) თხზულება (ჭერ არსად დაბეჭდილი), უნდა მიმართოს ენკენისთვის 20-დის გიორგი სალარიძეს (Верийский спуск, д. № 15), ან წ. კ. საზ. კანცელარიაში — ს. ფირცხალავას...<sup>8</sup>

ს. ფირცხალავამ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დავალებით აღწერა ილია ჭავჭავაძის ხელნაწერები და ბიბლიოთეკა. ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდანაც ჩანს, რომ მანვე შეკრიბა კრებულისათვის საჭირო მასალა და გ. სალარიძესთან (ახალციხელი) ერთად 1907 წელს გამოსცა კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

«Здесь все интересно, все читается с неослабевающим вниманием, начиная от грозных речей Г. Г. Евдощвили и Ватон'а до трогательных воспоминаний Хр. Мамацова и Гр. Кипшидзе», — აღნიშნავდა რეცენზიაში ალ. ხახანაშვილი<sup>9</sup>.

იხ. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, I, 1977 წ., გვ. 336.

<sup>7</sup> ს. ფირცხალავა 1906—1908 წლებში რედაქტორობდა გაზ. „მიწის“.

<sup>8</sup> გაზ. „ისარი“, 1907 წ., № 199, 12. IX; № 200, 13. IX; № 201, 14. IX.

<sup>9</sup> Ал. Хаханов, «Смерть и похороны И. Г. Чавчавадзе. Изд. тов-ва «Калами» (ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, დასურათებული გამოცემა „კალამისა“, ტფილისი, 1907 წ.), „Закавказье“, 1907 г., № 225, 30/X.



როგორც ცნობილია, ამ კრებულის შემოსავლის 25% ილიას ფონდს გადაეცა.

1911 წელს „სახალხო გაზეთი“ წერილში „ნეკროლოგის მაგიერ“ წერდა: „ამ დღეებში ტვერის მახლობლად გარდაიცვალა ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ქართველი, კუჭია მიქელაძე. მისი ბიოგრაფია არ არის ვრცელი, თუმცა სიცოცხლე მისი მწვავე განცდათა ნაკადით იყო აღვსილი. იგი ჯერ კიდევ გიმნაზიაში მყოფი იქცეოდა საყოველთაო ყურადღებას თავის გამჭრიახი ნიჭით და განსაცვიფრებელი გულით. გიმნაზიის ვათავეების შემდეგ იგი პეტერბურგს მიემგზავრება უმაღლესი სწავლის მისაღებად. ...გადის დრო და ნიჭიერი ახალგაზრდა ხანგამოშვებით ეწაფება ხელოვნების და რელიგიის შესწავლას. ამ ბოლო ხანში მისი ინტერესი მხოლოდ ამ ორს საგნის გარშემო ტრიალებდა. სულის მიმაღულ კუნჭულში კი საქართველოს პრობლემით იყო გამსჭვალული. ყოველშემცველი სიყვარული — აი, მისი ბუნება. იგი იყო ნამდვილი გული სიყვარულისა და რამდენად საგანი დიადი იყო, იმდენად ღრმა გამოხმაურებას ჰპოულობდა იგი მის არსებაში. იგი პირდაპირ აშლილი იყო, განსაკუთრებით ბოლო დღეებში, ადამიანის პიროვნების განსახიერების პრობლემით, ეროვნული სულის ეროვნულ სხეულში განმტკიცებით და სხვ. 27 დეკემბერს იგი გაემგზავრა ტვერს, თავის უსაყვარლეს მეგობართან, გადმოსახლებულ სამსონ ფირცხალავასთან. აქ იგი პირისპირ შეხვდა დიდი ხნის უნახავ მეგობარს და მეტის აღფრთოვანებით კიდევ უფრო აიღელვა ისედაც აზვირთებული ბუნება. მრავალი საკითხი ხორცშესხმული სიცოცხლის სახით იშლებოდა მის წინ და თანაბარ გადაჭრას თხოულობდა. სუსტმა სხეულმა ვერ დაიტია თავის საზღვრებში მეტად გაღრმავებული და გაფართოვებული სული, და მშვენიერი ახალგაზრდა შეიშალა. ემპირიულად, რადგან, ვინ იცის, მეტაფიზიკურად შეიძლება იგი სხვას უფრო დაუახლოვდა, ჭეშმარიტებას... ეხლა კი სხვა მის მეგობრებთან ერთად ვისურვებ, რომ მშობელმა საქართველომ სიყვარულით მოასვენოს თავის თბილ წიაღში უტყვი ცხედარი მისთვის ესოდენ მეტყველი შვილისა“.

სამეცნიერო-ლიტერატურული კრებული „გვირგვინის“ გამოცემა ს. ფირცხალავამ თავისი უახლოესი მეგობრის — კუჭია (ალექსანდრე) მიქელაძის ხსოვნას მიუძღვნა.

კრებულში დაბეჭდილია მის. წერეთლის „სუმერული და ქართული“, პ. ქავთარაძის თარგმნილი „ოიდიპოს მეფე“, სანდრო შანშიაშვილის



„მეფე-მგოსანი“, ს. ფირცხალავას დრამატული სურათი „ლაშქე“ და „გლოვის ზარი“, ესკიზი „შოთა რუსთაველი“.

კრებულს სატიტულო ფურცელზე აწერია: „ამ წიგნს ვუძღვნით კუჭია მიქელაძის ძვირფას ხსოვნას“. იქვეა ავტორთა ფაქსიმილე.

იმხანად მეფის მთავრობის მიერ დონის როსტოვში გადასახლებულ-მა სამსონ ფირცხალავამ მძიმე პირობების მიუხედავად მაინც მოახერხა წიგნის გამოცემისათვის საჭირო თანხა შეეგროვებინა და კრებუ-ლი დაებეჭდა.

1912 წ. დონის როსტოვიდან ს. ფირცხალავა თავის უახლოეს მე-გობარსა და „გვირგვინის“ ერთ-ერთ თანაავტორს — სანდრო შანშია-შვილს სწერდა:

„... სანდრო! წერილი დამიგვიანდა. „გლოვის ზარს“ ვწერდი. ბევ-რის განცდისა და ფიქრის შემდეგ შევუდექი და როგორც იქნა, და-ვამთავრე. ესეც კუჭოს კრებულისათვის მინდა. ვცდილობ ამ კრებუ-ლის გამოცემის მოწყობას და შემძლია ვსთქვა, რომ ბედნიერი ვიქნე-ბი, როცა ამას განვახორციელებ.“

რასაკვირველია, შენი ძღვენიც „მეფე-მგოსანი“ კუჭოს კრებულში უნდა დაიბეჭდოს...“.

„...კრებული, როგორც ხედავ, მეტად საინტერესო იქნება, მაგრამ ჩემი ტანჯვა ის არის, რომ ფული ვერსად მომიხერხებია. როგორ წარ-მოვიდგენდი, რომ კუჭიას გარდაცვალების წლისთავზე ამ კრებულს ვერ გამოვცემდი. ესეც ვერ მოვახერხე და უნდა იცოდე, რა წამებაში ვიქნები“.

„... ერთადერთი ჩემი იმედი, გამზარებელი, იყო კუჭოს სახსოვარი კრებულის გამოცემა, მაგრამ დეპეშა მივიღე, რომ ბეჭდვა შეუჩერე-ბიათ რასაკვირველია, მიტომ, რომ ფული ვერ გავუგზავნე. არ ვიცი, ახლა რა ვიღონო, 144 გვერდი დაბეჭდილი უკვე მივიღე აქ. კარგადაა გამოცემული, სულ ხელში მიკავია და სიხარულით შევცქერა... როდის იქნება, როდის, რომ ამას წიგნად ვნახავ!“

„... ჩემი „გვირგვინის“ საქმე ისევ ისეა. მესტამბემ მუჭარა შემომი-თვალა იმ თვის ბოლოს, თუ მალე არ გამომიგზავნე ფული, ქალაქად გაგიყიდი წიგნსო. ლუარსაბს<sup>10</sup> ვთხოვე, ეგებ საქმე გამიბრგოს, დააჭე-როს, რომ თავის ხარჯით დაამთავროს. იმათ, ვინც მპირდებოდნენ

<sup>10</sup> ლუარსაბ ბოცვაძე (ლ. ნ.)

ფულს, ორჯერ მივწერე შენს მერე, მაგრამ არავითარი პასუხი არაა, თითქოს ყველაფერი შეკრულია, სიკვდილის ბეჭდით დაბეჭდილი ჩემს თვისა<sup>11</sup>.



1913 წელს<sup>12</sup> ს. ფირცხალავა თბილისში დაბრუნდა და „გვირგვინის“ გამოცემით ნათელი ძეგლი დაუდგა მეგობრის ხსოვნას.

1914 წლის 1 თებერვალს სამსონ ფირცხალავა სანდრო შანშიაშვილს სწერდა: „გაზეთის („სახალხო გაზეთი“ — ლ. ნ.) პრემიის პირველი წიგნის ბეჭდვას ვიწყებთ და შენი დრამა („უგვირგვინო მეფენი“ — ლ. ნ.) პირველ რიგში უნდა მოთავსდეს უთუოდ. მე ვიკისრე ამის თავდებობა და შენ იცი, როგორ არ გააცრუებ ჩემს დაპირებას...

... ჩვენი გაზეთის პრემიაში უკვე იბეჭდება „უგვირგვინონი“. წიგნი მაისში დარიგდება“.

მართლაც, „ქართველი მწერლების სერიით“ გამოვიდა ვასილ ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“ და ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“.

იმავე წლის მარტში სამსონ ფირცხალავა სანდრო შანშიაშვილს კვლავ სწერდა:

„... მ. გაჩეჩილაძეს მე ვუდგენ ახალ „ჩანგს“. მინდა უცხო მწერლებს მეტი აღვილი დავუთმო, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულად არა არის რა გადმოთარგმნილი. აიღე კალამი და რამდენიმე ლექსი გადმოთარგმნე საჩქაროდ გოეტეს, შილერის და სხვების.

უეჭველად გადმოიღე შილერის „Торжество победителей“ (ბერძნების ტროელებზე გამარჯვების დროს). ეს რაც შეიძლება მალე მინდა, ეგებ სთარგმნო უალდის „რედინგის ბალადა“, პოემა, ციხეში რომ იჯდა იმ დროს. ეს ყოველივე ძლიერ დამიჩქარე“<sup>13</sup>. როგორც ჩანს, აღნიშნული კრებული აღარ გამოსულა.

სამსონ ფირცხალავას, როგორც რედაქტორის, სახელი უკვდავყო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველმა აკადემიურმა გამოცემამ.

1915 წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავისა-

<sup>11</sup> ლ. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, სამსონ ფირცხალავას პირადი წერილები ქართველ მოღვაწეებთან, „საისტორიო მოამბე“, 1973 წ., № 27-28, გვ. 451-464.

<sup>12</sup> კრებულს გამოცემის თარიღად აწერია 1912 წ. (ლ. ნ.).

<sup>13</sup> ლ. ნ ა ნ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, დსახ. წერილი, გვ. 484.

თვის შზადების დღეებში, პოეტის დისწულმა ნიკოლოზ რევაზის ძე/ერისთავმა სასიქადულო ბიძის თხზულებათა გამოცემა განიჭრახა: ნ. ერისთავი მალე გარდაიცვალა და მისმა მეუღლემ — ეკატერინე შიხელიის ასულმა — იტვირთა ამ საქმის გაგრძელება.

შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი (პოეტის დისწული), გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ი. ჯავახიშვილი, ს. ფირცხალავა.

კომისიამ რამდენიმე სხდომა მოიწვია. შეიმუშავა ღონისძიებები, ჩაატარა წიგნზე ხელისმოწერა და შეუდგა მუშაობას. შეგროვდა ავტოგრაფები, მოგონებები, ბიოგრაფიული მასალა, ნ. ბარათაშვილის ეპოქის ამსახველი ფოტოსურათები.

ქართულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადებები გამოცემის მომზადების შესახებ. 1916 წელს გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა:

„... წიგნში დაიბეჭდება ერთი ვარიანტის ტექსტი და დაწვრილებით იქნება აღნიშნული ყოველი, სულ მცირე განსხვავება ვარიანტებისა, დაერთობა ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ ი. მეუნარგიას, გრ. ორბელიანის, დ. უზნაძისა და სხვ. გარდა ამისა, თითოეულს ლექსს და წერილს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება. წიგნში მოთავსდება ასზე მეტი სურათი (იმ ადგილებისა და პირების, რომლებიც მოხსენებულნი არიან პოეტის ნაწარმოებებში) და ავტოგრაფი. სარედაქციო კომისია ცდილობს, რომ გამოცემა გარეგნულად ახასიათებდეს ნ. ბარათაშვილის დროს“.

წიგნის გამოცემას აყოვნებდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. სარედაქციო კომისია თითქმის დაიშალა. გამოცემის ფაქტიური ხელმძღვანელი და რედაქტორი აღმოჩნდა მხოლოდ სამსონ ფირცხალავა, რომელსაც ჩვეული გულისხმიერებით ეხმარებოდა იოსებ გრიშაშვილი.

1917 წლის 26 იანვარს იონა მეუნარგია ზუგდიდიდან სწერდა სამსონ ფირცხალავას:

„ძმაო სამსონ!

მომწერე იბეჭდება თუ არა ბარათაშვილი, თუ იბეჭდება, რატომ არ გამომიგზავნე, რაც გთხოვე ადრე: ჩემი ცხოვრების აღწერის ბოლო ფურცლები, კარანდაშით დაწერილი, რომლებიც გადასაწერად და გა-



დასაკეთებლად იყო დანიშნული? ჯერ კიდევ ციცირონი მოძღვრება მწერალს, თავი და ბოლო კარგად უნდა იყოს დაწერილიო და აქ ბრალს სულაც არ არის დაწერილი. გთხოვ, გემუდარები, ნუ აყოვნებ, ისე გამომიგზავნე რასაც გთხოვ და თან შემომითვალო, დაიწყეთ თუ არა ბეჭდვა“<sup>14</sup>.

მაგრამ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მდგომარეობა არ იცვლებოდა და რედაქტორი იძულებული გახდა გაზ. „სახალხო საქმეში“ ხელისმომწერთა საყურადღებოდ შემდეგი განცხადება გამოეკვეყნებინა:

„ნ. ბარათაშვილის ლექსების და წერილების აკადემიური დასურათებული გამოცემა დღევანდელი საყოველთაო არეულ-დარეულობის გამო დროებით შეჩერებულია. შეუძლებელი გახდა დალაგებული მუშაობა. ყველაფერის ფასი უზომოდ გაიზარდა. ამიტომ საგამომცემლო კომისიამ საუბოძებლად დაინახა, გადადვას წიგნის დაბეჭდვა ზაფხულის დამლევამდე, თუ იმ დროისათვის ცხოვრება არ ჩადგა ასე თუ ისე წესიერ კალაპოტში, მაშინ კომისია ცალკე განცხადებით აუწყებს ხელისმომწერთ, ვისაც სურს უკან წაიღოს გადახდილი ფული და ვისაც სურს დასტოვოს, ვიდრე შესაძლებელი შეიქმნებოდეს წიგნის გამოცემა.“

კომისიას შექენილი აქვს ქალაქი და სხვადასხვა მასალა და ნ. ბარათაშვილის თხზულებას აუცილებლად გამოსცემს, როგორც კი გარემოება ამის ნებას მისცემს“<sup>15</sup>.

წიგნის ბეჭდვის პერსპექტივა მაინც არ ჩანდა. აღ. არაბიძე, როგორც კერძო გამომცემელი, ველარ ახერხებდა პირობის შესრულებას და 1921 წლის 19 აპრილს წიგნის რედაქტორმა ზემდგომ ორგანოებს შემდეგი განცხადებით მიმართა: „... ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ ეკატერინე ერისთავის (ნ. ბარათაშვილის დისწულის მეუღლეა), მეთაურობით შესდგა საგანგებო კომისია ქართველ ლიტერატორებისაგან პოეტის — ნ. ბარათაშვილის ნაწერების გამოსაცემად. გამოცემა განზრახული იყო აკადემიური, ავტორგრაფების მიხედვით შესწორებული ტექსტით, ვრცელის კომენტარებით, კრიტიკულის წერილებით და ბიოგრაფიით.“

<sup>14</sup> გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, თედო სახოკიას პირადი ფონდი, ხ. № 11173.

<sup>15</sup> „სახალხო საქმე“, 1918 წ., № 184, 2. 111.





# ს. ბ. რაფაელი

ლექსები  
გული ქართლისა  
ფერილები



ტფლის 1922 წელსა



მსოფლიო ომის და საერთო გართულების მიზეზით გამოცემის საქმე შეფერხდა და შესაძლებელი გახდა მხოლოდ შარშან შემოდგომაზე და გვეწყო წიგნის ბეჭდვა წიგნის გამომცემლის ალ. არაბიძესთან შეთანხმებით და მისი მატერიალურის დახმარებით, მაგრამ უკანასკნელმა ომმა კვლავ შეაჩერა გამოცემის საქმე და უკვე მისი დაბოლავება კერძო საშუალებით თითქმის შეუძლებელია. დაბეჭდილია სრულად წიგნის 160 გვ. და აწყობილია დასაბეჭდად 40 გვ. ხოლო უნდა იწყოს და დაიბეჭდოს კიდევ დაახლოებით 90 გვ. ასე რომ, მთელი წიგნი იქნება 300 გვერდიანი, მოზრდილი ტანისა. უკვე დაბეჭდილი ფორმები შეიცავენ: 1. ი. მეუნარგიას დაწერილ ვრცელს ბიოგრაფიას, 2. პოეტის ლექსებს, 3. პოემას „ბედი ქართლისა“ და 4. ექვს წერილს. აწყობილია: 5. დანარჩენი 9 წერილი ნ. ბარათაშვილისა და 6. ე. თაყაიშვილის „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები“. დამზადებულია ასაწყობად და დასაბეჭდად: 7. ს. ფირცხალავას ვრცელი „კომენტარები“, 8. ს. გორგაძის „ნ. ბარათაშვილის ლექსთა წყობა“, 9. გ. ჭავჭავაძის „ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი“, 10. გ. ქიქოძის „ნ. ბარათაშვილი“, 11. დ. უხნაძის „ნ. ბარათაშვილის შემოქმედება“ და 12. ა. შანიძის „ნ. ბარათაშვილის ენა“.

წიგნი იბეჭდება სულ 2600 ცალი (ექვსასი ცალი უკვე ქალაღზეა). რადგან ახლა არაბიძე ველარ ახერხებს გამოცემის დამთავრებას, ვთხოვ სალიტერატურო განყოფილებას, გამოისყიდოს ა. არაბიძისაგან გამოცემა და თვითონ დაამთავროს.

ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემის რედაქტორი და ხელმძღვანელი სამსონ ფირცხალავა<sup>16</sup>.

ხელოვნების კოლეგიის შუამდგომლობითა და განათლების სახალხო კომისარიატის ენერგიული ჩარევით ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა 1922 წელს მაინც დასრულდა და მიიღო მკითხველმა.

წიგნში დაბეჭდილია იონა მეუნარგიას მონოგრაფია „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, მიძღვნილი ამ გამოცემის ინიციატორის — ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის ხსოვნისადმი.

განყოფილებაში — „ნაწერის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განხილვა“ წარმოდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის „ნ. ბარათაშვილის ავ-

<sup>16</sup> ცსსა, ფ. № 300, საქ. № 12, ტექსტი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით. (ლ. 5.)



ტოგრაფები“, სამსონ ფირცხალავას „ვარიანტების განსხვავება და გამოცემანი“, გიორგი ჯავახიშვილის „ნ. ბარათაშვილის წინამორბედნი ჩვენს მწერლობაში“, გერონტი ქიქოძის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, დიმიტრი უზნაძის „ნ. ბარათაშვილის შემოქმედების განვითარება“, სერგი გორგაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა“. სამსონ ფირცხალავას „ნ. ბარათაშვილის ლექსების გამოცემანი“ და ბოლოსიტყვაობა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რედაქტორის მიერ შედგენილი „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი“, რომელიც შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე.

წიგნის გამოსვლას ქართველი საზოგადოებრიობა აღტაცებით შეხვდა.

მართლა შუამდინარელი (ი. გრიშაშვილი) „ილიონში“ წერდა: „მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის წიგნის შემდეგ ასეთი წიგნი ჯერ არ გვინახავს. სამსონ ფირცხალავას რედაქციით გამოცემული „ბარათაშვილი“ აკადემიური გამოცემაა. აქ ყოველივე წვრილმანი — რაც მგოსნის გარშემო მომხდარა — დიდის სათუთობით არის დალაგებული.

ამჟამად საინტერესოა რედაქტორის შეუდრეკელი ენერჯია. მართალია, წიგნის ბოლოში ვკითხულობთ, რომ გამოცემის ხასიათის და გეგმის გამოსაკვლევად შემდგარა კომისია, რომელშიაც ყოფილან: კიტა აბაშიძე, იოს. გედევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ლასხიშვილი, დ. შევარდნაძე და ი. ჯავახიშვილი, მაგრამ როგორც ვიცით, საქმის მთელი სიმძიმე სამსონ ფირცხალავას დააწვა, მაგრამ იგი მაინც იღვა თავის სადარაჯოზე, როგორც უკანასკნელი პოროლი. მთელი ოთხი წელიწადი მუშაობდა ს. ფირცხალავა ამ წიგნზე, ჩვენ მოწმე ვიყავით, თუ როგორის ენერჯიით, მეცნიერული სიღინჯით სუნთქავდა არქივების სუნოვანობას პატივცემული რედაქტორი, რომ წიგნი, რომელიც ეკატერინე ერისთავის თაოსნობით გამოდიოდა — სავსებით სავსე ყოფილიყო. ასე იკრიბებოდა ყოველი მომენტი ბარათაშვილის ცხოვრებაში, რაც დღეს სრულქმნის ჩვენს პოეტს. დღეს, როცა რედაქტორობა ფრჩხილებში ჩასასმელი სიტყვა გახდა, პირდაპირ სანიმუშოდ ხდება ის მოკრძალება, რომლითაც წიგნის ერთ პატარა კუნჭულში პატარა ასოებით ვკითხულობთ: „სამსონ ფირცხალავას რედაქციით“<sup>17</sup>.

<sup>17</sup> „ილიონი“, 1922 წ., № 2, გვ. 56-57.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა. ამ წიგნის სრულყოფისათვის გაწეული შრომა და თავდადება სამსომ ფირცხალავას ბიოგრაფიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელია.

1921 წ. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: ალ. აბაშელი, ტ. ტაბიძე, ი. აღლაძე, ბ. იაშვილი, ი. ეკალაძე, ლ. ქიაჩელი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ტაბიძე, შ. აფხაიძე და ი. ყიფიანი, ქართველი კლასიკოსების მონოგრაფიული შესწავლის კოლეგიაში პავლე ინგოროყვასა და ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად აირჩიეს სამსონ ფირცხალავა<sup>18</sup>.

ეს ფაქტი კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ამ უნგარო მოღვაწის წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულისა.

თ ბ ი ლ ის ი

<sup>18</sup> ლხცა, ფონდი № 8, ან № 1. საქ. № 9, გვ. 23.

## წარსულის გახსენება

ნეტავ სულ არ გათენებოდა ის დღე ნაცვლიშვილების ოჯახს. ის იყო ოჯახის დიასახლისი ნატალია სადილის სამზადისს შეუდგა, ხოლო პატარა თამრიკო ულაზათოდ შეეკერილ საყვარელ თოჯინას საზეიმოდ რთავდა, რომ ალაყაფის კარებს ვილაცამ მოაძახა. ოთახის კუთხეში მოკალათებულმა თოთხმეტი წლის ვანომ ხატვა მიატოვა და სტუმრის შესაგებებლად გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ კარებშივე გაიხირა, უნდოდად შემოტრიალდა და შიშნაჭამი თვალები დედას მიაშტერა, თითქოს შველას სთხოვსო. დედის გული გუმანით მიხვდა მოულოდნელ უბედურებას, გასასვლელი კარისაკენ გაექანა. ორ უცნობს საკაცე შემოჰკონდა ეზოში, რომელზედაც ფერწასული ოჯახის მარჩენალი გამოტოლიყო.

ნატალიამ შეიკვლა და იქვე ჩაიკეცა. გაოგნებული ვანო უძრავად იდგა, არ იცოდა, რა ექნა. შემდეგ გამოერკვა, აივანზე გონება მიხდილ დედასთან ჩაიჩოქა და აქვითინდა — მიშველეთ, დედა მიკვდებო. უფროს ძმას პატარა თამრიკოც აჰყვა. ამასობაში მეზობლებიც გამოცვივდნენ, ავადმყოფს მიხედეს. ნატალია გონზე მოიყვანეს. ატირებული ვანო დაამშვიდეს და ექიმთან აფრინეს.

მალე ექიმიც მოვიდა, გულდასმით გასინჯა ავადმყოფი. აღმოჩნდა, რომ ხარაჩოდან გადმოვარდნილ დურგალს ლავიწი გასტეხოდა და მარჯვენა ხელიც დაეზიანებია. ექიმმა გადამსხვრეული ძვლები არტაშნებით შეუკრა ტკივილებისაგან გონებადაკარგულ მათე ნაცვლიშვილს. წამალი გამოუწერა, ნატოს რჩევა-დარიგება მისცა, გამოწვდილ სამმანეთიანს ჯიბე შეაგება და წავიდა. თანაც გულსაკლავი ამბავი დასტოვა. ხუთ წელს მაინც ვერ იმუშავებს დურგალიო.

იმ ღამეს ნაცვლიშვილების ოჯახში მარტო პატარა თამრიკოს ეძინა ტკბილად. ავადმყოფს ტკივილები ტანჯავდა და მთელი ღამე კენ-

სოდა. ნატალია მეუღლეს სასთუმალთან უჭდა, გავარვარებულ შუბლზე სველ ტილოებს უცვლიდა, თან თავისი პატარების მომავალზე ფიქრობდა.

არც ვანოს ეძინა იმ ღამეს. ერთთავად ბორგავდა. დედამ რამდენჯერმე უთხრა დაიძინეო, დაუყვავა კიდევ, მაგრამ არა და არ მიეკარა თვალებს რული. გონებაში ბურღივით უტრიალებდა ექიმის სიტყვები — ხუთ წელს ვერ იმუშავებს დურგალიო. ეხ, რა დროს შეუჩნდა მათ ოჯახს ფათერაკი! მოდი და იფიქრე ახლა სწავლის გაგრძელებაზე.



ივანე ნაცლიშვილი

ვანომ სწორედ იმ წელს დაამთავრა ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი და ახლა სემინარიაში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა. დედაც მხარს უჭერდა. უნდოდა მისი შვილი განათლებული კაცი გამოსულიყო. წვითა და დაგვიტ შეუგროვა რამდენიმე თუმანი. ამ უბედურების შემდეგ კი, ეს ფული ექიმებზე და წამლებზე დაიხარჯებოდა. სწავლის გაგრძელების იმედი სამუდამოდ გადაუწყდა ბავშვს. ან კი, როგორ უნდა ესწავლა. ავადმყოფ მამას, დედასა და პატარა დაიკოს რჩენა ხომ უნდოდათ. ვანომ კარგად იცოდა, რომ ფული ციდან არ ცვივოდა. თითო-ორილა გროშისათვის კაცს წელზე ფეხი უნდა დაედგა და ისიც ამ წუთში სწორედ იმას ფიქრობდა, სად დაეწყო მუშაობა. ხო, მართლა, მისი მეზობლები ნიკო და ლადო ასოთამწყობის შეგირდად მუშაობდნენ გამომცემლობაში, თვეში ხუთ მანეთს იღებდნენ, დედასა და დას არჩენდნენ გაჭირვებით. ამ აღმოჩენამ ცოტა დაამშვიდა ყმაწვილი. მტკიცედ გადაწყვიტა, ხვალ დილასვე ქართველთა გამომცემლობაში მისულიყო და სამუშაო ეთხოვნა.

დიღმელმა მემაწვინებმა უკვე რამდენიმეჯერ თავისი მყივანა ხმით მოაყვირეს ნაცლიშვილების ბინას, როდესაც ვანოს ჩაეძინა.

დილის 11 საათი იქნებოდა, პატარა ვანო რომ ქართველთა გამომ-

ცემლობაში მივიდა, მაშინ გამომცემლობის მეპატრონე და დირექტორიც ალ. ჯაბადარი იყო. დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ მდივანმა ქალმა ძლივს შეუშვა კაბინეტში მოკლე შარვალში და სუფთა ხანკის ხალათში გამოწყობილი ბავშვი. საწერ მაგიდასთან შუახნის სათვალისანი კაცი იჯდა, რაღაცას გულდასმით კითხულობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, რომელიც ვანოს მთელ საათად მოეჩვენა, მან დინჯად ასწია თავი და კარებთან ატუზულ ბიჭს მოსვლის მიზეზი გამოკითხა. დაბნეულმა ვანომ ძლივს გააგებინა, რომ სამუშაოს შოვნა სურდა ასოთამწყობის შეგირდად. ალ. ჯაბადარმა ბავშვი ახლო მიიხმო, სახელი და გვარი ჰკითხა, დაუყვავა კიდეც, მაგრამ სამუშაოზე უარი უთხრა. ადგილი არა მაქვსო, ვანოს იმწამსვე საწოლში მწოლიარე მარჯვენამოტეხილი მამა წარმოუდგა თვალწინ, იქვე სასთუმალთან მჯდომი დედის ნაღვლიანი სახე დაინახა და თვალები ცრემლებით ავესო. ალ. ჯაბადარი ბავშვის ტკვიანურ სახეს და ცრემლებით შენამულ დიდრონ შავ თვალებს აკვირდებოდა. ბიჭის სახეზე ისეთი ტანჯვა აღბეჭდილიყო, რომ გულქვა ადამიანსაც კი აღუძრავდა სიბრაალუს.

ვანომ ცრემლები მოიწმინდა და წასასვლელად გატრიალდა. კართან მისულმა მხარზე ხელი იგრძნო. ისევ ის სათვალისანი კაცი უღიმოდა.

— სკოლაში გივლია, ბიჭუნა?

— საქალაქო სასწავლებელი სულ ხუთებზე დავამთავრე, — სხარტად უპასუხა ვანომ.

— ხატვა გიყვარს?

— ძალიან, თავისუფალ დროს სულ ხატვას ვანდომებ.

— მაშ, ეხლა წადი, ხვალ შენი ნახატები და სასწავლებლის დამთავრების მოწმობა მომიტანე. იქნებ, ბედმა გაგიღიმოს და რაიმე სამუშაო გამოგიძებნო.

გახარებულ ვანოს მადლობის თქმაც კი დააფიწყდა, ცალ ფეხზე შეხტა, შემოტრიალდა, შემდეგ ტყვიასავით გავარდა კაბინეტიდან და სირბილით დაეშვა კიბეებზე.

გრგვინვითა და აურზაურით დგებოდა შფოთიანი მე-20 საუკუნე. იდგა 1901 წელი. საქართველოში აურზაურ-გაზეთების რიცხვი მატულობდა, მაგრამ მათი გამოცემა პოლიგრაფიულად უხარისხოდ ხდებოდა, ილუსტრაციებზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაშინ საქართველოს არცერთ სტამბას არ ჰქონდა ცინკოგრაფიული სახელოსნო, არც კლიშეების დამზადება შეეძლო ვინმეს ქართველთა შორის. ცინკოგრაფიული საამქროს შექმნა კი სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდებოდა.

ყველაზე მწვავედ ეს საკითხი მაშინ დაისვა, როცა გადაწყდა, რომ გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომელსაც ქართველთა გამომცემლობა სცემდა ალ. ჯაბაძარის რედაქტორობით, კვირაში ერთხელ ოთხგვერიანი სურათებიანი დამატებით გამოსულიყო.

ალ. ჯაბაძარმა გერმანიიდან ხუთი წლის ვადით მოიწვია ცინკოგრაფი ვ. ბიუხნერი, რომელსაც გაზეთისათვის კლიშეების დამზადება და საქართველოში ამ დარგის დანერგვა-განვითარება ევალებოდა.

ვანო სწორედ ამ გერმანელი ცინკოგრაფის შევირდად მიიღეს გამომცემლობის სტამბაში. მას ხუთი წლის განმავლობაში უნდა შეესწავლა ხელობა და ბიუხნერის წასვლის შემდეგ დამოუკიდებლად ემუშავნა.

დაბალი, ჯმუხი ბიუხნერი, ასე 34-36 წლის კაცი იყო. მეტად უქმური და პირქუში; მის სახეზე ღიმილს ვერ დაინახავდით. ქერა წარბების ქვემოდაც მუდამ დამკინავად იხედებოდა ცივი ჭროლა თვალები. ქართველებს ათვალწუნებით უყურებდა. ძალიან ცოტას ლაპარაკობდა, შეიძლება იმიტომაც, რომ რუსული ცუდად იცოდა. ქართულისა კი არაფერი გაეგებოდა და, ეტყობოდა, არც იმის შესწავლით იწუხებდა თავს. მუდამ საქმით იყო გართული. თავისი ხელობა შესანიშნავად იცოდა, მაგრამ სხვას არაფერს ასწავლიდა. ვანოს მარტო შავ სამუშაოებს ავალეებდა. თუთიის წამლვის დროს მას ახლოს არ იკარებდა. თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და, როდესაც საქმეს მორჩებოდა, მხოლოდ მაშინ გააღებდა კარს. გულდაწყვეტილ მოწაფეს ჭურჭელს დაარეცხინებდა, იქაურობას მიალაგებინებდა. ფოტოგადაღების დროსაც რაღაც საქმეს გამოუტყებნიდა და სადმე გააგზავნიდა. ბეჯითი შევირდი საშინლად წუხნდა: აგერ, მთელი წელი გადიოდა, მას კი ცინკოგრაფიის ხელობისა არაფერი გაეგებოდა. ერთხელ, როგორღაც გაბედა და თავისი რუსულ-ქართულით, როგორც იქნა აუხსნა, რომ მასთან ხელობის შესასწავლად იყო მოზარებული და არა ჯამ-ჭურჭელის დასარეცხად.

მაშინ პირველად გაიცინა ბიუხნერმა თავისი გამქირდავი სიცილით, შემდეგ შევირდს ზიზლით გადახედა და საქმოდ გარკვევით უთხრა:

— აზიელები ასეთ რთულ პროფესიას ვერ შეისწავლითო.

ვანოს სამუდამოდ გადაუწყდა ხელობის შესწავლის იმედი. რა უნდა ექნა? ეთქვა ყველაფერი ჯაბაძარისთვის? იცოდა, არც იმას გაუვიდოდა ჭიუტ უცხოელთან, ადგილს კი დაკარგავდა, მშობლებსა და პატარა დას ულუქმაპუროდ დატოვებდა. მერე და როგორი ყურადღებით ექცეოდა ალ. ჯაბაძარი, ზოგჯერ მოუალერსებდა კიდევ, ავადმყოფი მამის ამბავს გამოკითხავდა, ჯამაგირიც კი გაუდიდა 12 მანეთამდე. სირ-



ცხვილით იწვოდა შევირდი, რომ ამ კეთილი კაცისათვის ასე უნდა გვე-  
ცრუებია იმედები. მთელი ღამეები არ ეძინა, გამოსავალს ეძებდა და  
ბოლოს მიაგნო კიდეც.

ერთ ღღეს, როდესაც ბიუხნერმა სამუშაო დაამთავრა და შინ წა-  
ვიდა, ვანო ნაცვლიშვილი ცინკოგრაფიაში დარჩა და მთელი ღამე იმუ-  
შავა ფოტოგადაღებაზე. ბევრი წვალებით სასურველ შედეგს მიაღწია.  
ასლი დედანს თუმც არც ისე ზუსტად, მაგრამ მაინც წააგავდა. ყმაწვი-  
ლი სიხარულმა აიტანა — ფოტოგადაღების საიდუმლოებას მიაგნო.  
გულზე მოეშვა, მთელი წლის მუშაობას მაინც უქმად არ ჩაუვლია, ახ-  
ლა თუთიის წამლის საიდუმლოების გამოცნობა სცადა, მაგრამ ეს უკა-  
ნასკნელი უფრო ძნელი აღმოჩნდა. ვერ იქნა და ვერ მიიღო თუთიაზე  
ანაბეჭდი. დარწმუნდა, რომ შედეგი ხსნარების შეზავების ცოდნაზე იყო  
დამოკიდებული, ამის გაკეთებას კი ვანო სპეციალური რეცეპტების გა-  
რეშე ვერ შეძლებდა.

ახალი თავსატეხი გამოუჩნდა მომავალ ცინკოგრაფს. თვეები თვეებს  
მისდევდა. ახლოვდებოდა გერმანელი ოსტატის სამშობლოში დაბრუ-  
ნების დრო. ვანომ კი ვერაფრით ვერ მიაგნო ხსნარების შეზავების საი-  
დუმლოებას, რა ხერხს არ მიმართავდა, მაგრამ არაფერი არ გამოსდი-  
ოდა. ეტყობოდა, გერმანელმა ზეპირად იცოდა წამლების შერევის რე-  
ცეპტურა. მიხვდა ვანო, რომ ამ ცოდნის წყარო მხოლოდ და მხოლოდ  
წიგნი იყო და მისი ოცნება თითქოს კიდეც უფრო მიუწვდომელი გახდა,  
იმედდაკარგულმა გადაწყვიტა ყველაფერი ჯაბადარისათვის გაენდო.  
მოკრძალებით შეალო გამომცემლობის დირექტორის ოთახის კარები,  
მაგრამ გამბედაობამ უღალატა. ჯაბადარმა კი უმალ მიაგება:

— ხომ ყოჩაღად ხარ. აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო, შენი იმედი  
მაქვს, ბიჭო, გესმის?

ამ სიტყვებმა შეაშფოთეს ისედაც დაბნეული ვანო. საპასუხოდ რა-  
ღაც წაილულულა და კაბინეტიდან თავდახრილი გამოვიდა. ამ დღიდან  
ერთი წუთითაც არ მოუსვენია. ერთთავად თვალს ადევნებდა თავისთვის  
მოფუსფუსე ოსტატს. ერთხელ შენიშნა, ბიუხნერი რაღაც ნაცრისფერ-  
ყდიან წიგნს ფურცლავდა. წიგნის კითხვა რომ დაამთავრა, ოთახი ჩა-  
კეტა და თუთიის წამლვა განაგრძო. ისევ გაუღვივდა ვანოს იმედის ნა-  
ბერწყალი.

შუალამე გადასული იყო, როდესაც ვიღაცამ გამომცემლობის კარზე  
ლონივრად დააბრაზუნა. მეკარემ ბუზღუნით გაალო კარი. უნდოდა  
უდროოდ მოსული სტუმარი რიგიანად გაეთათხა, მაგრამ ხელში თავისი

საყვარელი ვანო შერჩა. ვანომ ბოდში მოიხადა, რაღაც საქმე მოიმი-  
ზეზა და სახელოსნოსაკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

ცინკოგრაფიაში შესული უჩვეულო შიშმა შეიპყრო. რომ ეკითხათ,  
თვითონაც ვერ გეტყვოდათ, რა ემართებოდა. სხვა დროს მუშაობაში  
გართულს ხშირად თავზე დასთენებია კიდეც, მაგრამ შიში ახლოს არ  
გაკარებია ჭაბუკის გულს. დღეს კი ქურდბაცაცასავით კანკალებდა. ოდ-  
ნავი ხმაურიც კი აკრთობდა. ვანომ სახელოსნო მოათვალიერა, შემდეგ  
ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარადას, მორგებული გასაღებით გააღო,  
სასურველ წიგნს თვალი რომ მოჰკრა, ოდნავ დამშვიდდა, ფრთხილად  
გამოაღო და გადაშალა. გაშტერებული დაყურებდა ნაბეჭდს. ერთი სი-  
ტყვის ამოკითხვაც ვერ მოეხერხებინა, თვალებს უმწეოდ ახამხამებდა.  
ფიქრობდა, ალბათ, მეჩვენებო. მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ მო-  
ჩვენება კი არა, მწარე სინამდვილე იყო, წიგნი გერმანული აღმოჩნდა,  
გაოგნებული შეგირდი უღონოდ დაეშვა სკამზე. არ იცოდა, რა ექნა,  
უცებ მისი მეზობელი თედორე ჩარომსკი გაახსენდა, რომელმაც გერ-  
მანული ენა შესანიშნავად იცოდა, ვათარგმნიებო, — გაიფიქრა, წიგნს  
ხელი წაავლო და სწრაფად გავარდა სახელოსნოდან.

გადიოდა დრო. დადგა 1905 წლის გაზაფხული. გერმანელ ცინკო-  
გრაფს ხელშეკრულების ვადა გაუვიდა, მაგრამ ჩვენი მშვენიერი ქვეყ-  
ნის დატოვება ეძნელებოდა. არც ალ. ჯაბადარი აჩქარებდა. მართალია,  
გამომცემლობას უჭირდა ყოველთვიურად 240 მანეთის გადახდა, მაგ-  
რამ რა ექნათ. ეჭვი ეპარებოდათ, იქნებ, ვანომ ხელობა კარგად ვერ  
შეისწავლაო. ალ. ჯაბადარი გერმანელთან ხელშეკრულების ვადის გაგ-  
რძელებასაც კი ფიქრობდა, მაგრამ ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ გა-  
დასწყვიტა ყველაფერი.

ბიუხნერი ავად გახდა, რამდენიმე დღეში კი გაზეთის სურათებიანი  
დამატება უნდა გამოსულიყო. შიგ რუსეთ-იაპონიის ომის ეპიზოდები  
უნდა დაებეჭდათ. ოსტატის ავადმყოფობის გამო ეს სამუშაო ვანო ნა-  
ცკლიშვილს მიახდევს. ახალგაზრდა ცინკოგრაფი გამალებით მუშაობ-  
და. დედნიდან რამდენჯერმე გადაიღო სურათი, ლამეებიც გაათია თუ-  
თიის წამლვაში და, ბოლოს, შედეგსაც მიაღწია. ანაბეჭდი ზუსტად  
გავდა დედანს. გახარებული მიეჭრა გამომცემლობის დირექტორს და  
თავის ნახელავი წინ დაუდო. კარგა ხანს ურტყამდა ალ. ჯაბადარი მხარ-  
ზე ხელს ახალგაზრდა ქართველ ცინკოგრაფს და თან ანაბეჭდის ყურე-  
ბით ტკბებოდა. შემდეგ მაგრად ჩამოართვა ხელი და წარმატება უსურ-  
ვა, თანაც დააყოლა, დღეიდან, როგორც პირველ ქართველ ცინკოგრაფს

120 მანეთი ჯამაგირი გენიშნება ყოველთვიურადო. ვანომ თავისუფლად/ ამოისუნთქა, მადლობა გადაუხადა და კაბინეტი დატოვა... გვერდები 111-112

...ვანო ნაცვლიშვილი ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში გამოცემის გამოცემლობის დურგალს გიორგი თელიას, რომელმაც იგი რევოლუციური საქმით დააინტერესა. ცოდნას დახარბებულ ჰაბტუკს გიორგი სხვადასხვა ლიტერატურას უკითხავდა. უხსნიდა რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობასა და მიზანს. ვანო ნაცვლიშვილს არაერთ გაფიცვაში მიუღია მონაწილეობა. მან შეგირდებისაგან რევოლუციური წრე ჩამოაყალიბა. 1905 წელს ერთ-ერთი გაფიცვის დროს ვანო დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მაგრამ იმავე წელს გამოსულმა მანიფესტმა მალე გაათავისუფლა საპრობილედან. ამ ამბის შემდეგ „ოხრანკის“ აგენტები მას ეჭვის თვლით უყურებდნენ.

გერმანელი ცინკოგრაფი სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სურათებიან დამატებას გამოსვლა არ შეუწყვეტია. ვანო ნაცვლიშვილმა ორი შეგირდი აიყვანა — პავლე ხეთაგაშვილი და გიორგი ქარონიძე. მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა და თან შესანიშნავად უძღვებოდა საქმეს. თუ აქამდე ცინკოგრაფია მხოლოდ გაზეთ „ცნობის ფურცელს“ უმზადებდა კლიშეებს, ახლა აქ დაბეჭდილი ილუსტრაციები საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. აქ დამზადდა კლიშეები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენისათვის“, აქვე მზადდებოდა კლიშეები აკაკი წერეთლის იუმორისტული ჟურნალის „ხუმარასათვის“, „ნაკადულისათვის“ და სხვ.

მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდ პატივს სცემდა ვანო ნაცვლიშვილის შრომას. ხშირად იტყოდა ხოლმე იაკობ გოგებაშვილი: „ეს ნაცვლიშვილიანთ ბიჭი რომ არ გვყავდეს, ჩვენი ქართული წიგნები თუ ჟურნალ-გაზეთები არაფრად ეღირებოდაო“. განსაკუთრებით აკაკი წერეთელს და ვალერიან გუნიას უყვარდათ ენერგიული ახალგაზრდა. ისინი ხშირად დადიოდნენ ქართველთა გამომცემლობაში, საათობით ისხდნენ ცინკოგრაფიაში და საქართველოს მომავალ ბედზე საუბრობდნენ. ვანო ასეთ დღეს ყველაზე ბედნიერ კაცად გრძნობდა ხოლმე თავს.

ერთი რამ ჰქონდა ამოჩემებული ვანოს. მასთან რა საგანზედაც არ უნდა ჩამოგეგდოთ საუბარი, ბოლოს მაინც შემოგჩივლებდათ:

— კი მაგრამ, საქართველოში ფერადი სურათების ბეჭდვა როდის უნდა დავიწყოთ? ჩვენ ვისზე ნაკლები ვართ, ნიჭი არ გვაკლია და მონ-



დომება. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენს პოლიგრაფიას პატარა ნი არა ჰყავს, არავის ანადგლებს ამ დარგის ბედით.

ერთხელ რუსეთში წასვლაც კი დააპირა ფერადი ცინკოგრაფიის შესასწავლად, მაგრამ ვერ მოახერხა.

ვანო ნაცვლიშვილი მთელი მონდომებითა და ენერგიით ეკიდებოდა საყვარელ საქმეს. მისი მეცადინეობით საქართველოში ცინკოგრაფია თანდათან ვითარდებოდა. მუყაითი შეგირდი შესანიშნავი პედაგოგი გახდა. მან მრავალი ცინკოგრაფი გაუზარდა საქართველოს. გერმანელი ცინკოგრაფის ნათქვამი — აზიელები ასეთ რთულ პროფესიას ვერ შეისწავლითო, არ გამართლდა. ქართველები შესანიშნავად დაეუფლნენ ამ სპეციალობას.

გადიოდა წლები. გრიგალივით ჩაიქროლა 1917 წლის რევოლუციამ. მალე საქართველოშიც აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების დროშა. ქართველთა გამომცემლობა ამიერკავკასიის რკინიგზის გამომცემლობამ შეისყიდა და ვანო ნაცვლიშვილიც იქ გადავიდა სამუშაოდ. მას ახლა მარტო აღარ უზღებოდა ყველა სამუშაოს შესრულება. მასთან ერთად გამოცდილი ცინკოგრაფები პავლე ხეთაგაშვილი, ნიკო ხუროძე და სხვები მუშაობდნენ.

1927 წელს საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ყრილობაზე ვანო ნაცვლიშვილი პოლიგრაფიული წარმოების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. ოთხი წელი დაჰყო ამ თანამდებობაზე პირველმა ქართველმა ცინკოგრაფმა. იგი ამ საქმესაც ისევე კარგად უძღვებოდა, როგორც ოდესღაც თავის პატარა ცინკოგრაფიულ საამქროს. მალე მისი ინიციატივით დაარსებულ იქნა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, რომლის დირექტორად იგი იქნა მიწვეული. 1936 წლიდან კი ისევ უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს და სახელმწიფო გამომცემლობის ფოტოცინკოგრაფიას ხელმძღვანელობს.

ამ პერიოდში სახელმწიფო გამომცემლობის ფოტოცინკოგრაფია მთელს რესპუბლიკაში ამ დარგის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი საწარმო იყო. თვით სახელმწიფო გამომცემლობაც კი არ ანდობდა მათ სერიოზულ სამუშაოებს და „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობის ცინკოგრაფიას უგზავნიდა ფოტოსურათებს კლიშეების დასამზადებლად. ცინკოგრაფიაში თითქმის ყველა სამუშაო პრიმიტიული წესით სრულდებოდა. საბჭოთა მანქანები მოძველებული იყო და შეკეთებას მოითხოვდა. იქ მხოლოდ ერთი ძველი სისტემის ფოტოაპარატი ჰქონდათ და ისიც ხში-



რად გაფუჭებული იყო. არც ხელოსნები ჰყავდათ საკმარისი. ცინკოგრაფიის საქმე კარგად მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა — ვაზო გოგიჩაშვილმა და კარლო ალენსომ. სხვები კი დამხმარე მუშებად მუშაობდნენ. განსაკუთრებით ვაზო გოგიჩაშვილი გამოირჩეოდა თავისი მუყაითობით. იგი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ჰქაბუკი მივიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ ცინკოგრაფიაში ხელობის შესასწავლად. ბეჯითი შეგირდი მალე დაეუფლა ხელობას და 1928 წლიდან თუთიის მწამლავ ოსტატად დაიწყო მუშაობა. მუშაობის პერიოდში ნიჭიერმა ახალგაზრდამ მოზრდილთა დამის სასწავლებელიც დაამთავრა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა სტუდენტად. მაგრამ სწავლის შეწყვეტა მოუხდა, რადგან ცინკოგრაფიამ იგი, როგორც მუყაითი და ნიჭიერი ახალგაზრდა ოსტატი, მოსკოვში გაგზავნა სამფეროვანი რეპროდუქციების გადაღების ასათვისებლად. ვაზო ერთი წლის შემდეგ უკვე გამოცდილი ოსტატი დაბრუნდა თბილისში და სახელმწიფო გამომცემლობის ცინკოგრაფიაში ფერადი რეპროდუქციების გადამღებად დაიწყო მუშაობა. ამ დღიდან მას ერთი წუთითაც კი არ უღალატნია თავისი საყვარელი საქმისათვის. იგი მხარში ედგა ვანო ნაცვლიშვილს და მასთან ერთად ხელმძღვანელობდა ამ საკმაოდ მოზრდილ საწარმოს. მან ბევრი ახალგაზრდა ფოტოგადამღები გაუზარდა ცინკოგრაფიას, რომლებიც დღეს დამოუკიდებლად მუშაობენ და საუკეთესო ფოტოგადამღებებად ითვლებიან. ხშირად იტყოდა ხოლმე ხანდაზმული ცინკოგრაფი — ვაზო ჩემი მარჯვენა ხელია, იგი თავისი საქმის ცოდნითა და მუყაითობით მახარებსო.

ვანო ნაცვლიშვილი ვაზო გოგიჩაშვილთან ერთად ცინკოგრაფიაში მოსვლისთანავე შეუდგა კადრების მომზადებას. არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას აძლევდა მოსვენებას. დღესა და ღამეს ასწორებინებდა შოწაფეებს, რომ ხელობა, რაც შეიძლება, მალე შეესწავლათ.

— გამომცემლობები სანთლით დაეძებენ კლიშეებს, თქვენ კი გულხელი დაგიკრეფიათ და ღმერთს შესცქერით, გვიშველე რამეო, ღმერთი რას გიშველით, შვილოსან, თავი და ხელი გაანძრით და საქმეც კარგად წავა! — ბუზღუნებდა ერთთავად ნაცვლიშვილი.

ცინკოგრაფიაში ცოტა რომ მოაწესრიგა საქმე, ვანო ახლა გამომცემლობებს შეუჩნდა, — ძველი უვარგისი მანქანები მოგვეციოთ, შევაკეთებთ და გამოვიყენებთო. აქაც თავისი გაიტანა და ორი კარგად მომუშავე ბრტყელი საბეჭდი მანქანა შემატა ცინკოგრაფიას. მალე მოსკოვიდან ერთი ფრეზერის სისტემის დაზგაც მიიღეს და საქმეც აეწყო.



სახელმწიფო გამომცემლობის ცინკოგრაფია უკვე საუკეთესო ხარისხის ერთფეროვან კლიშეებს ამზადებდა.

ამით როდი კმაყოფილდებოდა ვანო ნაცვლიშვილი. მას თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელება სურდა. საქართველოში ხომ ფერადი სურათების ბეჭდვა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული. დღე და ღამე ამაზე ფიქრობდა ძველი ცინკოგრაფი. ახლა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიწყო ყოველდღე სიარული, არავის ასვენებდა. ყველას ცალცალკე უხსნიდა: — ფერადი ბეჭდვა ჩვენთვის აუცილებელია, გამოითხოვეთ ნებართვა ცენტრიდან, ოთხ ახალგაზრდას გავგზავნი ხელობის შესასწავლად მოსკოვშიო. ბოლოს ამასაც მიაღწია და დიმიტრი ბერიაშვილი, ნიკო გოგიჩაშვილი, მიხეილ ჯაფარიძე და რაჩიკ სოგომონიანი მოსკოვს მიაველინა სასწავლებლად. თვითონაც ხშირად ჩადიოდა გაზრდილებთან, ქართული მოსაკითხიც ჩაქონდა, არ მოიწყინონ ბიჭებმაო.

რვა თვის შემდეგ ახალგაზრდებმა შესანიშნავად შეითვისეს სპეციალობა. უხაროდა ხანდაზნულ ოსტატს, რომ მას ახლა მისივე გაზრდილები ასწავლიდნენ ფერადი სურათებისათვის კლიშეების დამზადებას. წამდაუწუმ გაიხსენებდა ხოლმე წარსულს და, თითქოს დანანებით იტყოდა, — ეჰ, ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ, შვილოსან, დაბადებული. ჩვენ დროს ასე როდი იყოო...

პირველი დავალება მოსკოვიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდებმა 1938 წელს მიიღეს. მათ უნდა დაემზადებინათ ფერადი სურათები საქართველოს ხილის ატლასისათვის, რომელიც ნ. კეცხოველის რედაქტორობით გამოდიოდა. ოსტატი თავს დასტრიალებდა გაზრდილებს. ყველაფერში მონაწილეობას იღებდა, აქეზებდა, თან ეხვეწებოდა — აბა, თქვენ იცით, არ შემარცხვინოთო. ბოლოს, როცა საუკეთესოდ გაკეთებულ ანაბეჭდს დახედა, სიხარულისა და ბედნიერებისაგან თვალები გაუბრწყინდა. კარგახანს ვეღარ ამოიღო ხმა. სწორედ ისეთმა განცდამ შეიპყრო მაშინაც, 1905 წელს, როცა თექვსმეტი წლის ბიჭი პირველად დაეუფლა ანაბეჭდის ამოღების ტექნიკას ბიუხნერისეულ სახელოსნოში. სათითაოდ გადააკონა ბიჭები და მომავალში ოთხივეს წარმატება უსურვა.

სახელმწიფო გამომცემლობის ცინკოგრაფია დღითი დღე ფართოდდებოდა, იზრდებოდა. ვ. ნაცვლიშვილი ხშირად გზავნიდა ხელოსნებს მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ცოდნის გასაღრმავებლად. სულ მოკლე ხანში საუკეთესოდ მომზადებული კადრები შემოიკრიბა ირგვლივ, რომლებიც ყველაზე რთულ დავალებებსაც კი სამაგალითოდ



ასრულებდნენ. ისინი ფერად ილუსტრაციებს უგზავნიდნენ ველოში გამოსულ ჟურნალებსა და წიგნებს. იღებდნენ მხატვართა რეპროდუქციების დაკვეთებს და ალბომებად ბეჭდავდნენ.



სამამულო ომმა ხელი შეუშალა ცინკოგრაფიის მუშაობას. ოსტატები სამშობლოს დასაცავად წავიდნენ. ცინკოგრაფიაში ვანო ნაცვლიშვილი, კარლო ალექსნო და მბეჭდავი დიმიტრი ბეროშვილი დარჩნენ. ცინკოგრაფიას საქმე მოემატა. ამიერკავკასიის ფრონტმა კლიშეები შეუქვეთა. თავს არ ზოგავდნენ ოსტატები. ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ სამშობლოს დაცვის საქმეში. მუშაობა ნაყოფიერი იყო. ბევრი ჭარისკაცის თბილი და მეგობრული წერილი მიიღო ამ პერიოდში ცინკოგრაფიის სამმა ხელოსანმა. მადლობას უხდიდნენ ფრონტელები თბილისელ მეგობრებს.

... ომის დამთავრების შემდეგ ვანო ნაცვლიშვილს თითქმის უკლებლივ დაუბრუნდნენ თავისი გაზრდილები, სიხარულმა გააახალგაზრდავა ბევრი ჯაფით გატეხილი ოსტატი. ნაომარი ვაჟკაცების მხარში ამოდგომამ ახალი ძალა და ენერჯია შემატა მას.

ცინკოგრაფია თანდათან დგებოდა კალაპოტში. მდიდრდებოდა ახალი ტიპის მოწყობილობებით. ომის შემდეგ კიდევ მრავალი ახალგაზრდა ფოტოგადამღები, მწამლავი და მბეჭდავი გაზარდა ცინკოგრაფიის გამოცდილმა კოლექტივმა. ბევრი მათგანი დღეს სხვადასხვა გამომცემლობებში მუშაობს და საუკეთესო ცინკოგრაფად ითვლება.

დღეისათვის ეს ცინკოგრაფია მთელს საბჭოთა კავშირშია ცნობილი.

ფერად მბეჭდავებს საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი მუშაობისათვის. ცინკოგრაფია უზრუნველყოფილია საუკეთესო ფოტოაპარატებით, საწამლავი, სარანდავი, საფრეზო და ახალი ტიპის საბეჭდი მანქანებით და სხვა მოწყობილობებით.

წიგნი,   
წიგნი,   
წიგნი... 





ალ. ცაგარელის კოლექციის ავტობრაფი

თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მრავალ გამოჩენილ მოღვაწეთა წიგნების კოლექცია ინახება, რომელთა შორის ბევრია საყურადღებო ავტოგრაფიული მინაწერებით, ნაჩუქრობის წარწერით. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ გავეცნოთ წიგნის ავტორის დამოკიდებულებას იმ პიროვნებასთან, ვისაც ეს წიგნი ეძღვნება.

ერთ-ერთი ასეთი საინტერესო კოლექციაა პროფ. ალ. ცაგარელის პირადი ბიბლიოთეკა. იგი ძირითადად ისტორიისა და მხარეთმცოდნეობით ლიტერატურას შეიცავს. მათი ავტორები კოლექციის მფლობელის მონათესავე მეცნიერებაში მუშაობდნენ და უნდა ვიფიქროთ, რომ ალ. ცაგარელი მათთან მეცნიერულ თანამშრომლობასაც ეწეოდა.



ალ. ცაგარელი დაიბადა 1844 წელს, 27 ნოემბერს მღვდლის ოჯახში, ახლანდელი კასპის რაიონში. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი პეტერბურგში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. მან ჯერ კიდევ საქართველოში დ. ჭონქაძის დახმარებით შეისწავლა ოსური ენა; დამოუკიდებლად შეისწავლა ბერძნული და ინგლისური ენები. ფლობდა აგრეთვე ძველ ბერძნულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს.

დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ ალ. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც ქართული ლიტერატურის საკითხებზე ლექციებს უკითხავდა დავით ჩუბინაშვილი. პეტერბურგის ჰავამ მის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა და სწავლა მიუნხენში გააგრძელა, სადაც საფუძვლიანი ენათმეცნიერული განათლება მიიღო. შემდეგ დაბრუნდა პეტერბურგში და ემზადებოდა საკანდიდატო გამოცდებისათვის. როდესაც დ. ჩუბინაშვილი განთავისუფლდა ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგის თანამდებობიდან, 1871 წელს მან აქ ალ. ცაგარელი



მოიწვია და როგორც ამ კათედრის კონსულტანტი, მჭიდროდ მუშაობდა ჰქონდათ ერთმანეთთან.

ამრიგად, „მისი მეცნიერული მუშაობა დაიწყო პეტერბურგში, იქ, სადაც მეცნიერული ქართველოლოგიის ყამირ გზაზე ის იყო გაველო მარი ბროსესა და დ. ჩუბინაშვილს“<sup>1</sup>.

1876 წელს ალ. ცაგარელი იბერიულ-ქართველური ენების შესასწავლად საქართველოში ჩამოვიდა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს ნიკოლოზ დადიანმა და მისმა დედამ ეკატერინე ჭავჭავაძემ. იგი გაეცნო მათ მდიდარ ბიბლიოთეკას და დაწერა გამოკვლევა „მეგრული ეტიუდები“, რომელიც 1880 წელს ორ წიგნად გამოსცა პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ და ამავე წელს ავტორს დოქტორის ხარისხი მიანიჭა. ალ. ცაგარელმა დაათვალიერა საქართველოს ეკლესია-მონასტრები, შეისწავლა იქ დაცული ხელნაწერები და წარწერები.

1883 წელს ალ. ცაგარელი საზღვარგარეთული ქართული ხელოვნების შესასწავლად გაემგზავრა სინას მთაზე და იერუსალიმში. სინას მთის მონასტრის ნესტიან და ბნელ სარდაფში იგი გაეცნო ძველ ქართულ ხელნაწერებს და შეადგინა კატალოგი, რომელშიც აღწერილია 864 წლის სინური „მრავალთავი“ და მისი უნიკალური ხელნაწერი. აქედან იგი გაემგზავრა პალესტინაში. იერუსალიმში აღწერა ჯვრის მონასტრის ხელნაწერები, გაეცნო ათონის ქართულ ხელნაწერებსაც. 1886—1888 წლებში მან დაბეჭდა თავისი სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ წიგნები და ხელნაწერთა აღწერილობანი. იერუსალიმში დაათვალიერა ქართველთა მიერ აშენებული ტაძრები, კედლებზე ამოიკითხა ქართული წარწერები, გადმოიღო ფრესკები, ჯვრის მონასტერში ნახა შოთა რუსთაველის, ქეთევან დედოფლის და სხვ. ფრესკები. მკვლევარი გაეცნო მოსკოვის არქივებს, თბილისში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკას, სიონის ტაძარში დაცულ დოკუმენტებს, შემდეგ გაემგზავრა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მოგზაურობამ ალ. ცაგარელს მრავალი მეგობარი შესძინა. პოეტი ნიკოლოზ გრენი თავის ლექსებს უძღვნის ალ. ცაგარელს. ფრანგ ისტორიკოსსა და პოეტს ბარონ დე ბაის ალ. ცაგარელის რჩევით საყურადღებო ცნობები შეაქვს თავის შრომაში საქართველოს შესა-

<sup>1</sup> ნ. შანათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (მე-18 ს. და მე-19 სსს პირველი ნახევარი).

ხებ. პეტერბურგში ყოფნის დროს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სანსკრიტული ენის პროფესორ გოლსტუნსკისთან, აკად. ვესელოვსკისთან და სხვებთან.

1898 წელს ალ. ცაგარელი იტალიაში, რომში, პირადად გაეცნო მიხეილ თამარაშვილს, რომელიც აქ დაცულ ქართულ დოკუმენტებს იკვლევდა.

1902 წელს ალ. ცაგარელს სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წელი შესრულდა. იუბილე მიულოცა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანმა ბარონ ვიქტორ როზენმა, სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ნაცნობ-მეგობრებმა, პეტერბურგში მცხოვრებმა ქართველებმა და ქართველმა სტუდენტობამ.

1920 წელს ალ. ცაგარელი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში დაბრუნდა. თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა იგი გულთბილად მიიღეს. მას უნივერსიტეტის რექტორატმა აცნობა:

„დამსახურებულ პროფესორ ალ. ცაგარელს:

პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ პროფესორთა საბჭომ 1920 წ. 8. 5. თქვენ აგირჩიათ თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად მიმდინარე წლის 1 მაისიდან. რექტორი ივ. ჯავახიშვილი. საბჭოს მდივანი აკ. შანიძე“.

ამრიგად, სახელოვანმა მეცნიერმა ქართულ უნივერსიტეტში დაიწყო მოღვაწეობა, კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურაში.

1922 წელს ალ. ცაგარელს თბილისის უნივერსიტეტში გადაუხადეს სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. სიტყვით გამოვიდნენ ივ. ჯავახიშვილი, აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, კ. გამსახურდია და სხვ.

„მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ძველ სატახტო ქალაქში, ჩვენ ახალგაზრდა უნივერსიტეტში და ჩვენ ქართულ ოჯახში მომიხდა ჩემი ნახევარი საუკუნის იუბილის დღესასწაული“... — მადლიერების გრძნობით ამბობდა ღვაწლმოსილი პროფესორი.

ალ. ცაგარელი გარდაიცვალა 1929 წლის 12 ნოემბერს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

• • •

ალ. ცაგარელის პირადი ბიბლიოთეკის წიგნების წარწერათა ძირითადი ნაწილი უკვე გაშიფრულია. აქ წარმოვადგენთ რამდენიმე მნიშვნე-

ნელოვან ავტოგრაფიულ წარწერას, რომელთაც მნიშვნელობა აქვს ალ. ცაგარელის სამეცნიერო კონტაქტების შესწავლისათვის.

ცგრ 478 Адонц, Н.

Дионисий фракийский и армянские толкователи, издал и исследовал Н. Адонц. Петроград. 1915. (8) СХС III, (5) 307 с. (Bibliotheca Armeno-Georgica, IV)

«Высокоуважаемому Александру Антоновичу Цагарели от автора».

ნიკოლოზ ვიორგის ძე აღონცი 1894 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პარალელურად ისმენდა ლექციებს აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და აქ გაიღრმავა ცოდნა.

1902 წელს ნიკო მარის ხელმძღვანელობით შეუდგა სადისერტაციო თემაზე მუშაობას. 1909 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი სომხურ სიტყვიერებაში და არჩეულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად. ამ პერიოდში იგი ახლოს გაეცნო ალ. ცაგარელს და უძღვნა ზემოაღნიშნული წიგნი.

ცგრ 1005 Величко, В. Л.

Владимир Соловьев. Жизнь и творения. С приложением рисунка И. Е. Репина, портрета и факсимилие. СПб., 1902, 105 с. «Высокоуважаемому, драгоценному Александру Антоновичу Цагарели. На добрую память от сердечно Вам преданного. 29. авг. 1902 г.»

ცნობილი პოეტი და მთარგმნელი ვ. ლ. ველიჩკო ალ. ცაგარელის მეგობრის დავით სარაჯიშვილის ხშირი სტუმარი იყო, სადაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ასეთივე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მათ პეტერბურგშიც.

ცგრ 742 Гиоргиевский, Сергей.

О корневом составе китайского языка и связи с вопросом о происхождении китайцев. СПб., 1888, 176 с.

«Александру Антоновичу Цагарели от высокоуважающего автора».

ცგრ 990 Гиоргиевский, Сергей.

Анализ иероглифической письменности китайцев, как отражающий в себе историю жизни древнего китайского народа. С.-Петербург. 1888, 128 стр.

«Глубокоуважаемому Александру Антоновичу Цагарели с почтением. Автор!»

სერგეი მიხეილის ძე გიორგიევსკი იყო პეტერბურგის უნივერსიტე-

ტის პროფესორი, სინოლოგი. აღ. ცაგარელიც ამავე პერიოდში მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში.



ცგრ 1070 Захаров, Иван

Грамматика маньчжурского языка, составленная Э. О. профессором Императорского С.-Петербургского ун-та, действ. стат. советн. Иваном Захаровым. СПб., 1879, 324 с.

«Александру Антоновичу Цагарели от автора».

ი. ზახაროვი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1875 წელს მიენიჭა მანჯურული სიტყვიერების დოქტორის ხარისხი და კონსტანტინეს დიდი მედალი მანჯურულ-რუსული ლექსიკონის შედგენისათვის.

ცგრ 1258 Жуковский, В. А.

Древности Закавказского края, Развалины старого Мерва. В. А. Жуковского, ординарного проф. Императорского С.-Пет. ун-та. С. I снимок с рукописи. 39 рисунками в тексте и VIII таблицами карт, надгробных надписей и орнамента. СПб., 1894.

Материалы по археологии России. Изд. Императорскою археологическою комиссиею, (№ 16), 261 с.

«Александру Антоновичу Цагарели от Автора».

აკად. ა. ვ. ჟუკოვსკი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. მუშაობდა ირანულ ენათმეცნიერებაში, ლიტერატურაში, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიაში.

ცგრ 1258 Иоселиани, Платон.

Описание города Душета, Тифлисской губернии. Сочинение Платона Иоселиани, действительного члена Общества истории и древностей и члена-корреспондента С.-Петербургского Археологическо-нумизматического. Тифлис, 1860, 76 с.

«18 января 1880 года. Получено лично от автора».

პლატონ იოსელიანი (1809—1875), გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. მას ეკუთვნის სამოცამდე შრომა ქართველოლოგიის საკითხებზე. შრომებს უმეტესწილად რუსულ ენაზე აქვეყნებდა. აღსანიშნავია მისი შრომა „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, „ქალაქ თბილისის სიძველეთა აღწერა“ და სხვ.

ცგრ 991 Ивановский, А.

Материалы для истории инородцев Юго-Западного Китая губернии Юнь Нань, Гуй, Уже, Сы Чуань и отчасти Гуан, СПб., 1887, т. I, ч. I. Первый период (от древних времен до конца династий Сунь) 215 с.

«Александру Антоновичу Цагарели от автора».

ა. ი. ივანოვსკიმ 1885 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსი-

ტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, 1889 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ჩინურ სიტყვიერებაში და არჩეულ იქნა პროფესორად.

ცვრ 900 Куроно-Иосибуми

Введение в изучение японского языка. Составил У. Куроно. СПб., 1885, 154 с.

«Александрю Антоновичу Цагарели от автора».

კურონო-იოსებუმი სწავლობდა ტოკიოს უცხო ენათა ინსტიტუტში; სპეციალობად აირჩია რუსული ენა. თარგმნიდა რუსულიდან იაპონურ ენაზე, შეადგინა რუსულ-იაპონური ლექსიკონი. 1888 წელს ჩამოვიდა პეტერბურგში და უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს იაპონურ ენაში. სტუდენტებისათვის გამოსცა იაპონური ენის სახელმძღვანელოები.

ცვრ 1632 Кекелидзе, Кор., С.

Иерусалимский канонарь VI века (Грузинская версия). Тифлис, 1912, 346 с.

„პროფესორ ა. ცაგარელს ავტორისაგან“.

კ. ს. კეკელიძე (1879—1962), ქართული საბჭოთა ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიასა და სხვა საკითხებზე.

ცვრ 1263 Коковцев, Н.

Книга сравнения еврейского языка с арабским. Абу Ибрагима (Исаака) Ибн Баруна, испанского еврея конца XI и начала XII века. Исследование П. Коковцева. СПб., 1893. Раздельная пагинация 158 стр., 100 стр. (текст на русском и арабском языках). (К истории средневековой еврейской филологии и еврейско-арабской литературы).

«Профессору Александрю Цагарели от автора».

აკად. ი. კ. კოკოვცევი (1861—1942), რუსი ენათმეცნიერი, მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მრავალი შრომა აქვს გამოქვეყნებული სემიტურ ფილოლოგიაში, სირიული და ასურული ლიტერატურის საკითხებზე.

ცვრ 1211 Мелиоранский, П. М.

Араб. филолог о турецком языке. Арабский текст издал и снабдил переводом и введением П. М. Мелиоранский. СПб., 1900, Раздельная пагинация XXXIV, 122, 85 с.

«Александрю Антоновичу Цагарели от автора».

პ. მ. მელიორანსკი (1866—1906) რუსი პროფესორი, აღმოსავლეთ-მცოდნე, ერთ-ერთი პირველი თურქოლოგი, კითხულობდა ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში. მისი ძირითადი შრომები მიძღვნილია თურქული ენის ისტორიისა და დამწერლობის შესწავლის საკითხისადმი.

ცვრ 468 Натроев, А.

Мцхет и его собор Свети-Цховელი. Историко-археологическое описание. Издание Комитета по реставрации Мцхетского собора. Тифлис, 1900, XII, 464, XX с; 37 л. илл.

«Его превосходительству, заслуженному ординарному профессору С.-Петербургского университета Александру Антоновичу Цагарели от автора. 1903, 8/1».

ანტონ ნატროშვილი, ისტორიკოსი; დაიბადა ქიზიუში, მღვდლის ოჯახში. წარმატებით დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. მისი მასწავლებლები იყვნენ ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი.

1877 წელს დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია მაგისტრის ხარისხით. 1885 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. 1919 წლიდან დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და იქ განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების, სვეტიცხოველის სარესტავრაციო კომიტეტის წევრი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მათ შორის აღსანიშნავია „მცხეთის ტაძარი სვეტიცხოველი“ (1900).


ცვრ 573 Соловьёв, С.

Церковные вопросы в России или Русское Архивное Ведомство под управлением Синодских обер-прокуроров и отношения его к церквам Греко-восточной и Старообрядческой. Браилово, 1896, 252 с.

«Эту книгу мне подарил Вл. Сер. Соловьёв, а я ему подарил биографию Леопарди итальянск. проф. Дзумбини при Неаполе. А. Цагарели».

ვ. ს. სოლოვიოვი, რუსი ფილოსოფოსი-ღვთისმეტყველი, პუბლიცისტი, პოეტი. 1877—1881 წწ. მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიაში. აღ. ცაგარელი მას პეტერბურგში მოღვაწეობის დროს გაეცნო.

გრაფი ჯაკომო ლეოპარდი (Leopardi) (1798—1837) დაიბადა ნე-



ავტორიანი წიგნები ალ. ცაგარელის კოლექციიდან.

აბოლში, ჯერ კიდევ ბავშვობაში წერდა ლექსებს, 17 წლის ასაკში შეთხზა ტრაგედია „პომპეუსი ეგვიპტეში“. თარგმნა სიმღერები ბერძნული ენიდან, დაწერა ორი ოდა ბერძნულ ენაზე. ნაწილი აღრიხნდელი შემოქმედებისა დაიბეჭდა ჟურნალ „Le spettatore“-ში („მყურებელი“) 1816—1817 წლებში. ლეობარდი ავტორია ლირიკული ლექსების, პოემების, პეტრარკას ლირიკული ლექსების კომენტარების, შრომებისა ანტიკურ ფილოლოგიაში და სხვ.

პოეტის ბიოგრაფი იყო ნეაპოლელი პროკურორი ზუმბინი (Zumbini), ვისი წიგნიც აჩუქა სოლოვიოვს ალ. ცაგარელმა.

ცგრ 55 Ребец, Ф.

Судьба Крыма при Митридате Евпаторе. Речь, произнесенная на годичном акте Симферопольской мужской гимназии 15 июня, 1888 г. Симферополь, 1888.

Александрю Антоновичу Цагарели, его высокородно господ. профессору, Ф. Ребец».





ცგრ 1062 Такайшвили, Е.

Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения». Тифлис, 1904, т. 2, вып. 2, 33  
260 стр.

„ჩვენს პატივცემულ პროფესორს ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს. ე. თაყაიშვილი“.

ცგრ 1074 Такайшвили, Е.

Археологические экскурсии, разыскания и заметки. Тифлис, 1905, вып. I, 112 с.

„პატივცემულ პროფესორს ა. ა. ცაგარელს ავტორისაგან“.

ცგრ 1060 Такайшвили, Е.

Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения». Изд. Управления Кавказского учебного округа. Т. I, вып. I, Тифлис, 1902, 200 с.

„პატივცემულ პროფესორ ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს შემდგენლისაგან“.

ე. ს. თაყაიშვილი (1863—1953), გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და ქართული ლიტერატურის მკვლევარი.

1883 წელს ე. თაყაიშვილი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც დაუახლოვდა ალ. ცაგარელს.

ე. თაყაიშვილმა დაღუპვას გადაარჩინა მენშევიკების მიერ საზღვარგარეთ გატაცებული ძვირფასი ქართული ვანძი და დაუბრუნა ქართულ კერას.

ცგრ 1076 Хаханов, А.

Баграт, Епископ Тавроменийский. Грузинский текст по рукописям XI в. С предисловием и переводом издал А. Хаханов. М., 1904, 112 с.

„დიდად პატივცემულ პროფესორს ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს. ა. ხახანაშვილი“.

ცგრ 1079 Грузинские дворянские акты и родословные росписи. (Материалы для истории Грузии). Изд. с предисловием и примечаниями А. Хаханов. М., 1893, 43 ст.

„დიდად პატივცემულ პროფესორს ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს. ა. ხახანაშვილი“.

ცგრ 1071 Заозерский, Н. А. и Хаханов, А. С.

Номоканон Иоанна Постника. В его редакциях: грузинской, греческой и славянской. С предисловиями издателей. М., 1902, 98 ст.

«Высокоуважаемому профессору Александру Антоновичу Цагарели. А. Хаханов».

ცგრ 1041 ხახანაშვილი, ალ.

გუჯარები. გამოცემული დეკ. დ. ლამბაშიძისა.

ქუთაისი, 1891 წ., 178 გვ.

„დიდად პატივცემულ პროფესორ ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს ა. ხახანაშვილისაგან“.

ა. ს. ხახანაშვილი (1866—1912), ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი. მოღვაწეობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მრავალი შრომა აქვს დაბეჭდილი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის საკითხებზე ქართულ და რუსულ ენებზე.

ცგრ 1415 «Весь Кавказ».

Иллюстрированный справочно-литературный сборник. Тифлис, 1903, № 1.

«Глубокоуважаемому А. А. Цагарели от редактора-издателя Бориса Эсадзе, Тифлис, сентябрь, 1904».

ბორის ესაძე, მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. ძმასთან, სიმონ ესაძესთან ერთად გამოსცა კრებული „Весь Кавказ“. უზრუნველ შეიცავდა უნიკალურ ცნობებს კავკასიის ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ეთნოგრაფიის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის შესახებ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი, დატულია საქართველოს კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში.

ცგრ 797 Шанидзе, А.

Два Чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках. Петроград, 1916.

Отдельный оттиск из «Записок Восточного Отделения Императорского Русского Археологического общества», т. XXIII, 365—372 с.

„ღრმად პატივცემულ პროფ. ალექსანდრე ცაგარელს ავტორის მიერ. 1917 წ. 1—III“.

აკაკი შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე.

ა. შანიძემ დიდი დახმარება გაუწია ალ. ცაგარელს პეტერბურგიდან თბილისში გადმოსვლაში.



ცგრ 442 De Bay (Baronne)  
Les Heures aimées. Poésie. Paris.

„A Monsieur Tsagarelli, souvenir de Versailles.  
B-ne de Bay. 24 avril, 1900“.

(მატონ ცაგარელს ვერსალის მოსაგონებლად. 1900. 24 აპრილი).

ბარონ დე ბაი, ფრანგი მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე. 1898 წ. ჩამოვიდა საქართველოში, გაეცნო მის ბუნებას, ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს, წარსულსა და აწმყოს და დაწერა ნარკვევი „კავკასიის ქედის ჩრდილოეთით“ (1899), რომელიც მიუძღვნა ილია ჭავჭავაძეს. ბარონ დე ბაი იმ დროის თბილისის სალონებში ტრიანლებდა და ახლო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან, დ. სარაჯიშვილთან, გ. წერეთელთან, გ. გაბაშვილთან, ალ. ცაგარელთან.

1900 წელს პარიზში ცალკე წიგნად გამოცა ქართული ლეგენდა „შშვენიერება“, რომლის თარგმანი შეასრულა ველიჩკოს რუსული თარგმანიდან. ალექსანდრე ცაგარელის რჩევით ბარონ დე ბაის თავის მეცნიერულ შრომებში საყურადღებო ცნობები შეჰქონდა საქართველოს შესახებ.

26. ცგრ 1967 Studia biblica et ecclesiastica. Essays chiefly. In biblical and patristic criticism by members of the University of Oxford. Vol. V. par. 1.

Life of st. Nino. By Marjory Wardrop and I. O. Wardrop  
Oxford, 88 p.

„პროფესორ ცაგარელს ნიშნად ღრმა პატივისცემისა მთარგმნელისაგან“. ქერჩი 29,12. 19... (წელი არ ეტყობა, ავტორადი ქართულ ენაზეა).

(„ბიბლიური და სასულიერო ხასიათის შრომები. ნარკვევი ეხება ძირითადად ბიბლიური და პატრისტიკული საკითხების გამოკვლევას ოქსფორდის უნივერსიტეტის წევრების მიერ. ტ. 5. ნაწ. I. ოქსფორდი. წმინდა ნინოს ცხოვრება. თარგმანი მარჯორი უორდროპისა და ოლივერ უორდროპის მიერ. ოქსფორდი, 88 გვერდი“).

ამ წინასიტყვაობაში უორდროპი მიუთითებს, რომ ტექსტის თარგმანისათვის გამოიყენა საბინინის მიერ 1882 წელს გამოცემული ქართველ წმინდანთა ცხოვრების კრებული — „საქართველოს სამოთხე“. თარგმანი გამოქვეყნდა ოქსფორდში 1900 წელს.

1894 წელს მარჯორი სკოტ უორდროპი და ოლივერ უორდროპი ჩამოვიდნენ საქართველოში. იმოგზაურეს დასავლეთ საქართველოში და კარგად გაეცნენ ამ მხარეს. მოგზაურობის შთაბეჭდილებები მარჯორმა



გამოაქვეყნა ნარკვევში: „შენიშვნები 1894—1895 წწ. საქართველოში მოგზაურობის შესახებ“. და-ძმა უორდროპები ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, გიორგი წერეთლის ხშირი სტუმრები იყვნენ.

მარჯორი უორდროპი იძენდა ქართულ ხელნაწერებს, რითაც ოქსფორდში შეიქმნა მარჯორი უორდროპის ქართული წიგნისა და ქართული ხელნაწერის ფონდი.

მარჯორი უორდროპი დიდი სიმპათიით განიმსჭვალა რუსეთში მოღვაწე ქართველი პროფესორების — ალ. ხახანაშვილის და ალ. ცაგარელის მიმართ. მათმა შრომებმა ინგლისელი ქალი კიდევ უფრო დააინტერესა ჩვენი ქვეყნით.

ცგრ 1495 Orbeliani Soulchan Saba.

The Book of Wisdom and Lies. London, S. a. 255 p.

„To Professor Tsagareli with kind regards from Oliver Wardrop“.

(სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“ — თარგმანი ოლივერ უორდროპისა).

ცგრ 425 Contes mingréliens.

D'après le texte de M-er Tsagarelli.

Professeur á la faculté des Langues á Saint-Péterbourg, Par G. Mourier, officier d'Académie. Seconde édition. Illustrée par Mik. Odessa. Librairie Rousseau. 1883. 57 p. avec ill.

„A monsieur Tsagarelli Homage de traducteur“.

(მეგრული ზღაპრები. ს-პეტერბურგის ენების ფაკულტეტის პროფესორის ბ-ნ ცაგარელის ტექსტის მიხედვით, თარგმნილი აკადემიის ოფიცრის ე. მურიეს მიერ. მეორე გამოცემა, დასათარგმნელი მაკის მიერ. ოდესა. რუსეთის წიგნის გამ-ბა. 1883. 57 გვ. ილუსტ.

„ბ-ნ ცაგარელს პატივისცემით მთარგმნელისაგან“).

მურიე იყო რედაქტორ-გამომცემელი პირველი ფრანგული ჟურნალისა კავკასიაში. 1887—1889 წლებში გამოდიოდა „Revue commerciale et industrielle“. 1889 წლიდან, თვეში ორჯერ გამოდიოდა ჟურნალი „Caucase illustre“. იგი აქვეყნებდა საინტერესო ცნობებს კავკასიის ხელოვნებაზე. მანვე გამოსცა საინტერესო წიგნი სამეგრელოს შესახებ ფრანგულ ენაზე (1884 წ.). შესაძლებელია ალ. ცაგარელის „სამეგრელოს ეტიუდები“ ვახდა მურიესა და ცაგარელის ნაცნობობისა და დაახლოების საბაბი.

ცგრ 547 Rosen, Victor.

Les manuscrits Arabes et l'institut des langues Orientales.

D'écrits par le Baron Victor Rosen. S-Péterbourg. 1887, 272 p.  
[с карм.]



«Александрю Антоновичу от автора». (როზენი ვიქტორ. არაბული ხელნაწერები და აღმოსავლური ენების ინსტიტუტი. აღწერილი ბარონ ვიქტორ როზენის მიერ. ს.-პეტერბურგი, 1887, 272 გვ. რუკით).

ცგრ 637 Collections scientifiques de l'Institut des langues Orientales du Ministère des affaires étrangères. t. I—VIII. S-Péterbourg, 1886.

III. Rosen, Victor. — Les manuscrits Persans de l'Institut des langues Orientales avec trois planches. 1886, 369 p.

«Александрю Антоновичу Цагарели от автора. Барон Виктор Розен, 1886».

(საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული აღმოსავლური ენების ინსტიტუტის მეცნიერული კრებულები, ტ. I—8. 1886.

III. როზენი ვიქტორ, აღმოსავლური ენების ინსტიტუტის სპარსული ხელნაწერები სამი ჩართული ფურცლით, 1886, 369 გვ.

„ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელს ავტორისაგან ბარონ ვიქტორ როზენი. 1886“).

აკადემიკოსი ბარონი ვიქტორ რომანის ძე როზენი (1849—1908) გამოჩენილი რუსი მეცნიერი, არაბისტი. პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების მკვლევარი, ჟურნალ „Записки Восточного Отделения Русского археологического общества“-ს დამაარსებელი და რედაქტორი.

გ. როზენის სამეცნიერო კვლევის საგანს შეადგენდა არაბული კლასიკური პოეზია, არაბეთ-ბიზანტიის ურთიერთობა და არაბ მწერალთა ცნობები სამხრეთ ევროპის შესახებ. როზენი პეტერბურგში დაუახლოვდა ალ. ცაგარელს, სადაც ერთად უზნებოდით მოღვაწეობა მონათესავე დარგებში.

1902 წელს, როდესაც ცაგარელს სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა, ვ. როზენმა იუბილარს მიულოცა ეს დღე.

## ქართული მარგინალიები სალტიკოვ-შიგდრინის სახ. ბიბლიოთეკაში

ლენინგრადის სალტიკოვ-შიგდრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განყოფილებაა საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურის განყოფილება, რომლის ფონდში შედის ქართული ბეჭდვითი პროდუქციაც.

განყოფილებაში, სადაც დაცულია 86 ენაზე გამოცემული ლიტერატურა, განყოფილების საერთო ფონდებში ქართული ბეჭდვითი პროდუქცია დაახლოებით 9 პროცენტს შეადგენს.

რევოლუციამდელი ქართული ფონდების დაკომპლექტებას საინტერესო წარსული აქვს. ყოფილი საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა 1810 წლიდან სავალდებულო ეგზემპლარებს იღებდა და ამასთან, სისტემატურად აქტიურ მუშაობას ეწეოდა ლაკუნების შესავსებად. ამ უკანასკნელის ნიადაგზე ბიბლიოთეკა შესამჩნევად გამდიდრდა უნიკალური გამოცემებით და მათ შორის ქართული ფონდიც. ქართულ ბეჭდვით კოლექციას დღესაც ამშვენებს ძველი იშვიათი გამოცემები, რომელთა შორის საგანგებოდ არის დაცული პირველი ნაბეჭდი წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. ბევრ მათგანს საინტერესო წარსული აქვს. ეს მრავლისმეტყველი წარსული კი ხშირად გლინდება მათ მფლობელთა მიერ გაკეთებული მარგინალიებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ეგზემპლარები, რომლებიც ქართველი მეფეებისა და მათი შთამომავლების საოჯახო წიგნსაცავეებიდან მოხვდა ბიბლიოთეკაში. ზოგიერთი ეს ლაკონური მინაწერი თავისი შინაარსით თვით წიგნზე ბევრად საინტერესოა. ბიბლიოთეკაში დაცულია ისეთი წიგნი, რომელმაც აქ მოხვედრამდე ათეული მფლობელის ხელში გაიარა. საინტერესო ისტორია აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“



ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემულ ერთ ვგზემპლარს, რომელიც გამოცემლის ხელიდანაა გაჩუქებული და ბოლოს აქ პოვა საბოლოო ბინა. მას უპირავე მინაწერი და დამატება აქვს. წიგნსაცავში არის ისეთი ქართული წიგნებიც, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა სახის და სხვადასხვა პირის ავტოგრაფიულ მინაწერებს შეიცავენ. წლების მანძილზე ბევრი მათგანი გამოვავლინეთ, გულდასმით შევისწავლეთ.

წინამდებარე ნაკვეთში მკითხველებს ვთავაზობთ საქართველოს უკანასკნელი მეფისწულის ბაგრატ ბატონიშვილის (1776—1841) საოჯახო ბიბლიოთეკის წიგნების ფურცლებზე გაკეთებულ მარგინალიებს. მოგვყავს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით 1709—1826 წწ. გამოცემული ცამეტი წიგნი და მათ ფურცლებზე 1723—1836 წწ. დათარიღებული მინაწერები. ტექსტების მართლწერას და სასვენ ნიშნებს უცვლელად ვტოვებთ.

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო. თბილისი, 1709.

მინაწერი მუქი შავი მელნით ვახტანგ VI წინასიტყვაობის შემდეგ, ყვავილებიანი ვაზის ორნამენტის ქვეშ სუფთა არეზე:

„ქ. ესე საღმრთო წერილი წმიდა სამოციქულო მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეთაქამეტის მეფის გიორგის ძის ბაგრატის კნეენა ბარბარესი არის, ლმერთმა მოახმაროს მშვიდობასა კეთილ ცხოვრებას და შენდობასა შინა. ამინ“. იქვე, უფრო ქვემოთ, ორნამენტის გარე აშიაზე, მოყვითალო მელნით და სულ სხვა ხელით: „წელსა 1804. დეკნბარს 8. ვიყიდე ეს წმინდა სამოციქულო მოსკოვს მეფის ძემ ბაგრატ“. პირველი მინაწერი ყველაზე მოგვიანო უნდა იყოს და იგი ბაგრატის ასულს ბარბარეს უნდა ეკუთვნოდეს.

გარდა ამისა, ყდასა და თავფურცელს შორის ჩამატებულ 6 სუფთა ფურცლის მესამე ფურცელს მეორე მხრიდან დაბლა კიდეში გაკეთებული აქვს მოყვითალო მელნით სომხური წარწერა. იგი შეიძლება ქართულად ასე გაიშიფროს: „ივან აბრაამიჩინ ვუძღვნი ამ წიგნს გამოცემელს (თუ გამოცემლობაში მყოფს) გეურქ არაქელოვს. 1723 წელი, 29 იენისი, ქ. მოსკოვი“.

და ვ ი თ ნ ი. თბილისი, 1716.

მინაწერი მოყვითალო მელნით მეოთხე გვერდზე დავით წინასწარმეტყველის პორტრეტის ქვეშ, თავისუფალ აშიაზე:

„1813. წელს მოსკოვს. ეს წმინდა დავითნი მეფის ძის ბაგრატისა არის, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ამ წმინდის დავითნის მადლი. მაისის (თუ მარტის) გ.“ (3).

ზ ა ტ ი კ ი. მოსკოვი, 1738.

მინაწერი შავი მელნით ასომთავრული და ნუსხური დამწერლობით  
ბით თავფურცლის წინ დართულ სუფთა ფურცლის მალღითა პირზე  
(მოგვეყავს მხედრული ანბანით):

ჯ.ლო შეიწყალე ცდლი დედაცი ამ წირგნის ზატიკის მომსყიდველი  
ანა მარუშა შილის ღთისიას ქლი მარტყოფელი: ვითხოვ 2 თქნ მრსა  
წყალობასა წმინდნო მშნო დღდღნო და დიაკონნო. შენდობას ბრძა-  
ნებდეთ. თქვენი მღლის გლისათს:

ჯ. მიიღე შუაგით“.

ცოტა ქვემოთ: „მე ეს წიგნი მათის“... ეს უკანასკნელი დაუსრულე-  
ბელი წინადადება მხედრული ასოებით არის მიწერილი.

ქარაგმებითა და მრავალი ორთოგრაფიული შეცდომებით დაწერი-  
ლი ზემოთ მოყვანილი ტექსტი ასე უნდა იკითხებოდეს: „ჯ. ღმერთო,  
შეიწყალე ცოდვილი დედაკაცი ამ წიგნის ზატიკის მომსყიდველი ანა  
მარუშაშვილის ღთისიას ქალი მარტყოფელი. ვითხოვ 2 (თუ: ზიარე-  
ბას) თქვენგან მრავალსა წყალობასა წმინდანო მამანო მღვდელნო და  
დიაკვანნო. შენდობას ბრძანებდეთ თქვენი მღვდლის გულისათვის“.  
მინიატურების ავტორის ვინაობა უცნობია.

იქვე წიგნის პირველ გვერდზე ქვედა შილაზე მინაწერი მხედრული  
ასოებით: „მეფის ძის ბაგრატისა ვარ“. ეს უკანასკნელი მინაწერი და  
„მიიღე შუაგით“, „მე ეს წიგნი მათის“... ერთნაირი შავი მელნითა და  
ერთნაირი ხელით არის შესრულებული და ბაგრატის ნახელავი უნდა  
იყოს.

728-ე გვერდზე ქვედა აშილაზე გაკრული მხედრულით და მოყვი-  
თალო მელნით კვლავ ასეთი მინაწერია: „მოციქულთათვის რა იხილეს.  
გარდამოსვლა. ნუგეშინის მცემლისა აწ იკვირნეთ. ვა სხივი ცეცხლი-  
სა. ენათა. გამოჩნდა სულით წმინდა“.

ზატიკის ეს სრული ეგზემპლარი კიდევ იმით არის საყურადღებო,  
რომ მას ოთხ ადგილას (361—362, 629—630, 825—826 გვერდებს შუა  
და ბოლოში 876 გვ. შემდეგ) ჩამატებული აქვს 13 ფურცელი (23 გვ.)  
და მათზე მოთხრობილია იმავე შავი მელნით და მშვენიერი კალიგრა-  
ფიული ხუცური დამწერლობით ოთხი სვინაქსარი (წმინდანთა ცხოვრე-  
ბა). ეს ჩამატებული სვინაქსარები დაწერილია „1818 წლის 5 თებერ-  
ვლის“ თარიღით.



პარაკლიტიკოს. თბილისი, 1772.



დაწყებული პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე წიგნს გაკვეთილი აქვს უშინაარსო მინაწერები, ამ მარგინალებს უფრო ვარჯიშობითი ხასიათი აქვთ, ალბათ მოსწავლეების მიერ. ზოგ გვერდებზე ქართული ანბანის ნიმუშებია ჩამოწერილი, ზოგან ცალკეული ასოები და ა. შ. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ანტონის წინასიტყვაობის ბოლოში, ორნამენტის გარეთ, აშიაზე გაკეთებული ასეთი მინაწერი: „ქ. ავიღე. მე. ფრიდონმა. შენი ბერიკელა (თუ: პირველმა) შვილმა. გიორგიმ. ასი. თუმანი. თეთრი... თუმანი. თეთრი. ამისი. მოწამე. მჩითავი. ფეიქარი. მეარებარი (თუ: მღებარი). ხარაზი. შბ. მზე და მთვარე. რუს ხელმწიფედ“. ტექსტის ბ (2) გვერდზე ქვედა აშიაზე იმავე შავი მელნით, ხოლო სულ სხვა ხელით მინაწერი: „ქ. ესე: პარაკლიტონი: ფრიდონისა არის. ვინც მოიპაროს გაუწყრეს წმინდა გიორგი. ამინ“. ამავე ცალს დამატებითი რი (110) გვერდზე თავისუფალ არეზე, იმავე მელნით აქვს მინაწერი: „მეფის ძის ბაგრატისა ვარ“.

სახარება. თბილისი, 1791.

მინაწერი შავი მელნით დაბლა თავისუფალ აშეებზე (გვ. 2-4):

„ეს წმინდა სახარება ვიყიდე. მე მეფის გიორგის ძემა. ბაგრატ. მის უწმინდესობის არქი დიაკონის. ქრისტეფორე. ჩოლოყაშვილისაგან. ვინც წაიკითხოთ. ჩემ ცოდვილის (გვ. 2) თვის შენდობას ბრძანებდეთ. მოსკ(ო)ვს — 1812 წეს. მაისის. 12. (გვ. 3). წმინდაო სახარებაე. მფარველ ჰყავ. ცოდვილს. მეფის ძეს. ბაგრატს მეუღლით. ძით და ასულით. მოსკოვს 1812 წელს. მაისის 12“ (გვ. 4).

წიგნი კარგად არის შენახული, პირვანდელ ყდის ზედაპირზე გადაკრული აქვს აღმოსავლური სტილის ქრელი ხავერდი. ყუის მოწითალო ტყავზე ოქროსფერი რუსული ასოებით აღბეჭდილია მისი სახელწოდება — „цминда сахарена“. წიგნი შეკრულია ოქროსფერად შეღებილი ყდის საკინძებით — ფოლადის ბალთებით.

კურთხევანი. ქუთაისი, 1803.

მინაწერი შავი მელნით თავფურცლის მეორე გვერდზე, ბაგრატიონთა ღერბის ქვემოთ აშიაზე: „მეფის ძის ბაგრატისა არის“.



ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო. მოსკოვი, 1805.

მინაწერი შავი მელნით მე-5 გვ. დაბლა თავისუფალ აწივზე: „მეფის ძე ბაგრატ. 1813 წელს. მოსკოვს“.

ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო. მოსკოვი, 1805. ესაა მესამე დეფექტური ეგზემპლარი, აკლია თავფურცელი და ა-ტნდ (1—354) გვერდები, იწყება პირდაპირ ტნე (355) გვერდიდან.

მინაწერი მოშავო მელნით პირველ (ე. ი. 355) გვერდზე დაბლა თავისუფალ აწივზე: „მეფის ძე ბაგრატ. 1813 წელი მოსკოვს“.

ამ დეფექტიან ეგზემპლარს ბოლოში დართული აქვს 25 გვ. (16 გვ. აღუნუსხავი და 9 გვ. აღუნუსხული) ხელით დაწერილი ლოცვანი და გალობანი მხედრულად. დაწერილი უნდა იყოს ბაგრატის განკარგულებით, ანდა მისი შეკვეთით, რადგანაც ორ ადგილას იხსენიება ბაგრატი. შესაძლებელია თვით ბაგრატის მიერაც იყოს შესრულებული, ნაწერი წააგავს მის ხელს. მე-12 აღუნუსხავ გვერდზე ვკითხულობთ: „მჩხაპავს მეფის ძეს ბაგრატს. მეოხ. ექმენ. წინაშე ქენ ღისა წო მღვდელ-მოწამეო პალკრათი. 18  $\frac{7}{19}$  16 ს. პეტერბურხს“. ანალოგიური სიტყვებით მთავრდება მე-9 აღუნუსხული გვერდის უკანასკნელი მინაწერიც: „ცოდვილს, მეფის გიორგის ძეს ბაგრატს მეოხ ექმენ წო აღექსი, კაცო მღვთისაო. 18  $\frac{5}{9}$  31 ს.პ.ბ.“ (ს-პეტერბურგი). ნაწერი შავი მელნით.

გ ა მ ო კ რ ე ბ უ ლ ი ს ა დ ლ ე ს ა ს წ ა უ ლ ო. წესი, 1811.

ეს მეორე „ა“ ეგზემპლარი იმით განსხვავდება პირველისაგან, რომ 519 გვერდიან დაბეჭდილ წიგნს დამატების სახით დართული აქვს 201 გვ. მხედრული ხელნაწერი. ეს დამატებანი დაუწერია და დაურთავს მეფის ძე ბაგრატს (იხ. ამის შესახებ პირველ და მეორე აღუნუსხავ გვერდებზე და კიდევ 197-ე გვ.). გვერდები 1—2 და 1—197 დაწერილია, როგორც აღვნიშნეთ, მეფის ძე ბაგრატის მიერ გარკვეული მხედრული ხელით, ტექსტები შესრულებულია შავი მელნით, ხოლო თავები, აბზაცები და ზოგიერთი სიტყვების დასაწყისი ასოები დაწერილია წითელი მელნით. 198 და 199 აღუნუსხავი გვერდები სუფთაა. მე-200 და 201-ე აღუნუსხავ გვერდებზე თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ გაკეთებულ მარგინალიებს უკავიათ ადგილი. მოგვყავს ეს მინაწერები როგორც ბაგრატის, ასევე თეიმურაზისა: „ესენი, რომელიც აღვჰსწე-



რე — ამა დაბეჭდილს თორმეტ საუფლოში არ დაებეჭდა ყოველად  
 სამღვდელს — იმერეთის არხი-ეპის-კოპოზს — ნიკოლოზ წმინდელს  
 სოფრონს წულუკიძეს. და რადგან — მოგზაურთათვის საჭირო იყო —  
 მე — ესე მხედრულად ჩაეპსწერე აქა — და ამასთან — რიცხვნი წლისა-  
 ნი (1834—1863 წწ. იხ. გვ. 180—196), რომელს დღეს — რა დღესას-  
 წაული მოვა — ან როდეს დამარხვდება — ანუ გახსნილდება. ესენი  
 უნაკლოდ აღვსწერე: რომელიც იხი(ლების)... (გვ. 1) ბაგრატი. 1833.  
 მაისის. 24“ (გვ. 2). შემდეგ მიდის (1—196 გვ.) ტექსტი. 197-ე გვერდ-  
 ზე ვკითხულობთ: „მე საქართველოს მეფის გიორგის. ძემან ბაგრატი-  
 მან და რუსეთის — სენატორმა, და მისის დიდებულების — გელმწი-  
 ფის — კარის კამარლერმან, და კავალერმან: აღვსწერე — ესე რაოდენ-  
 ნიმე დღესასწაულთა. საგალობელი — და სახარებანი სამოციქულოთ —  
 ვინათგან — ამ — პატარა სამგზავროს თქმნს აკლდა, რომელიცა —  
 დაებეჭდა. მაღლ ყდ სამღვდელს — ნიკოლოზ წმინდელს სოფრონს —  
 წულუკიძეს — იმერეთსა ში — და — ესე ნაკლი მე შევასრულე: —  
 გთხოვთ მკითხუშლთა — რომელ ჩემ ცოდვილისათვის შენდობასა  
 ბრძანებდეთ: — მეფის ძე ბაგრატი: წელსა: 1833 ს თუშსა: ივნისსა:  
 3:ს პეტერბურგს“ (გვ. 197).

თეიმურაზის საკუთარი ხელით მინაწერი მოყვითალო მელნით:  
 „წნ ამისი მაღლი შეაწიოს და ყდ წნის ღისშობლს. მეფის ძეს ბაგ-  
 რატს და იმის შვილებსა. და მეც ცოდვილსა ამას: — ამის მაღლსაც აქ  
 წმინდანი სწერან ყოოლლავე შემწე გვეყოს“; (გვ. 200). აქ თეიმურაზის  
 ხელწერა არა აქვს, მაგრამ ხელი მისია და მელანიც იგივეა, რაც 201-ე  
 აღუნუსხავ გვერდზე შესრულებული შემდეგი მინაწერი: „წელს 1836-ს  
 მაისის 26. წაველ ს. პეტერბურგიდამ აღერმანიაში ბოღების მინერალნი  
 წყლებზე კარლსბადს და ბარანბადს იქიდამ რეინის პირებზე და მრავალ  
 ქალაქები და სოფლები და ადგილები მოვლლე. მრავალი უცხო  
 სანახავეები ვნახე და მრავალნი დიდებულნი გვამნი, რომელთაც შევე-  
 მეცნე და პატივითა ფრიადითა მიმიღეს. და იქიდამ. მობრუნებულნი.  
 მოველ ს. პეტერბურგს. ნოემბრის გასულს. ეს საღმრ(თო) წიგნი თანა  
 მქონდა და ისევე მაღლობით მოვართვი. ჩემს ძმას მეფის ძეს ბაგ-  
 რატს: სდ საქართველოს მეფის ძე თეიმურაზ“ (გვ. 201).

წიგნის ყუაზე ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია რუსულად  
 მისი სახელწოდება — „Месяцословъ“.

ახალი აღთქმა. ს. პეტერბურგი, 1818.

მინაწერი მოყვითალო მელნით თავფურცლის ზედა სუფთა ფურცლის მარჯვენა პირზე: „1818: მეფის ძის ბაგრატიისა არის ეს წმინდა ნახარება და სამოციქულო. ბაგრატი“. წიგნს ბევრი დამატებები აქვს ხელით დაწერილი და ბლოში დართული: ლოცვები, გალობანი, სახარების სარჩევი და სხვა. სულ 34 ფურცელია და იგი ბაგრატიის ხელს უნდა ეკუთვნოდეს. დაწერილია გარკვეული მხედრული ხელით. მე-4 აღუნუსხავ გვერდზე ხელწერა: 18  $\frac{9}{15}$  22 ს. პ. ბ. [ს. პეტერბურგი] მენდობის მოქენე მ. ძ. ბ.“ [მეფის ძე ბაგრატი].

ეს ეგზემპლარი კიდევ იმით არის საინტერესო, რომ იგი ილუსტრირებულია ხელით შესრულებული ნახატებით: ა. თავფურცელსა და პირველ გვერდს შორის მოთავსებულია მომრგვალო ჩარჩოში ჩასმული და მოლურჯო ფურცელზე დაწებებული „წა მათე“-ს [წმინდა მათეს] სურათი, ბ. 74 და 75 გვერდებს შორის მოთავსებულია მოწითალო ფურცელზე იმავე სახით გაფორმებული „წა მარკოზ“-ის სურათი. დ. 120-ე და 121-ე გვ. გვ. შორის — მომწვანო ფურცელზე „წა ლუკა“-ს სურათი. ე. მე-200 და 201-ე გვ. გვ. შორის — მოწითალო ფურცელზე „წა იოანე“-ს სურათი.

ფურცლებს ოთხკუთხევი გარშემო შემოვლებული აქვს ორმაგი მწვანე ორნამენტები — აშიები და ამ აშიებს შორის ჩართული აქვთ სხვადასხვა შინაარსის სასულიერო წარწერები, რომლებიც მიძღვნილია დასახელებული წმინდანებისადმი. ეს ჩამატებული ილუსტრაციები შესრულებული უნდა იყოს 1818 წელს, როდესაც წიგნი დაიბეჭდა და ყდა გადაეკრა. ჩვენი დასკვნით აღნიშნული ნახატები შესრულებული უნდა იყოს თვითონ ბაგრატი ბაგრატიონის მიერ, ისევე, როგორც მან დახატა ს.-ს. ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტი და მის „სიბრძნე სიცრუისას“ ხელნაწერ წიგნს დაურთო.

ქ ა მ ნ ი. მოსკოვი, 1822.

მინაწერი შავი მელნით თავფურცლის ზედა სუფთა ფურცლის ქვედა (მარჯვენა) პირზე: „უგანათლებლესსა საქართველოს მეფის ძეს ბაგრატს. — თ. გიორგი ავალოვის მიერ“. იქვე ცოტა ქვემოთ და უფრო გაკრული ხელით და მოყვითალო მელნით: „წელსა 1823: თჳსა იანვარსა

კდ (24) მივიღე“. სიტყვა „მივიღე“ და ბაგრატიის ხელმოწერა ხანდახან მულობის გამო გახუნებულია და ძნელად იკითხება. საერთოდ კი ეს უკანასკნელი მინაწერი ბაგრატიის ავტოგრაფიაა.



კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი. მოსკოვი, 1825.

მინაწერი მოშავო მელნით ყდასა და თავფურცელს შორის მოთავსებული ფურცლის შიგნითა სუფთა პირზე: „1825-ს დეკემბრის 9-სა მივიღე ეს კურთხევანი ჩემ ძმის მეფის ძის ირაკლისაგან, რომელიცა წარმოგზავნა ჩემთვის მოსკოვით ს.-პეტერბურხსა შა-მეფის ძე ბაგრატი. ვინც მოიპაროს გაუწყრეს ამის მადლი. ბაგრატი“.

ბიბლიოთეკის ქართულ ფონდში კურთხევანის ეს გამოცემა სამ ცალად არის დაცული. მათ შორის პირველი ორი ეგზემპლარი სავალდებულო ცალეზია, ხოლო მესამე „Б“ ეგზემპლარი კი ბაგრატიის ყოფილი საოჯახო ბიბლიოთეკიდანაა. მეორე ცალი დეფექტიანია, აქლია უკანასკნელი ოთხი (597—600) გვერდი — წიგნის საძიებელი. პირველი ორი ცალი მთლიანად ცისფერ ქაღალდზეა დაბეჭდილი, ხოლო ბაგრატიის კუთვნილება მესამე ეგზემპლარი კი — საგანგებოდ შერჩეულ მკვრივ თეთრ ქაღალდზე. მათი ჭვირნიშნებიც სრულიად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. მაგალითად, პირველ ორ ცალს ყოველ 18 მილიმეტრზე ერთიმეორედან დაშორებით ჭვირნიშნებად თეთრი ზოლები ჩამოსდევს პარალელურად. ბაგრატიისეულ ცალზე კი ჭვირნიშნებად ფაბრიკის მფლობელთა ღერბი — ინიციალები (УФКПК) და ქაღალდის დამზადების (1821, 1822, 1823) წლების თარიღები ამოიკითხება: Углическая фабрика Купцова, Попова и Кузнецова. ინიციალები УФКПК ქართულადაც ასევე გაიშიფრება: უგლიჩის (იაროსლავლის ოლქი) ფაბრიკა კუპცოვის, პოპოვისა და კუზნეცოვის.

კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი. მოსკოვი, 1826.

სალტიკოვ-შიჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ქართული წიგნების ფონდში ამ გამოცემის სამი ცალი ინახებოდა და ეს მესამე დაუმუშავებელი ეგზემპლარი, რომელსაც ქვემოთ მოყვანილი მინაწერები ჰქონდა, 1952 წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ბიბლიოთეკას გადაეცა სხვა ძველ რელიგიურ წიგნებთან ერთად.

ამ მესამე ეგზემპლარს ყდასა და თავფურცელს შორის მოთავსე-



ბულ სუფთა ფურცელზე ასეთი მინაწერი ჰქონდა წითელი, მიწვენილი  
 გერმანულად: „სახსოვრად თქვენი მეგობრისაგან გოტფრიდ ფონსა  
 (თუ: გრუმელის). 9 мая 1829 года“. იქვე ცოტა ქვემოთ შავი მელნით  
 რუსულად: «Сей Требник принадлежит Грузинскому царевичу,  
 сенатору Баграту Георгиевичу, 1835-го года месяца июля 25-го  
 числа».

იქვე თავფურცლის პირველი გვერდის ქვედა სუფთა აშიაზე  
 შავი მელნით და მშვენიერი მხედრული ხელით კვლავ ასეთი  
 მინაწერი: „წა ესე კურთხევანი საქართუშლოს В. ВГ. მეფის ძის ბაგ-  
 რატისა არის: წელსა 1835-ს თთუშსა ივნისსა 25-სა. სანკტ-პეტერ-  
 ბურღსა შინა“. ეს ორი უკანასკნელი რუსულ-ქართული მინაწერი ბაგ-  
 რატს უნდა ეკუთვნოდეს და ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს შეს-  
 რულებული, ე. ი. 1835 წ. 25 ივნისს ან 25 ივლისს.



# ქრონიკა





## მინიატურული წიგნების ზარბოზი სარბიელი

სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში 1977 წლის აგვისტოსა და სექტემბრის მშვენიერი დღეები, როდესაც „აფხაზწიგნის“ სოხუმის ხელმძღვრთა მალაზია „საუნჯეში“ მრავალრიცხოვან მომსვლელებს ბოლო არ უჩანდა. მალაზიის ფართო სავაჭრო დარბაზში გამოფენილი იყო მინიატურული წიგნები. სწორედ ამან მიიპყრო ყურადღება აფხაზი წიგნისმოყვარულების, დამსვენებლებისა და ტურისტების, რომელნიც აქ ჩამოვიდნენ დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან.

გამოფენის ექსპონატების მფლობელნი იყვნენ საქართველოს წიგნისმოყვარულთა საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის მინიატურული წიგნების მოყვარულთა სოხუმის საქალაქო კლუბის წევრები.

შთაბეჭდილებათა წიგნში გამოფენის შესახებ იმ დღეებში მრავალი ალტაცების ჩანაწერები გაჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შ. დ. ინალ-იფა წერდა: „ამ პატარა წიგნებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ესაა ლამაზი, სასიამოვნო, კულტურული. ზოგიერთი გიგანტი წიგნები არ აღიბეჭდება მეხსიერებაში ისე, როგორც ეს მინიატურული გამოცემები“.

არქიტექტორისა და მხატვრის ვ. კვიციანი ასეთია: „ამ გამოფენამ მრავალ ადამიანს პირველად აუხილა თვალი ხელოვნების განსაკუთრებულ სამყაროზე, რომელშიც შერწყმულია ფერწერა, გრაფიკა, ლიტერატურა და პოლიგრაფია. პატარა წიგნები თითქოს ყველას მოუწოდებენ ლიტერატურის სიყვარულს, წიგნის გაფრთხილებას და იმათი შრომის დაფასებას, ვინც მათ შექმნაში მონაწილეობს. დაე, მეტი იყოს ასეთი წიგნები!“ აი, სხვა ჩანაწერი: „მშვენიერია! ლამაზია! მადლობა ასეთი უნიკალური კოლექციის შემგროვებლებს ასეთი საუკეთესო გამოფენისათვის. იგი შესაძლებლობას გვაძლევს დავტკბეთ



იუველირის შრომით, ასოთამწყობთა, მბეჭდავთა, მკინძავთა მალაქი /  
ოსტატობით, — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თინათინა  
შრომლები“.

თავის შთაბეჭდილებას გვიზიარებს წიგნის მოყვარული სოხუმის  
ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტიდან ა. ზავგოროდნევი: „გამოფენამ გვი-  
ჩვენა, რომ წიგნი არა მარტო ცოდნის წყაროა, არამედ მას შეუძლია  
გაგიღვიძოს მშვენიერების გრძობაც. აქ წარმოდგენილი მრავალი  
ექსპონატი ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია“. მოგზაურობათა და  
ექსკურსიების სოხუმის ბიუროს თანამშრომლები წერენ: „გვაქვს პრაქ-  
ტიკული წინადადება — გამოიცეს მინიატურული მხარეთმცოდნეობი-  
თი ცნობარები და გზამკვლევები ჩვენს სახელგანთქმული საკურორტო-  
ტურისტული მხარის მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის“.

ამ გამოფენაზე, რომელიც მიძღვნილი იყო დიდი ოქტომბრის 60  
წლისთავისადმი, ექსპონირებული იყო 206 მინი-წიგნი, გამოცემული  
12 რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, და 9 ავტონომიურ  
რესპუბლიკაში. აქვე წარმოდგენილი იყო აფხაზეთიც.

ეს იყო მინიატურული წიგნების მეორე გამოფენა აფხაზეთში. პირ-  
ველი კი მოეწყო 1974 წელს და მიძღვნილი იყო რევოლუციის ბელა-  
დის ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მისი გარდაცვალების 50 წლისთავზე.  
რესპუბლიკური ბიბლიოთეკის საგამოფენო სტენდებზე განლაგებული  
იყო 140 სამამულო და 20 საზღვარგარეთული მინიატურული გამოცემა.


ამ ორ რესპუბლიკურ გამოფენას წინ უსწრებდა სოხუმის საქალაქო  
გამოფენა, რომელიც 1973 წელს მოეწყო ვ. ი. ლენინის სახ. სტამბაში,  
სადაც წარმოდგენილი იყო 45 მინი-წიგნი.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, გამოფენიდან გამოფენამდე სულ  
უფრო იზრდება ექსპონატთა რაოდენობა — 45-დან 206 ეგზემპლარამ-  
დე, სრულყოფილი ხდება მათი ჩვენების ფორმები, ფართოვდება წიგ-  
ნების თემატიკა და გამოცემის გეოგრაფია.

დიდი წარმატება ჰქონდა აგრეთვე მინიატურული წიგნების სოხუ-  
მის საქალაქო კლუბის წევრთა კოლექციების მოძრავ გამოფენას, რო-  
მელიც მოეწყო თბილისში 1978 წელს საქართველოს წიგნის მოყვარულ-  
თა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის IV პლენუმის მონაწი-  
ლეებისათვის.

რამ მიიქცია ამ გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღება?

დიდი ინტერესით ეცნობოდნენ წიგნისმოყვარულები ლენინიანას,  
რომელიც 50 დასახელებას ითვლიდა. იგი შედგებოდა წიგნის გამო-



მინიატურული ლენინიანა

ცემის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებისაგან, აქ ნახავდით „სოციალიზმისა და კომუნისტის მშენებლობის საკითხების“ სამტომეულს, „იდეოლოგიის საკითხების“ ორტომეულს, ილიჩის რჩეულ თხზულებათა ათტომეულს (უკრაინაში გამოცემული), ბელადის თხზულებათა ზუთტომეულს (ყაზახეთში გამოცემული), წიგნებს „ვ. ი. ლენინის წერილები ნათესავეებისადმი“, სასუვენირო ალბომს „ლენინი გორკაში“, რომელიც ცნობილი ოსტატის პალეხის ნახელავ ხის გალაქულ ყდაშია ჩასმული. ლენინიანაში შევიდა აგრეთვე ბელადის ნაშრომები და წიგნები მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, გამოცემული ჩვენი ქვეყნის ხალხთა სხვადასხვა ენაზე და გერმანულ, ჩეხურ, რუმინულ და სხვა ენებზე.

გარდა ამისა, სტენდებზე ექსპონირებული იყო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“, რომელიც გამოცემულია რამდენიმე ენაზე.

გამოფენილი იყო ყველაზე პატარა საბჭოთა წიგნი „ვ. ი. ლენინი“, გამოცემული მოსკოვში ილიჩის დაბადების 100 წლისთავისათვის,

დებულ სამეცნიერო შრომების გამოცემის საქმეს. ბეჭდავს წიგნებს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ფილოსოფიის, ისტორიის, ენათმეცნიერების, კიბერნეტიკის, ატომური ენერჯის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ბეჭდავს მონოგრაფიებს, კოლექტიურ შრომებს, თემატურ კრებულებსა და სახელმძღვანელოებს.

1966 წლიდან საქართველოში მუშაობა დაიწყო მეცნიერული ცოდნის კიდევ ერთმა დიდმა პრობაგანდისტმა — „ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი სასიქადულო პოეტი და საზოგადო მოღვაწე ირაკლი აბაშიძე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძალზე დაწინაურდა წიგნის ბეჭდვის საქმე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. გამომცემლობები „ალაშარა“, „საბჭოთა აჭარა“ და „ირისთონი“ ქართველ, აფხაზ და ოს მკითხველს სათავეზობენ პოპულარულ პოლიტიკურ და საწარმოო ხასიათის ლიტერატურას, ორიგინალურ და თარგმნილ მხატვრულ ნაწარმოებებს, ბეჭდავენ მეცნიერულ მონოგრაფიებს სხვადასხვა საკითხებზე, ამარაგებენ ბავშვებს სასკოლო სახელმძღვანელოებითა და ქრესტომათიებით.

ამრიგად, თერთმეტი გამომცემლობა ყოველწლიურად გეგმავს გამოსაცემად ორი ათასამდე (შეკვეთილ ლიტერატურასთან ერთად) დასახელების წიგნისა და ბროშურის გამოცემას, რომლის საერთო ტირაჟი თხუთმეტ მილიონ ეგზემპლარამდე აღწევს.

საქართველოს გამომცემლობები წარმატებით მონაწილეობენ საბჭოთა კავშირსა და ევროპაში მოწყობილ წიგნის გამოფენა-ბაზრობებსა და კონკურსებში. 1967 წელს ლაიფციგში ქართული ხალხური ეპოსის — „არსენას ლექსის“ ა. ბანძელაძის მიერ შესრულებულმა გაფორმებამ და ილუსტრაციებმა წლის საუკეთესო წიგნის სახელი მოიპოვა, სხვადასხვა დროს საკავშირო კონკურსზე ოქროს მედლები მიიღეს „ვეფხისტყაოსანმა“ („განათლება“, მინიატურული გამოცემა) და „ქართულმა ხელნაწერებმა“ („ხელოვნება“).

ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს ახალი, მიმზიდველი, ეკონომიური შრიფტების შესაქმნელად. ამ მიზნით მუშაობს სპეციალური ლაბორატორია. უკანასკნელ წლებში შეიქმნა რამდენიმე ახალი შრიფტი: „ნაკადული“, „ლიტერატურული“, „ენციკლოპედიური“. ეს უკანასკნელი



რომლის ზომა 16×16 მმ. მასში მოთავსებულია ნაწყვეტი ვ. ვ. შიბა-კოვსკის პოემიდან „ვ. ი. ლენინი“ და ბელადის რამდენიმე პორტრეტი.

განსაკუთრებით ძვირფასი იყო გამოფენის ექსპონატები, რომელნიც გაერთიანებული იყო თემაში „სამაპულო მინიატურული გამოცემები“. აქ იყო ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (სანკტ-პეტერბურგი, 1839 წ.), ა. კოლცოვის „ლექსები“ (კიევი, 1892 წ.), ი. კრილოვის „იგავ-არაკების სრული კრებული“ (კიევი, 1894 წ.), რუსული კლასიკისა და საბჭოთა ლიტერატურის მრავალი ნაწარმოები, გამოცემული საბჭოთა წლებში.

გამოფენაზე ფართო ადგილი ეჭირა სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკებში გამოცემულ მინიატურულ წიგნებს. მათ შორის — საქართველოს პოლიგრაფისტთა საუკეთესო ქმნილებას: შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ (დიდი პოეტის 800 წლისთავზე გამოცემული), ქართული ლიტერატურის განთქმული კლასიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებულს, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ლექსს „ჩვენი პარტია“ სსრ კავშირის ხალხთა 43 ენაზე (გამოცემული სოხუმში გამომცემლობა „ალაშარას“ მიერ). მათ გვერდით იყო საყოველთაოდ ცნობილი ტარას შევჩენკოს „ანდერძი“ მსოფლიოს 44 ენაზე, ოვანეს თუმანიანისა და ავეტიკ ისააკიანის ლექსები, კარელია-ფინური სახალხო ეპოსი „კალევალა“ კარელიის არყის ხის კოპწია ფუტლარში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე სოხუმელი მინიატურების კოლექციონერთა სხვა გამოცემებიც, მაგრამ ჩამოთვლილიც კი წარმოდგენას იძლევა მათი უნიკალური კოლექციების სიმდიდრესა და სხვადასხვა თემატიკაზე, რომელთა მიმართ გულგრილი ვერ იქნება ვერც ერთი წიგნისმოყვარული და ბიბლიოფილი.

ყოველი გამოფენისათვის კლუბი დიდხანს და გულმოდგინედ ემზადება. იბეჭდება სპეციალური აფიშები, საწარმოებსა და დაწესებულებებში იგზავნება მოსაწვევი ბარათები, გამოფენის მუშაობის დღეებს აცხადებს რადიო, საოლქო გაზეთები, იბეჭდება შესაბამისი ექსპონატების მინიატურული კატალოგი. ინდივიდუალურ დამთავლიერებელთა გარდა გამოფენებს ეცნობიან სპეციალურად მოწვეული წიგნისმოყვარულთა ჯგუფები — მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, აფხაზეთის სანატორიუმებისა და ტურისტული ბაზების დამსვენებლები.

კლუბის წევრებს ასეთი გამოფენების მოწყობაში დიდ პრაქტიკულ



დახმარებას უწევს აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრო და პუბლიკური ბიბლიოთეკა. გამოფენის მომზადებაში საქმიან ლეობას ღებულობს საქართველოს წიგნისმოყვარულთა საზოგადოების აფხაზეთის რესპუბლიკური და სოხუმის საქალაქო ორგანიზაციითა გამგეობები.

ვინ არიან მინიატურული წიგნის მოყვარულთა სოხუმის საქალაქო კლუბის წევრები?



კლუბის საბჭოს სხდომა

უკვე შვიდი წელია, მას დაარსების პირველივე დღიდანვე უნარიანად ხელმძღვანელობს თადარიგის პოლკოვნიკი, გამოცდილი ბიბლიოფილი, მინი-წიგნის კოლექციონერობის დიდი ენთუზიასტი ნიკოლოზ თედორეს ძე კობილინი.

კლუბის წევრები არიან სოხუმელები: ადვოკატები პ. ტონიანი და ზ. კუდრიავეცევა, ჟურნალისტი ს. აპტი, პენსიონერი-ინჟინერი მ. ალექსანიანი, წიგნით ვაჭრობის მუშაკი ი. შმიდტი, მშენებელი ინჟინერი ვ. კალაგინი.



კლუბის მიზანმიმართული მუშაობის წყალობით მისი წევრები აქტიურად მონაწილეობენ წიგნის გაცეცლაში, ამყარებენ კავშირს მხარეთა ტურულ გამოცემათა კოლექციონერებთან — საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მცხოვრებლებთან, რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე და იხილავენ ახალ წიგნებს, წიგნის გამოფენის მოწყობის საკითხებს, საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში ატარებენ ლექციებს.

კლუბის თავმჯდომარე ნ. კობილინი წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და პოპულარული ლექტორია. იგი ხშირად ატარებს ლექციებს როგორც სოხუმში, ისე აფხაზეთის რაიონებში. ცოცხლად, გასაგებად, ნათლად უყვება მსმენელებს მსოფლიოში პირველი მინიატურული წიგნის გამოცემის ისტორიას, მინიწიგნის დღევანდლობაზე და მის მომავალზე. თავის ლექციაზე ნ. კობილინი ახდენს იშვიათი მინი-წიგნების დემონსტრირებას. ფართო და მრავალმხრივია ამ ლექციების აუდიტორია. მას დიდი ინტერესით უსმენენ მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და ჟურნალისტები, ექიმები და მასწავლებლები, სტუდენტები და მოსწავლეები, ჩვენი სანატორიუმების დამსვენებლები და ტურისტები. პოლიგრაფისტთა ჯადოსნურ ოსტატობაზე, მაღალ პროფესიონალიზმზე და მათ უნიკალურ ქმნილებაზე, პაწაწინა წიგნებზე თხრობა მსმენელებში იწვევს სურვილს — გახდნენ მინიატურულ გამოცემათა კოლექციონერები.

ჩვენთან, გამგეობაში ხშირად რეკავენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციებიდან, გვთხოვენ მათს შრომით კოლექტივებში ჩავატაროთ ლექცია მინიატურულ წიგნებზე. ჩვენ ყოველთვის ხალისით ვეხმარებით ამ თხოვნას. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ლექცია ნამდვილად დააინტერესებს ყველას, გააფართოებს მათ ცოდნას წიგნის სამყაროზე.

საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის წარდგენით ნ. კობილინი 1978 წელს დაჯილდოებულ იქნა წიგნის მოყვარულთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის სამკერდე ნიშნით „წიგნის მოყვარულთა აქტივისტი“, წიგნის პროპაგანდისა და მინიატურულ გამოცემათა პოპულარიზაციისა და პროპაგანდისათვის მოსახლეობაში, ზოლო კლუბის წევრები მ. ალექსანიანი და ი. შმიდტი — ცენტრალური გამგეობის საპატიო სიგელით. მთლიანად კლუბი კი მინიატურულ გამოცემათა აქტიური პო-



პულარიზაციისათვის, წიგნის პროპაგანდისა და გავრცელებისათვის დაჯილდოებულია ცენტრალური გამგეობის დიპლომით.

მინიატურული წიგნის მოყვარულთა სოხუმის საქალაქო კლუბში მთლიანად ემსახურება წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მთავარ მიზანს — მშრომელებში პროპაგანდა გაუწიოს წიგნს, კომუნისტური შეგნების ფორმირების ერთ-ერთ საშუალებას, ხელი შეუწყოს პოლიტიკური, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გავრცელებას.

სწორედ ამიტომ, 1978 წლის მაისში, მოსკოვში, წიგნის მოყვარულთა სრულიად საქავშირო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ მინიატურული წიგნის მოყვარულთა საქავშირო სამეცნიერო-მეთოდური სექციის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა ნ. კობილინის საანგარიშო მოხსენება. მოხსენებამ დიდი ინტერესი და ცოცხალი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია, რომ რეკომენდებულ იქნას მინიატურული წიგნის მოყვარულთა სოხუმის კლუბის მრავალმხრივი გამოცდილება შეისწავლონ და გადაიღონ ჩვენს ქვეყანაში არსებულმა ყველა ანალოგიურმა კლუბებმა.

ყოველთვის, როდესაც სოხუმელი მინიატურისტების წიგნების ვერნისაჟში მოეხვედები და ვხედავ მინი-სტელაჟებზე კოხტად, გრძელრიგად ჩამწკრივებულ ნამცეცა ტომებს, ვხედავ ასობით ადამიანს, რომელნიც დიდხანს დაძაბული ყურადღებით სწავლობენ თვითვე ექსპონატს, ვრწმუნდები, რომ ამ პატარა წიგნებსაც შეუძლია აგაღელვოს, გამოიწვიოს სიხარულის ემოციები ადამიანში, მოუწოდოს დიადი საქმეებისაკენ, რადგან ესაა შეხვედრა ჭეშმარიტ ხელოვნებასთან.

სოხუმი



როცა ანთია ჩირაღდანო

დაბა მაიაკოვსკის ცენტრში დგას ჩვეულებრივი შენობა, რომელიც თითქმის არაფრით გამოირჩევა სხვებისაგან, მაგრამ იგი მთელი რაიონის წიგნისმოყვარულების საყვარელი ადგილია. შორიდანვე იპყრობს ყურადღებას მის პირველ სართულზე მოთავსებული წიგნის მალაზია. ლამაზად გაფორმებული ვიტრინები, რეკლამები და პლაკატები მალაზიაში უხმოზენ წიგნისმოყვარულებს.

აქ ყველას თბილი ღიმილით ეგებება საბავშვო ლიტერატურის სექციის გამგე-გამყიდველი ოლია გრძელიშვილი. იგი ოც წელზე მეტია აქ მუშაობს. წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების დიდი ენთუზიასტი, გულისხმიერი, გულთბილი, საქმის შესანიშნავი მცოდნე, ენერგიული და დაუღალავი ადამიანი — ასე იცნობენ ოლია გრძელიშვილს მაიაკოვსკში.

წიგნისმოყვარულთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია რაიონში პირველად ამ მალაზიასთან შეიქმნა და მას ოლია გრძელიშვილი ჩაუდგა სათავეში. მალე ნორჩ წიგნისმოყვარულთა სექციაც ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის წევრთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. მათ კი წიგნისადმი დამოკიდებულების სხვადასხვა მიზანი და მისწრაფებანი გამოავლინეს... საჭირო გახდა წიგნისმოყვარულთა კლუბის შექმნა. ეს საქმეც ოლიამ ითავა. აირჩიეს კლუბის საბჭო, შექმნეს პოლიტიკური, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის სექციები. კლუბმა სახელწოდებად აირჩია „ჩირაღდანი“ — ცოდნის მიღებისა და წიგნისადმი დიდი სიყვარულის სიმბოლო, ხოლო კლუბის დევიზი გახდა „ინტერნაციონალური მეგობრობა“.

კლუბის წევრებმა მეკობრული ურთიერთობა დაამყარეს მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოროდის, დონეცკის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ქალაქებში წიგნისმოყვარულებთან. მისი მიზანია წიგნების





გაცვლა, რუსულ ენაზე თარგმნილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პოპულარიზაცია.

პოლიტიკური ლიტერატურის სექცია პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვას აწყობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

მხატვრული ლიტერატურის სექცია ახლად გამოცემულ წიგნებთან ერთად, ხელს უწყობს ბუკინისტური და ნახმარი წიგნებით ვაჭრობას, გაცვლას, რაშიც დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივი პრესა. მალაზიის ვიტრინაში მოთავსებულია დაფა, რომელზეც ხშირად ნახავთ წიგნისმოყვარულთა განცხადებებს ამა თუ იმ წიგნის გაცვლის შესახებ.

კლუბს შემოღებული აქვს სარეკლამო-საგამოფენო ვიტრინები, რომლებშიც ათავსებენ განსაკუთრებული წიგნების ეგზემპლარებს. ეს გამოფენები „მოგზაურობენ“ საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და ფერმებში... წიგნისმოყვარულები კი მალაზიისაკენ მიეშურებიან, რათა შეიძინონ სასურველი წიგნები.

საბავშვო ლიტერატურის სექცია, რომელშიც ნორჩი წიგნისმოყვარულები არიან გაერთიანებულნი, დიდ დახმარებას უწევს რაიონის სკოლებს. სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის აგროვებს სხვადასხვა სახის ლიტერატურას, ეხმარება მოსწავლეებს ლიტერატურის, ისტორიის და სხვა სახის სასკოლო წრეების ჩამოყალიბებასა და მუშაობის წარმართვაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების გამოყენებას, მოსწავლეთა კითხვის კულტურის ამაღლებას. ეწყობა საბავშვო და საპროგრამო მასალასთან დაკავშირებული ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველად სასკოლო ორგანიზაციებსა და ნორჩ წიგნისმოყვარულთა სექციებში.

კლუბს მკვიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული ცეკავშირის წიგნის ვაჭრობის სამმართველოსთან და მისგან ყოველთვის ღებულობს საჭირო დახმარებას. მის პროგრამაში შედის მოსწავლეთა დახმარებით ბიბლიოთეკების შექმნა კლასგარეშე კითხვისათვის რუსულ და ქართულ ენებზე, ამჟამად ასეთი ბიბლიოთეკები შექმნილია რაიონის 9 სკოლაში. კლუბის საბჭოს გადაწყვეტილებით 1980 წლის ბოლომდე ასეთი ბიბლიოთეკები შეიქმნება რაიონის ყველა სკოლაში.

კლუბი ხშირად აწყობს წიგნების გარჩევას, მკითხველების შეხვედრას მწერლებთან, ლიტერატურულ და პოეზიის საღამოებს, დისპუ-

ტებს, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან, კინოფილმებისა და სპექტაკლების კოლექტიურად ნახვა-განხილვას და სხვ.



„ჩირალდანმა“ დიდი მუშაობა გასწია სასოფლო-სამეურნეო რაიონების პრობანდის საკავშირო დათვალიერების პერიოდში. ჩატარდა ლექცია-მობსენებები, მოეწყო მოძრავი გამოფენები, სტენდები.

მაიაკოვსკელ მშრომლებს სწამთ, რომ არასოდეს ჩაქრება წიგნის-მოყვარულთა კლუბის ჩირალდანი, რომელიც მათ გზას უნათებს წიგნისადმი სიყვარულის გავივებისა და ცოდნისაკენ.

თ ბ ი ლ ი ს ი

## ფაქტები, მოვლენები

1974 წელი

**ივნისი.** გაიმართა საქართველოს წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა.

მოხსენება — „წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ამოცანებში“ გააკეთა საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარემ, საქართველოს წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ანზ. გიორგი თავაშიაშვილმა.

ყრილობამ აირჩია რესპუბლიკური გამგეობა, სარევიზიო კომისია და საკავშირო დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები.

გაიმართა რესპუბლიკური გამგეობის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმი 15 კაცის შემადგენლობით. რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა აკად. ევგენი კირილეს ძე ხარაძე.

1975 წელი

**ივლისი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოში წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების შექმნისა და კოლექტიური წევრების მიღების შესახებ.

რესპუბლიკური გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად არჩეული იქნა ანზ. ი. გ. კორინთელი.

სხდომას ესწრებოდა ცენტრალური გამგეობის განყოფილების გამგე, მწერალი ნ. მ. ნიკოლსკი.

ბიულეტენი „წიგნის სამყარო“ — საქართველოს გამსახკომის ორგანო, აღიარებულ იქნა საქართველოს გამსახკომისა და საქართველოს წიგნისმოყვარულთა რესპუბლიკური გამგეობის ორგანოდ.

1976 წელი

**ივლისი.** გაიმართა რესპუბლიკური გამგეობის მეორე პლენუმი. მოხსენება — „საქართველოს წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ამოცანები საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად“ — გააკეთა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ აკად. ევგენი ხარაძემ.

პლენუმს ესწრებოდა ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ივანე ალექსის ძე კოტოშკინი.

პლენუმმა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველ მდიანად იური იანა ანტონოვიჩი. ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი.

**სექტემბერი.** გურჯაანში ჩატარდა „წიგნის ზეიმი“. ზეიმში მონაწილეობა მიიღო გურჯაანისა და მეზობელი რაიონების წიგნისმოყვარელებმა. აქ ჩაივლინენ მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები. წიგნისმოყვარეებს მიესალმნენ და საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს ა. გომიაშვილმა, ხ. ბერულავამ, თ. ჯანგულაშვილმა, რუსმა პოეტმა მ. სინელნიკოვმა. „საქწიგნის“ თბილისის შალაზიების ბაზაზე მოეწყო წიგნის ბაზრობა.

**სექტემბერი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება წიგნების — ვ. ი. ლენინი, „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები“ და ლ. ი. ბრეჟნევი, „სიტყვა სრულიად საქავშირო ალკ XVII ყრილობაზე“ — ახალგაზრდობაში კოლექტიური კითხვის ჩატარების შესახებ.

1977 წელი

**იანვარი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს პოლიტგანათლების სახლთან ერთად „ლ. ი. ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევის“ კოლექტიური კითხვის ჩატარების შესახებ.

დამტკიცდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა გეგმა.

რესპუბლიკური გამგეობის პასუხისმგებელ მდიანად დამტკიცებულ იქნა ლია შალვას ასული ნადარეიშვილი.

**თებერვალი.** გაიმართა რესპუბლიკური გამგეობის მესამე პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის პრობაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბედინეიშვილი, ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ე. ლინტენშტეინი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე ნ. კოტოვი.

მოსხენება — „რესპუბლიკის წიგნადი ფონდების უფრო ეფექტურად გამოყენების შესახებ“, გააკეთა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. ლომაშვილმა.

პლენუმმა ანტ. ევგენი კირილეს ძე ხარაძე გაათავისუფლა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარედ იური იანა პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე. თავმჯდომარის მოადგილეებად პროფ. ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძე და ხუტა მიხეილის ძე ბერულავა.

**მარტი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის წიგნით მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. დამტკიცდა ღონისძიებათა გეგმა.



მიღებული იქნა დადგენილება ექსლიბრისებისა და მინიატურული წიგნისმოყვარულთა რესპუბლიკური კლუბების შექმნის შესახებ.

**ივნისი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდენტი მიიღო დადგენილება ლ. ი. ბრეენეის მოხსენების „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ და „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის“ კოლექტიური კითხვის ჩატარების შესახებ.

მიღებულ იქნა დადგენილება სახალხო უნივერსიტეტის „წიგნი“ გახსნის შესახებ ორი ფაქულტეტით: წიგნმცოდნეობის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობით. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2 წლით. რექტორად დამტკიცდა პროფესორი ივანე ალექსანდრე ძე ლოლაშვილი, პრორექტორად — პროფ. გივი ვარლამის ძე მიქაძე. წიგნმცოდნეობის ფაქულტეტის დეკანად — ალექსანდრე პარმენის ძე ლორია. ბიბლიოცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაქულტეტის დეკანად — ნოდარ ანტონის ძე გურგენიძე.

მიღებულ იქნა დადგენილება — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მკითხველთა რესპუბლიკური კონფერენციის „ოქტომბრის გზით“ — ჩატარების შესახებ.

**ივნისი.** „უინეალპისი“ მშენებლობაზე ჩატარდა „წიგნის ზეიმი“, მშენებლებს ეწვივნენ სტუმრები დედაქალაქიდან: მწერლები, პოეტები, კულტურის მუშაკები. მოწინავე მშენებლებს საჩუქრად გადაეცა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები.

**ივლისი.** აჭარის ასსრ გამგეობამ და მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებამ კურორტ ციხისძირში ფართოდ აღნიშნა „ვაჟაობა“, რომელსაც აჭარელ მშრომელებთან ერთად ესწრებოდა მრავალი დამსვენებელი.

**აგვისტო.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდენტი დაამტკიცა საქ. სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის „საპატიო სიგელის“ ნიმუში.

**ოქტომბერი.** თბილისში ჩატარდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების წიგნის ზეიმი დღეებით — „ოქტომბერი და წიგნი“. ზეიმი გაიხსნა საქართველოს ფილარმონიის მცირე დარბაზში, სამეცნიერო-თეორიული კონფერენციით — „წიგნის გამოცემის საქმის განვითარება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ“. მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. ნემსაძე, აზერბაიჯანის გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ფ. კასუშოვა და სომხეთის გამსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ა. სარქისიანი.

წიგნის ზეიმის მონაწილეებს მიესალმა მოსკოველი სტუმრები: პოეტი ლევ აშინინი, „მოსკნვიას“ ლირექტორი თამარ ვიშნიაკოვა, ცენტრალური გამგეობის პრობაგანდის განყოფილების გამგე ნ. ფურინა და პ/მგ. მდივანი ა. ჩირვა.

**გამომცემლობა** „მერანის“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წიგნის გამოფენა დღეებით: „ოქტომბერი და წიგნი“.

მოეწყო წიგნის გამოფენა-ბაზრობა. შემდეგ ზეიმმა დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებში გადაიწვია. სტუმრებს შეხვედრები მოუწყო თბილისის სახელ-



მწიფო უნივერსიტეტის, 26 კომისარების რაიონისა და № 73 აზერბაიჯანული საშ. სკოლის წიგნისმოყვარულეებმა. აზერბაიჯანის დელეგაციას შეხვედრა მოუწყვეს ნელში მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა წიგნისმოყვარულეებმა.

წიგნის ზეიმი დასრულდა სიღნაღის რაიონის სოფელ ანავის წიგნისმოყვარულეებთან საზეიმო შეხვედრით.

**ნოემბერი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკური კონკურსის — „საუკეთესო სასკოლო ბიბლიოთეკის სახელის მოსაზრებლად“ ჩატარების შესახებ. შეიქმნა კონკურსის შემაჯამებელი საორგანიზაციო კომიტეტი ზ. ლომიძის თავმჯდომარეობით.

1978 წელი

**აპრილი.** ჩატარდა რაიონული და საქალაქო ორგანიზაციათა გამგეობების პასუხისმგებელი მდივნების, ხაზინადარებისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეების ზონალური სემინარები.

**აპრილი.** გაიმართა რესპუბლიკური გამგეობის მეოთხე პლენუმი. პლენუმი გახსნა რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის საგამომცემლო-საწარმოო განყოფილების გამგე. ი. ე. რეზნიკოვი, ცენტრალური გამგეობის ინსპექტორი გ. მ. ტამირაივი, ვახუთ „ქნიენოეობოზრენიეს“ კორესპონდენტი კ. ი. ლიასკო.

მოსმენილ იქნა რესპუბლიკური გამგეობის პასუხისმგებელი მდივნის აშ. ლ. ნადარეიშვილის მოხსენება: „წიგნის მოყვარულთა სრულიად საქვეშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური გამგეობის IV პლენუმის შედეგები და საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ამოცანები ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში“.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მიერ მესამე და მეოთხე პლენუმებს შორის ჩატარებული მუშაობის შესახებ პლენუმზე ინფორმაცია გააკეთა აშ. ო. გოჩელაშვილმა.

**მაისი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ლ. ი. ბრეჩენევის ტრილოგიის — „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ — საზოგადოებრივი კითხვის ჩატარების შესახებ.

მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში საკავშირო ახალგაზრდა მკითხველთა კონფერენციის „ოქტომბრის მემკვიდრენი“ ჩატარების შესახებ.

**ივნისი.** ყვარულში, საგურამოსა და თბილისში საქართველოს მწერალთა კავშირმა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი.

შეჯამდა 1978 წლის I ნახევრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის გამარჯვებული გამოვიდა აჭარის რესპუბლიკური გამგეობა. ქალაქებს შორის — ქუთაისის საქალაქო და რაიონებს შორის — თელავის რაიონული გამგეობები.

მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკური გამგეობის ორგანოს —

აღმანახ „მწიგნობარის“ 12 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახის ოდენობით გამოცემის შესახებ. დამტკიცდა სარდაქციო კოლეგია. მთავარ რედაქტორად დამტკიცდა ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე, მოადგილედ — ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — პელო კონსტანტინეს ასული დელეუყვა.

**სექტემბერი.** გურჯაანში ჩატარდა „წიგნის ზემი“. აქ ჩამოსულმა სტუმრებმა და წიგნისმოყვარულებმა დაათვალიერეს მემორიალური კომპლექსი „შინმოუსვლელი“, ქალაქის პარკში შეკრებილ წიგნის მოყვარულებს მიესალმნენ ჯ. ლომაშვილი, პოეტები: იოსებ ნონეშვილი, კარლო კალაძე, მსახიობი ბაწელაშვილი, გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ნემსაძე და სხვები.

**სექტემბერი.** რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმმა მიიღო საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქ. სსრ გამსახკომისა და საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილება 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე „რესპუბლიკის ახალგაზრდობას შორის ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის საკავშირო სამთვეურის“ ჩატარების შესახებ.

მიიღო დადგენილება სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი წლისთავის აღსანიშნავად ქ. თბილისში და ქ. სოხუმში, 1-დან 15 ოქტომბრამდე მინიატურული წიგნების მოძრავი გამოფენის მოწყობის შესახებ.

**ოქტომბერი.** ჩატარდა წიგნის ლექციური პროპაგანდის ბიუროსა და სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარეების რესპუბლიკური სემინარი.

**ოქტომბერი.** საკავშირო დამკვერღურ მშენებლობაზე „ენგურჰესში“ ჩატარდა წიგნის ზემი. ამ ზემიში ქართველ მწერლებთან და კულტურის მუშაკებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოში „კულტურის დღეების“ მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა. საზეიმო სხდომებზე ჯერ ენგურჰესის მშენებლობაზე და შემდეგ ქ. ზუგდიდში, შ. დადიანის სახ. თეატრში, სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს ქართველმა მწერლებმა, ჩამოსულმა სტუმრებმა.

1979 წელი

**თებერვალი.** რესპუბლიკურ გამგეობასთან შეიქმნა პრესჯგუფი თერთმეტი კაცის შემადგენლობით.

**მარტი.** გაიმართა რესპუბლიკური გამგეობის მეხუთე პლენუმი. პლენუმი გახსნა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ აშხ. ირაკლი აბაშიძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ აშხ. ბორის ანტონის ძე კორჩაგინმა და საწარმოო-საგამომცემლო განყოფილების გამგემ ილია ეფიშვილი ძე რეზნიკოვმა.

მოისმინეს რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის აშხ. ჯ. ლომაშვილის მოხსენება „საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1978 წ. ივლისის და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებიდან და პლენუმზე საბჭოთა კავშირის



კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბაქაძის განცხადებით:

**აპრილი.** თბილისში, 26 კომისიის რაიონში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. „წიგნი, ოჯახი, სკოლა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს განათლების დარგის მუშაკებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა. დღისევა მრავალი პრობლემა, რაც ხელს შეუწყობს წიგნის გამოყენებას ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

**მაისი.** დუშეთში გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „მწყემსების გაცილება იალაღებზე“. რაიონულმა გამგეობამ ზეიმზე მოიწვია მწერლები და პოეტები, რომელთაც თავიანთ მისალმებაში მაღალი შეფასება მისცეს მწყემსების საქმიანობას. მოწინავე მწყემსებს საჩუქრად გადაეცა წიგნები.

**ივნისი.** აბაშაში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „წიგნი სოფლის მეურნეობის სამსახურში“. სიტყვით გამოვიდნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რაიონული გამგეობის თავ-რე ნ. ქანტურია, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეები.

**ივლისი.** დაბა მიაკოვსკში წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ და კულტურის სამინისტრომ ბავშვის წელთან დაკავშირებით, ერთობლივად ჩაატარეს „წიგნის ზეიმი“. აღნიშნულ ღონისძიებაში 6 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

**სექტემბერი.** ჩატარდა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მეორე ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძემ.

ყრილობას ესწრებოდა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და ავტობიბლიოთეკის განყოფილების გამგე ამხ. ვახტანგ ივანეს ძე ქარაშვილი, ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ივანე ალექსის ძე კოტომცინი, ცენტრალური გამგეობის ინსპექტორი ამხ. გრანტ მიხეილის ძე ტამარაშვილი.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ვ. ქარაშვილი.

ყრილობამ მოისმინა საზოგადოების გამგეობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის ანგარიში, აირჩია საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა, სარევიზიო კომისია და საკავშირო მეორე ყრილობის დელეგატები.

გაიმართა ახლად არჩეული გამგეობის პლენუმი. პლენუმმა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ამხ. ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი, მოადგილედ ამხ. თენგიზ დავითის ძე ონოფრიშვილი, პასუხისმგებელ მდივნად ამხ. ლია შალვაშვილი ასული ნადარეიშვილი.

საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეული იქნა თავმჯდომარის მოადგილეებად ამხ. ვახტანგ ვეკოლის ძე ბერიძე და გურამ ივანეს ძე ფანჯიკიძე.

პლენუმმა აირჩია რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმი.

**ოქტომბერი.** მიღებული იქნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის, საქ. ალკ კვ-ის ბიუროს, საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების





დოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდენტის ერთობლივი დადგენილება პირადი ბიბლიოთეკების საზოგადოებრივი სარგებლობისათვის ნებაყოფლობითი წესით გამოყენებისა და ახალშენებლობათა და სასოფლო ბიბლიოთეკებისადმი საშუალო დახმარების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

1980 წელი

იანვარი. რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდენტმა მიიღო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს პროფსიბჭოს, საქ. ალკკ ცკ-ის სამდივნოს, მწერალთა კავშირის გამგეობის და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდენტის ერთობლივი დადგენილება: ვ. ი. ლენინის დაბადების 110-წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მკითხველთა კონფერენციის „ვიცხოვროთ, ვიშროოთ, ვისწავლოთ ლენინურად“ ჩატარების შესახებ.

მიიღო ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის აღსანიშნავად ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა.

დაწესდა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ყოველწლიური სახელობითი პრემიები:

1) ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პრემია — საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის საუკეთესო პროპაგანდისტის დასაჯილდოებლად. 3 პრემია, თითოეული 50 მან. ოდენობით.

2) ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია — მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო პროპაგანდისტის დასაჯილდოებლად. 3 პრემია, თითოეული 50 მანეთის ოდენობით.

3) ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემია — სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის საუკეთესო პროპაგანდისტის დასაჯილდოებლად. 3 პრემია, თითოეული 50 მან. ოდენობით.

4) დიმიტრი გედევანიშვილის სახელობის პრემია — სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის საუკეთესო პროპაგანდისტის დასაჯილდოებლად. 3 პრემია, თითოეული 50 მან. ოდენობით.

5) მირზა გელოვანის სახელობის პრემია — სამხედრო-პატრიოტული ლიტერატურის საუკეთესო პროპაგანდისტის დასაჯილდოებლად. 3 პრემია, თითოეული 50 მან. ოდენობით.

6) იოსებ გრიშაშვილის სახელობის პრემია — პირადი ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთათვის. 3 პრემია, თითოეული 50 მან. ოდენობით.

7) სერგო ზაქარიაძის სახელობის პრემია — პროზისა და პოეზიის ნიმუშების მხატვრული კითხვის კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. 3 პრემია, თითოეული 50 მან. ოდენობით.

შეჯამდა საზოგადოების 1979 წლის სოციალისტური ვალდებულება. გამარჯვებული გამოვიდა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის — აჭარის ასსრ, ქალაქებს შორის — ქუთაისის საქალაქო და რაიონებს შორის — თეთრიწყაროს რაიონული ორგანიზაციები.

შეადგინა ნელი გუწაძემ.



გ. ლეონიძე, „ვეფხისტყაოსანს“ . . . . .	5
ე. მაღრაძე, გზა დაეულოცოთ „მწიგნობარს“ . . . . .	9
ე. ოსეტროვი ქებათა ქება წიგნს (თარგმნა პ. ლელუყვამ) . . . . .	21

**წიგნი და ცხოვრება**

ს. ხუციშვილი, გრიშაშვილური მარგინალიები „ივერიის“ ფურცლებზე	31
ზ. შველიძე, დიდ სამამულო ომში წიგნებიც იბრძოდნენ . . . . .	41
ტ. ადამია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის თავგადასავალი . . . . .	54

**ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები**

ე. თოხაძე, უნივერსიტეტის პირმშო . . . . .	61
გ. შიქაძე, დავით დანიანის ბიბლიოთეკა . . . . .	75
ი. გაჩეჩილაძე, დავით მესხიშვილის (რექტორის) საოჯახო წიგნსაცავი . . . . .	88
ი. გრიშაშვილი. *** (შევგობრებო...) . . . . .	98

**ქიკაბანი**

ი. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწის უცნობი თარგმანები . . . . .	101
ც. ქუჩუციკიძე, ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ . . . . .	112
ზ. კუტიბაშვილი, მეთათე საუკუნის ქართველი მწიგნობარნი . . . . .	121

**წარსულის შურიღვაბი**

ზ. ქუმბურაძე, ოშკის ბიბლია . . . . .	145
შ. გოზალიშვილი, დავით ჩუბინაშვილის ნაღაწი და ნაანდერძევი . . . . .	156
ლ. ნანიტაშვილი, ქართული წიგნის ამავდარი . . . . .	169
ზ. ჩილაჩავა, წარსულის გახსენება . . . . .	182

**წიგნი, წიგნი, წიგნი...**

მ. შაჰავაძეანი, ალ. ცაგარელის კოლექციის ავტოგრაფები . . . . .	195
ა. აბრამიშვილი, ქართული მარგინალიები სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში . . . . .	208

**ძრონიკა**

**წიგნის მოყვარულთა კლუბები**

გ. სემიონოვი, მინიატურული წიგნების ფართო სარბიელი . . . . .	219
ლ. მაისურაძე, როცა ანთია ჩირალდანი . . . . .	226

**საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება**

ფაქტები, მოვლენები (შეადგინა ნ. გეწაძემ) . . . . .	229
--	-----

Г. Леонидзе, Посвящение «Вепхисткаосани» («Витязь в тигровой шкуре») . . . . .	5
Э. Маградзе, Напутствие «Мцигнобари» . . . . .	9
Е. Осетров, Похвала книге . . . . .	21

## КНИГА И ЖИЗНЬ

С. Хуцишвили, Гришашвиловские маргиналии на полях «Иверии» . . . . .	31
З. Швелидзе, В Великой Отечественной и книги боролись . . . . .	41
Т. Адамия, Судьба одной рукописи «Вепхисткаосани» . . . . .	54

## БИБЛИОТЕКИ И БИБЛИОФИЛЫ

Э. Тохадзе, Первенец Университета . . . . .	61
Г. Микадзе, Библиотека Давида Даднани . . . . .	75
И. Гачечиладзе, Семейная библиотека Давида Месхишвили (ректора) . . . . .	88
И. Гришашвили, *** (Друзья...) . . . . .	98

## ПОИСКИ

И. Лолашвили, Неизвестные переводы Иоана Петрици . . . . .	101
Ц. Курцикидзе, Об одной рукописи, переписанной в Афонском монастыре . . . . .	112
З. Кутибашвили, Грузинские книжники десятого века . . . . .	121

## ДЕЛА МИНУВШИЕ

З. Чумбуридзе, Ошкская библия . . . . .	145
Ш. Гозалишвили, Содеянное и завещанное Давидом Чубинашвили . . . . .	156
Л. Наниташвили, Труженник грузинской книги . . . . .	169
З. Чилачава, Воспоминание . . . . .	182

## КНИГА, КНИГА, КНИГА...

М. Мачавариани, Автографы коллекции Ал. Цагарели . . . . .	195
А. Абрамишвили, Грузинские маргиналии в библиотеке им. Салтыкова-Щедрина . . . . .	208

## ХРОНИКА

## Клубы книголюбов

Г. Семенов, Широкое попрание миниатюрных книг . . . . .	219
Л. Майсурадзе, Когда горит факел . . . . .	226
<b>Добровольное общество любителей книги Грузинской ССР</b>	
Факты, события . . . . .	229



გამომცემლობის რედაქტორი ე. ტრიპოლსკაია  
მხატვარი ა. თევზაძე  
მხატვრული რედაქტორი ი. ხუციშვილი  
კორექტორი ნ. კირთაძე  
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 4/IX-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
24/XII-80 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი  
ნაბეჭდი თაბახი 13,95, სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,38.  
უე 08692 ტირაჟი 10,000 შეკვ. № 2912  
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და  
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილი-  
სის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ., 7.

Тбилисская книжная фабрика, им. И. Чавчавадзе, Го-  
сударственного комитета Грузинской ССР по делам  
издательств, полиграфии и книжной торговли, пр.  
Дружбы, 7

ალმანახ „მწიგნობარის“ ავტორთა  
საქურადღებოდი

სარედაქციო კოლეგია ავტორებს გთხოვთ სტატიები გამოგზავნოთ ორ ეგზემპლარად, დაბეჭდილი ნორმატივების შესაბამისად.

ტექსტის ყველა ციტატი დამოწმებული უნდა იყოს წყაროებით.

საილუსტრაციო მასალა გამოგზავნეთ ორ ეგზემპლარად, ზომით 13×18 სმ.

სარედაქციო კოლეგია განიხილავს არა მარტო მზა მასალას, არამედ განცხადებებსაც. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, რუსთაველის გამზირი, 42, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა.



1410667  
2003000103



პრინციპალი  
გრაფიკა

n 36/7

ს

მ



მ

რ